

יְהוָה

蒙古文

თანამედროვეთა მოგონებები



საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის პარტოლი
ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი







ଲୋତିଏରାତିଶୁରୁଟେ ମାତିଗାନୀ



ଶ୍ରୀମନ୍ଦିରପୁରାଜଙ୍ଗ „ସାହିତ୍ୟ ସାହାରତୀଳାଙ୍ଗ“
ମଧ୍ୟଭାଷା — 1987



თანამედროვეთა მოგონებებში



კრებულში თავმოყრილია მოგონებები იმ ადამიანებისა, რომლებსაც გარკვეული ხნით უცხოვრიათ ილია ჭავჭავაძის გვერდით, მოუსმენიათ მისი სიტყვა, უნახავთ მისი სახე და სამუდამოდ ჩაუბეჭდავთ გულში.

ყოველი მოგონების დასაწყისში წარმოდგენილი ციფრი მიაწინება ხელნაწერთა ფონდის საინკუნტარო ნომერს.

კრებულში შესული მასალები ქვეყნდება პირველად. ცალკეული მოგონებები იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

ბიორჩი ნატროზვილი

ს ა რ ე დ ა ქ ც ი თ კ თ ლ ე გ ი ა

აპატი გამრაპი,
ციცი გუმურაული,
დითეგან მართაშვილი,
ნიხილ ჩავთარია,
ალექსანდრე ღლონტი,
ირაკლი უნგელაია,
თაგაზ ჰილარი,
სოლომონ ხუციშვილი,
რევაზ ჯაფარიძე,

კრიბული შეადგინეს

ლიდა აფაშიძემ და
ტარიელ იაზვილა

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ в воспоминаниях:

современников

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5. 1987





გალაკტიონ თაბიე

ის დღე იყო და ის დღე

პოეტის არქივიდან

1914 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი ტომი. ამავე წელს მიხეილ გელევანიშვილის მიერ გამოიცა ილია ჭავჭავაძის ნაწერების სრული პირველი ტომი. ორივე წიგნი შეეძინა ვარდენ ლვანკიოთელს. როდესაც იგი შემხვდა, ასე მომმართა:

— რა ამბავია, პოეტო, როგორი პესიმისტური წიგნი გამოვიცია. ან ეს ახალგაზრდობა რომ გააგიუა, რომ სულ შენს „მესაფლავესა“ და „მე და ღამეს“ გაიძახის. ამდენი ცრემლის ღვრა, მე და ჩემშია ღმერთმა, თვალებს გაგიფუჭებს.

— ეგ რა წიგნი გიჭირავს-მეთქი, ვკითხე.

— ეგ ხომ შენი წიგნია.

— მეორე-მეთქი.

— ილია ჭავჭავაძისაა.

— გაშალე ილიას წიგნის ასმეთექვსმეტე გვერდი-მეთქი, ვუთხარ. ვარდენმა გაშალა წიგნი და ხმამალლა წაიკითხა:

ვაჟკაცს ცრემლსა რად უზრახვენ,
რკინაც ტყდება, როს სცემს გრდემლი;
კაცო და პირუტყვო გასარჩევად
ღმერთმა შექმნა მარტო ცრემლი.

ის დღე იყო და ის დღე, არასდროს ვარდენს ამის შემდეგ ჩემს პესიმისტობაზე ხმა აღარ ამოულია: ილია თუ ასე სწერს, მე რაღა მეთქმისო, ამბობდა.



ლევან ასათიანის ჩანაწერები

ილია აგლაძე

მოგონებები ილიაზე

მუშაობა „ქვათა ღალადზე“

„ილია თავის შრომას „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“ წერის პროცესში ბეჭდავდა ფელეტონების სახით. (1899 წ.).

მე მაშინ „ივერიის“ რედაქციაში ვმუშაობდი, მანსონს, ავიდოდი ხოლმე მასთან დილით კაბინეტში „ქვათა ღალადის“ შემდეგი თავის წამოსალებად.

ილია ვიწრო, გრძელ ფურცლებზე წერდა თავის შრომას. ათოთორმეტი დაწერილი ფურცლიდან ის ამოარჩევდა ოთხ-ხუთ ფურცელს და გადმომცემდა ხოლმე ასაწყობად.

როგორც ჩანს, ის ბევრჯერ ასწორებდა, აშალაშინებდა, ასუფთავებდა თავის ნაწარმოებს.

მთელი ღამეობით მუშაობდა.

როდესაც კორექტურას მიუტანდი ამ წერილისას, ის კვლავ შეუდგებოდა სწორებას.

ტშირად კორექტურაში იმდენი შესწორებები შეჰქონდა, რომ ანაწყობს ველარა ვსცნობდით“.

ილია და გაზ. „ივერია“

ილია ჩემ დროს (90-იან წლ. დამლ.) გაზეთ „ივერიის“ სარედაქციო საქმეებს თითქმის არ მართავდა. ის არც კი კითხულობდა იმ მასალებს, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო გაზეთის ფურცლებზე.

რედაქციის საქმეებს მართავდა და გაზეთი მიჰყავდა მეველეს (დავით მიქელაძეს).

ილია სწერდა მხოლოდ მეთაურ წერილებს და ხანდახან საქვირაო ფელეტონებს.

ერთხელ არტ. ახნაზაროვმა აკაკის წინააღმდეგ ფელეტონი დასწერა. ეგონა, ილიას გულს მოვიგებო.

წერილის დაბეჭდვის შემდეგ ის შევიდა ილიასთან. როცა დაბრუნდა მისი კაბინეტიდან, გვითხრა:

— ილია ძალიან გამიჯავრდა იმ წერილის დაბეჭდვისათვისთ.

სოსო მაჟავარიანი

ილია და თბილისის მუშა-ხელოსნები

თბილისის მუშა-ხელოსნებს მუდამ განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდათ დიდი ილია და დიდი თაყვანისმცემლებიც იყვნენ. გატაცებით კითხულობდნენ ილიას ნაწერებს — „ოთარანთ ქვრივს“, „გლახის ნამბობს“, და სხვ. დიდად იყო გავრცელებული მუშა-ხელოსნებში ილიას „კაკო ყაჩალი“. ბევრმა ზეპირათ იცოდა და მომხებლავი მოტივით მღეროდნენ ყოველივე ლხინში — ქორწილში, ნიშნობაში თუ ნათლობაში.

ერთხელ ქორწილი ჰქონდა კოლა გორელს, სადაც მიწვეული იყვნენ სამოცამდე მუშა-ხელოსნები, მათ შორის ცნობილი რევოლუციონერები არაქელა ოქუაშვილი, მიხა ბოჭორიძე და სხვები.

სუფრაზედ დასხდომისთანავე დაავალეს ვანო დოლმაზაშვილს (მეჩექმეა, ამჟამადაც ცოცხალია) — „კაკო“ ზეპირად ეთქვა. მართლაც, მეტად ლამაზად და მიმზიდველად იცოდა დოლმაზაშვილმა „კაკო ყაჩალის“ ზეპირათ თქმა, დაიწყო ამ მომხებლავი პოემის კითხვა და გათავებამდინ ისე სულგანაბული უსმენდა ამდენი ქორწილის ხალხი, რომ გეგონებოდათ აქ ქორწილი კი არ არის, ლექციის კითხულობენო. გათავებისას წამკითხველი დიდის ტაშისკვრით დააჯილდოვეს. შემდგებ დიდის სასმისით დალიეს ილიას სადლეგრძელო.

(ხელნაწერის დედანი ინახება ჩემთან. ლ. ასათიანი).

ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე 1901 წლის თებერვალში. რაფიელ ერისთავი ახლად გარდაცვლილი იყო. კრუზენშტერნის (ამჟამად წულუკიძის) ქუჩაზე, ერთ-ერთ საზოგადო დაწესებულებაში შეკრებილნი იყვნენ ილია ჭავჭავაძე, დავით სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედაძე და სხვები. მათ ახლო ტრიალებდა სოსიქო მერკვილაძე.

ახალგაზრდა მოქანდაკე ვიყავი. მე მათ მივმართო წინადადებით — რაფიელ ერისთავის ნიღაბს გავაკეთებ-მეტე. მკითხეს რამდენი დაჭდებაო. სოსიქომ ხელად შეადგინა ზეპირი ხარჯთაღრიცხვა და მოახსენა დ. სარაჯიშვილს. იმან ჯიბიდან ამოიღო საფულე და მომწუა ჩვიდმეტი მანეთი.

ამ ფულით ვიყიდე მასალა, ჩავჭეჭი მატარებელში და წავედი თელავში. იქიდან ქისტაურს გავემგზავრე, იქ ორ დღეს დავრჩი, ნიღაბი გავაკეთე, დასაფლავებასაც დავესწარი.

თბილისში დაბრუნებისას რაფიელის ნიღაბი გადავეცი წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმს.

ჩქარა ამის შემდეგ ისევ მივედი წერა-კითხვის საზოგადოებაში. კიბე ავათავე თუ არა, დავინახე, ილია მობრძანდებოდა დინგად.

— ყმაწვილო, ბიუსტი გააკეთო? — მომმართა მან დანახვისთანავე.

— დიახ, ვუპასუხე მე, — მხოლოდ ბიუსტი კი არა, ნიღაბი, აი, აქ არის, წერა-კითხვის საზოგადოებაში, თუ გნებავთ, ნახეთ.

ილია დაინტერესდა. შევედით წერა-კითხვის საზოგადოებაში. მან ყურადღებით დაათვალიერა „სამშობლო ხევსურისა“-ს აფტორის ნიღაბი.

ეს იყო ჩემი მეორე შეხედრა ილიასთან.

მესამედ და უკანასკნელად ქუჩაზე ვნახე, ის იდგა შარტო, ტრამვაის უცდიდა.

ილიას სიკვდილის შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოებამ შემიკვეთა მისი ძეგლის გაკეთება. ამ საქმისათვის საზოგადოებამ გადასდო 5500 მანეთი. ეს თანხა ხელისმოწერით იქნა შეგროვილი საქართველოში.

ძეგლი პარიზში გავაკეთე. იქ ვცხოვრობდი, ვმუშაობდი, მარტო „მწუხარე ქალის“ ქანდაკების ჩამოსხმა ექვსასი მანეთი დამიჯდა. მისი ანგარიშები ახლაცა მაქვს შენახული.

ელექტრონული რესურსების განვითარება

ილია და ჩვენი ოჯახი

უკვე მეშვიდე ათეულს მივაღწიე. ახლა ჩემი წარსული გარდის-ფრად მეტატება თვალშინ და ჩემს სახეზე ღიმილს იწვევს ჩემი ძვირ-ფასი თანამგზავრების მოვონება.

დავიბადე ქ. თელავში, მამაჩემი ივანე ზაქარიას ძე როსტომაშვილი იყო მასწავლებლად საცხენისის (ახალსოფლის მახლობელი იდგილია) ორკლასიან სასწავლებელში; ეს სასწავლებელი გადმოიტანეს სოფელ ყვარელში და იყო მოთავსებული ყვარლის თავში, ჩრდილოეთით, იქ სადაც წინათ იდგა ქართული მილიცია — ლეკების სა-დარაჭოდ და რომელსაც ბოლომდის ყაზარმას ეძახდნენ. სწავლა მამაჩემს ჰქონდა მიღებული თბილისის სემინარიაში და წარჩინებითაც დაემთავრებინა.

მამაჩემის მამა მღვდელი იყო, უნდოდა, რომ შვილიც მღვდელი ჰყოლოდა, მაგრამ მამამ არ მოისურვა და მასწავლებლად წავიდა; ამბობენ, ძალიან ენამახვილი და ნაკითხი კაცი ყოფილა. დედა ჰყოლია მამაჩემს ძალიან ჰქვიანი; ის იყო გიორგი თავად-ოლლის ქალი, სხვა გვარი არა ჰქონია, ამის გვარი ესე წარმომდგარა: ერთ დღეს მეფე ერეკლესთან მისულა ერთი ლეკის ნაიბი. მეფეს ეკითხნა, რა საქმე გაქვსო ჩემთანაო, იმას ეამბნა: „მე ერთმა ლეკმა მომყიდა ერთი ტყვედ წამოყვანილი თავადიშვილის ქალი, მე ის ცოლად შევართე, იმ ქალს ჰყავდა შვილი, ოთხი წლის ბიჭი, თან მოყვანილი, როცა კვდებოდა, შემეხვეწა, ჩემი შვილი ქართველია, გეხვეწები, ეს ბავშვი მეფე ერეკლეს მიუყვანე, ის გაზრდის სასახლე-შით“. ერეკლეს მიელო, თითონვე მოენათლა და გიორგი დაერქმევინა და რაგან თავადიშვილი ყოფილა, გვარად თავად-ოლლი მიუციდა. ესე იზრდებოდა სასახლეში გიორგი.

გიორგი ისეთი მკვირცხლი და ყოჩალი ყოფილა, რომ ყველას ჰყავარებია.

მას ჰყოლია ორი ქალი: ერთი ბებიაჩემი, პელაგია — ზაქარია როსტომაშვილის ცოლი და მეორეც, ბაბე, გათხოვილი იყო რუსიშვილ-ყორჩიბაშვე, კურდლელაურელ მემაშულეზე.

მამაჩემს ძმები არა ჰყოლია. ჰყვანდა ბიძაშვილები: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი, ცნობილი პედაგოგი და პუბლიცისტი, მე-



ორე ბიძაშვილი — ზაქარია პავლეს ძე როსტომაშვილი — გიმნაზიის
დირექტორი და მესამეც — სააქციზო ინსპექტორი გიორგი პავლეს
ძე როსტომაშვილი.

* * *

დედაჩემი იყო გიორგი ვაჩინაძის ქალი, ს. კარლენახიდან, დედა-
ჩემის დედა ნინო ბარათაშვილი, აღბულალის მემამულის ქალი საბა-
რათიანოდან იყო ნათესავი ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ბებიაჩემი ყო-
ფილი ძალიან ჭკვიანი და უაღრესად კეთილი აღამიანი, თანაც კარგი
მეოჯახე, მთელი სახლის ავ-კარგი იმს ეკითხებოდა, იტყოდა ხოლ-
მე დედა. მამაჩემი გიორგი ვაჩინაძე, მთელი დღე მარტო კრიალოსანს
ათამაშებდა ან თავის ხელის ხალხთან იჯდა და მასლაათობდათ.

დედამ მკურნალობა იცოდა კარგი და ბევრი ავადმყოფებიც მოს-
დიოდნენ, ჰქონდა ძველისძველი კარაბაღინი; მზითევში გამოტანებუ-
ლი და ბევრს ხალხს სწავლობდა, ძალიან შორიდანაც მოჰყავდათ ავად-
მყოფები ურმით თუ ცხენით. კვირის კვირობამდის ეწევა ავადმყო-
ფები დედაჩემსა. ის კარაბაღინი ჩვენს ოჯახში დიდხანს ინახებო-
და, მერმე არ ვიცი სად დაიკარგა! წყალმანქასაც კი არჩენდა, დააწ-
ვენდა ავადმყოფს, შემოუწყობდა მოხარულ სხვადასხვანარ ბალა-
ხებს, თან სულ ბალახების წვენს ასმევდა. ქალური ავადმყოფობის
წამლობა ხომ შესანიშნავად იცოდა. დედაჩემაც კი იცოდა კარგი
წამლობა, ოცი წლის მოურჩენელ იარას ისე მოარჩენდა, რომ ნასა-
ხიც არ დარჩენილიყო. ქორფა ბავშვების ელქუნის წამლობა იცო-
და ძალიან კარგად. დაუწვევ ახალ თიხის ქოთანში მოხარულდა კა-
რაქით სხვა და სხვა წმილებს, შაბს და თან დაფქულ და გამტეიცულ
თიხას დაუმატებდა, სამ დღეზე ბავშვს სუფთა კანი გაუხდებოდა,
თან ეტყოდა — თეთრი ქლიავის ტოტები მოხარულ, შაბი გაურიეთ
და იმაში აბანეთო. როცა ახალ მელოგინეს ძუძუები დაუსივდებო-
და. ეხლა მაშინვე გაუჭრიან ხოლმე, ის კი არჩენდა — გაწურული
მაწონი და წვრილად დაკეპილი ქინძი აურიეთ და ხშირად უცვალე-
თო, გაუჭრელად რჩებოდნენ.

დედაჩემი ყოფილა მეცხრე ქალი გიორგი და ნინო ვაჩინაძეებისა. გიორგი ვაჩინაძე იყო მახლობელი ნათესავი ნიკოლოზ აფხაზისა. ნი-
კოლოზ აფხაზი იყო ილია ჭავჭავაძის უფროსი დის ნინოს ქმარი, მე-
ორე და ჭყავდა გენერალ საგინაშვილს — ლიზა, მესამე — ნაზაროვს —
კატო.



აკაკი და მისი თანმხლებნი ყვარელში, ილიაობაზე, 1911 წელს.

რაღვან ვითრგი ვაჩნაძე იყო ხელმოკლე თავადიშვილი — დედა შვილი წლისა რომ გამხდარიყო, ნიკოლოზს ეთხოვნა გიორგისათვის — „ჩემი ქალი მაკო მაგის ხნისაა, მარტო იზრდება და ჩემთან იყოს, ერთად შეაზრდებიანო“.

აფხაზიანთ სახლი ახლო იყო, ხევს გაღმა და იდგა გორაკზე იქვემდებარდა.

მამამ უარი არ უთხრა და, ამრიგად, მე ვიზრდებოდი აფხაზიანთ ოჯახში. მაკო ჩემს დებზე, თუ მეტად არა, ნაკლებ არ მიყვარდა.

აფხაზიანთ სახლი იყო ოთხი ოთახი, დაბალი, ხუთი საფეხური კიბე ჰქონდა, ეზოდან შესასვლელი, გარშემო კარგა მოზრდილი აივანი, ცოტა მოშორებით წვრილი შენობები, სამზადისი, საკუჭნაო, სახაბაზო და მოსამსახურებისთვის ბინები.

როგორც ვთქვი, სახლი იდგა მაღლობზე და გადაპყურებდა ხევის უბანს. გარშემო ჰქონდა დიდი ეზო, ხეხილით, ერთ მხარეს ცხოვრობდა ნიკოლოზ აფხაზის ძმა, ილია აფხაზი თავის ოჯახით, კარგა მოშორებით, სოფლის თავში ცხოვრობდნენ ვაჩნაძები და სულ თავში ანდრონიკაშვილები, ელო ანდრონიკაშვილის დედ-მამა; საღირაული ერქვა იმ ადგილს, იქიდან მოჩანდა მთელი ალაზნის ველი, გაღმა-გამოღმა, მშენებელი სანახავი იყო იქიდან მთელი კახეთი. ეხლა იმ ადგილში სასაფლაოა. გარშემო კი გლეხების სახლკარი, ვენახები, სოფლის მოშორებით.

კარდენახი კარგი დიდი სოფელია, ეს სოფელი სხვა სოფლებზე უფრო დიდია, იქაური თეთრი ღვინოები მთელ საქართველოშია განთქმული, თეთრი ღვინო ერთი ახმეტისაა და ერთი იქაური.

სულ თავში იყო ვაჩნაძის სახლ-კარი, რომლის გვერდზედ აშენებული იყო კარის ეკლესია.

ეს მამული მშენებერ ადგილას არის გაშენებული, ამის გამო შეიძინა გრაფთა შერემეტიევმა კოხტა აფხაზისაგან, ააშენა საუკეთესო სახლები, რომელსაც დღესაც კი კარდანახელები სასახლეს ეძახიან. ეხლა იქ სამშობიაროა.

* * *

იმ წელ წადს, როცა მე სწავლა დავამთავრე, დედამ წამიყვანა თბილისში, ჯერ სათბილისო ტანისამოსი მივაჭრეს, შემდგა პირველი სადარბაზოთ გასვლა იყო ლიზა საგინაშვილთან.

იმ დროს ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა თავის ცოლით თავის დასთან — ლიზა საგინაშვილთან, ლიზას ჰქონდა საკუთარი სახლი (ეხლანდელი კალინინის ქ. 17); ჩემს აღტაცებას სახლვარი არა ჰქონდა, როცა პირველად შევედი მე ლიზა საგინაშვილის ბინაში; მარმარილოს კიბე ხავერდის ვიწრო ხალიჩით იყო დაფარული; ის მეორე სართულში ცხოვრობდა. ნათელი დიდი ოთახები, სასტუმროს

ფანგრები ჰქონდა ქუჩისაკენ, იქვე იდგა რბილი ნაცრისფერ ხავერდა გადაკრული საგარელები. სამოთხის საღომად მომეჩვენა ჩვენი ვატარა თელავის ოთახებთან და ღარიბ მოწყობასთან შედარებით მშვენიერი სადარბაზო დიდი ოთახი, ბოლოში თაღით დამთავრებული, რომელსაც ჩამოფარებული ჰქონდა ნაცრისფერი ხავერდის ფარდა; ამ ფარდას იქით იყო ილიას კაბინეტი, ისიც ძალიან ჩათელი. ფანგარა მარცხნიდან დაჭყურებდა დიდ საწერ მაგიდას, მაგიდის უკან იდგა რბილი საგარელი, რომელშიც იჯდა ილია. ლიზა ლამაზი ქალი იყო, ყოველთვის კეკლუცად ჩატმული, ეხლაც მიღდგას თვალშინ იმათი ლამაზი, მოწყობილი სასტუმრო და ლიზა ძირფასი ტანისამოსით, ლეჩაქვადაფრიალებული. ჩვენ რომ მივედით და მოსამსახურემ მოახსენა ჩვენი ვინაობა, რარიგ მხიარულად მოგვევება ლიზა, გადაპყოცნა დედაჩემი და უთხრა: „მაკოს შემდეგ მე ცოცხლებში არა ვარო, შენ რომ გხედავ, მაკო მიდგას თვალშინაო, რომ კვდებოდა სულ იმას მავალებდა, — სოფო და იმის შვილები არ დაივიწყო“.

დედამ რომ გააცნო, ეს ჩემი ელენეაო, მეან ვეღარ მიცნო, ჩადიდი გაზრდილაო, ამ დროს ილიაც გამოვიდა თავის კაბინეტიდან მოვიახლოვდა, გაუხარდა დედას ნახვა, ლიზამ კი აჩვენა ჩემზე, ილიკო, ნახე ჩვენი სოფოს ქალი რამოდენა გამხდარაო!“

ილიამ ხელი ჩამოვართვა და უთხრა დედას, შენ დაგმსგავსებიაო, მერე იყითხა როგორ სცხოვერიბო და თქვა — ეხლა რას უპირებ შენ ქალსაო; დედამ უთხრა, მე მინდა წელს თბალისში დავტოვო, ხალს შეეჩიოსო, თორემ ისეთია, რომ არსად არ უყვარს სიარული, სულ სახლში უნდა ყოფნა და წიგნების კითხვაო. — „ეგ ძალიან კარგია, თუ წიგნების კითხვა უყვარსო“, ამ დროს ილიასთან მოვიდნენ ნაცნობები და ის ნელის ნაბიჯით გაემართა თავის კაბინეტისკენ.

* * *

ილიას უფროსი დის ქმარი, ნიკოლოზ აფხაზი იყო მაღალი, გამხდარი და ულამაზესი კაცი; მაკო უფრო მამას ჰგავდა, მაკოც ისეთი მშვენიერი ტანადი იყო, როგორც მამა. ნიკოლოზ აფხაზი ყოველთვის იყო ქართულად ჩატმული, შავი მაუდის კაბით, დიდი უყრმა მაჯებით; ნიკოლოზი დინხი და უწყინარი ადამიანი იყო, ხშირათ მოდიოდა კარდანახიდან თავის ქალთან თელავში და უსათუოთ ჩვენთანაც უნდა მოსულიყო; დედაჩემი შვილივით უყვარდა, მოგვიტან-

და ბლომათ ხმელ ხილს (კანფეტები, ნუზლი), გადმოვიყრიდა და იტყოდა — „ურთა გლეხა, ყურის სრესაო“. ჩვენც ვკრეფდეთ ხილს, ის კი გვიყურებდა და იცინდა, ბავშვები ძალიან უყვარდა, დაისვამდა მუხლზედ ჩემ პატარა დას ნინას და უალერსებდა — „ჩვიმი პატარა შავი გოგოო!“

ილიას უფრო უყვარდა თავის კაბინეტში ყოფნა!.. როგორი მშვენიერი სანახვი იყო ის, ხელზე თავ-დაბჯენილი და ლრმად ჩაფიქრებული, სავარძელში ჩამჯდარი, მე რომ მხატვარი ვიყო, სწორედ ისე მჯდომარეს, თავის კაბინეტში დავხატვდი; შუბლზე ნათელი ედგა; იმის სახეს, იმ მშვენიერ სურათს; იმ მაღალ შუბლს, იმის ლამაზ ხელს ვერავინაც ვერ წარმოიდგენდა როგორც მე, როდესაც ის სურათი მიდგას თვალწინ! იმ შუბლს განა ტყვია უნდა მოხვედროდა?

როცა მივიდოდით და ისე ჩაფიქრებულს ვნახავდით, ჩვენ ფეხაქრეფით წავიდოდით, სულ თავში ჩავსხდებოდით რომელიმე სავარძელში და დაბალი ხმით ვლაპარაკობდით. ოლღასაც ძალიან უყვარდი; როცა მივიდოდი, სულ მიალერსებდა. ილია უფრო ან შინ არ იყო, ან სულ თავის ოთახში იყო. იმ წელიწადს, როცა მე დედამ თბილისში წამიყვანა, ლიზას საჩუქრად გამოეგზავნა ჩემთვის სადაფის კვერცხი, საალდგომოდ, ვერცხლის ჭაჭვით, შიგ ჰქონდა გამოკრული წითელი აბრეშუმი და რამდენიმე განყოფილება იყო, შიგ ელაგა ათი ხუთმანეთიანი ოქრო და კიდევ ოქროს სამაჯური დიდი თვლით, ამეტვისტოთი. როდესაც ლიზა მაკოსთან მოდიოდა თელავში, ყოველთვის საჩუქრები, რამე ნივთი მოჰქონდა და დედამ გვერდიდან არ იშორებდა; როდესაც ჩემი ძმა მიტო როსტომაშვილი წაიყვანა დედამ თბილისში, სათავადაზნაურო სასწავლებელში, ილია დაეხმარა და ოცი თუმნის მაგიერ, მარტო ათ თუმანს იხდიდა წელიწადში სასწავლებლის საფასურს, თან ყოველთვის კითხულობდა — როგორ სწავლობხო. ამ ათ თუმანში შედიოდა სწავლის ფული, სასწავლო ნივთები, ტანისამოსი ზამთრისა და ზაფხულისა; კვება: დილით ტკბილი ჩა და პური, რამდენიც უნდოდა, საუზმე — ხორციანი და სამ საათზე ორი თავი ხორციანი საჭმელი, კვირაობით — სამი თავი საჭმელი. ძნელი იყო სათავად-აზნაურო სასწავლებელში მოწყობა შეღავათიან ფასში, მაგრამ ილიას დახმარებით და, როგორც პედაგოგის შვილი, მაშინვე მიიღეს ჩემი ძმა.

ჩემი ძმა ძალიან სუსტი იყო და სისხლ-ნაკლები, ამისთანა სუსტ ბავშვებს განსაკუთრებული კვება ჰქონდათ, ცალკე მაგიდაზე ესხ-

დათ და სადილად თითო ჭიქა წითელ ღვინოს ასმევდნენ; იმ დროს დისახლისად იყო ელენე ჯაბადარი, ის უგდებდა ბავშვებს ყურს, რომ საჭმელი კარგად ეჭიმათ და ღვინოსაც ის ასმევდა; როცა რომელიმე ბავშვი ღვინოს დალევდა, ადგებოდა და ეტყოდა: „ელენა გეორგევნა, ზა ვაშე ზდაროვიე“, და გადაპრავდა, ჩემი ძმა ახალი მიყვანილი იყო, არ იცოდა კარგად რუსული და უნდოდა ეთქვა სიტყვა — ჰვინებოდა, მეც რამე უნდა ვთქვაო და ესე ეთქვა: „ელენა გეორგევნა, ვსტავაი, დავაი“, და გადაეკრა ღვინო, სიცილი რომ აეტეხათ, გაპკვირებოდა, ნეტა რას იცინიანო?!

ხშირად ლიზა გამოგზავნიდა მოსამსახურეს და წამიყვანდნენ, მე ვცხოვრობდი ბაბო მაღალაშვილთან, ჩემს დეიდაშვილთან, რეუტოვის ქუჩაზე, ლიზას ჩემი დეიდაშვილის, ბაბო მაღალაშვილის ნახვაც ძალიან უყვარდა, რადგან ბაბო მაღალაშვილი იყო მხიარული, კარგი მოსაუბრე და კარგა ნაკითხი, იმას სწავლა ჰქონდა მიღებული ოთხ კლასიან სასწავლებელში, კარგად იცოდა რუსული ენა, იმის მამა გიორგი პაიჭაძე იყო შესანიშნავი თარის დამკვრელი და განთქმული მოლექურე. ქმარი განვითარებული, დამსახურებული ფოსტის მოხელე, იმათ ოჯახში ბევრნაირი უურნალ-გაზეთები მოღიოდა და ბევრსაც ვკითხულობდი მე იმათსა, სანამ იმათ ოჯახში ვცხოვრობდი


როცა ლიზასთან ვიყავით, ვუამბობდით წაკითხულებს და იმას, ეს ართობდა. ერთხელ ილია შემოვიდა, ჯერ მომესალმა და მერე მკითხა: „აბა მითხარ, შენ უფრო კარგად იცი კეფხისტყაოსანი თუ დედაშენმაო?“ მე ვერაფერი ვერ ვუპასუხე, იმ დროს ამ ძვირფასი წიგნისა არა ვიცოდი-რა, და ვერც ვუპასუხებდი, აღზრდილი რუსულ სკოლაში; მან თავზე ხელი გადამისვა და მითხრა — „არა უშავსრა, ისწავლიო!“... ქართული ენა, როგორც საგანი, კვირაში ოჩერლა გვჰონდა, მე უფრო რუსული წიგნებით ვიყავი გატაცებული და ხშირად ისე გათენებულა, რომ ვერ გამიგია, ეხლაც ისე მიყვარს კითხვა რომ, როცა მოვკვდები, მე მარტო დამნანდება ის, რომ ბევრი კარგი წიგნი დამრჩება წაუკითხავი.

* * *

მე რომ ჯვარი დავიწერე, იმ ზამთარს, წესისამებრ მე და იური ჟავემგზაფრეთ თბილისს. მეფე-პატარძალს უნდა გვენახა იურის უამრავი ნათესავ-ნაცნობები, ქართველი საზოგადოება. პირველი ჩვენი სადარბაზოდ მისვლა იყო ილია ჭავჭაძესთან.

მაშინ ლიზა საგინაშვილი ცოცხალი აღარ იყო და ილია ცხელუ-
რობდა საქუთარ სახლში, ანდრეევის ქუჩაზე, ილიას ამ სახლის მფლო-
კიტი ინახება ყვარლის ილიას სახელმწიფო მუზეუმში.

ვარგა მოზრდილი სასტუმრო რბილი სავარძლებით იყო მოწყო-
ბილი, ბოლოში ხევერდის ფარდით იყო გაღაყოფილი და სისალილოც
ამ ოთახის ბოლოში. ხევერდის ფარდის უკან იყო მოთავსებული.
ილიამ რომ გაიგო ვინ იყვნენ იმათან მისული, ძალიან ნასამოვნები
დაგვიწვდა, მოგვილოცა ბეჭნიერება, გაღაპკოცნა იური, მე ჟულზე
მაკოცა და იურის უთხრა: „ძალიან მოხარული ვარ, ბიძა შენი ნიკო,



ოლღა და ილია საგურაშვილი

რომლის ხსოვნაც საქართველოში არ დაიკარგება, ცოცხალი რომ ყო-
ფილიყო, კმაყოფილი იქნებოდა, რომ ოჯახის ქალი შეგროვს, ამის
დედა ჩემს დასთან, ნინოსთან არის აღზრდილი და ამის აღზრდილის
ქალისშვილი შენ ნამდვილი ოჯახს შევიქმნისო”; ოლღაც ძალიან კმა-
ყოფილი იყო ჩვენი ნახვით და სულ მკითხავდა, მე გავიგე, რომ შ-
ყვარელში დაგცადა ციებამ და ავად ჰყოფილხარ, ეხლა როგორ.

გრძნობ თავსაო? მე, მართდაც, ყვარელში პირველ დღეებიდან გავხდი ავად, ისე რომ თელავიდან ექიმი მიტროფანოვი გამოიწერა. იურიმ, მე მაშინ კარგა ხანი ვიყავი ავად. მეორე დღისათვის ილიამ და ოლღამ მივვიწვიეს სადილად.

იქდან ჩვენ ვიყავით სადარბაზოდ დავით მელიქიშვილთან (ის იური მაშინ გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი), გენერალ ჩალი-ავთან, ნინიკო ჭავჭავაძესთან, მამუკა ჭავჭავაძესთან და სხვებთან.

ჩემთვის ეს სიარული სულ არ იყო საინტერესო, მე ის მინდოდა ჩქარა წავსულიყავით შინ და ჩავჭდომოდი ჩემ საყვარელ, ჩემთვის ისე საინტერესო წიგნებს.

სუჟათა შორის, მე აქამდის ვერ გამიგია, რად ამიკრალა რუტიმ წამეჭითხა ტოლსტიოს „კრეუცერის სონატა“, მაშინ არ იყო ნება-დართული ამის დაბეჭდვა და ჩემ დედამთილს ჰქონოდა ხელონაწე-ბი მეორე დღეს წავედით სადილზე ბიძია ილიასთან, როგორც მას უძღვა იური. ოლღა მხიარულად მოგვეგბა, უკელა სტუმრები შეკ-რებილიყვნენ, მე ყველანი გამაცნეს, არვინ კი არ მახსოვს, მით უმეტეს, რომ მე მგონი იმათში აღარავინ არის ცოცხალი. ცოტაო-ლენი მუსაიფის შემდეგ ძალუა ოლღა გავიდა თავის თახაში და გამო-შიტანა მშვენიერი ლურჯი მინანქრით და მარგალიტით მოოკვეილი გულზე ჩამოსაყიდი ქალის საათი. ის იყო ოქროსი და მინანქარი ჰქონდა ცისფერი და გარშემო მარგალიტი, ასეთივე მშვენიერი ძეწ-ვი ამისთანავე მინანქრით და შუა და შუა მარგალიტით. ეხლა ეს მუზეუმშია.

ჩამომკიდა ყელზე, მაკოცა, მისურვა ბედნიერი ცხოვრება და მერე მიუბრუნდა ილიას: „ნახე, ილიკო, სწორეთ ამის თვალების ფერია ეს საათი, როგორ უხდებაო!“. ილიამ წყნარად გაიცინა.

მალე მიგვიპატიუეს სასადილოში.

ოლღა, ჩვეულებისამებრ, იჯდა მაგიდის თავში. მე მომისვა თა-ვის გვერდზე და იური კი ილიამ მოისვა თავისთან ბოლოში, დანარ-ჩენებიც თავთავიანთ ადგილზე ისხდნენ. ღიასახლისის მითითებით, ილია იყო თამადად, როგორც სახლის პატრონი. როდესაც ჩვენი სადლეგრძელო შესვეს, ილიამ გვისურვა დღეგრძელობა, ბედნიე-რება და იურის ამ სიტყვებით მიმართა: „მე ვიცი, ჩემო იურა, შენ ხარ გულით ნამდვილი ქართველი, ჩემი ძვირფასი ნიკოს და ჩემი იღების მიმდევარი; ბიძაშენი ნიკო იყო ქართველებისათვის თავ-დგჭებული, ნიკოსთვის, ხომ იცი, განურჩევლათ წოდებისა, თა-ვაჭ-აზნაურია თუ გლეხი, ბედნიერება ორივესი ერთნაირათ წწყუ-როდა, მე ვიცი შენც იმის კვალზე მიიჩნას ხოლხ გოგარს, იმათი

ერთგული ხარ და გებრალება, მე ეხლა ყვარლის დარღი აღარა მაქსი რაღაც ვიცი შენ ყვარლის კეთილდღეობას უფრო მაღლა აყენებს, სანამ შენ პირადს, ცოლიც კარგი ქართული ოჯახიდანა გყავს და ამის-თვის ვიცი ორივენი ერთად ყვარლის კულტურულად ჩამორჩენილ ხალხს კეთილსინდისერად გაუწევთ სამსახურს“... ბევრი კარგი სიტუაცია წარმოითქვა იმ სადილზე ხალხის ჩამორჩენის ირგვლივ და იმ საშუალებაზედ, რომელიც მაშინ შეიძლებოდა ეხმარათ სოფლის გამოსაფხიზლებლად. ჩვენ კარგა ხანს დავრჩით ილიასთან და შემდეგ გამოვემშვიდობეთ და წავეღით სახლში.

* * *

ერთ დღეს იური შემოვიდა და თქვა, რომ მოურავმა დეპეშა მი-იღო — ზეგ ილია მობრძანდებაო. იური ძალზე გახარებული იყო (ნადევდა ნიკოლოზის ასული მოსკოვში იყო წასული), ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბიძია ილია თავის თავს ერჩივნა, დიდი ხანია აქ არა ყოფილი და კარგი დრო უნდა გავატარებინოთ. მე კი ძალიან ვღელავდი, ნეტა როგორ მოეწონება ჩემი დიასახლისობა-მეთქი.

იური კი შეუდგა მზადებას; ჯერ კაცი გაგზავნა ართანაში, სადაც ცხოვრობდნენ ყარალაშვილები, იმათ მისწერა, რომ ამა და ამ დღეს გელით, ბიძია ილია მობრძანდება და ყველანი, თქვენი საკრავებით, მობრძანდით, რომ ილიას კარგი დრო გავატარებინოთ. ბიჭები ზოგი ცხვარში გაგზავნა, ზოგი სათევზაოთ, ყარამანა არეშიძეს კი (იმ დროს ის გვყავდა მზარეულად) დავალებული ჰქონდა ხოხბები; თან იქაურ კარგ მომღერლებს შეუთვალია თავის დროზე მოსულიყვნენ; ამრიგად, ჩვენ ყველაფერი მოვამზადეთ. ბიძია ილია-საც მოუშადეთ ცალკე ოთახი. მეორე დღეს, იქნებოდა საათის თორმეტი, ან ცოტა მეტიც, ოთხ ცხენშებმულმა ეტლმა შეაგრიალა ილია ეზოში; იური მაშინვე წავიდა იმის სანახავად, ეთხოვნა — ოთახი მოვამზადეთ თქვენთვისო და ჩვენთან წამობრძანდითო; ილიას გასცინებოდა, იურისთვის მხარზე ხელი დაეკრა და ეთქვა — მართალია, ჩემი სახლი ვერ არის კარგად მოწყობილი, მე აქ მიოჩევნიაო. ცოტა რომ დაესვენა, დაეთვალიერებინა ეზო, მარანი, წისძინილი; მალე იმის გარშემო შეიკრიბნენ ნაცნობები, მეზობლები, ილია ყველას ამბავს ეკითხებოდა, ყველა მოიგონა, ბაგშვები შორი ახლოს ეხვივნენ, ზოგიერთის სახელებიც მოაგონდა, შემდეგ დასხდნენ აივანზე და დაიწყეს ლაპარაკი. იმ დროს იმას ჰყავდა მოხუცი

მოურავი, იურისათვის კი ეთქვა — ხვალ ვენახები უნდა დავიაროთ
და ერთად წავიდეთო. მეორე დღეს წავიდნენ ბიძა ილია, იური, სან-
დრო მაყაშვილი, მოურავი და სხვა გლეხები.

შუადღე იყო, როცა დაბრუნდნენ, ჩვენსა მოვიღნენ, მე
ვერანდაზე ვიდექი და ველოდებოდი; რომ მოვიდნენ, მე კიბის დაბლა
მივეგხე; როგორ მინდოდა მექოცნა იმისთვის ხელზე, იმის მავივ-
რად, რომ იმან მაყოცა, მე კი სამაგიეროთ იმის მშვენიერ უბლს
დიდის მოწიფებით ვეამბორე, სახლში რომ შემოვიდნენ იური და ის,
სულ ლაპარაკობდნენ ვენახებზე, არ მოსწონდა, ვერ არის ვენახე-
ბი კარგად მოვლილიო, რა ვუკო, მოურავი დამიბერდაო.

საღამოთი შეიკრიბნენ ნაცნობები და ნათესავები, დიდხანს ილა-
პარაკეს ყვარლის ავ-კარგზე, უფრო კი წისქვილზე, როგორ შევმე-
თებინათ და თან იმას ფიქრობდა სად შეესყიდნა კარგი წარმატების
ქვები, შემდეგ კი დაიწყეს ვენახზე საუბარი.

მეორე დღეს მოვიღნენ ყარალაანი, ზოგი ცხენით, ზოგი ეტლით.
ყარალაანთ გვარი განთქმული იყო მთელ კახეთში სიმღერით, დაკვრით
და ცეკვით, — ყველა მათგანს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი
ჰქონდა, შესანიშნავი სმენა ხელს უწყობდათ.

გიგლო, რეზიკო, არჩილი, ლუკა, ყველა მათგანს სხვა და სხვა-
ნაირი დასაკრავი ჰქონდა შესწავლილი, არც ერთი დიდი წვეულება,
ქორწილი უამთოდ არ გაივლიდა. რეზიკო მომღერალი იყო და,
სხვათა შორის, ბაიათები და ძევლისძველი სიმღერები კარგად
ეხერხებოდა, გიგლო მშვენივრად უკრავდა თარს, ლუკა — ჭიანურს.
და ასე შემდეგნიც. გიგლო ყარალაშვილს ჰყავდა ცოლად ნიკოლოზ
ზურაბის ძის ჭავჭავაძის დისტული ქეთო ანდრონიკაშვილი; იმათ
შვილს, ნიკო ყარალაშვილს ნიკო ჭავჭავაძე ზრდიდა თავის ხაზზე
სათავად-აზნაურო სასწავლებელში, ის ისეთი ნიჭიერი მუსიკოსი
იყო, რომ ყველა აღტაცებაში მოჰყვანდა თავის დაკვრით ვიოლონ-
ჩელოზე, იმას დიდ მომავალს უქადიღნენ, მაგრამ მეშვიდე კლას-
ში რომ იყო, ავად გახდა და გარდაიცვალა.

ილიას ესიამოვნებოდა ყარალაანთთან დროს გატარება, ამისთვის
ძალიან გაუხარდა იმათი ნახვა. ჩვენ მთელი სტუმრებით ვისხედით
პატარა სასტუმროში და ვმუსაითობდით; ილია ჰყითხავდა ყარალაანთ
იმ მაღნის შესახებ, რომელიც ყარალაანთ მთაში აღმოეჩინათ, იმ
დროს ჭერ ისევ იჯვლევდნენ, კარგი სპილენძი უნდა ყოფილიყო და
მყიდველებიც მოსდიოდათ, შემდეგ ეს მაღანი შეისყიდა სუხოდოლ-
სკიმ და ერთი მილიონი მისცა, მაგრამ იმას არ უსარგებლია, რად-



გან რევოლუციამ მოუსწრო... ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ გაიღო სასადილოს კარი და იურიმ მიგვიწევია სადილზე.

ჩვენ სასაჯილო ოთახში გაშლილი იყო მაგიდა, რომელსაც ამშვერებდა თვთრად გაქათქაობული და გახამებული სუფრა და ძველებული ინგლისური პირისფერარშიანი სერვიში.

ერთ კუთხეში გამზადებული იყო პატარა მაგიდაზე საუზმე, სხვა და სხვა ნიარი სასმელები, ხიზილალა, სხვა და სხვანაირი ყველი, ახალი თევზი, ბურსის კალმახი და ბევრნაირი მადის აღმძვრელი საჭმელები, საუზმის შემდეგ ყველა მაგიდას მიუსხდა. „ნაბალრის“ თეთრი და წითელი ლვინოები სურებით ალამაზებდნენ სუფრას.

მე, როგორც დიასახლისი, ვიფექი თავში, ჩემს გვერდით იჯდა ალია ჭავჭავაძე და ჩემს მეორე მხარეს — გიგლო ყარალაშვილი, ჩემს პირდაპირ, სუფრის ბოლოში, იური და დანარჩენი სტუმრები ორსავ მხარეს იყვნენ ჩამწყრივებულნი, თამადა, როგორც სახლის პატრონი, იური იყო.

თამადამ პირველი სადლეგრძელო დალია ილიასი, იური თავის ჭიქით მივიდა მასთან და მდაბლად თავი დაუკრა, მას მიჰყვნენ სხვე-ჭიც, მდაბლად თავს უკრავდნენ და ჭიქებს მიიტანდნენ იმის ჭიქას-თან და ბრუნდებოდნენ თავ-თავიანთ ადგილის. ბევრი სიტყვა იქმნა წარმოთქმული, დიდი სიყვარული და გულწრფელობა იხატებოდა ჟეფელის უბრალო და თან პატივისცემით ნათქვამ სიტყვებში; თითონ ილიამაც სიტყვით მაღლობა გაღაუხადა და აყვავება უსურვა ესე ჩა-მორჩენილ კახეთს და იმედი გამოთქვა, მალე ისეთი იქნება ეს ჩვენი მხარე, რომ სანატრელი და სამაგალითო გახდებათ ყველასათვის, რაღაც მომცემი მიწაა და ხალხიც ისეთი ბეჭითია, თავიანთ შრომას არ დაინანებენ, რომ წელი გაისწორონ; ბოლოს ითხოვა, მე კარგა ხანია ყარალაანთ სიმღერა არ მომისმენია, დროს ნულა დავკარგავთ „რეჩებზე“ (თან გაიცინა ამ უცხო სიტყვის ხმარებაზე), რათ გვინდა ეს სადილი პარლამენტად გადავაქციოთ, ისევ კარგი სიმღერებით დაფატებოთ.

მალე გაისმა გრძელი მრავალ-უამიერი, სუფრული, წითელი „ნაბალრის“ სმა ხელს უწყობდა მოქეიფეებს, აი, ყვარელელებმაც შემოსძახეს „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“, რეზიქო ყარალაშვილმა — „აღმართ, აღმართ“, გიგლო ყარალაშვილს სთხოვეს თარზე დაეკრა, ლუკამ ჭიანურზე დაუკრა. თან საჭმელები მოდიოდა თავის დროზე. შემოიტანეს შემწვარი ხოხბები, ილიამ იყითხა, ეს ყარამანას ნანადირევი იქნებათ, დიახ, ბიძია ილია, უპასუხა იურიმ, სულ რამდენიმე საათი მოუნდა ამის დახოცვას, თითონვე გააკეთა, ხომ მოგეხსე-

ნებათ, მისი გაკეთებული ჩახობილი გათქმულია და ნადირობაში კი ვერავინ სჯობნის, ნამეტნავად იმის შემდეგ, რაც კარგი თოფე იშოვნა. ამ ცოტა ხანში, დაღესტნიდან ჩამოვლით, ერთი ინგლი-სელი მეცნიერი მოვიდა ჩვენსა თავის ქალით, მოევლოთ მთელი და-ლესტანი და მთილან ყვარელში ჩამოვიდნენ, აბა სად წარყვანდნენ. ჩვენთან მოიყვანეს, ძალიან გაუხარდათ, როცა ჩვენ სახლში მოხ-ვდნენ და როცა დედამ ინგლისურად დაუწყო ლაპარაკი; აქ დარჩნენ თრი დღე, ყარამანამ სანადიროდ წაიყვანა, მაგაც და შვილიც კარ-გი მონადირები ყოფილიყვნენ, მაგრამ რომ ენახათ ყარამანას სოოლა, გაჰკვირვებოდათ და დაპირდნენ თოფს. მართლაც არ გასულა დაღი ხანი და ყარამანას ლონდონიდან მშვენიერი თოფი მოუვიდა.

— აბა, დაუძახეთ ყარამანას, — უთხრა ილიამ, — შემოვიდა ყა-რამანა შავ ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილი, მდაბლად სალა-მი მისცა ილიას და როცა ილიაზ პკითხა თოფის შესახებ, იმან უპა-სუხა, რომ ისეთი თოფი გახლავთ, რომ ერთ ოჯახადა ლირსო!

ამ დროს შემოიტანეს ყანწები, მე ავდეჭი სადილიდან, რომ უფ-რო თავისუფლად ყოფილიყვნენ, ილიამ მოისვა გვერდით ერთი ხნი-ერი გლეხვაცი (არ მახსოვს გვარი) და დაიწყეს მუსაუცი, რადგან ილია არა სჭამდა და ყანწების სმაში არავის გაუამხანაგდებოდა.

ეს სადილი ღამემდეს გაგრძელდა. როცა დამთავრდა, მთელმა ხალხმა ილია სახლამდის მიაცილა... რას წარმოვიდგენდი, რომ ამ წე-რილის წერის დროს იმოდენა ხალხიდან აღარავინ დარჩებოდა ცოცხა-ლი...

* * *

როველი ყველაზე მხიარული და ბედნიერი დრო იყო ყვარელში. მაღლიდან სოფელს დაპყურებდა თოვლიანი „ყვარლის მთები“, ცო-ტა დაბლა უკვე ფერშეცვლილი ტყეები, უფრო დაბლა კი ხასხასა მწვანე ხეები და ბალები. იმ დროს ყველა გახაებულია. ბავშვებს ახარებს ყურძნის აკიდოები, ქალებს და ოჯახის პატრიონებს მოსა-ვალი და მოსავლის შემოსავალი. ყვარელში სეტყვა იშვიათია, იმი-სათვის იქაური კაცი ამაყია, არ იჩაგრება ბუნების ულმობელი მტრის — სეტყვისაგან, თან ისეთი მოცემი ნიადაგია, რომ იტყვიან ხოლმე, მიწაში ფანქარი რომ ჩარგო, განედლდებათ.

იმ შემოდგომაზე ილია ეწვია ყვარელს, ერთ დღეს იურის კაცი მოუვიდა — ილია მობრძანდა და გიბარებსო, ილია იმ დღეს დილით

აღრე ჩამოსულიყო და იურის ნაწვა უნდოდა, იური მაშინვე ჭავილა, გაუხარდა იმის ჩამოსულა. იმ დროს ჩვენთან იყო ჩამოსული იურის ძმა ნიკო ჭავჭავაძე (პატარა ნიკო), ბიძას კი „დიდ ნიკოს“ ეძახდნენ, ეხლაც ისე ეძახიან, „ნიკოიანი“. ნიკო ტვერის ცხენოსან ჯარში მსახურობდა, ცოლად ჰყავდა მიხაელ ციციშვილის ქალი; როცა იური სახლში დაბრუნდა, გვიამბო, რომ მე ვთხოვე ბიძია ილიას, რომ თუ თქვენი ნება იქნება, მინდა სტუმრები დაგიპატუო და კარგი დრო გავატაროთ, მაგრამ იმან მითხრა, მე გუნებაზე არა ვარ და ნუ გინდაო. იმ დღეს ჩვენ მიგვიპატიუა ნინა ტაბიძის დედ-მამამ; ნინას ბებია, პელაგია ბიძაშვილი იყო ილიასი. ილია სადილზე გამხია-რულდა და ბევრს ეხუმრებოდა ნინას უფროს ძმას — ილო მაყაშ-ვილს. მეორე დღეს ჩვენთან უნდა ესადილნათ.

სცეტებერი იყო, ისევ ცხელოდა. იურიმ იმ საღამოთი კაცები გავთავანა მთაში ცხენებით ყინულის ჩამოსატანად, ყინული საჭირო იყო, რომ გაეციებინათ საზამთროები, ღვინოები, კიტრები, მეორე დღეს ორი ცხენით, ტომრებით ბზეში და მარილში ჩალაგებული ყანული მოიტანეს, საერთოდ ზაფხულში, როცა დაგვჭირდებოდა, მახლობელი მთილან ყინულს ჩამოვატანინებდით ხოლმე, ეხლაც მა-შინვე სარღაფში ჩავატანინეთ, რომ არ დამდნარიყო. მეორე დღეს იურიმ და ნიკომ მოიყვანეს ბიძია ილია. ჩემს თვალშინ ეხლაც შდგას ჩვენი სასადილოს მრგვალი მაგიდა, ლამაზად გაწყობილი, შუ-აში ნიკელის მაცევარი (ეხლა მუზეუმსა აქვს), მაცივარში ბოთლით ღვინო, ყინულშემოლაგებული. მაგიდის ვარშემო ჩვენი ოჯახის წევრები და ნინო ტაბიძის დედ-მამა და სხვა რამდენიმე სტუმარი. უველანი ჯიღი სიყვარულით შევყურებდით ძვირფას სტუმარს, ილია გამხიარულდა და სტუმრის ბავშვებს ქართულ სიტყვებს ალაპარაკებდა, ისანი ცხოვრობდნენ მაშინდელ დედოფლის წყაროზე (ახლან-დელი წოლალწყარო) და სულ არ იცოდნენ ქართული, ბევრი ილაპა-რაკი ილაკ ბავშვების აღზრდაზე და, სხვათა შორის, გვიმბო: „ამ შინაზე უმტკდა მე ჩემი მამრდაშვილი სოსიკო ვაჩნაძეო, ის იყო ჩამოსულიყო კოლაგიდან, სადაც ის სცხოვრობდა, მე რომ ვკითხე ჩამოსულის მიზეზი, იმან მითხრა, რომ ძლიერ ბიჭი მეყოლა და ჩა-მოვედი, რომ უნდა ქალაქური აკვანი ვუყიდო. არ მინდა ჩვენებულ ქართულ აკვანში ჩაწვინონ, მეტად იტანჯება ბავშვი ისე მაგრად რომ ჰყავთ არტახებში შეკრულიო. მე გავიცინე და ვუთხარი: „ნუ სულელობ, ჩვენს ძველ აკვანს ნუ იწუნებ, აბა შემოგვხედე, ჩვენ თუ აკვანში გაგვზარდეს ჩვენმა დედ-მამამ, ფეხთ გვაჟლია თუ

სხვა რამ გვაქვს დამახინჯებული, გირჩევ ხვალვე უკან გამრუნდღოს და ერთი ძველი აკვანი გექნებათ შენახული, გააწყობინე და შეგ ჩაწერინე“, იმან მართლა დამიჯერა და ქალაქური აკვანის ყიდვას თავი გაანებაო“. ძალიან სწყინდა, რომ ბავშვებმა სულ არ იცოდნენ ქართული, მთელი დრო იმათ ეხუმრებოდა, ეთამაშებოდა, მაშინ მივხედი, როგორ უყვარდა ბავშვები და როგორ სწყინდა, რომ თითონ შვილი არა ჰყავდა, იურის სულ იმას ეუბნებოდა — რატო შვილი არა გყავსო, შენც ჭავჭავაძიანთ ხაზზე მისდიხარ, უშვილოო!

საღილის შემდეგ გადავედით ვერანდაზე, იქ მომზადებული იყო წილი, შავი ყავა და ტყბილი სასმელები, შემდეგ გამართეს ქაღალდის თამაში და კარგა დაგვიანებულზე სტუმრები გააცილეს იურიმ და ნიკომ.

შეორე დღეს დილით ილია ისევ თელავში წავიდა, რომ შემდეგ თბილისში წასულიყო.

* * *

როდესაც მე ჯვარი დავიწერე. იურის ბიძა ნიკოლოზი ზურაბის ძე ჰავქავაძე უკვე გარდაცვლილი იყო.

იური იყო ბიძასთან აღზრდილი, იმასთან ცხოვრობდა შურაში და სწავლაც იქვე, რეალურ გიმნაზიაში მიიღო. იურის ძალიან უყვარისა თავისი ბიძა და დიდის პატივისცემით იხსენიებდა. ბიძის დიდი სურათი თეორ ატლასზე დახატული (ხანდალევეისაგან, უკრაინელი მხატვარი იყო) სასტუმროში გვქონდა. ბიძის დარიგება, ყოველივე იმის ნათქვამი სიტყვა იურასათვის კანონი იყო. ნიკო იყო გრიგოლ ლრბელიანის ხელში აღზრდილი და იმსაგან გაწურთვნილი, იმასავათ მამაცი და კარგი ადმინისტრატორი. ბევრი წერილი ინახებოდა ჩევნის ოჯახში გრიგოლ ლრბელიანისა მიწერილი „გრი ნიკოსთან“, როგორც გრიგოლი ეძახდა ნიკოს, ის წერილებიც ისე დაიკარგა, როგორც ილიას წერილები და ბევრი სხვა საუნჯე ჩევნის ოჯახიდან.

ნიკოლოზ ზურაბის ძე იყო დიდი ჭკვიანი და გამჭრიახი კაცი, ის ისეთი სიმართლის მოყვარული აღამიანი იყო, რომ თუნდ სასიკვდილოდ ვადაედო თავი, მაინც სიმართლეს იტყოდა; მას დიდი გავლენა ჰქონდა მთელ საქართველოში, როდესაც პირველად წამოიჭრა საკითხი იმას შესახებ, რომ ქართველი ახალგაზრდობა რუსეთში გაუგზავნათ სამხედრო ბევრის მოსახდელად, ნიკოლოზ ზურაბის ძე მაშანე წავიდა მეფისნაცვალთან (მეფის ძმა) და ნაოლად დაუხატა

ის უმწერ მდგომარეობა. რომელშიც ეს ყმაწვილი კაცები ჩატვირთა
დებოდნენ ენს უკოდინარობით და თან შეუჩვეველი რუსების ჰა-
ვას, თავიანთ სამშობლოს მოშორებულნი, ვეღარ იქნებოდნენ ისე-
თი კარგი სამხედროები, როგორც ეს საჭირო იყო სამშობლოსაცეს; ა-
ულა ამ სურათმა ისე იმოქმედა მეცის ნუკალზე და თან ნიკოლოზ
ზურაბის ძას მშერმეტყველებამ, რომ იმ ყამად ეს განკარგულება შე-
აჩერეს და ქართველები ისევ საქართველოში დასტოვეს.

ნიკოლოზ ზურაბის ძე იყო მახლობელი ნათესავი გრიგოლ ორბე-
ლიანისა. ნიკოლოზის დედა ყაფლან ორბელიანის ქალი იყო. მე
ვერ ავწერ ნ. ჭავჭავაძის მთელ მოღვაწეობას, იგი გარდაიცვალა ოპე-
რაციისგან თბილისში. ის რას სწერდა „რვერია“ მისი გასვენების
შესახებ:

„გუშინ, 12 მარტს დიღის 9 საათზე, სოლოლავში, გოლოვინის
ქუჩაზე დიდ-ძალი ხალხი შეიტანა იმ სახლის შინ, საიდგანაც უნდა
გამოესვენებინათ ცხედარი კავალერის გენერლის, ალექსანდრეს სა-
ხელობაზედ დაარსებული დაჭრილთა კომიტეტის წევრის თავ. ნ. ზ.
ჭავჭავაძისა. აქ იყვნენ შეკრებილნი წარჩინებულნი სამხედრო და სა-
მოქალაქო წოდებისა, ჯარი, ამჯერი და დიდ-ძალი პატივის მცემელ-
ნი განსვენებულისა.

მცირე პანაშვიდის შემდეგ, რომელიც იქვე გარდაიხადა მისმა მა-
ლილუფლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა ვლა-
ლიმირმა, გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს, ოქიმანდრიტებისა
და სამღვდელოების თანაშეწევნით, ნათესავებმა გამოასვენეს კუბო
მიცვალებულისა ქუჩაში, გაისმა სამგლოვიარო ხმა მუსიკისა და ჯარ-
მა პატივი სცა: განსვენებულის სახლიდან მოყოლებული ქაშვეთის
ეკლესიამდე გამშკრივებული იყო სამი რაზმი ქვეითისა, ცხენოსნის
ჯარისა თავის მუსიკით და ზარბაზნებით. ცხედრის გამოსვენებისთვ-
ანავე კარებში დაპირდნენ თბილისში დროებით მცხოვრებნი დალესტ-
ნელნი, ჩამოართვეს განსვენებულის ნათესავებს კუბო და აღარავი-
სათვის დაუნებებით. ეკლესიაში იმათ მიასვენეს და ეკლესიიდანაც
იმათ გამოასვენეს. მიცვალებული გაასვენეს სასახლის ქუჩისა და
გოლოვინის პროსპექტით (ეხლანდელი რუსთაველისა) ქაშვეობის ეკ-
ლესიაში, უკან მისდევდნენ ნათესაობა, მრავალი დიდ-კაცობა, მე-
ქარი, ჯარი და აუარებელი პატივისმცემელი. ორი სამგლოვიარო ეტ-
ლი სრულათ დატვირთული იყო გვირგვინებით. ამ ეტლებს შორის
მოჰყავდათ განსვენებულის ცხენი, სამგლოვიაროდ შეკაზმული. სასახ-
ლის ქუჩაზედ, ფოტოგრაფმა როინაშვილმა გადაიღო სურათი პრო-

ცესიისა. ქუჩები და გალავანი ეკლესიისა აუარებლის ხალხით ცესი სავსე“.

შეუსრულეს რა წესი ეკლესიაში, ცხედარი გამოსვენებულ იქნა გალავანში, სადაც გრ. აბაშიძემ წარმოსოქვა სიტყვა: „სარწმუნოება თვინიერ საქმიისა შევდარ არს“.

1897 წლის 13 მარტის ნომერში დაბეჭდილია ნეკროლოგი. რომელიც ილიას კალამს ეკუთვნის. ქვემოდ მოგვყავს იგი მთლიანად:

„გუშინ წინ გარდაიცვალა თ. ნ. ზ. ჭავჭავაძე, ერთი გულშემატკიფარი კაცი; კიდევ მთაკლდა ჩვენს ქვეყანას კაცი ვეკვიანი, თავის საკუთარი ბეჭითობით და ღვაწლით გონება გახსნილი და ოვალის ტებული. კარგა მცოდნე ჩვენის ყოფა ცხოვრებისა. კარგათ ჩახედული ჩვენს ავკარგუნობაში, პატარობითვე ჩვენ შორის გაზრდილი, ჩვენთან ერთად ჭირისა და ლხინში ყოფილა, ჩვენთან ერთად უგრძენია საგრძნობელი, ჩვენთან ერთად უგლოვნია საგლოველი და ჩვენთან ერთად ულხენია სიხარული. არა ყოფილა ერთი იმისთვის ამბავი, ავთ თუ კარგი, რომ იმის გულს არ დასჭირდა ლრმად, რაკი ჩვენს ქვეყანას შეეხებოდა რამ. იცოდა, სად რა სთქვას, რა დროს, სად რა წარმართოს, ვის რა უთხრას და იმისთვისაებში თამაში და კაღინიერი იყო და არა რამე ანგარიში არ დაახევინებდა უკან. მისის მახვილის ენისა, მისის პირდაპირობისა, როცა კი საქმე ატკენდა და გულს და საცა ჭერ არს, აალპარაკებდა, ბევრს ეშინოდა. ბევრს ეფიქრებოდა; საცა იგი იყო, აღვირაშვებული წყურვილი ქართველთა გაუპატიურებისა ენას მოიკვნეტდა ხოლმე. ხელაღებით ავად ხსენება ქართველისა, რომელიც ბევრს ენზე აკერია დღესაც, ვთარცა ერთად ერთი ღონე მოედნიდამ ბურთის გატანისა და წინ ფეხის წადგმისა, მის წინაშე, სოროში იმალავდა თავს დამფრთხალო თხუნელასავით.

აწ თვით დადუმდა და საუკუნოთ გამოესალმა თავის საყვარელ საქართველოს, რომლის სარჩლისა და გამოქმანებისათვის მას არას დროს არ დაუზოგავს თავი არც დიდისა და არც პატარის წინაშე. მას აქეთ, რაც თავის ბრწყინვალე სამსახურს თავი დაანება, იგი მთლად მიეცა ჩვენის ქვეყნის ჭირის ბოროტს, არ იყო არც ერთი საერთო საქმე, რომ მთელის გულის მხურვალებით არ მოჰკიდებოდა და სხვებთან ერთად არ ეზრუნა, არ ეფიქრნა საიდან რა ეშველოს, საიდან რა მოევლოს, სასურველია კაცმა ხელთ იგდოს იგი წერილები, რომელიც მას მიუწერია საქართველოს შესახებ პეტრებურგში დიდკაცებისათვის, რომელთაც თითქმის ყველას იცნობდა და ბევრს მათგანს ისე ჰმეგობრობდა რომ „შენობით“ ესაუბრებოდა.

აწ იგი მდეუმარეა კუბოში, ხოლო კუბოდამაც დაგვანახვა თავისებრ სიყვარული ქვეყნისა, რომელიც უკანასკნელ უამსაც თვალ-წინ სდგო-შია. არ იყო მღიდარი კაცი, ხოლო მაინც შეუნახავს საქართველო-სათვის თავისი წვლილი, შესაწირავად ორი ათასი თუმანი სტეპენ-დღად დაუდვია, რომ ერთი ქართველი გაზარდოს სამთო ინსტიტუტ-ში და ერთიც უნივერსიტეტში, ხუთასი თუმანი უანდერჩია ყვარლის (ყვარელი მისი სამშობლო სოფელია კახეთში) გლეხთა შეილების სტრენდიათ ან სამეურნეო სკოლაში, ან სემინარიაში.

სხვა რომ სიკეთე არა მიუძლოდეს რა განსვენებულს, ეს შედარე-შით უხვად ნაანდერტევი შესაწირავიც დიდი საქმეა ქართველის კა-ცისაგან, როგორც — თუ არც ერთად ერთი მაგალითი — ძალიან იშვი-ათი მაინც. სიცოცხლის დროს რომ იღარავის ახსოვს საქართველო, სიკედილის უამს კის-და მოაგონდება და აყი ისე მიგდივართ ხოლმე ამ ქვეყნიდამ, ისე უგულოთ ვტოვებთ ხოლმე ჩვენს სამშობლოს, რომ ერთში რა არის, გროვისაც არ გავიმეტებთ მამულის-შვილობის და მადლობის ნიშნად, განა სამშობლო სამაღლობელი არ არის თუნდ მამულისშვილობაც არ იყოს, რომ დაგვიადა, გაგვზარდა, შევვივრ-დომა, გვიპატრონა, გვაცოცხლა და გვაცხოვრა.

ამ ანდერძიდამ იგივე გონებაგახსნილობა განსვენებულისა სჩანს, რაც სიცოცხლეშივე შენიშნული ჰქონდათ მის მახლობელთა, იგი გულმტკივნეული იყო ქართველისათვის, განურჩევლად წოდებისა. თავად-აზნაურია, თუ გლეხი, ბედნიერება ორივესი ერთნაირად ცწყუროდა. ანდერძითაც დაამტკიცა, რომ უკანასკნელ უამამდე ეს წვინდა მცნება გულს შერჩენია ჩვენდა სამოძღვრებლად და სამა-გალითოთ, ხშირად უთქვამს: „უერთმანეთოდ ცხოვრება ტყუილი ტიზმარიათ, უქმი იმედია, უქმის გონებისაო“.

მოგვაკლდა კიდევ ერთი კაცი! ჩვენ ამას იმ აზრით კი არ ვამბობთ, რომ სათვალავში დაგვაკლდაო, საერთო კაცთა სათვალავში ერთი მეტი თუნდა ნაკლები დიდი თაბაუთი არ არის, ხოლო აქ სხვა დაჭ-ლებაა. ხმის ამომღები კაცი მოგვაკლდა, ჰქვიანი, მოსარჩლე და გა-შედული ქომაგი გამოგვეცალა ხელიდან, აქ დაკლება დიდი უბედუ-რებაა, ქვეყნისათვის დიდად საგრძნობელი დანაკლისია, მით უფ-რო, რომ მთელს ჩვენს სამშობლოში ორი-სამი ხმის ამომღები კაცი-

ღა გვევულებოდა და ამათში ერთი აწ განსვენებული ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე იყო. გვეცლებიან ჩვენდა საუბედუროდ ზელი-დამ ესნი და ჩვენდა საუბედუროდვე მომდევარო ვეღარა ვხედავთ, მიდიან და აღარავინ მოდის მათდა სამაგიეროდ და აი რაშია უბე-დურება.

ბევრმა არ იცის, რა გულ-უხვად გაუსტუმრებია აწ განსვენებულს ღარიბინი და უნუგეშონი, როცა მისთვის გაუწვდიათ ხელი და როდის არ გაუწვდიათ? ბევრმა არ იცის, რამდენისათვის შემწეობა აღმოუხენია; არამც თუ მარტო ფულით, რომელსაც ერთობ არა ჰზოგავდა გაჭირვებულთათვის, არამც სიტყვით, დახმარებით, შუა-მდგომლობით, საცა ჯერ არს. ბევრნი მის მიერ ნუგეშცემულნი ტი-რილით და გლოვით გააცილებენ მისს კუბოს და უანგარო ცრემლს დაპლვრიან მის საფლავზე, ბევრნი აწ უნუგეშოთ შთენილნი იტყვიან: „ღმერთო, წაგვართვი ჩვენი პატრიონი და ნუგეშმცემელი და სამაგიეროთ-და ვის გვაძლეო!“

გაზეთ „კავკაზში“ 1897 წ. პოტომ დაბეჭდა შემდეგი:

„ეკიდევ ერთი სამწუხარო დანაყლისი განიცადა ძველ კავკასიელთა ოჯახმა. წლითი წლობით მცირდება იგი რაოდენობრივ და ექლდება მას ბაშკადიკლარის, ქიურუკ-ღარას, ახალციხის და ჩოლოქის გმირები; ამ სახელოვან ოჯახს ეკუთვნოდა განსვენებული ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე, რომელმაც თავის სისხლით ჩასწერა რამდენიმე გმირული ფურცელი ჩვენი სამშობლოს სამხედრო ისტორიაში, მაგრამ მან უფრო მეტად ისახელა თავი, როგორც ჭკვიანმა და რკინისებური ნებისყოფით დაჯილდოვებულმა აღმინისტრატორმა, რომელსაც უნდა უმაღლოდნენ დაღესტნის ხალხები.

ასეთ ადამიანებს თავისი ბიოგრაფები უნდა ჰყავდეს, მათი საქმენი ღირსნი არიან შესწავლისა.

რა შეიძლება თქვა იმ ნეკროლოგში, რომელიც ეყრდნობა მხოლოთ მშრალ ფორმულარის სიას, მასში ჩამოთვლილ სამსახურებრივ ცვლილებებს, ჭილდოებს და დაწინაურებებს, ეს მხოლოდ ჩანასახია და თვითეული ნაწილი ცხოვერების სინამდვილიდგან ამოგლეჭილ ინტერესით საგსე პოემისა, აი მოკლე ჩამოთვლა, განსვენებული ნ. ჭავჭავაძის სამსახურებრივი მოღვაწეობის ნუსხა:

ნ. ჭავჭავაძე დაიბადა 1830 წ. ს. ყვარელში, განათლება მიიღო თბილისის გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში, 16 წლიდან შედის ჭახეთში დაბანაკებულ ჭართულ მილიციაში, რომელიც გუშაგად ედგა მაშინ ჭახეთს.

შეიძლება ვთქვათ, რომ მას ფეხი არ გამოუდგაშის უზანგიღან, მთელი შეიდი წელიწადი, განუწყვეტლივ დალესტრის მთებში ეგრძელდა ამავე მთებიდან კახეთზე მოულოდნელად თავდამსხმელ მტაცებლებს.

კახეთი მაშინ ვულკანზე დაშენებულ მნიშვნელობის წარმოადგენდა. გავიდა დრო, ბოლო მოელო სისხლისმლვრელ შემოსევებს, მთელი ქალაქების ნგრევას და ქრისტიანთა ოჯახების ასობით ტყველ წაყვანას, მაგრამ ყაჩაღობა და თავდასხმები მაინც გრძელდებოდა, მიუხედავად ჩვენი კორდონების სიფრთხილისა, გადახრებოდა მზე დასავლეთი-საკენ თუ არა, კახეთის მოსახლეობა მაგრად პყეტავდა სახლის კარებს და ფანჯრებს, როგორც ტყის ნაღირი, ისე დარბოდა და დავლას ეძებდა ლეკი დაცარიელებულ მინდვრებში.

ზაფხულის საღამოები და მისი მშვენიერი ღამეები მტრის მოლოდინის შიშუში ტარდებოდა.

გარემოება უფრო უარესდებოდა შემოდგომის ყრუ და გრძელ ღამეებში, როდესაც შავი ნისლი იყო ორგვლივ ჩამოწილილი.

ჩვენ კორდონებს სრულებით არა ჰქონდათ მოსვენება, ისინიც ნაღირივით დარბოდნენ და დაეძებდნენ მცარცველ ლეკებს.

ლეკები დავლაზე იყვნენ გამოსული, კორდონები ხაზს იცავდნენ. ნიკოლოზ ზურაბის ძე მილიციის ერთი საუკეთესო მოჯირით თავანი იყო, მისი დევ-გმირული შეხედულება მოუწოდებდა განსაცდელისა და ვაჟკაცობისაკენ, კავკასიის გამოჩენილი ენერლები: ჩილია-ევი, ბელგარტი და გრიგოლ ორბელიანი ერთხმად აღიარებენ მის სიმამაცეს და გამძედაობას, ამ ხნის განმავლობაში მან სამი ჩინი მიიღო, ბრძოლაში და სიმამაცის გამოჩენაში.

1853 წ. იწყება ომი თურქეთთან, ნიკოლოზ ზურაბის ძეს მიჰყავს იქ სახელოვანი ოლავის ასეული.

1854 წ. 4 ივნისს ჩოლოქთან ბრძოლაში დიდათ ისახელა თავი ამ ასეულმა და გიორგის დროშა მიიღო, ნ. ზ.-ძემ სამი ჭრილობა მიიღო და წარჩინებისათვის გადაყვანილ იქნა კაზახთა ლეიბ-გვარდიის პოლუში. მიუხედავად ამისა, ის კავკასიაშივე რჩება და შემდეგ წელში მონაწილეობას იღებს თავის სამშობლოს კახეთის დაცვაში.

კასპიის მხარის ჭარების სარდლად ინიშნება გრიგოლ ორბელიანი, უკანასკნელი დიდათ აფასებს ნიკოლოზ ზურაბის ძის გამოცდილებას და თავისთან იწვევს სამსახურში დალესტრნში.

იქ ის მონაწილეობდა საღამოების აღებაში, ღუნიბის იერიში, რისთვისაც დაჭილდოებული იყო ორი ჩინით და მიეცა წმ. ვლადიმი-

რის მე-4 ხარისხის ორდენი ხმლებით და ბანტით, შემდეგ იწყება
მისი აღმინისტრატორული მოღვაწეობა, ასე მაგალითად:

1859 წ. დაინიშნა დარღოს ოლქის მმართველად.

1865 წ. პოლკოვნიკის ჩინით დაინიშნა შუა დაღესტნის სამხედროთა
უფროსად. სტატიის მოცულობა შეუძლებლადა ჰქდის რამე ვოჭვათ
მისი აღმინისტრაციული საქმიანობის შესახებ, მაგრამ უნდა ლვ-
ნიშნოთ, რომ მტრის შიშის ძროლით შეპყრობილი მოსახლეობის
სწრაფად გადასვლა მშევდობიან ცხოვრებაზე გვიჩვენებს, რომ მას
შეუძლიან სვლა კულტურისა და პროგრესისაკენ, თუ გამოცდილი
და მზრუნველი მმართველი ეყოლება.

უველა ამან გენერალ-მაიორის ჩინი მოუპოვა.

მისი მშვიდობიანი საქმიანობა ორჯერ დაირღვა საომარი გარემო-
ებით, 1863 წელში მონაწილეობას იღებს ზაქათლის ოლქის ლეკე-
ბის დამშვიდებაში.

1876 წელს სამხედრო გუბერნატორის თანამდებობაზე და ამავე
თანამდებობაზე მოასწრო 1877 წლის კომპანიამ, ივნისის თვეში მო-
ულოდნელად იყო გაწვეული მოქმედ კორპუსში, სადაც მას ჩააბა-
რეს ბრძანება კავალერიის დივიზიის მიღების შესახებ, მაგრამ ერთი
თვის შემდეგ მას ისევ განვაში ვხედავთ, რაღაც როგორც გამოცდი-
ლი უფროსი, საჭირო შეიქნა ის იქ იმ აჯანყების ჩასაქრობად, რო-
მელმაც მოიცვა მთელი დაღესტანი და ნაწილობრივ განვის გუბერ-
ნიაც; ნიკოლოზ ზურაბის ძემ რკინისებური ხელით დაიმორჩილა, მაგ-
რამ მდგომარეობა ისე გართულდა, რომ მეტის მოადგილე ღიდმა
მთავარმა ბრძანება გასცა ჩაებარებინა მას განვის გუბერნიის მმარ-
თველობა გენერალ მამაცაშვილისთვის, თავისი რაზმით წასულიყო
სამურის ოლქში ნუხისაკენ და გაენთავისუფლებინა ახტი, რომელიც
იყო მეამბოხეთა მიერ ალყა შემორტყმული; ნიკო ჭავჭავაძემ გადა-
იარა თოვლით მოცული სალავათის 11,6000 ფ. სიმაღლის მთა და გაან-
თვისუფლა ახტის ციხე, რისთვისაც ჯილდოდ მიიღო ბრილიანტე-
ბით მოოჭვილი ოქროს ხმალი.

დეკემბერში დაბრუნდა განვაში და შეუჯდა გუბერნიის მართვას,
1880 წელს ნიკოლოზ ზურაბის ძე დაინიშნა დაღესტნის ოლქის უფ-
როსად და როდესაც კავკასიის მხარეში შემოღებულ იქნა სახალხო
მმართველობა, მას სამხედრო გუბერნატორი ეწოდა; ამ თანამდე-
ბობაზედ დარჩა ვიღრე დაინიშნებოდა ომში დაჭრილთა კომიტეტის
წევრად. უკანასკნელი მისი ჯილდო იყო კავალერიის გენერლის ჩინი
და „წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი“.

ნიკოლოზ ზურაბის ძე დაასაფლავეს ს. ყვარელში, თავისივე აშე-

ნებულ ივანე ნათლიმცემლის ეკლესიაში; როდესაც მიემგზავრება ბოდნენ, სოფლელები ეგებებოდნენ და ხელით მიასვენებდნენ, ერთი სოფელი მეორეს სცვლიდა; ერთი ყვარლელი გლეხი გეგენა (გვარი არ მახსოვე) მიამბობდა: მე პატარა ვიყავიო და საქონელს ვეღვეჭიო, იქ სადაც ეხლა ფატმასურის მეურნეობაა, იქ იყო მინდვრები და საქონელს იქით ვერევებოლით საძოვარზე, იქვე მიღიოდა ახალ-სოფლის გზა, ეს გზა დაღესტანზედაც გადადიოდა, ერთ ღლეს მე დავინხე, რომ ამ გზაზე ცხენებით კარგა ჩატმული ლეკები, ზურგზე ყაბალახ-გადაგდებული, ზოგი ნაბდიანები მოდიოდნენ, მთელი ღლეს საღმომდის არ გამოლეულან, სულ მოდიოდნენ და ამბობდნენ—ღილი ნიკო ჭავჭავაძე მოკვდაო და იმას ჰეარხავენ.

ერთხელ, ღიღი მთავართან ქაღალდის თამაშობის დროს, შეემჩნია ღიღი მთავრის ძმის მხრივ რაღაც უწესობა, მაშინვე ქაღალდები მაგიდაზე დაეყარნა და მეორე ღლეს სეკუნდანტები გაეგზავნა და დუ-ელში გამოეწვია, ეს ამბავი ღიღი აურზაურს გამოიწვევდა, ამისათვის ღიღი მთავარი, მეფისნაცვალი ჩაერია და დამნაშავეს ბოლიში მოახდევინა, და ერთმანეთი შეარიგეს; ამის სახსოვრათ ღიღმა მთავარმა მიართვა ნ. ზ.-ძეს ოქროს სათუთუნე ღიღი ზურმუხტის თვლით.

ხელმწიფეს გადაესახლებინა წინათ ციმბირში ერთი ლეკის სოფელი აჯანყებისთვის; როდესაც ნ. ზ.-ძე დანიშნეს დაღესტნის გუბერნატორად, ჩაერია იმათ მდგომარეობაში, იმდენს ეცადა, იმდენი შიწერ-მოწერა გააჩაღა, რომ მეფეს ეპატიებინა და დაებრუნებინა თავის სამშობლოში. ისინი მეფემ შეიწყნარა და მთელი სოფელი დაასრუნა.

ისინი რომ დაბრუნებულიყვნენ, პირველად ნიკო ჭავჭავაძესთან მივიღნენ — გვიამბობდნენ იქ დამსწრენი, გულასაჩუყებელი სანახავი იყო, როცა ნიკოლოზ ზურაბის ძეს მოახსენეს, რომ ციმბირი-დან დაბრუნებულებს შენი ნახვა უნდათო; როცა ნიკო გასულიყო და იმათ დაენახათ თუ არა ნიკო, მთელი ხალხი დაშვნენ მუხლებზე, დიღით პატარამდის და ატირებულები უხდიდნენ მადლობას. ზოგი ახალგაზრდა დაბერებულიყო, ყველას ენა შეესწავლათ და სხვა და სხვა ხელობა, ზოგი ზეინკალი გამხდარიყო, ზოგი ხარაზი, ზოგი ღურგალი; ნიკოლოზ ზურაბის ძეს ყველასათვის ეპატრონა და მიეცა საშუალება თავიანთ ქვეყანაში მოწყობილიყვნენ. იურის გარდა, ნ. ზ.-ძესთან იყვნენ კახეთიდან წაყვანილი ზოგი ნათესავების, ზოგი ნაცნობების შვილები, იმათ თავისთან აცხოვრებდა და სასწავლებელში ზრდიდა თავის ხარჯზე. ხშირად ეპატიუებოდა ლეკე-

ბის დარბაისელ პირებს, ნაიბებს, იმათთან საუბარში არტვევდა იმათ გაჭირვების მიზეზებს, რის შემდეგადაც მიიპატიჟებდა საღილზე და გაუმასპინძლდებოდა.

* * *

ერთ წელიწადს მთელ კახეთში და, განსაკუთრებით ყვარელში, დიდი გვალვა დაღვა, ყველაფერი გახმა; ყვარელში ყველაფერი მთელი ზაფხულის განმავლობაში ირწყვება და მორწყვას დაჩვეული მცენარე კი ვერ იტანს დილხანს უწყლობას. დურუჭი სულ გაშრა, ასე გაიარა მთელმა ზაფხულმა აგვისტოს გასვლამდის.

ერთ აგვისტოს დილით საშინლათ ჩამობნელდა, ესე იქნებოდა საათის ექვსი, ორვის ახსოვს, რომ ესე ჩამობნელებულიყოს, გარშემო ალარაფერი ჩანდა, დაიწყო საშინელი კოკისპირული წვიმა, ეგონებოდა კაცს კასრებით ასხამენ წყალსაო, თან ამას მოპყვა საშინელი ჭექა-ჭუხილი და განუწყვეტილი ელვა, ისეთი ხმაური იყო, გეგონებოდათ ზარბაზნებს ისვრიანო, თან ქარი ანგრევდა იქაურობას, ამას მოპყვა ხალხის საშინელი ხმაური, შორიდან რომ დაიძახეს: თაგს უშველეთ, ღურუჭი გადმოვარდა, ამას მოპყვა ზარების გამაყრუებელი რეკვა, ამ ხმაურზე ადამიანს თმა ყალყზე უდგებოდა, გავიქეცით დურუჭისკენ და რას ეხედავთ: იქ კი აღარ მოდის დურუჭი, საცა მუდამ შოდიოდა, გზა უცვლია და შუა გზაზე მოვორავს რაღაც საშინელება, მთელი მთა ტალახისა, რომელიც მოაგორებს ოთახის ტოლა ლოდებს, სახლებს, ხეებს; ხალხი გამორბოდა, მთლად ტალახში ამოსვრილი და უკან მოსდევდა ეს ჯოჯონეთი. მთავარი ჭუჩა სულ აღარ ჩანდა. გამორბოდნენ დედაკაცები ბავშვებით ხელში. შემოგლეჭილი ტანსაცმელით, უთავბოლოდ, ვეღარ პოულობდნენ შიშისაგან გზას, ვისაც აზვირთებული ტალახით მონავრი ლოდი დაეხლებოდა ფეხებში, იქვე იქცეოდა, ვინც დაეცემოდა, ადგომას ვეღარ ასწრებდა, რაღგან სქელი ტალახი ერთს წუთს ქვს და ლორლს ზედ მიაყრიდა; ვინც ასწრობდა და ნაპირს გამორბოდა ადამიანს აღარა პგავდა, აბურძგნულ თმაში ტალახი და მთელ ტანში გარჭობილი ფიჩხის ნამტვრევები, ტანიდან ჩამოსდიოდათ სისხლი და ტალახში ერეოდა; მორბოდნენ ღრიალით და ძროხასავით ბლაოდნენ, შველას თხოულობდნენ, უკან მისდევდათ სქელი ტალახი და დიდი ქვებით სავსე მდინარე დურუჭი. სამოცდაათზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა დურუჭმა, რაღგან ეს იყო ადრე

დილით, ხალხი ჯერ არ იყო გასული სამუშაოდ. თითქმის ყველა დანართი გრეულ სახლში პირულობდნენ გვამებს.

ჩვენი მხარე გადარჩა, ჩვენი სახლი სულ არ დაზარალებულა, დაიწყო თუ არა ეს საშინელება, იური პირველი გაიქცა იქითვენ, ჩვენ, ქალებიც გავეშურეთ, მიშველება ვერ შეგვეძლო. მაგრამ მანც იმ დროს ხალხთან გვინდოდა ვყოფილიყავით. იური დაზარალებულებს ჩვენს სახლში გზავნიდა და იქ ვათავსებდით. ჩვენ არ დაგვაიწყდება ის საშინელი სურათი, რაც მე მაშინ ვნახე. მღინარის სკლა უკვე შეჩერებულიყო, რამდენიმე შეტრის სიმაღლეზე სქელი შავი ტალახი იდო შიგ, დიდი ლოდები, ზოგი მსხმოიარე ხილის ხეები, ფიჩხები, მთიდან ჩამოტანილი სქელი მორები, სახლის ფიცრები და კედლები სახლისა საძირკვლიანათ მოგლეჭილი, ალაგ-ალაგ ადამიანის გვამები.

ვინც გადარჩენილიყო, საშინელი სანხხავი იყვნენ, დაგლეჯილი ტანისამოსით, ზოგი საცვლის ამარა, მთელ ტანზე ხიჭვები შერჭმული, საშინელი თვალები ძილში მოელანდებოდა კაცს.

მთელი ჩვენი სახლი სავსე იყო მი უბედურებით, რადგან მაშინ იქ ახლო-მახლო არ იყო ექიმი, ჩვენ საჩქაროდ გამოვიწერეთ ოელავიდან. დაჭრილები იწვნენ დიდ დარბაზში და ჩვენ, როგორც ვიცოდით, უბანდით ჭრილობებს, და ვუხვევდით, რადგან არ იყო ბინტები, ვხევდით ზეწრებს, დივანზე, სასადილოში, მაღლა სართულში, სადაც კი შეიძლებოდა ვათავსებდით ხალხს. მაშინ ყველგან დაშრა წყალი და ჩვენ ვაზიდინებდით მეურმეებს კასრებით, ხალხისთვის და საქონლისთვის კუს წყაროდან. დედაკაცებს პურს ვაცხობინებდით, რადგან ყველას კვება უნდოდა; ჩვენი თონე რომ არა ჰყოფნიდა, მეზობლის თონეზეც ვაცხობინებდით, გავგზავნეთ ველის-ციხეში, რომ დეპეშები გაეგზავნათ ყველგან. სოფლის სათავეში იყო ორკლასიანი სასწავლებელი, იმ სასწავლებლიდან გამოდიოდნენ კარგა მომზადებული მეურნეები — ვაზის მყნობა, ვენახის მოვლა, მეხილეობა, ხეხილის მყნობა, მეფუტკრეობა და სხვა წვრილმანი ხელოსნობა, რაც საჭიროა ოჯახში, აქ კარგა ჰქონდათ შესწავლილი ხუთი წლის განმავლობაში.

იმ ზაფხულს, როცა დურუჭი გადმოვარდა ჯერ სწავლა არ იყო დაწყებული, მაგრამ სასწავლებელში დარჩენილიყო ცხრა ბავშვი, ზოგი შორიდან იყო, ვერ წავიდა, ზოგი უდედმამო იყო, ობლები, ზაფხულში ისინი კარგა მოკეთდნენ, რადგან კვება უფრო კარგი ჰქონდათ, თან ხილი რამდენიც უნდოდათ, სასწავლებელს ჰქონდა შესა-

ნიშნავი ხილის ბალი, თან მასწავლებლებიც და დირექტორიც თოთქ-
მის სულ თითონ აჭმევდნენ, რადგან ყველა მათგანს თავიანთი პატა-
რა მეურნეობა ჰქონდათ ჭამავირის გარდა და კარგა ცხოვრობდნენ.
დილით ეს ბავშვები ყოფილია ეზოში, როცა დაინახეს, რომ დუ-
რუჯმა იმათი სკოლის გალავანი გადმოანგრია, სხვა მხარეზე გაიქ-
ცნენ, რომ სადაც წყალი არ მოდიოდა, გალავანზე ასულიყვნენ,
რადგან ის გალავანი მაგრად იდგა და ასე გადაერჩინათ დავი; ორი,
სულ პატარები, მაშინვე ზევით შეესხათ, მაგრამ ამ დროს სხვა მხრი-
დან შევარდნილ ტალახს იმავე გალავნის ძირში მიენაშნა შვიდივე მო-
წაფე, მარტო ორი გადარჩა, ისიც ისეთი შეშინებულები, რომ ავად
გახდნენ და ძლიერ-და გადაარჩინეს.

რაყი ქვეყანაშ გაიგო ყვარლის დაღუპვა, მთელი ხალხი მოდიო-
და და მოდიოდა სანახავად, თან მოპქონდათ შემოწირულება, ვისაც
რა შეეძლო, ფული, ტანისამოსი, ჩვენ დაგაარსეთ კომისია და
მთელი დღეს უურიგებდით პურს, ფულს, ტანისაცმელს, ილიას მე-
ულლებ ოლღა ჭავჭავაძემ ცალკე გამოგზავნა დიდალი ტანთსაცმელი
ხალხისათვის დასარიგებლად.

ოვითონ ილია ხალზე შეწუხებული იყო.

ხალხი საშინლად პლელავდა, ამბობდნენ — უნდა გადავსახლდეთო,
ზოგი შილდას აპირებდა მიკედლებას, ზოგი ახალსოფელს. იურიმ
აღარ იცოდა რა ექნა, ვერ წარმოედგინა, რომ ყვარელი მოსპობი-
ლიყო, მაშინ გამოიდო თავი, დადიოდა ხალხში და არწმუნებდა,
რომ შეიძლებოდა ამისთანა უბედურების თავიდან აცილება, თუ ჩვენ
ავაშენებთ დამბებს, როგორც ეს ევროპაში არისო, კარგა დრო და
დიდი ცდა დასჭირდა იურის და ლონგინოზ ნიკოლოზის ძე ზაუტაშ-
ვილს, რომ ეს აზრი ხალხში გავრცელებულიყო. ბევრი ყაყანის შემ-
დეგ ბოლოს გადასწყდა, რომ სოფელი ისევ ყვარელში დარჩებოდა
და ხალხი არსად არ გაიხიზნებოდა, მხოლოდ ფული უნდა სოფელს
გამოელო, რომ სიმაგრეები აშენებულიყო.

შეადგინეს ანგარიშები და აღმოჩნდა, რომ მთელი დამბების ხარ-
ჯი იქნებოდა შვიდი ათასი თუმანი. სოფელს შეეძლო ნახევრის გა-
დახდა, ნახევარი კი მთავრობას უნდა ეკისრა.

ახას გამო იურიმ აირჩია დარბაისელი გლეხკაცობა და მთელი
კომისა რამდენიმე კაცისა და იურის ხელმძღვანელობით გაემგზავრ-
ნენ თბილისისკენ; ცხადია, ისინი პირველ რიგში ილია ჭავჭავაძეს
მიაღვნენ. დიდის ცდისა და ილიას და იურის თხოვნით მთავარმარ-
თებელმა ვორონცოვ-დაშკოვმა მიიღო კომისია და როცა დაწვრილე-



ბით გაიგო როგორ იყო საქმე, მაშინვე ნება დართო დანარჩენი ფული, რაც დასჭირდებოდა ამ მშენებლობას, მიეცა მთავრობას. ამ დიდი გაჭირვების და ცდის შემდეგ დაიწყეს დამბების აშენება.

* * *

იმავე შემოდგომას, როცა ყველაფერი დამთავრდა და ხალხმა გული დაიმშვიდა, ვისაც შეეძლო სახლების კეთებაც დაიწყეს და არ გაუვლია სამ-ოთხ წელიწადს, რომ ყვარელი გაიზარდა, ისე მაღალ მიიჭირდეს ის საშინელი წარლვნა.

ერთხელ, როცა ჩვენ საპატიო სტუმრებს ველოდით, გვეირდებოდა კარგი მზარეული, რაკიდა, იმ დროს ყვარელში სხვა არავინ იყო, ჩვენ დიდის თხოვნით მზარეულად მოვიყვანეთ ილიასთან გაზრდილი და იმათთან ნამსახური ლაზარე ლონიაშვილი, რომელიც ძლივს დაგვთანხმდა, რადგან მოხუცი ცოტათი დაავადმყოფებული იყო და თბილისიდან დასასვენებლად ჩამოსულიყო ყვარელში.

ლაზარე ლონიაშვილს ყვარელში ჰქონდა სახლ-კარი და პატარა ვენახი, ილია ჭავჭავაძის ვენახის ახლოს.

ლაზარე დიდი პატივისმცემელი იყო იურისა, ამისათვის უარი ველარ უთხრა. ლაზარე იყო ილიას მამის ნაყმევი და იზრდებოდა ილიას ოჯახში, როგორც შინამოსამსახურე, შემდეგ, როცა ილია ცალკე ცხოვრობდა, მაშინაც სანამ შეეძლო, მზარეულად იყო ილიასთან.

ერთ საღამოთი ლაზარემ მე და იურის გვიამბო შემდეგი:

„მე და ილია ერთი ხნისა ვიყავით და ძალიან მეგობრობა გვქონდა ერთმანეთში, სულ ერთად დავრბოლით, ვთამაშობდით, უჩემოდ არსად წავიდოდა. თუ საღმე წაიყვანდნენ, უთუოთ მეც თან წამიყვანდა. ერთხელ ილიამ მითხრა — მოდი, მე და შენ ყაჩაღად წავიდეთო. მე დავეთანხმე, გამიხარდა კიდეც, ავიღეთ გუდა, ჩავაწყეთ შიგ ცური, ყველი, ხილი, წყლისოვის პატარა კოკურა წავიღეთ, გავაკეთეთ ხის თოფები, ხანჯლები და ერთ დილით აღრე ავდექით და სახლიდან გავიპარეთ.

წავედით ტყეში, კუდიგორასთან, ავირჩიეთ ერთი კარგი ადგილი და რაც წალებული გვქონდა, ერთ ბუჩქის ქვეშ შევინახეთ, ჩვენ შევუდექით მწვანე ტოტების მოგროვებას, გავაკეთეთ ფანჩატური და შიგ დავაწყეთ ჩვენი ბარგი, გუდა კი ჩამოვკიდეთ ხეზე, მოვკრიფეთ ფიჩები და გარეთ დავანთეთ დილი ცეცხლი; მივუჭექით

ცეცხლს და დავიწყეთ ლაპარაკი იმაზე, რომ ტყეში ვიცხოვრებთ
და შინ ალარ მივალთ, ჩვენ ხომ ნამდვილი ყაჩალები ვიყავით, თო—
ფებიც გვქონდა, ხანჭლებიც და გუდაში საჭმელიც. ილიაშ ზღაპრები
იცოდა ყაჩალებზე და გატაცებით ლაპარაკობდა და ისე აბრიალებდა
თვალებს, თითქოს ენახოს ისინი, მე ვუსმენდი და ხანდახან ვკრ-
თხავდი რასმეს და ისიც ისე მიპასუხებდა, თითქოს ნამდვილი ყაჩა-
ლი ყოფილიყოს“.

* * *

1913 წელს, იმ ხანებში, როცა „თავისუფალი თეატრი“ ყალიბ-
დებოდა, მე ელენე ჭავჭავაძესთან ვიყავი მოსკოვში, საღაც დავრჩი
მთელი ექვსი თვე.

კოტე მარჯანიშვილი ნათესავი იყო იურისა და ელენესი, ბავშო-
ბიდანვე ერთად შეზრდილები და დიდი მეგობრები იყვნენ.

მარჯანიშვილების სახლი და ჩვენი სახლი ყვარელში მეზობლად
იყო, ჩვენი სახლიდან რომ ელაპარაკებოდნენ, იქიდან პასუხობდნენ,
ისე რომ ის დიდი კადლის ხე, რომლის ნახევარი ტოტები ჩვენს
ეზოს ნაწილობრივ ჰავარავდა და ის ძველი, ხავსით დაფარული გა-
ლავანი, რომელიც ორ ეზოს პყოფდა, ეხლაც არის.

ეს ორი ოჯახი სულ ერთად იყვნენ, ჭავჭავაძებს არც ერთ თავს
მეგობრებთან არა ჰქონდათ ისეთი ერთობა, როგორც მარჯანიშვი-
ლებთან. კოტეს მაშინათვე უყვარდა წარმოლგენების გამართვა —
მიამბობდა იური — ბავშვები ხან როგორ მოვირთვებოდით, ხან რო-
გორაო; დედა კიდევ როიალზე უკრავდა და ჩვენ ერთმანეთს ვეცა-
ლებოდით ვინ უფრო კარგად იტყვის ლექსს ან ზღაპარსაო. მე და-
ლესტნიდან რომ მოვდიოდი, ბევრი სხვა და სხვა ფერის „ჩერკესე-
ბი“ მოქმენდა, მოვირთვებოდით მე და კოტე ქართულად, თან
მხრებზე ყაბალახი გვეკიდა და თეთრი ბატქნის ქუდები თავზე გვეხუ-
რა, შევსხდებოდით ცხენებზე და ყვარლის გარშემო დავაჭენებდი-
თო. შორს კი არ გვიშვებდნენ ჩვენი პატრონები, თორემ იქნება თე-
ლავამდისაც გვეჭენებინა ცხენებით. ჩვენი ბავშვობა მომაგონდაო —
მიმბობდა იური, — როცა თეთრ „ჩერკესკაში“ გამოწყობილმა კოტემ
კალოუბნის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა, ისევე უხდებოდა ჩოხა რო-
გორც ადრე, ყმაწვილობაში რომ მოვირთვებოდით.

კოტე მარჯანიშვილმა დიდი ხნის ოცნება აისრულა და დაარსა
„თავისუფალი თეატრი“, ამ საქმეში ელენეს ქმარმა, ვასილ პეტრეს

ეს სუხოდოლსკიმ არ დაიშურა ფული და იმის ხარჯით შეუდგა ამ თეატრის დაარსებას; ვის არ ახსოვს მოსკოვში ის შესანიშნავათ განხორციელებული პიესები, როდესაც კოტეს ნიჭმა უმაღლეს წერტილამდის მიაღწია.

რაყილა მე იმ ღროს ვცხოვრობდი ელენესთან, როდესაც ეს თეატრი შენდებოდა, კოტეს ხშირად ვხედავდი, ის ხშირი სტუმარი იყო ჩვენი. თეატრის სულისჩამდგმელი ფინანსების მხრივ, როგორც ვთქვი, იყო სუხოდოლსკი. რამდენი ჩაგონება და ლაპტაკი უხდებოდა ელენეს, რომ თვის ფულისმოყვარე ქმრისთვის ის ფული დაეხარჯვინებინა, რაც სჭირდებოდა უსაზღვრო ფანტაზიის შეონეს და დაუზოგავად მხარჯავს კოტეს.

კოტე და ელენე სულ ერთად მუშაობდნენ, ერთად დადიოდნენ სახელოსნოში, საღაც მზადდებოდა თეატრისათვის ყველა საჭირო ნივთი.

მთელი თვე მოუნდნენ სავარძლების ყალიბის გამომუშავებას და მართლაც ისეთ სავარძლებს, როგორც იყო იმ თეატრში, ძნელად ნახავდით — ყავისფერი ძვირფასი ტყავით გადაკრული, ჩასაჭდომი რბილი, მკლავების დასაყრდნობით — ამ სავარძელში რომ კაცი ჩაჯდება, ადგომა აღარ მოუნდებაო, ამბობდა კოტე.

ლოუები არ იყო ორის მეტი, როცა ამის შესახებ თეატრის მესვეურებს შევეკითხებოდით, გვიპასუხებდნენ — „ჩვენ გვინდა უფრო ხალხი ესწრებოდეს ამ წარმოდგენებს, სანამ ლოუებში მოსიარულე მდიდრებიო“.

ფარდის კერვას ხომ თან გადაჰყვნენ, თუ მკერავები არ მოეწონებოდათ, მაშინვე გამოსცვლიდნენ, ისეთს მოიყვანდნენ, როგორც კოტეს უნდოდა; — ფარდა ძალინ დიდხანს იკერებოდა და ძალიან ბევრი ფული დაჭდაო, ამბობდა ელენე.

ეხლა ის ფარდა მარჯანიშვილის თეატრშია, ელენე სუხოდოლსკაიამ გადმოიტანა თბილისში მოსკოვიდან, ბევრი წვალების შემდეგ, რადგან არ აძლევდნენ. „თავისუფალი თეატრის“ დაარსება სუხოდოლსკის დაუჯდა შვიდი ათასი თუმანი ოქროთი.

* * *

„თავისუფალი თეატრის“ პირველი წარმოდგენა იყო „სოროჩინის ბაზრობა“. ბევრი ღრო და შრომა დასჭირდა კოტეს, სანამ ხარებს მოაყვანინებდა უკრაინიდან და სანამ შეაჩვევდა სცენაზედ გამოსვლას. ხარულები შემოჰყავდათ სცენაზე. არც ერთ წვრილმანს არ გამოსტო-

კებდა კოტე, რომ ყველა არ გაეშინჯა, რამდენი ღრო მოანდომა იყენდა საზამთროების არჩევას, რომელიც ხელოვნურად გააკეთებინა სცენაზე დასაწყისით. მიკვირდა, როგორ ახსოვდა ეს ყველაფერი კოტეს!

ରେପେଟିଓପା ନାମ ଗାତାବଳୀ, କ୍ଷେତ୍ର ତାଙ୍ଗିଶୁଭଲାଦ ଅନ୍ତର୍ମିଶ୍ରନିଜ୍ଞେତ, ଏହା
ଶେମ୍ବେଶ୍ଵରନିଧନେନ, ଶେଖରୁଦ୍ଧ ମେ କାର୍ତ୍ତେ ହାତିରେବୁଲ ରେପେଟିଓପାର ଏହା
ଡାକ୍‌ପାଇସର୍ଟରେବୁଲେ, ମଧ୍ୟରେ ଗାନ୍ଧିଓପାରେ ମଧ୍ୟ ପାଇସର୍ଟରେ କାନ୍ଦିଲି.

ამ დროს კოტეც შემოვიდა ჩვენთან ლოები, სულ ოფლში გაწურული, სირბილისგან და მეტის მეტი ღელვისაგან, ის ჩემვა სავარძელში და რამდენიმე წუთს ხმა არ ამოუღია; ამისთანა ხსიათის პატრონი, რა-საკირველია, დიდხანს არ იცოცხებდა და გენიალურ ნიჭეს უდრო-ოდ დაუკარგავდა ქართულ სცენას. დიდხანს მზადდებოდა ეს პირ-ველი წარმოდგენა, ბევრი ფულიც იხარჯებოდა. დღეს რომ კარგი იყო ეს თუ ის სცენის მოწყობილობა, ხვალ კოტეს აღარ მოსწონდა და თავითან უნდა დახარჯულიყო ამაზე ფული. სუხოდოლსკი ფუ-ლის ჩეკვბის გამოწერას ვეღარ აძლიოდა, სულ ახალი მოულოდნელი ხარჯებისათვის, ამის გამო სულ ცუდ გუნებაზედ იყო და ბუზღუ-ნებდა.

ჩვენი მთელი ოჯახი, დაწყებული კარის შცველისაგან, საშინლად ვღელავდით, მით უმეტეს, რომ გაზეთები ბევრს სხვა და სხვა სენ-საცეურ ამბებს და ჭორებს ავრცელებდნენ ამ თეატრის ირგვლივ. ტელეფონი ჩვენ ბინაზე რეკავდა ყოველ წუთს, ყველა ნაცნობი და უცნობი ბილეთებს თხოულობდნენ, ბილეთები კი დიდი ხანია გა- ყიდული იყო.

იმ დროს იქ მოლარედ „თავისუფალი თეატრისა“ იყო დეიდაშვილი კოტე მარჯანიშვილისა — სოფიო დავითის ასული აბელიშვილი.

ბოლოს წარმოდგენის დღეც დადგა.

მე ალარ გავაგრძელებ იმ შთაბეჭდილების შესახებ, რაც მაშინ

„თავისუფალმა თეატრმა“ დასტოვა საზოგადოებაზე, რადგან მაშინ-
დელი გაზეთები სავსეა რეცენზიებით.

ეს პირი მერმეც ხშირად იდგმებოდა და თეატრი ყოველთვის
სავსე იყო ხალხით და ბილეთები ათი დღის წინ იყიდებოდა. ამ პი-
ესას მოჰყვა „შვენიერი ელენე“ და სხვ. მოსკოვში ჩვენი ყოფნის
და კოტეს მუშაობის შთაბეჭდილებები წარუშლელია ჩემს მეხსიერე-
ბაში.

სუხოდოლსკი ხშირად ცოლს აყვედრიდა — ქართველი ხარ და
გიყვარს ფულის ფლანგვაო: „როცა ქართველ კაცს ფული აქვს ჯი-
ბეში, სულ მარტო იმაზე ფიქრობს სად და როგორ დავხარჯოო, ისე
აწუხებს ფულიანი ჯიბეო“. მან მთელი თავისი ქონება საქართველოში
ღახარჯა, შეიძინა ყარალაშვილებისაგან სპილენძის მაღანი ართანის
მთაში. ამ მამულში მისცა ერთი მილიონი. მაღნის გამოყენება ვე-
ღარ მოასწრეს, რადგან უსწრო რევოლუციამ და მრიგად დაკარ-
გეს მთელი ქონება. ბოლოს, სიბერის დროს, გადმოსახლდნენ
თბილისში მოსკოვიდან.

მე იმათ სახლში ვხვდებოდი სუმბათაშვილ-იუჟინს, ის ელენეს
კარგი მეგობარი იყო, იმისთვის სასიამოვნო სალაპარაკო საგანი იყო
საქართველო, გულით და სულით სულ სამშობლოში იყო. ის იყო შე-
სანიშნავი მოსაუბრე, დიდ გეგმებს აწყობდა იმ ისტორიულ პიესებ-
ზე საქართველოს წარსულიდან, რომლის დაწერაც იმას აღარ დას-
ცალდა.

* * *

ყვარელში არ იყო სამკითხველო და ყველა ჩვენთაგანი, ყვარლის
მცხოვრებლები, სულ ამაზედ ვოცნებობდით; ჩვენ სახლში კი გვქონ-
და შესანიშნავი ბიბლიოთეკა; როცა ბიძა მოუკვდათ იურს და იმის
ძრა ნიკოს, მათ ბიძის მემკვიდრეობა გაიყვეს, იურიმ ამგობინა ეღლო
წიგნები და „აქტები“, მთელი თორმეტი ტომი; სამაგიეროდ, ნიკომ
აიღო ორი საუკეთესო ცხენი და მსუბუქი ეტლი. მთელი ყვარლი
იმაზე ლაპარაკობდა, რომ იურიმ იმის საფასური ვერა წაღლო რაო;
იურის კი ეს წიგნები თავის თავს ერჩივნა.

მე ცოტა გადაუხვიე, დავუბრუნდეთ ისევ სამკითხველოს საკითხს.
ყვარლის ინტელიგენცია სულ იმასა ვფიქრობდით, როგორ დაგვეარ-
სებინა სამკითხველო, იმ დროს სამკითხველო იყო მარტო ქვემ
მაჩხანში. ერთხელ, როცა ახალი გუბერნატორი ეჭვია ყვარელს,

ისინი ხომ ჩვენთანაც მოვიდოდნენ ხოლმე, მე ვთხოვე, ნება მოგვეცით სამკითხველო დავაარსოთ ილია ჭავჭავაძის სახლში და იმის სახელზე-ზე-მეტქი. მან, როგორც დიასახლისს, უარი ვერაფერზე მითხრა, მხოლოდ თქვა — თხოვნა გამოვზავნეთო. მეც დაუყოვნებლივ გავუ-გზავნე თხოვნა და დავიწყეთ ლოდინი, თან ვინც კი ნაცნობები გვყავდა, ყველას დავავალე, დახმარება გაეწიათ, რომ ნებართვა მოეცათ, ასე დიდი პროტექციით ბოლოს მომივიდა შემდეგი შინა-არსის ნებართვა: „ნება ეძლევა ელენე ივანეს ასულს ჭავჭავაძეს გახსნას ბიბლიოთეკა საკუთარ სახლში. გუბერნატორი სვეჩინი“. ეს ნებართვის ქაღალდი, როგორც ყველა წერილი ილიასი, იურისთან მოწერილი, გრიგოლ ორბელიანისა — ნიკო ჭავჭავაძესთან და კიდევ ბევრი სხვა საგულისხმიერო წერილები, სულ დაიკარგა, როცა მე ყვარლიდან წამოვედი.

ამ ნებართვის მიღებამ ჩვენ ყველანი, ყვარლის ხალხი, ვინც უფრო დაინტერესებული ვიყავით ამ საქმით, აგვალფრთოვანა, მხო-ლოდ ეს რო ეწერა „საკუთარ სახლში“ ძალიან გვაფიქრებდა, მაგ-რამ მე ამას გზა ავუქციე და ილიას ბურჯში, სადაც ეხლა არის მუ-ზეუმი, ილიასავე სახელობის სამკითხველო გავხსენით.

იმ დროს ეს შენობა ისე იყო უყურადღებოდ დარჩენილი, რომ ჩამომპალ კიბეზე ასვლაც კი საშიში იყო, სახურავი დამპალი იყო და წვიმის დროს როგორც გარეთ, წვიმა ისე ჩამოდიოდა; კედლე-ბი სულ ჩამორეცხილი იყო, ფანჯრის ჩარჩოები სულ დამპალი და არც ერთი მინა არ ეგდა. ასეთსავე დღეში იყო დაბლა სართული. ავირჩიეთ კომისია, მე ვიყავი თავმჯდომარე, პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა გვეზრუნა სახსრებზე, რომ ბინა შეგვეკეთებინა. გადავწყვი-ტეთ, პირველ ყოვლისა, მიგვემართა იმ ყვარლელებისათვის, ვინც აქედან იყო წასული და მსახურობდა; ყველა მათგანს მიგმარ-თეთ მოწოდებით, ამ თხოვნამ უქმდა არ ჩაიარა და ყველამ მოგვა-წოდა, ვისაც რამდენი შეეძლო. ყველაზე მეტი, ორმოცდაათი მა-ნეთი მივიღეთ ვლადივოსტოკიდან, შლედელ იმერლიშვილიდან და ა. შ. მიგმართეთ სათავად-აზნაურო ბანქს, რომელმაც მოგვცა ორა-სი მანეთი, სავაჭრო ამხანაგობა „კახეთისაგან“ ოთხასი მანეთი; ამ-რიგად შევაგროვეთ ფული და გავუკეთეთ რემონტი. — სახურავი შე-ვაკეთეთ, გავუკეთეთ აივანი, კიბე, ახალი ჩარჩოები, ჩავუსხით შუშები და შევიძინეთ კარადა, მაგიდა და სკამები. დაბლა ოთახი იყო საშინლათ დანგრეული, შიგ შესვლაც არ შეიძლებოდა, ის შევაკეთეთ, გავათეთრეთ მთელი კედლები, მაღლა ოთახიც ისე შევაკეთეთ, რომ შიგ ცხოვრება შეიძლებოდა და ჩვენ შიგ მოვათავ-

სეთ დარაჯი, იმას უნდა შეენახა სუფთად შენობა და ეზო, რაც წინ, ბურჯის გარშემო იყო. მივმართეთ წ. კ. გ. ს., იმათ გამოგვიგზავნეს ილიას დიდი სურათი, რომლის ჩარჩო გააკეთა მიხა მანძულაშვილმა, წ. კ. გ. საზოგადოებამ გამოგვიგზავნა სხვა სურათებიც მწერლებია, გამოვიწერეთ უურნალ-გაზეთები.

ეს მოეწყო პირველი სამყითხველო ილიას სახლში, ილიასავე სახელობისა; ყვარლის საზოგადოების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ეს იყო მეორე სამყითხველო მთელ კახეთში. ყოველწლიურად „კახეთის“ მევენახეთა ამხანაგობა გვეხმარებოდა ასი მანეთით, ეს ფული ისტუმრებდა დარაჯის ჯამაგირს, თვეში რვა მანეთს. ყოველ ოც ივლისს (ძვ. სტ.) ვმართავდით ილიაობას, გრანდიოზულ სეირნობას, იმ დღეს იქ ესწრებოდნენ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებინი,

1914 წ. 20 აპრილს უურნალ „კლდეში“ (№ 16), როშელიც გამოდიოდა თბილისში, მე გამოვაქვეყნე შემდეგი მოწოდება: „როგორც გაზეთებიდან ჩანს, ჩვენი საზოგადოება გულ-მხურვალეთ ეკიდება ილიას სახლის გამოსყიდვის აზრს თბილისში და მალე საშეოფი ფულიც შევროვდება, მაგრამ უშეტესი ყურადღების ღირსია ის სახლიც ს. ყვარელში, სადაც დაიბადა ჩვენი დიდებული პოეტი, ის სახლი, სადაც იმან პირველად გაახილა თვალი და რომელი ადგილის სიყვარული სიკვდილმდის არ მოჰშორებია მის გულს. ს. ყვარელი ჩვენთვის, ქართველებისათვის, სათაყვანებელი უნდა იყოს, როგორც მუსულმანთათვის მექა და გერმანელებისათვის გოეთეს სამშობლო ვეიმარი; ის სახლი, სადაც დაიბადა ილია, ჩვენ უნდა გავიხადოთ ტაძრად, რომ ყველა ქართველი მოდიოდეს აქ თაყვანისაცემლათ, ეხლა კი იქ არის მოთავსებული უსახსრობის გამო ძალიან ღარიბი ბიბლიოთეკა, რომელიც ინახება მცირერიცხოვანი ინტელიგენციის საწევრო გადასახალით. „ახალმა კლუბმა“ შემოსწირა 400 მ. შენობის შესაკეთებლად, მაგრამ ეს ფული არ იქმარებს შენობისათვის, ეზო ხომ ისეა გაშარავებული, რომ ილიას საკუთარი ხელით დარგული ხეხილი სულ გაფუჭებულია. კარგი იქნება ილიას სახლ-კარიც ისე შეეკეთებინოთ, როგორც შეპფერის ღიდებულ ქართველის დიდებულ აკვანს“.

* * *

მე ოელავში ვიყავი, როცა იქ ჩამოვიდა აკაკი, ეს იყო, თუ არა ვცდები, 1911 წ. აკაკი ესტუმრა ნიკიფორე მამინაიშვილს. მამინაიშვილებმა ღიდებული სადილი გაუმართეს აკაკის, მთელი თელავის

საზოგადოება დაესწრო; მეც მიმიწვიეს, საღილზე აკაკის გვერდით გივერი, მეორე მხარეს იჯდა თამარ ალექსანდრეს ასული აბაშიძე — ვახეგახიშვილი. აკაკი ძალიან ქმაყოფილი იყო კახეთში ყოფნით და ჩვეულებრივ ოხუნჯობდა. იმ აივნიდან, სადაც ჩვენ ვისხედით, თვალ-წარმტაცი სურათი იყო გადაშლილი, შორს თოვლით დაფარული კავკასიონის მთები, დაბლა ალაზნის ველი, შუაში ალაზნი და ათასფრად მობიბინე მინდვრები და ვენახები. აკაკი სტკებებოდა ამ სანახაობით, თან საუკეთესო მასპინძლების განთქმული გულუხვობით. როდესაც ვეთხოვებოდი, აკაკი მივიწვიო ყვარელში და ვთხოვე მამინაიშვილებს, რომ ისინიც წამოსულიყვნენ, მალე ილიაობა უნდა ყოფილიყო და მინოდა აკაკი იმ დღეს იქ დაწრებოდა.

მეორე დღეს დავბრუნდი ყვარელში, იურიმ რომ გაიგო აკაკის თელავში ჩამოსვლა, მაშინვე აახლა ორი მოპატიუე ყვარლის ახალგაზრდობიდან და მთელი ყვარლის საზოგადოების პირით მოვიპატიუეთ ძეირთასი მგოსანი.

რა დღესაც აკაკი უნდა ჩამოსულიყო, იურიმ დაიბარა სოფლის წარმომადგენლები და უთხრა, რომ ყველა მომზადებულიყო, გამოევლოთ იურისთან და წასულიყვნენ აკაკის შესახვედრად, „პუს წყაროსთან“.

მეორე დღეს ყველანი შეიკრიბნენ, ყველანი საუკეთესო ცხენებით. იური თავის ინგლისური ჭიშის ცხენით იყო, გაემზაურნენ „კუს წყაროსკენ“. ეს არის ოთხი კილომეტრით დაშორებული ყვარლიდან, თელავის გზაზე. როგორც შემდეგ მიამდეს, იქ კარგა ხანს მოუხდათ ლოდინი, როდესაც ეტლები „კუს წყაროს“ მიუახლოვდნენ, ცხენოსნები ჩამოხტენენ ცხენებიდან და გარს შემოერტყნენ აკაკის ეტლს, მშვენიერი სანახავი ყოფილიყო აკაკი, როცა ამდგა-რიყო და ეტლში მდგომი მისალმებოლა ყვარლებებს, თეთრი თვე-ბი ნიავისაგან აშლილი, რაღაც ქანდაკებას მოგაზონებდათო, ერთმა ყვარლელმა გლეხმა მიმართა ლამაზი მისასალმებელი სიტყვით და აკაკისაც ეპასუხნა. ამის შემდეგ ყველა გამოემართა ყვარლისაკენ.

აკაკი ძალიან ქმაყოფილი იყო მგზავრობით, საუკეთესო ოთხცხენ შებმული ეტლი, ყვარლის ლარივით სწორი გზა-ტკეცილი, შეუმნევლად გამოევლოთ. მე აკაკის კიბესთან შევეგებე, ყვარლის მანდილოსნებთან ერთად, მისასალმებელი სიტყვით, მერე იურიმ და ძე მივაცილეთ აკაკი მისთვის სპეციალურად გამზადებულ ოთახამდე.

ცოტა დასვენების შემდეგ აკაკი გამოვიდა სასტუმროში, ჩაჯდა სავარძელში, მიიხედ-მოიხედა, გაიცინა, მიუბრუნდა იურის და უთხრა: თქვენ ეს ოთახი ორ გემოვნებაზე მოგიწყვიათ, ევროპიუ-

ლად და აზისთვისაც არ გიღალატნიათო. აკაკის თან მოჰყვნები შალ-
ვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, მამინაიშვილები და ბევრი სხვა
ნაცონბები და მეგობრები.

მაშინდელი სურათი მთელი საზოგადოებისა, ჩვენთან ვინც და-
ესწრო, აკაკისთან ერთად, გადაღებულია ჩვენს აივანზე ყვარელში.
მე გადავეცი ის სურათი აკაკის მუზეუმის მომწყობ კომისიას და ის
სურათი ეხლა მწერალთა მუზეუმშია; ამისთანა სურათი აქვს ელო
ანდრონიკაშვილსაც. ამ აივანზე იყო გაშლილი დიდი მაგიდა, ასი
კაცისათვის, სადაც გაიმართა დადებული სადილი. მივიწვიეთ აკაკი
და მოვუსხედით მაგიდას, იური დაჭდა ბოლოში და ტკბილი სიტყ-
უით მიესალმა აკაკის მობრძანებას და ბედნიერად ჩასთვალა ეს ლირს-
შესანიშნავი დღე ყვარლისათვის და კახეთისათვის.

ბევრი სიტყვები წარმოითქვა, გაისმა მრავალეამიერ, აკაკის
ძალიან მოეწონა „ნაბაღრის“ წითელი ღვინო, მით უმეტეს, რომ
ეს ღვინო რამდენიმე ათეული წლისა იყო, მაგრამ ის სულ ცოტას
სვამდა. სალამომაც მოაწია. ილიას ეზო, საითაც ჩვენ წავედით,
მორთული იყო ყვავილის გრეხილებით, ნოხებით. შუა ეზოში იდგა
დიდი მოფარდაგული სცენა. საკვირველია, როდინ ასწრობდა
იური იქაც ასეთ საქმეს, როგორც იყო ილიას ეზოს საღღესასწაულო
გალამაზება და სახლშიც ტოლუმბაშობა საღილზე და სტუმრებისაღმი
უაღრესი ყურადღება!

ილიას ეზოში სცენის გარდა იყო მოწყობილი ბევრნაირი გასარ-
თობები. ერთ კუთხეში უკრავდა დოლი და სალამური და ლეკურს
ცეკვავდნენ, მეორე კუთხიდან მოისმოდა მწყობრით შესრულებული
ქველი სიმღერები, აკაკი ჩასვეს იმისათვის მომზადებულ სავარეტ-
ში სცენის წის. აიხადა ფარდა და გამოჩნდა სცენა — „დედა და შვი-
ლი“ ილია ჭავჭავაძისა: შალვა დადიანმა და ელო ანდრონიკაშვილმა
დაატკბეს იქ დამსტრენი თავიანთა საუკეთესო თამაშობით; ეზოს
თავში. მარნის გვერდზედ გამზადებული იყო დიდი მაგიდები და
ვზუადდებოდა ვახშამი, მაგრამ აკაკი აღარ დარჩა და ჩვენის თანხლე-
ბით წავიდა დასაძინებლად. მეორე დღეს, დიდი კაქლის ქვეშ, ჩვენს
ეზოში მოწყობილი იყო მაგიდა დილის ჩასა და საუზმისათვის, იმ
აღგილიდან ყვარლის მთები საუკეთესოდ მოსჩანს, ის კავლის დიდი
ხე ისევ ცოცხალია, საიდანაც აკაკი გასცემოდა, იმან დიდხანს უყუ-
რა მთებს, მერმე ამოოხრა და თქვა: „ყვარლის მთების“ დამწერი
აატოვ ეხლა ჩვენთან არ უნდა იყოს.

კველაზე ადრე აკაკი ამდგარიყო და ის და იური მარტონი ისხლ-
ნინ მაგიდასთან, იური და აკაკი ბევრს ლაპარაკობდნენ, აკაკის აინ-

ტერესებდა ყვარლის საზოგადოებრივი ცხოვრება, ხალხის მატერიალური მდგომარეობა და იმათი სწავლის საკითხი. ბევრს შეკითხვებს აძლევდა აკაკი და იური უამბობდა ხალხის მდგომარეობას ყვარელში და საერთოდ კახეთში. სხვა სტუმრებს ეძინათ, მე ვდისახლისობდი, ჩაის ვამზადებდი, ბოლოს სტუმრებიც თან და თან გამოდიოდნენ სახლიდან და ჩვენ გვიერთდებოდნენ, აკაკიშ უყურა, უყურა და მერე გაკვირვებით ჰქიოხა იურის: „ერთი ეს მითხარი, იური, ეს ამოდენა ხალხი სად დასტიეთ, სკივრში ხომ არ გელაგნენ?“

საუზმის შემდეგ გადავიღეთ სურათი, აკაკი შუაში და ჩვენ ყველანი ექვემდებარების გარშემო.

მეორე სურათი: ესეც ჩვენი აივნის კიბეზე, აივნის თავში. ილიას სურათი იქ მოვათავსეთ. იმ სურათის ქვეშ, სავარძელში ზის-აკაკი, ორსავ მხარეს კიბესავით აყოლებით დგანან ყვარლის პატარა გოგონები, თეთრ ტანისამოსში გამოწყობილნი და თმებიც შესაფერდ გვერდზედ დავარცხნილი, ეს სურათი ღამით განათებული იყო სხვა და სხვა ფერი ბენგალის სანთლით.

ჩვენ სახლშია გადალებული სურათი აივნის კიბეზე. სადაც არიან აკაკი წერეთელი, შალვა დადიანი, ელო ანდორნიკაშვილი და ყველა ჩვენი სტუმრები, რომლებიც ჩამოჰყვნენ ჩვენს სასიქადულო პოეტს.

მალე ეტლებიც მოაროვეს და ჩვენი სასიქადულო პოეტი, მთელი საზოგადოების თანხლებით, გაემართა თელავისკენ.

ეს იყო აკაკის უკანასკნელი მგზავრობა ყვარელში და, საერთოდ კახეთში. საღამოდან შემოსულ ფულს ვახმარებდით სამკითხველოს, არ იყო იმ დროს არც ერთი უურნალ-გაზეთი, რომ ყვარლის სამკითხველოსათვის არ გამოვაწერა.

ყოველ საღამოთი შევიკრიბებოდით სამკითხველოში და ვკითხულობდით ახალ უურნალ-გაზეთებს, ვმართავდით კრებებს სამკითხველოს შესახებ და სხვა საჭირობოტო საკითხებზე.

შემდეგ, როცა ილიას მარნის ქვევრები გაყიდეს და მარნის მაგიერ სახალხო სახლს საძირკველი ჩაუყარეს — მე იმ დროს იქ აღარ ვყოფილვარ, თელავში ვიყავი და ისე ხშირად აღარ მივდიოდი ყვარელში.

ილია ჭავჭავაძე და საგურამოებრ გლეხები

1890 წ. მე ვიყავი გადმოყვანილი ქალ. ბათუმიდან დუშეთის მაზრაში, „დისტანციის ზემსკი სტრაჟის“ უფროსად. ჩემი სამსახურის ვალდებულებაში შედიოდა: დაცვა მთელი მაზრის წესრიგის, რომ არ ყოფილიყო ძალუვა, ქურდობა, ავაზაკობა და ა. შ.

განსაკუთრებით მევალებოდა: დიდი ყურადღება მიმექცია საქართველოს სამხედრო გზაზე, რომელსაც პქონდა დიდი მნიშვნელობა როგორც ერთადერთ შემაერთებელ გზას რუსეთსა და კავკასიას შუა, მაშინ ბაქოს რეინიგზა არ იყო გაყვანილი. ჩემი სამსახურის გამო ხშირად მიხდებოდა სოფლებში სიარული, აგრეთვე საგურამოში, სადაც ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე. ჩენ, ადგილობრივი ადმინისტრაცია, სავალდებულოთ ვთვლიდით გვენახა ილია ჭავჭავაძე.

მე, შეძლებისდაგვარად, ენერგიულათ ვმშებაობდი და ჩემს საქმიანობას განსაკუთრებით აქცევდა ყურადღებას ი. ჭავჭავაძე. ავაზაკობა შესამჩნევად შენერლდა მაზრაში; როდესაც მიხდებოდა ნახვა პირადად ი. ჭავჭავაძისა, ის მეუბნებოდა მადლობას: თუ თქვენ ასე განაგრძეთ თქვენი ენერგიული მუშაობა, მალე მოელება ბოლო მაზრაში ავაზაკობასო.

იმ ხანებში დუშეთის მაზრაში მოხდა ორი საყურადღებო შემთხვევა: გატაცებული და გარეკილი იქნა საძოვარი მთიდგან ყაზბეგელების და ახლომახლო სოფლელების მსხვილფეხა საქონელი, რამაც დიდი ოლელვება გამოიწვია ხალხში. თვითონ გენერალი ყაზბეგი თხოვდა მაშინდელ კავკასიის მთავარმართველს დუნდუკოვ-კორსაკოვს დახმარებას (ეს დუნდუკოვ-კორსაკოვი იყო ის კაცი, რომელმაც გადასახლა ჩენი დიდი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი რუსეთში და იქ მოაკლევინა. დ. ყიფიანი რომ მოასვენეს თბილისში დასაკრძალავად, მოელი ჭართველი ერი დახვდა, მეც დავესწარი იმ პროცესის.)

ყაზბეგელების საქონელის მონახვა მომანდვეს მე, წავედი ყაზბეგში, წავიყვანე არჩეული სტრანიკები და ოცდაათ კაცამდე შეიარაღებული ყაზბეგელები და გამოვლენებით საქონლის კვალს. მესამე დღეს მივაკვლიერ ჭიშტეთის მთის გადაღმა რამდენიმე ასობით სულ საქონელს. ვიპოვვეთ ხრამში მიმალული საქონელი. იგი გადაუტაცნიათ ინგუშებს საძოვარი მთიდან. საქონელი უკლებლივ დავიბრუნეთ, მხოლოდ აკლდა ორი ჭიშტანი ბუღა, რომელიც ეკუთვნოდა გ. ყაზბეგს. ბუღების საღირალი ინგუშებს გადავახდევინეთ და დამნაშავენი დაკავავთ. ამ შემთხვევის გამო გამომეცხადა სოფლის საზოგადოები-

დან და მთავრობიდგან მაღლობა — ეს ამბავი დაიბეჭდა გაზეთებში იმ მოკლე ხანებში გაძარცვეს ისტორიული მონასტერი გერგეო, რომელიც არის ყაზბეგის მთის ძირში მიდგმული, როგორც მერცხლის ბუდე. მძარცველები აღმოვაჩინე — ერთი იყო ქართველი, სოფ. თრუ-სოდან და სამი ქისტი. ყველა ეს ამბავი დაწვრილებით მისწერა გ. ყაზბეგმა ილია ჭავჭავაძეს. პრესა ამ ამბავსაც გამოიხმაურა.

ულია ყოველწლიურად დღესასწაულობდა ილიაობას, თავის სახელწოდების დღეს, ეწვეოდნენ ხოლმე მწერლები და სხვა მრავალი ქართველობა. იგრეთვე უცხოელი მწერლებიც.

სხვათა შორის, ილიას ასეთ დღეობას მეც დავვესწარი — იშლებოდა სუფრა წყაროსთან, კაკლის ქვეშ, ცალკე სუფრა იშლებოდა იდგილობრივი ახლო-მახლო გლეხებისთვის და მეორე კი ჩამიტურა, სტუმრებისთვის. გლეხების სუფრას ემსახურებოდა ილიას მეულლე ოლდა და ჩამოსულ სტუმრებს თვითონ ილია. ამ საზოგადოებაში, სხვა სადღეგადების შემდეგ, აიღო ჭიქა ილიამ და წარმოსთქვა სიტყვა ჩემ შესახებ, გააცნო საზოგადოებას ჩემი მამაცური მოღვაწეობა, როგორც ხალხის დამცველი დარაჯისა, ისურგა მსგავსი ადმინისტრატორი მრავალი გვყავლესო, რომ მოელოს ბოლო ხალხის შეწუხებასო. ამასთანავე, წარმოსთქვა ყაზბეგების საქონლის გატაცების და გერგეთის მონასტრის გაცარცვის ამბავი, რომელიც ილიასთვინ მოეწერა გ. ყაზბეგს. გენერალი ყაზბეგი იყო ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე საქართველოში, ილიას დიდი მეგობარი. გიორგი ყაზბეგი იყო ვლადივოსტოკის ყოფილი კომენდანტი.

ამ შემთხვევებმა დამახლოვა ილიას ოჯახს. ყოველთვის დიდი საიმოვნებით მღებულობდა, თუმცა, საზოგადოდ, ილია ჭავჭავაძე მაშინდელ ადმინისტრაციის დიდი პატივისმცემელი არ იყო. კიდევ დიდანს დავრჩი დუშეთის მაზრაში, შემდეგ ამისა გადამიყვანეს ახალქალაქში მაზრის უფროსის თანაშემწედ. იქ დავრჩი დაახლოებით რამდენიმე წელიწადი, იქაც დიდი შემთხვევები მქონდა. მაშინ იქ მოქმედებდა აია ბეგ მურსაყულოვის და ყოფილი პორუჩიქის ასლან აღა ყასუმოვის ბანდა, რომელსაც ტერორის ქვეშ ჰყავდა მთელი ყარსის ობეჭი, ახალქალაქის მაზრა, ბორჩალოს და თბილისის მაზრიბი.

ახალქალაქში დავრჩი რამდენიმე წელიწადი. შემდეგ ჩემის აზრით, ილიას შემწეობით იყო, რომ გადმომიყვანეს დუშეთის მაზრის რით, ილიას შემწეობით იყო, რომ გადმომიყვანეს დუშეთის მაზრის უფროსად, და ამავე 1907 წელს ვერაგულად იქნა მოკლული ილია და ქეც სამსახურიდგან ვიქენი დათხოვნილი ილიას მკვლელობის გამოძიების მიზეზით, რადგანაც უანდარმერიას ეჭინააღმდეგებოდა ჩემი გაების მიზეზით, რადგანაც უანდარმერიას ეჭინააღმდეგებოდა ჩემი გაების მოძიება, იმიტომ, რომ დ. ჭაში იყო უანდარმერიას აგენტი. ველოდი

ჟოველდღე დაჭირას, ან გადასახლებას, მაგრამ გადავრჩი გიორგი შერ-
ვაშიძის შემწეობით (გიორგი შერგაშიძე იმყოფებოდა სასახლეში
ობერ-ჰოფმეისტრად ალექსანდრეს III-ის ქვრივთან).

დუშეთში ომ გადმომიყვანეს, ჩემს მოსვლამდე ცყვ ინგუში
კაპიტანი გულიევი მაზრის უფროსად, ომელმაც ჩამაბარა საჭმები.
ის გადაიყვანეს ბაქოში პოლიციესტრად და იქ იქნა მოკლული, ომ-
გორც შავრაზმელი. ეს გულიევი დიდ უქმაყოფილებას იწვევდა ხალხ-
ში. მისი იქ ყოფნის დროს ადმინისტრაციის მოსამსახურები თითქ-
მის ყველანი ინგუშები იყვნენ, რომლებიც თავისუფლად თარეშობდ-
ნენ და აწუხებდნენ გლეხებს სხვადასხვა გადასახადით თავის სასარ-
გებლოდ. გლეხობა კი მიმართავდა ილიას, ომ დახმარება გაეწია,
დაეხსნა ამ მძიმე მდგომარეობიდგან.

როდესაც გულიევმა მაზრა ჩამაბარა, სხვათა შორის, გადმომცა სა-
იღუმლო საბუთები, რაც უნდა პეტროდა მხოლოდ მაზრის უფროსს,
ამ საბუთებში იყო შიფრის გასაღები, გუბერნატორისა და უანდარ-
მერიის ინსტრუქციები. ამ საიდუმლო საბუთებში, სხვათა შორის, იყო
უანდარმერიის უფროსის მოწერილობა, სადაც პირადად ვეალებოდა
მაზრის უფროსებს თვალყური ედევნებინათ ილია ჭავჭავაძის მოქმე-
დებისათვის, ვინაიდან იგი არასამედო პიროვნებად მიაჩნდათ.

სამსახურის გამო ვიყავი საგურამოში და ვინახულე ილია ჭავჭა-
ვაძე. შევატყვე ჩემი ნახვა ესიამოვნა და მითხრა: აბა, თქვენ იცით,
თორემ ყოფილი მაზრის უფროსი გულიევი თავის სტრაჟნიკებით წარ-
მოადგენდა ეგზეკუციას და არა ხალხის დამცველსო; დიღხანს დატ-
ჩი მასთან, სხვათა შორის, გადავეცი საიდუმლო, რომ მაზრის უფ-
როსს ევალება ყურადღება მოგაქციონ თქვენ, როგორც არა-საიმედო
პიროვნებას მეთქი. ილიამ გაიცინა და მითხრა, გეტყობა, რომ ახალი
მაზრის უფროსი ხარო და თქვენთვის ეს ახალი ამბავიაო. მე კი დიდი
ხანია ვიცი, რომ უანდარმერიიდგან დაჯილდოვებული ვარ უნდობლო-
ბის ჯილდოთით. წამოსვლის დროს განიმეორა — მიატკი ყურადღება
საწყალ ხალხსო, დაძარცულები არიანო. ხალხის შეწუხების თაობაზე
გულიევის ადმინისტრაციიდგან, მე მჯონდა ლაპარაკი გუბერნატორ-
თანაცო, მაგრამ მითხრაო — თუ ასე შეწუხებულია ხალხი, საჩივარი
რატომ არ შემოდის ხალხიდანო. ილიამ დასძინა — ეს ახალი გუბერნა-
ტორი არასასიამოვნო პიროვნებააო. მე ვუთხარი — გუბერნატორთან
საჩივარს ვინ გაბედავს, გულიევის მათრახებიდან დაშინებულია ხალ-
ხი-მეთქი.

ძალიან არეულ პირობებში ჩავიბარე მაზრა. იყო ჭურდობა, ძარც-
ვა და მრავალი უწესოება; სხვათა შორის, მივიღე პატაკი მცხეთის

უბნის პრისტავიდგან, რომ საგურამოში გახშირდა ქურდობათ. მო-
გახდინე განკარგულება, დავნიშნე პოსტი საგურამოში ოთხი სტრანის
კისა და ერთი ურიადნიკის სახით, რომ თვალყური ედევნებისათ
წესრიგისათვის. დუშეთის ერთმა მემამულებ გადმომცა — ილია მე-
ტად უკმაყოფილოა თქვენზე საგურამოში სტრანიების დაყენებისა
გამო; რამდენიმე დღის შემდეგ წავედი საგურამოში, ვინახულე
ილია, ნახვისთანავე გადავეცი გაონილი, რომ არასასიამოვნოთ მი-
გიღიათ საგურამოში მცველების დაყენება-მეთქი და ავტესენი მიზე-
ზი, თუ რათ დავაყენე დაცვა — საგურამოში რამდენიმე გლეხი გა-
ძარცვეს, საქონელი წართვეს და სხვა. აი ეს იყო მიზეზი. დავაყენე
მცველები სიმშვიდის დასაცავად-მეთქი.

ილიამ მითხა — ერთი და ორი ავაზაკის გულისათვის არასასია-
მოვნოა სოფელში დაცვის დაყენებაო. მოვახდინე განკარგულება, სა-
გურამოდგან მოვხსენი დაცვა და დავადგინე მხოლოდ მორიგეები --
ღამძამეობით სოფლებში უნდა ევლიათ თვალყურის მისაქცევად, ჩვენ,
აღმინისტრაცია, საგურამოს და ახლო-მახლო სოფლების გლენებს ვეპყ-
რობოდით ძალიან მორიდებულად, რადგანაც ყოველივე ჩვენი მოქ-
მედებას გლეხები ილიას აცნობებდნენ, დიდ მფარველი იყო ილია
გლეხების და დიდ შემწეობას აძლევდა მათ.

ილიას განკარგულება ჰქონდა გაცემული თავის მოურავებზე, რომ
უფასოდ ესარგებლათ ახლო-მახლო სოფლების გლეხობას მისი ტყი-
ლან, როგორც შეშა, ისე ყოველივე საჭირო მასალა, რამდენიც უნდო-
დათ. აგრეთვე გამოუყვანა გლეხებს წყარო თავის ეზოდან, როგორც
სასმელად, ისე საქონლისათვის. დიდი წყლის აუზი იყო გაკეთებუ-
ლი. სულ მუდამ ამას ქადაგებდა: სწავლა-განათლება მიეღოთ და ეს-
წავლებინათ შვილებისთვის, რასაც უდიდეს განძად თვლიდა მთელს-
ცხოვრებაში. ილიას შემწეობით საზოგადო მოღვაწე ილია წინამძღ-
ვრიშვილმა სასოფლო-სამეურნეო სკოლა გააღო თავის ხარჯით სოფ.
წინამძღვრიანთქარში.

ჩემთვის მიუწვდომელია, რომ ავწერო ილიას შეუდარებელი მო-
ღვაწეობა კაცობრიობისათვის და თავის სამშობლოსათვის განსაკუთ-
რებით. მე მხოლოდ ჩემ მცირე მოგონებას გადმოგცემთ.

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის მკვლელობას, ეს მკვლელობა იყო
დაგეგმილი მისივე სახლში მისი მოურავის დიმიტრი ჭაშის ხელმძღვა-
ნელობით: ჭაში რომ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მკვლელო-
ბაში, გამოირკვა შემდეგი შემთხვევით.

მე დაბარებული ვიყავი თბილისში სამხედრო გუბერნატორთან,
რადგანაც იმ წლებში სამხედრო წესები იყო შემოღებული. ვინახუ-

ლე გენერალ-გუბერნატორი ტიმოფევები და მოვახსენე მაზრის მდგომარეობა; გუბერნატორიდგან რომ წამოვედი, საქშე მქონდა ანტონ ფურცელაძესთან. როდესაც დავბრუნდი იქიდან, გამოვიდე იმ ჭუჩაზე, სადაც იყო უანდარმთა საგუბერნიო სამმართველო. შევამჩნიე, რომ უანდარმთა სამმართველოს უკანა ალაყაფის კარიღგან გამოვიდა და-მიტრი ჯაში. დავინახე, რომ ტილოს ჩანთაში აწყობდა რაღაცა ქალალდებს, მე არ დავუნახივარ. დ. ჯაშს ვიცნობდი როგორც ილიას მოურავს და გამიკვირდა უანდარმერიის სამმართველოში რა ესაქმებოდა-მეთქი. უკან რომ მოვდიოდი, დეზების უღარუნი გავიგონე, მოვიხედე და ვნახე უანდარმერიის სამმართველოდან მოდიოდა მცხეთის უანდარმთა ვახმისტრი რომანენკო, თავი დამიკრა, მეც გამარჯვება ვუთხარი და მაშინვე შევეკითხე: თქვენ ხომ იცნობთ ჭავჭავაძის ბოურავს ჯაშს-მეთქი. მიბასუხა — როგორ არაო, ხშირად დაღის ჩემთან მცხეთაშიო. ვკითხე: ეხლა თქვენი სამმართველოდან გამოვიდა-მეთქი? პო, იქ იყოვო, ნეტავი რა საქმე ჰქონდა თქვენ სამშართველოში? ცოტა ხანს შეჩერდა, შემდეგ მითხრა — ის ჩევნთან მუშაობს აგენტადო. ამის შემდეგ არავითარი შეკითხვა იღარ მიმიცა.

ამ ამბის შემდეგ ვიყავი წინამდლერიანთკარში, გამოვიარე სოფ. საგურამოშიც, სადაც ვინახულე ილია ჭავჭავაძე. საღამოს უაში იყო, როდესაც წასვლა დავაპირე, ილიამ მითხრა: გვიან არს, ჩემთან დარჩი, ლაშე გაათიე, თუ რამე გვაქვს, ვჭამოთ და ხეალ წადიო; ილია მარტო იყო, ოჯახობა ქალაქში ჰყავდა, სტუმრად ჩამოსვლოდა მოხუცი ზაალ ჭავჭავაძე. ვახშმად დავსხედით გარეთ აივანზე. მიუხედუვად იმისა, რომ ილია ლაპარაკში ძალიან ძუნწი იყო, ვახშმის დროს ქარგ გუნებაზე იყო და ლაპარაკს თავისუფალ მსვლელობას აძლევდა. ხან ხუმრობითაც ამკობდა. ამ ვახშმის დროს შემოვიდა მოურავი დ. ჯაში, მოურავის შემოსვლაზე ილიამ ჩანგალი ხელიდგან გააგდო, ცუდ გუნებაზე დადგა და შეკითხა რა გინდაო? ჯაშმა უოხრა — ბალისათვის მუშები გვჭირდებაო; ილიამ უთხრა — ხომ ხედავ, ეხლს დრო არა მაქვს და ხეალ მელაპარაკეო, მოურავი გავიდა. ილიამ თავი გაიქნია და თქვა — ეს ვინ მომახვიეს თავზეო, ხალხში დაძვრება, რაღაცა ხმებს ავრცელებსო. ზაალ ჭავჭავაძემ უთხრა ილიას — თუ ასეთი პიროვნებაა, რატომ თავიდან არ მოიშორებო? ილიამ მიუგო — ეხლა კი მალე მოვიშორებ, მაგრამ გვიან არისო.

ამ ლაპარაკში მეც ჩატონო ილია! თქვენი მოურავი უნდა არ იყოს სუფთა კაცი-მეთქი, და გადავეცი ჩემი ნანახი, როგორ გამოვიდა უანდარმთა სამმართველოდან დ. ჯაში და რაც გაღმომცა მცხეთის უანდარმთა ვახმისტრმა რომანენკომ ჯაშის შესახებ. ილიამ თქვა — ეს ჯაში ისეთი პიროვნებაა, ყოველივე საზიზლრობა შეუძლი-

ან ჩაიდინოსო. მეორე დღეს დავბრუნდი დუშეთში. დიდი ხანი არგავა სულა ილიას უკანასკნელად ნახვის შემდეგ, რომ მივიღე ტელეგრაფისა მა მცხეთის უბნის პრისტავი გრიცუნასიდან ათს¹ აგვისტოს, რომ დღეს წიწამურისა და საგურამოს გზაზე მოკლეს ილია ჭავჭავაძეო, თქვენდა ნებადაურთველად მკვლელობის ამბავი ვაცნობე თბილისის გუბერნატორსო. დაუყოვნებლივ გავემგზავრე ცხენით დუშეთიდან, გადავლახე პირდაპირ გზა და საათნახევარში დაახლოებით ვიყავი მკვლელობის ადგილზე.

ვნახე საშინელი სურათი: გზის ნაპირას იყო მოკლული ილია, სისხლში ამოსვრილი, პირისახე მე მოვუსუფთავე. მასთან ახლო იყო ცოლი მისი, ოლღა, უგრძნობლად, თვეგატეხილი და სისხლში მოსვრილი. გზის ნაპირას ტყეში იყო მოკლული მისი ერთგული მხლებელი იაკობა ბითარაშვილი. უველა იყვნენ დაძირცულები მკვლელების მიერ. უბნის პრისტავი თავის სტრაუნიკებით არ იყვნენ მკვლელობის ადგილზე, გამოდგომდენ მკვლელებს მოსანახავად. იყვნენ მხოლოდ ადგილობრივი გლეხები საგურამოდგან. მისვლისთანავე მოგროვდენ ჩემთან და მითხრეს — ბატონო მაზრის უფროსო ხედავთ ჩვენ თავზე რა უბედურება დატრიალდაო. თავზე და გულზე ხელის ცემით ტიროდნენ — მოკლეს ჩვენი ბატონი, ჩვენი პატრონი და ჩვენი მფარველით, დავრჩით ობლად და უპატრონოდ როგორც ჩვენ, ახლა-შახლო სოფლელები, ისე მთელი მაზრაო.

ჩემის მხრივ, მაშინვე მივიღე ზომები, გამოვუბახე სოფლის ხალხს, შევაკვრევინე წიწამურის გზები, საგურამოს ტყეები, იმ დღეს ვერაფერი კვალი ვერ ვიპოვეთ. ერთ და იმავე დროს მოვახდინე განკარგულება: მძიმედ დაჭრილი ილიას ცოლი ილლა გავგზავნეთ ეტოლით თბილისში. ილია და მისი მხლებელი იაკობა წაგასვინგო საგურამოში, მკვლელობის ადგილზე როდესაც მოვიდა დ. ჯაში, ვითომ დიში შეწუხებული იყო. საიდგან მოვიდა და სად იყო არავენ არ იცოდა, ილიას ცოლთან მივიდა და თქვა ირონიის კილოთი — ეგიც მოუკლავენო?

ჯაში რომ ღებულობდა მონაწილეობას მკვლელობაში, მაშინვე შეეტყობოდა; მახსოვდა ილიას ნათქვამი დ. ჯაშზე და მისი უანდარმერის აგენტობა. შევუდექი მაშინვე გამოძიებას, გაცნობე სადაც საჭირო იყო, ე. ი. სამხედრო გენერალ-გუბერნატორს, თბილისის გუბერნატორს და პროკურატურას, საგურამოში დავიბარე დუშეთიდგან

¹ უნდა იყოს 30 აგვისტოს. (რედ.).

მაზრის ექიმი აბელ იაშვილი, გამოძიებას ვაწარმოებდი საცურამოში, ილიას სახლში; საქმე დიდად ძნელი გამოსაძეებული იღმოჩნდა, რადგანაც ეს მჯულელობა იყო შემუშავებული ილიას სახლში, ჯაშის ხელმძღვანელობით. თხუთმეტი დღის განმავლობაში ტანზე არ გამიხდია და არ დამისვენია. ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, დღვე და ღამე ვაწარმოებდი გამოძიებას. გამოძიების დროს საათის ორნე, ღამით, როდესაც ვმუშაობდი, ოთახში კარზე დაგვიკაუნეს. მდივანი ადგა და კარი გააღო, გამოდგა ურიადნიკი ემეცი, რომელიც იყო დაყენებული დარაჯად, თვალყური ედევენებინა ილიას სახლისათვის და ახლომახლო ადგილებისათვის. მომახსენა — ვიღაც მოხუცი გლეხია, თქვენი ნახვა უნდაო. ვუთხარი, რომ შემოსულიყო. შემოსკოისთახავე მითხრა: არ დამღუპოთ, ჩემი მოსვლა არავინ გაიგოსო, ოჯახი არ დამიღუპოთ, ცოლშვილი არ ამომიწყვიტონო. მე პირობა მივეცი, რომ არ გავამხელ და მაშინ არც გამიმხელია. ვკითხე გვარი და სახელი — ვინ სარ, ან რისთვის მოსულხარ ამ ღამეში ორ საათზე? მან მიბასუხა: ჩემი გვარი და სახელი თქვენთვის რა საჭირო არის. მაგრამ ბოლოს მაინც შევიტყვე, იყო ვინმე ვანო ჩალიშვილი. „ჩემი ღარიბობობისა არც ძილი მაქვს და არც ჭიამის მადა, რაც მომივა მომივიდეს, მოვედი სიმართლის სათქმელად, რომ თქვენ სიმართლის გზას არ აცილეთ. მკვლელები არიან ყველა ადგილობრივი პირები მოუტავი დ. ჯაშის ხელმძღვანელობით. მკვლელობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ინაშვილი — ყოფილი მამასახლისი, რომელიც ემალებოდა მთავრობას, გ. ბერბიჭაშვილი, გ. ფშაველიშვილი, პ. მოძღვრიშვილი, თ. ლაბაური და ორი უცნობი პირი, და ჩალიშვილი წავიდა.

მეორე დღეს დავკითხე ილიას ოჯახის ერთგულ მოსამსახურეს შესუც ქალს პელოს, რომელიც ჰყავდათ პურის მცხობელად. ეს ქალი რიცხვი შეწუხებული იყო, დადიოდა და სულ ტიროდა. შევეკითხე: თუ იცი რამე მკვლელობის შესახებ? მიბასუხა: რაც ვიცი, ყველაფერს მოგახსენებ, მაგრამ ჩემი სახელი არსად მოიხსენიო საქმეში, თორემ ძალლივით მომახრჩობენ, მაგ დაწყევლილებმა მკვლელობა გადაწყვიტეს ჩემი პატრონის და მრჩენელის ოჯახში და მის პურლვინოზეო.

პელომ მიამბო: ერთხელ საღამოს, დ. ჯაშს ოთხი კაცი მოპყვა, ორი ვერ ვიცანი, დანარჩენებს ვიცნობდი, ინაშვილს, როგორც ყოფილ მამასახლისს, რომელიც იმაღებოდა თავის ცუდი მოქმედების გამო. დანარჩენი იყვნენ მოძღვრიშვილი, ლაბაური და დ. ჯაში. მთელი ღამე იმ ოთახში, საღაც დ. ჯაში იდგა ოჯახობით, იქეიფეს ილიას პურლვინოზე. დილას მე ავდეჭი ადრე, მაგრამ არავინ მინახავს მო-

ურავის მეტი. მგონი ორ კვირას არ გაუვლია მას შემდეგ, რომ იქნა
მოკლული ჩვენი პატრიონი ილა. პელომ განმეორებით მოხვევა, რომ
გამოძიებაში არ მომისენიოთო, მეც, პირობის მიხედვით, არსად შე-
შიტანია გამოძიებაში მისი სახელი.

როდესაც გამოძიებას ვაწარმოებდი, უკვე დაჭერილი მყავდა მეუტ-
ლე ლაბაური და მწყემსი მოძღვრიშვილი, რადგანაც მათი ჩვენება
ტყუილი იყო. თ. ლაბაურმა თქვა ვითომ მკვლელებმა ილია გადმო-
უდეს ეტლიდვგან და თოფის კონდახით დაუეუჯს, რომ ვნახეთ, ტანზედ
ნაცემობის არავითარი ნიშანი არ აჩნდა, შემდეგ დასძინა — ავაზაკები
იყვნენ ნოფიცრის ტანისამოსით და ლაპარაკობდნენ სომხურადო; მოძღ-
ვრიშვილმა ასეთი ჩვენება მომცა: მე ოთხი თუ ხუთი დღე, ილიას
მკვლელობის დროს, სოფელში ვიყავიო, ჩემმა ქმამ ქალი ითხოვა და
ქორწილს დავესწარიო. ილიას მკვლელობა მაშინ შევიტყვე, როდე-
საც შინ დავბრუნდიო. სინამდვილის დასაზუსტებლად გავიყოლე
ურიადნივი და ცხენებით წავედით მოძღვრიშვილის სახლში. ეზოში მო-
მეგება მოძღვრიშვილის დედა, ვკითხე: სად არიან შენი შვილები? ერ-
თი საგურამოშია და მეორე ტყეში წავიდა სამუშაოდ. ვკითხე —
რომელმა შეირთო ცოლი ან ქორწილი როდის გქონდათ? მას გუვა
ვირდა — არავითარი ქორწილი არ გვქონიაო, ამ დაკითხვის დროს
ორი ადგილობრივი გლეხი მოვიდენ, იმათაც გაუკვირდათ ვინ გამოი-
გონა ასეთი ჭორიო.

დაგბრუნდი საგურამოში, გავაჩხრიყინე მოძღვრიშვილის სადგომი,
სადაც აღმოჩნდა ორ-ლულიანი თოფი თავის ტყვიებით, თოფი იყო
სისხლით დასვრილი. როდესაც ექიმმა იაშვილმა შეადარა ილიას შუბ-
ლიდან ამოღებულ ტყვიას, გამოდგა მოძღვრიშვილის ტყვია. მესამე
დღეს ეტლით მოვიდა თბილისიდვგან გამოძიებული ილიაშენკო. გა-
მოძიების მდგომარეობა ავუხსენი ილიაშენკოს და გადაწყვეტით
ვუთხარი: მკვლელობის ხელმძღვანელია დ. ჯაში და უნდა დავპატიმ-
რო-მეოქი. ილიაშენკომ მითხრა: მე გირჩევთ ჯაში არ დაპატიმროთ,
თორემ უსიმოვნება შეგხვდებათ და ბოლოს საწყენად დაგრჩებათ. მე
ძალიან გამაკვირვა ამ სიტყვამ. ვხედავდი ამ საქმეს ილიაშენკო
გულგრილად ეკიდებოდა, თანაც აჩქარებდა — მალე გაათავეთ გამო-
ძიებაო.

მე გადაწყვეტილად ვუთხარი — სანამ დ. ჯაშს არ დაპატიმრებ,
გამოძიება არ დასრულდება-მეოქი. მან მითხრა, თქვენი ნებაა, მხო-
ლოდ პროცესურატურას გამოძიების შედევი მალე გამოუყზავნეთო. მე
მაშინვე შემეპარა ეჭვი ილიაშენკოს მიმართ, ვხედავდი საჭკვიდ
ქულგრილად ეკიდებოდა, თანაც აჩქარებდა — მალე გაათავეთ გამო-
ძიებაო. წასვლის დროს მითხრა, ჭავჭავაძის მკვლელობა უნდა ვეძი-

ოთ იზურგეთის მაზრაში და არა დუშეთის მაზრაშიც. მე არ ვიყავი თანახმა, ვხედავდი, რომ უნდოდა გამოძიების კვალის დაბნევა. მერე მითხრა, თბილისის „სისკნო აგენტი“ ევტუშევსკი მოგივათო ამ დღე-ებში, ის მეტწილად იზურგეთის მაზრაში იმუშავებსო.

ილიაშენკო დაბრუნდა თბილისში.

ამის შემდეგ დავიწყე დიმიტრი ჯაშის დაკითხვა. მქონდა ცნობები, რომ მკვლელობის დღეს დილით დ. ჯაში და სამი სხვა უცნობნი ცხენებით გამოვიდნენ მცხეთიდან არაგვში და წავიდნენ სოფ. წიწამურისაკენ. როდესაც შევეკითხე ჯაშს, — სად იყავით შენ და სხვა სამი ცხენოსანი-მეტქი, მითხრა — მე არსად არ ვყოფილვარო და იძლეოდა დაბნეულ ჩვენებას ყველა შეკითხვაზე. ინაშვილი და ბერბიჭაშვილი მკვლელობის შემდეგ მაშინვე დაიმალნენ, ვერ შევიპყარით. მხოლოდ ერთი თვის მერე იქნა დაპატიმრებული ინაშვილი სოფ. გლდანში. ბერბიჭაშვილი კი მაშინვე მოშორდა დუშეთის მაზრას, გადავიდა კახეთში (შირაქში), გამოიცვალა გვარი და იყო მეცხვარედ, ამიტომ ვერ დავაპატიმრეთ. მთავარი ჩემი მიზანი იყო, რომ დ. ჯაში დამეპატიმრებინა, როგორც ორგანიზატორი ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა. თბილისში იყო მაშინ ახალი გუბერნატორი, რუსეთიდგან გადმოყვანილი, სტოლიპინის ყოფილი მდივანი გვარად ლიუბიჩ-ერმალოვიჩ-ლოძინო-ლოძინსკი, რომელსაც ძალიან მაღლა ეჭირა თავი, ეს ლოძინსკი არა სასიამოვნო პიროვნება იყო ყველასათვეს.

გუბერნატორი ლოძინსკი არ ემორჩილებოდა გენერალ ტიმოფე-ევის განკარგულებას, მათ შორის იყო უქმაყოფილება. მივმართე გუბერნატორ ლოძინსკის, რომ ნება მოეცა დ. ჯაშის დაპატიმრების, როგორც ორგანიზატორის ი. ჭავჭავაძის მკვლელობისა; მიპასუხა: არ შეეხო, სანამ არ მიიღებ თანახმობას პროკურატურიდანო. ჩემს გამოძიებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, სანამ ჯაში თავისუფლად დადიოდა. დაშიფრული ტელეგრამით მივმართე გენ. გუბერნატორს ტიმოფე-ევს. ავჭხსენი მდგომარეობა და ვთხოვე ნებართვა ჯაშის დაპატიმრების. იმავე დღეს დებეშა მივიღე — დაპატიმრეთ ჯაშიო. ამ ჯაშის დაპატიმრებამ უსიამოვნება გამოიწვია ჩემს წინააღმდეგ გუბ. ლოძინსკისგან და პროკურატურიდგან. როგორც ჩანდა, პროკურატურას ჩემი გამოძიების ასლი გადაეგზავნა უანდარმერიის უფროსთან. დ. ჯაში დავიჭირე, დუშეთის ციხეში გავგზავნე და გადავრიცხე გეხ. გუბერნატორის განკარგულებაში, როდესაც მიყავდათ ჯაში სტრაუნიკებს დამიძახა — ფალავა! გახსოვდეს, მე გავთავისუფლდები და ჩემ ადგილას — შენ ჩაჯდებიო.

დიმიტრი ჯაში იქნა განთავისუფლებული პროკურორის განკარგუ-

ლებით. რამდენიმე თვის შემდეგ. ი. ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე გამოიხატა ირჩა თბილისის სამხედრო საოლქო სასამართლოში. მე ვიყავი გარჩევის დროს დაბარებული, აგრეთვე მოწმედ იყვნენ ზაალ ჭავჭავაძე და დიმიტრი ჯაში, რომელიც არ გამოცხადდა.

ჯაშის დაპატიმრების შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა, რომ დამიბარა უანდარმერიის გენერალმა (მეონი, გვარათ ივანოვმა), დუშეთიდგან თბილისში ტელეგრამით, როდესაც გამოვეცხადე მკითხა: — თქვენ ხართ დუშეთის მაზრის უფროსი, რომელიც გვაბრალებს უანდარმებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასო? მე მივუგი — მე ვამტყუნებ თქვენს აგენტს და არა თქვენ-მეთქი. მითხრა: — განა ეს სულ ერთი არ არისო? მორჩით თქვენ საქმეს და რომ დასრულებთ გამოძიებას, თქვენ უნდა აგოთ პასუხი თქვენი თავითო. ბოლოს, მითხრა თავისუფალი ხარო.

მე წამოვედი და მაშინვე შევეცადე საბუთი მეშოვნა დასამტკიცებლად და გიშოვნე კიდეც ვახმისტრი რომანენკოს მეოხებით, მან მიშოვნა სია, სადაც უანდარმერიის მოსამსახურების სიაში იყო ხელმოწერილი ჯაშის, რომ მიუღია ჯამაგირი როგორც აგენტს უანდარმერიისას.

დაიწყო საქმის გარჩევა სამხედრო საოლქო სასამართლოში, ბრალდებულებს ჰყავდათ დანიშნული მთავრობიდგან სამხედრო დამცველი ახალგაზრდა კაპიტანი; როდესაც დამცველი გამოვიდა თქვა: „ყველაზე მთავარ დამნაშავეს, დიმიტრი ჯაშს საბრალდებო სკამზე ვერ ვხედავო“, თავმჯდომარემ ეს ვექილი მოიხმო ახლო და რაღაცა უთხრა, მე არ ვამიგია რა უთხრა, მაგრამ შემდეგ დ. ჯაშის სახელი ამ ვექილს არ გაუმეორებია.

პირველად ბრალდებულ ინაშვილს დაკითხეს, უარი გათაცხადა — მონაწილეობას არ ვლებულობდიო მკვლელობაში; თავმჯდომარემ შემეკითხა მე, — რა საბუთით ადებთ ხელს თქვენ ინაშვილსო? მე მივუგი — მეონდა ცნობა, მკვლელებ შორის იყო ერთი, რომელსაც აკლდა მარცხენა ხელზე უსახელო თითო-მეთქი; თავმჯდომარემ მიმართა ინაშვილს — მაჩვენეთ მარცხენა ხელიო, რომელსაც მართლა აკლდა მარცხენა ხელზედ უსახელო თითო.

დანარჩენი პატიმრებიც — ლაბაური, მოძღვრიშვილი, ფშავლიშვილი იყვნენ დაკითხული და თქვეს ყველაფერი, ვინც ლებულობდა მონაწილეობას. ლაბაურმა დაუმატა: — პირველად მაშრის უფროსს გამოძიების დროს უარი ვუთხარიო, მეშინდა ოჯახის დაწვის და ცოლშვილის ამოწყვეტისო. შემდეგ მაზრის უფროსი ფალავა ციხეში მოვიდა, სადაც ვიყავი დაპატიმრებული, როდესაც ხელმეორედ დამკი-

თხა, მაშინ ყველაფერი სიმართლე ვუთხარი, ვინც იყვნენ მკვლელები ბიო.

მკვლელობის ხელმძღვანელი იყო დიმიტრი ჯაში, მკვლელები იყვნენ: გ. ბერბიჭაშვილი, რომელმაც პირველი ტყველი მოაწეყა ილიას გველში, იმან წაიღო თქმის საათი, პირთფელი, დაგლიჭა ილიას ცოლს ოლღას საყურე. სროლაში და ძარცვაში მიიღეს მონაწილეობა მოძღვრობის ფშავლიშვილმა, ფშავლიშვილმა და სხვებმა. მე არავითარი მონაწილეობა არ შემიღება მკვლელობაში და გაძარცვაში, მხოლოდ ვიყავი მაყურებელი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე დასრულდა იმავე დღეს, სამხედრო საოლქო სასამართლოში.

როგორც გადმომცეს, ილიას ცოლს ოლღას თხოვნა შეუტანია სასამართლოში, სადაც თხოულობდა ილიას მკვლელები არ ყოფილიყვნენ სიკვდილით დასჯილი, რადგან ილია იყო წინააღმდეგი ადამიანის სიცოცხლის მოსპობის.

ილიას მკვლელობის დღეს გაძარცვეს ილიას ბინა თბილისში, ახლოევის ჭავაჩე. ტელეგრამა მიიღო თბილისის პოლიციებისტრიდან, რომ ილია ჭავჭავაძის ბინა გაცარცვესო, გამოგზაუნეთ ისეთი ვინმე, ვინც იცნობს ი. ჭავჭავაძის ქონებასო. ვაცნობე, რომ მანდ მომსვლელი არავინ არ არის, რადგანაც დღეს მოკლეს ი. ჭავჭავაძე, მისი ცოლი შეიმეთ დაჭრილია და მოკლეს მისი ერთგული შოსამსახურე ი. ბითარაშვილი. ვაცნობე: მოურავი ჯაშის ბინას მიაქციეთ ყურადღება მეთქი. გაეჩხრიკათ ჯაშის ბინა თბილისში, აღმოეჩინათ ილიას ქონება დ. ჯაშის ბინაში.

ამასთანავე, როგორც საქმიდან ჩანს, ჩემი გამოძიებები მხოლოდ ერთი მესამედი აღმოჩნდა საქმეში, დანარჩენი ყველა დაკარგულია.

მე მქონდა ყველა ჩემი გამოძიების ასლები, აგრეთვე დაშიფრული ტელეგრამები შენახული. მთხოვა ჩემმა ბიძაშვილმა იური ფალავაშ, რომ ვაცნობოდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეს, მივეცი წინადადებით, არ დამიკარგო-მეთქი. იმას კი გადაეცა პეტრე გელეიშვილისათვის. როდესაც მოვთხოვე დაებრუნებია ჩემი საქმეები, პ. ველეიშვილმა მითხრა — მაგიდაზე მქონდა დაწყობილი და ვიღაცას წაუღიაო, ე. ი. დაიკარგაო.

მოგონებები ილია ჭავჭავაძეშვილი

(შეკრებილი სამეცნიერო შიხი)

იონა შეუნარგია ავტობიოგრაფიაში წერს: „როცა სამეცნიეროს თავადმა (ნიკოლოზ დავითის ძე დადიან-ჭინგრელსკი — ს. ც.) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავისი მამის. სამეცნიეროს მთავრის დავით დადიანის მდიდარი ხელნაწერი წიგნების ბიბლიოთეკა შემოსწირა, გაგზავნილი ვიქენ სოფელ გორდს (სამეცნიეროს მთავრების საზაფხულო რეზიდენცია იყო, მდებარეობს ოდიშ-ლეჩხუმეს შუა, ე. წ. ასხის მთის კალთებზე შეფენილ ულამაზეს და მომხიბლავ პეიზაჟებს შეიცავს — ს. ც.) ამ წიგნების ჩამოსტანადო. ამ კომისიაში მონაწილეობდნენ: ილია ჭავჭავაძე, ვახილ მაჩაბელი, დავით ერისთავი, გიგა ყიფშიძე, სამსონ ყიფიანი, სრმონ ლოლობერიძე და სხვაო“. ხოლო თავის მოგონებებში — „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“ (იხ. ი. მეუნარგია — „ქართველი მწერლები“, წ. II) აღნიშნავს: „1884 წელსა, თუ 1885 წელს, როცა ილია ჭავჭავიდა საშეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად, ილია ისე გამხიარულდა რომ ბანდას (სოფელია, ამეამად გეგეჭორის რაიონში — ს. ც.) — მექი ფალავასთან და ჩემთან, ცაიშში (იონა მეუნარგიას შობლიური სოფელი, ზუგდიდის რაიონშია — ს. ც.) სულ „ფარინაფარინა“ იმღერა და ფერხულით გული იჯერაო“ („ქართველი მწერლები“, წ. II, გვ. 190).

ილია ჭავჭავაძე რომ ბანდას ყოფილა მექი ფალავასას (მეგრელები ფალვას უწოდებდნენ), ამას შალვა დადიანიც ადასტურებს თავის მოგონებებში (იხ. „ჩემი მარაო“, გვ. 8).

მექი ფალავა საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ნაფიცი ვექილი იყო ქუთაისში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. სოფ. ბანდაში კარგად გამართული სახლები ჰქონდა, სადაც ხშირად იწვევდა ხოლმე ცნობილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძის სტუმრობას ის არ აიცდენდა. პირიქით, შესაძლებელია, ამისათვის საგანგებოდაც ჩავიდა ქუთაისიდან ბანდაში და ეს მისი წვეულება ამ კომისიამ უეჭველად იცოდა. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ამ წვეულებაზე თავიკაცი იყო ნიკოლოზ ტარიელის ძე და-

დიანი, ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და ილიას დიდი შემო-
გობარი, რომელიც პირველი შეხვდა ფალავას ეზოში ცხენით შემო-
სულ ილიას, ცხენიდან ჩამოიყვანა და გადაეხვია.

ჩაუბარებიათ თუ არა გორდის სასახლეში დაცული ხელნაწერი
წიგნების ფონდი, კომისიის სამი წევრი: გრიგოლ ყიფშიძე, სამსონ ყი-
ფიანი და სიმონ ღოღობერიძე, რომელთაც ცხენებისათვის აუკიდნიათ
ეს ტვირთი, ქუთაისისაკენ გამგზავრებულან, იქიდან კი თბილისს. ილია
ჭავჭავაძე და დანარჩენი წევრები კომისიისა გორდიდან — მარტვი-
ლის, ბანძას, ნოქალაქევის (იგივე არქეოპოლისი, ქუჩის ან გოჯას —
ციხე), ძველი — სენაკის, ახალ-სენაკისა და ხეთა-ცაიშის გავლით ზუგ-
დიდს ჰსტუმრებიან. აქ მათ დაუთვალისწიებიათ ეკატერინე დედოფ-
ლისა და ნიკო დადიან-მინგრელსკის სასახლეები, საღაც აგრეთვე და-
ცული იყო მეტად მღიდარი და ძვირფასი ბიბლიოთეკა, როგორც ნა-
ბეჭდი ისე ხელნაწერი წიგნებისა, საიდანაც ბევრი რამ შეარჩიეს თბი-
ლისში გასაგზავნად.

აქვე უნდა შევიშნოთ ისიც, რომ უნიკალური ხელნაწერების ეს
ძვირფასი ფონდი, რომელიც იმ ხანებში გორდის სასახლეში ინახებო-
და, უწინ, დავითის დროს (1832—1854) ზუგდიდის სასახლეში ყოფი-
ლა დაცული და განა მარტო ეს, მთავარს მთელი მუზეუმი პქონდა მო-
წყობილი და გამართული მშვენიერი ექსპოზიციებით როგორც ამას
მ. ბროსე და პლატონ იოსელიანი მოგვითხროებენ. მაგრამ 1854
წელს, თურქეთის შემოსევის გამო, დედოფალსა და გრიგოლ დატანის
ეს განძი უშიშარ ადგილს, გორდის სასახლეში გადაუტანიათ, ეს სა-
სახლე რაკი მტრისთვის მიუდგომელ ადგილს იყო (ამჟამად ამ სა-
სახლეში მოთავსებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), ეს ფონ-
დები შემდეგშიაც იქ დარჩენილა, თუმცა შემდგომ თურქთაგან აოხრე-
ბისა (1855—56) ეკატერინემა და ნიკო ზუგდიდის სასახლეები კვლავ
განახლეს და გამართეს. მაგრამ გარდა დაბეჭდილი წიგნებისა, ძველი
ხელნაწერების ძირითადი ფონდი აქ მათ არ დაუბრუნებიათ გორდიდან.
სიფრთხილის მიზნით ეს კოლექცია ბოლომდე ამ მთის სასახლეში
იყო დაცული.

ზუგდიდის სასახლიდან კომისიის დანარჩენი წევრები: ილია ჭავ-
ჭავაძე, დავით ერისთავი, ვასილ მაჩაბელი და სხვა ამ კომისიის გარ-
შემო დაჯგუფებული ადგილობრივი ინტელიგენცია და საპატიო
პირები, რიცხვით 10—15 კაცი იონა მეუნარგიას თავის ოჯახში მიუწ-
ვევია — სოფელ ცაიშში, რომელიც ზუგდიდიდან 10 კილომეტრზე
ძვეს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ე. წ. ზუგდიდ-სენაკის
გზატერილზე, იმ ხანებში იონას მამა მიხეილ პეპს ძე მეუნარგია

(1824—1904) — წარმოშობით აზნაური, თანამდებობითაც ცაიშის სახელმწიფო კუთხით ტაძრის დეკანზე იყო და საკმაო შექლების მქონეც. მას სიამოვნებით მიუღია შვილის სახელოვანი მეგობრები, რომელთა შორის იყო დიდი ქართველი მწერალი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, რომლის გაზეთ „ივერიაში“ შემდეგ თვითონ მიხეილიც (მ. ცაიშელი) თანამშრომლობდა.

ამ დიდებული სტუმრობის თაობაზე 1937 წლის ზაფხულზე ჩვენ ვნახეთ ამ ამბების რამდენიმე მომსწრე და ამ ლხინის პირადი მონაწილენიც, რომელთაც გვიამბეს შემდეგი:

ზურაბ ქირია (88 წლისა, წერა-კიოხვის მცოდნე, საქმიალ განვითარებული გლეხი, სამჯერ ზედი-ზედ მამასახლისად არჩეული, გვლენიანი და ავტორიტეტიანი მთელ სოფელში, ცაიშის მცხოვრები, იონა მეუნარგიას კარის მეზობელი და დაახლოებით მისივე ასაკისა — ოქაორი თუ სამი წლით უფროსი ვარო) გადმოგვცემს:

„ზიხეილ მეუნარგიას ორი ვაჟი ჰყავდა. უფროსი იყო ოონა. უმცროსი ყრმობაში მოკვდა და მისი სახელი დამავიწყდა. სამი დაი ჰყავდა იონას. ერთი, ბარბარე, ქალწულობაში გარდაიცვალა, ორი — გაუხვდნენ. ერთი მათგანი ვინმე ქუთათურ მდიდარ ვაჭარ, ბელიაშვილს მისთხოვდა. ამის გამო ბიძა — იორიკა ემდუროდა მიხეილს — ქალი გლეხი მიათხოვა — ფული რომ ბევრი ჰქონიდა იმისთვისო.

იონას დაბადება მე არ მახსოვე, მაშინ სამი წლისა ვყოფილვარ. სკოლა მაშინ მხოლოდ მარტვილში ყოფილა თურმე. 8—9 წლისა თუ იქნებოდა იონა, მიხეილმა რომ აქ მიაბარა. ამის შემდეგ იონას სოფელში იშვიათად ვხვდებოდი. სულ აქ იყო. ჭერ მარტვილში, შემდეგ ქუთაისში, ბოლოს თბილისში (ის თბილისს „ქართი“-ს ეძახის — ს. ც.) გადავიდა სემინარისტად. მიხეილი თვითონ არ იყო „სემინარისტი“, უხაროდა, შვილი მაინც მეყოლება ნასწავლიო. მაგრამ ერთ ღროს ეს იმედიც გაუქარწყლდა მას და ბრაზისაგან კინალამ ჰქონდა დაკარგა. თურმე იონას მეფე-იმპერატორის საწინააღმდეგო პარტიაში დაუწყია მუშაობა, რის გამო სემინარიიდან გამოუდიათ. მიხეილი გაჭავრდა და სემინარიიდან გამოგდებული იონა სახლში არ შემოუშვა. ძლიერ გულზეიადი და თავის ნათქვაში კაცი იყო მიხეილი. ერთადერთი ვაჟი ჰყავდა და ისიც კი გაიმეტა. საფრანგეთში რომ წავიდა იონა, არც მაშინ დაეხმარა მამა. არც მერე უგზავნიდა ფულს. ნათესავები თუ უგზავნიდნენ ან გამზრდელები (ხიტუ ქირია და მისი შვილები), ისიც ჩამად, მიხეილმა არ გაგვიგოსო. ასე დასაჭა შამამ შვილი „ურჩობისათვის“.

იონა რომ საფრანგეთიდან დაბრუნდა ნასწავლი, განათლებული,

წიბლისფერი წვერულვაშით დამშვენებული, ლამაზი კაცი იყო იყო, ფრანგულად, ე. ი. იქაუჩი ტანისამოსით ჩატარებული და მეტად გამშვენიერებული, ახოვანი, მაღალი ტანის ვაჟკაცი, — მიხეილს ესიამოვნა. დიდი ხნიდან უნახავი მამა და შეიღლი რომ შესვდნენ ერთმანეთს, დიდი ზემი გაიძართა. მიხეილმა რაც არ გადაუგზავნა საფრანგეთში მყოფ შვილს, სულ ერთად დახარჯა მისი ჩამოსვლის ზემომზე, ნადიმი ერთ კვირას გაგრძელდა. ნათესავ-მეგობრებმა და ნაცნობებმა ინახულეს იონა. შეორე კვირას ნადიმი გაგრძელდა იონას გამზრდელის წიტუ ქირიას ოჯახში. მას ხუთი ვაჟი ჰყავდა, ხუთივე დაოჯახებული და ხუთივე ძიძიშვილმა ცალ-ცალკე გადაუხადეს ნადიმი სასახელო გაზრდილს. განსაკუთრებული სიხარული ძიძამა და მორდუმ (მამა-მძუქე) განიცადეს, რომ ასეთი დიდებული გაზრდილი გამოუვიდათ...

ამის შემდეგ იონა თბილისში (ქართში) წავიდა და იქ დიდხანს ცხოვრობდა. გამიგონია გაზეობს აკაცებს, ისიც კი გამიგონია, რომ ისეთ დიდგაცებთან აქვს საჭირო, როგორიც ილია ჭავჭავაძე (ის ჭამჭავაძეს ამბობს — ს. ც.), აკაცი წეროელი, რაფიელ ერისთავი (ერისთავს ამბობს — ს. ც.), ნიკო ნიკოლაძე და სხვები.

მე არც ერთი ესენი, გარდა ნიკოლაძისა, ნანახი არა მყავდა. აკაცი წეროელი მხოლოდ 1911 წელს ვნახე, როცა აქ ჩამოვიდა და ზუგდიდშიც ორი დღე დაპყო. ნიკოლაძეც ხშირად მინახვს ფოთში, აქაცი კაიშვი, იონასთან სტუმრად. ისე კი იონასაგან მქონდა ვაგონილი ილია ჭავჭავაძე და აკაცი წეროელი დიდი პოეტები — საქართველოს დამცველები არიანო. მათი ზოგიერთი ლექსიც წამიკითხავს. რაც შეეხება რაფიელ ერისთავს, ის ჩემს ახალგაზრდობაში მინახავს. ზუგდიდის „უეზდის ნაჩალნიკი“ იყო და ხალხიც ძლიერ მაღლიერი ჰყავდა. პირველად იმან მოაწყო ზუგდიდის ბულვარი და გაამშენირა დაბა ახალი ნარგავებით. მისგან დარგული ჭანდრების ხეივანი ახლაც ამშვენებს ზუგდიდს. იმ ვეება ჭანდრებს, რომელიც ახლა ზუგდიდის გრძელ ბულვართ აჩრდილებენ, ერისთავ ჭანდრებს ვეძახით. მიხეილ-თან შოდიოლა ხანდახან.

მიხეილის დედა ელიავას ქალი იყო, რომელსაც დიდი ვეტორეტური ჰქონდა, რადგან დავით დადიანის (სამეგრელოს მთავრის) ქალის, სალომეს ძიძა ყოფილა. ასე, რომ ხატების მჭედელი პეპუ მეუნარგია სალომეს მორდუ იყო და მისი მეუღლე კი ძიძა. მიხეილი და მისი ძმები (გიგო და პავლე) — ძიძაშვილები იყვნენ მთავრის შვილისა.

მიხეილს უხაროდა, რომ მისი შეიღლი ასე დაახლოებული იყო ქართველ მწერლებთან. არ მახსოვს თუ რომელ წელს მოხდა ეს ამბავი, ისე კი ნამდვილად 35 წლის მეტისა თუ არა ნაკლებისა არ ვიქნე-

ბოდი, როცა იონა ესტუმრა მამამისს თავისი მეგობრებითა. მათ შემდეგ რის იყო ილია ჭავჭავაძე, ერისთე (რაფიულ ერისთავის სხვა სახელი არ ახსოვს — ს. ც.), მანჩაბერი (ალბათ, მაჩაბელი — ს. ც.), ფალავა, ბატონიშვილი, ალბათ, მექი ფალავა და ნ. დადიანი (დადიანი ხომ ბატონიშვილია მეგრულად, ესენიც გაცყოლიან ზუგდიდს — ს. ც.) და სხვა დიდებულები, რომელებიც 15 კაცზე მეტი იქნებოდნენ, ცხენებით მოვიდნენ ზუგდიდიდან.

შე, როგორც კარის მეზობელი* და მასთან როგორც მიხეილისაგან მოწონებული ახალგაზრდა, ამ სტუმრების მოსამსახურედ ვიყავი მიწვეული და დაყენებული. ჩემთან ერთად იყვნენ იონას ძიძიშვილები საბაია, ანტონია და გუგა ქირიები. გაზაფხულის თვე იყო, მარტი თუ აპრილი, არ მახსოვს.

იონას ადრე ეცნობებინა მამისათვის, რომ ამა და ამ დღეს მოვდივარ და ესა და ეს კაცები მომყავს სტუმრადო. მიხეილმაც დაგვატრიცლა. ცოლი მაშინ მკვდარი იყო, ქალებიც გათხოვილი იყვნენ. მარტო, ბერივით ცხოვრობდა იმ თეთრს სახლში, რომელიც ახლაც დგას. იმის შინ ჩვენებური ხის ოდა იდგა და მის უკან სამზარეულო. ყველაფერი ბჟევრი პქონდა, როგორც სანოვაგე, ისე ფულიც. მიხეილი მდიდარ კაცად ითვლებოდა. ლხინი ქვითვირის სახლში გაიმართა. დაიკლა ერთი დიდი ხარი, რამდენიმე ცხვარი, გოჭებს, ქაომებსა და ინდაურებს ხომ რიცხვი არა ჰქონდა. ორი მზარეული მუშაობდა, ორივე ზუგდიდიდან მოყვანილი. მათ ეხმარებოდნენ მეზობლის ქალები და სხვა სავაჭყაცო საქმეები ჩვენზე იყო მინდობილი. ამ დღისათვის მიხეილმა მოიპატიუა: თავადნი აფაქიძენი (ის ამბობს აფაქიას) ბეჟან, დათა და მიხეილი, იყვნენ აგრეთვე ყაღვა, ანჩაბაძე, ხეცია (მხეიძეს ნიშავს — ს. ც.) და სხვ. (სახელები არ ახსოვს — ს. ც.), მომლერლები სპეციალურად შეაგროვა ზოგი ზუგდიდიდან, ზოგიც ხეთილან (კობახიძენი იყვნენო), ზოგიც აღგილობრივი გლეხთაგანნი შეაჩინა მარჯვე და კარგი მომლერლები, სუფთად და ლამაზად ჩაცმულნი იყვნენ, რასაკვირველი, ჩოხითა, ხმალ-ხანჭლითა, დამბაჩებითა და სხვა შესაფერი მოწყობილობით. ყველა ამას მიხეილის ძმა გიგო ხელმძღვანელობდა. მომლერლებში თავიკაცი ვიღაც ჩიქვანი იყო, ზორბა, შემელი, ტკბილმოსაუბრე და ლამაზი სახისა. მთელი სოფლისა და ახლო-მახლო მცხოვრები ლამაზი ქალები აქ მოაყვანია მიხეილმა. ზოგი მეჩონგურე იყო, ზოგიც მოცეკვავე, ზოგიც კარგი მომლერალი.

სტუმრებს ჯუმას (ბატარა მდინარეა ცაიშში — ს. ც.) გაღმა მივეგებეთ. ეზოში რომ შემოვიდნენ სტუმრები, მათი ცხენები ჩვენ ჩავიბარეთ, რომ მათთვის წესიერად მოგვევლო, გვეძოვებინა, ღამეც „აგ-

ვარაში” (სადაც პირუტყვს აბამენ ან საერთოდ ინახავენ ღამით) შეუძლია გვენახა და დაგვაცა ქურდობისაგან, რაც მაშინ ძლიერ გახშირებული იყო.

სტუმრები პირველად სახლში შევიდნენ. კიბესთან შეხვედრილ მიხეილს მიესალმნენ, ზოგმა გულზე აკოცა, ზოგმა შუბლზე. ილიამ გულზე აკოცა. დაბალი იყო, ჩასკვნილი, მხიარული სახისა, ლამაზი. შავ-წვერ-ულვაშიანი, შავი — რუსული ტანისამოსი ეცვა ყველანი იმას ვუყურებდით, თუ როგორ მოიქცეოდა. მიხეილს დიდხანს ესაუბრა. საუზმეზე ღვინო არ დალია, როცა წამოიშალნენ, ეკლესიაში წასვლა მოისურვა. მიხეილიც გაჰყვა. ერთი მღვდელი წინდაწინ გავზარნა, მგონი კუკავა იყო გვარად და ორი დიაკვანი, გახარია და მაქაცარია, რომ ტაძარი გაელოთ და წესიერად დახვედროდნენ. მიხეილს ბერები არ უყვარდა და კიდევაც გარეკა ისინი და მონასტერიც დაახურვინა. უკანასკნელი ბერი — ცაიშის მონასტრის წინამძღვარი — სიმონ აფაქია, აქედან ხობის მონასტერში გადავიდა. ბერებისა და მათი წინამძღვარის საღვომი, ეკლესიის ეზოში მღვარი დიდი სასახლე, რომელსაც საბეროს ეძახდნენ, მიხეილმა სკოლად აქცია. აქ მან მოაწყო სამრევლო სკოლა და ახალგაზრდა მასწავლებელი მოაყვანინა მის გამგეო.

სტუმრებს ეს ჩვენი ძველი, თამარ მეფის მიერ აგებული (ნამდვილად კი ის მე-12 საუკ. დასაწყისშია აგებული, დავით აღმაშენებლის დროს — ს. ც.) ტაძარი დაწვრილებით დაეთვალიერებიათ. როგორც ამბობდნენ, ილიას ძლიერ მოსწონებია მისი მოვლილობა, სისუფთავე, დაცულობა, მასში დასვენებული ხატები და ძველი ნივთები. შიგნით ეკლესიაში დასაფლავებული მთავრის ბავშვების (ეკატერინე ჭავჭავაძის შვილების) სასაფლაოებიც უნახავს და ყველა მათი წარწერა წაუკითხავს. განსაკუთრებით მოსწონებია ეზო, მასში მღვარი ორი დიდი ცაცხვისა და კაცლის ხეები თავისი საჯირითაო მოედნითა, სადაც ყოველ წლის 8 სექტემბერს (ლვთისმშობლის დაბადების დღეს — ს. ც.) იმართებოდა სასოფლო დღეობა.

სტუმრები რომ დაბრუნდნენ, სუფრა უკვე გაშლილი იყო და საღილობაც დაიწყო. თამაღლება პეტრ უორდანისა დაეკისრა, რომელმაც ქართული ენა გვარიანად იცოდა. მოსიმღერე და მოქეიფე ხომ იყო და იყო. ლხინი დიდხანს გაგრძელდა, თითქმის შემოათენდათ. ილიამაც რამდენიმე ყანწი მიირთვა ოჯალებისა, ძლიერ გამხიარულდა, ყველაზე მეტს ერისთავი, დიდი, ზორბა, ლამაზი სათვალებიანი კაცი, ოხუნჯობდა, მისი ლაპარაკი ყოველთვის დიდ სიცილსა და ხარხარს იწვევდა, უმთავრესად რუსულად ლაპარაკობდა, მე კი, რუსული კი არა, ქართულიც ძლივს მეყურებოდა, ამავე დროს იქ სუფრაზეც არ ვიზექი.

როგორც ხელზე მოსამსახურეს, ხშირი შესვლა-გამოსვლა მიწვდა და მაშინ თუ მოვკრავდი რამეს ყურს ან თვალს. სიმღერა გაჩალდა, რასაც ცეკვა მოჰყვა. ცეკვაში ილიაც ჩაერია. ფერხული მოითხოვა. თვითონაც ცეკვავდა და ყველანი ჩაგვაბა, წრე ისე გაიჩარდა, რომ დარბაზში არ ეტეოდა. თამადამ მოითხოვა, ვინაიდან ფერხულს დიდი დარბაზი უნდა, უმჯობესია ხეალისთვის გადავდოთ და რაკი ეზო ფართოა, აი. იქ ვიცეკვოთო, მაგრამ ილია არავის არ უყურებდა. მას ძლიერ მოქმედონა მეგრული ფერხული და თუმცა თვითონ ვერ იმღერა, ფეხი მარიც ააყოლა, რამაც უჩვეულო მხიარულება, სიცილი და ქუდების ჭერში სროლა გამოიწვია.

ილია განსაკუთრებული გულისყურით უსმენდა ჩინგურსა და სიძლერებს, არ მახსოვს თუ რომელი სიმღერა იყო, რამდენიმეჯერ გამეორებინა მეჩინგურე ქალს და თვითონაც ააყოლა ხმა. კარგად შეზარხოშებულმა ილიამ წამოიწყო ერთი კახური სიმღერა, საიდანაც მხოლოდ ერთი სიტყვა დავიმახსოვრე დღემდე. ეს არის „ფარინა-ფარინა“, რითაც ყოველი სიმღერა თავდებოდა, ილიას ხმა ააყოლეს ერისთემ, მანჩანაბერმა, ფალვამ, იონამ და სხვებმაც. შესანიშნავი სიმღერა გამოვიდა. ეს სიმღერა „ფარინა-ფარინა“, შემდეგ ოდნავ გადამახინჯდა „ფაფარინა-ფარინას“ ვამბობდით, იგი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ დავიწყებია ჩვენს კუთხეს. ილიას მოსაგონარად მას ყოველ შეკრებილებაზე და სურტაზე გმოეროდით. ამჟამად კი კარგახანია იგი მივიწყებულია და ასე ვინმე ჩემსავით 80 წლის მოხუცს უკავშიროდება, თორემ ახალგაზრდებმა არ იციან.

შეორე დღეს, დილით, მცირე ძილისა და დასვენების შემდეგ, კვლავ გაოშალა გრძელი სუფრა ეზოში. მიხეილმა სთხოვა სტუმრებს კიდევ ერთი დღე დარჩენილიყვნენ, მაგრამ ილიამ უარი თქვა და წასვლას ჩქარობდა. ცხენების შეკაზმვა მოითხოვა, რაც უმალვე იქნა შესრულებული. ბეჟა აფაქიამ თხოვა სტუმრებს დასწრებოდნენ ჭირითს, რაც ეკლესიის მოედანზე უნდა გამართულიყო. ილია სიამოვნებით დათანხმდა და მოედნისაკენ გასწიეს, რომელიც ეზოდან სულ 200 ნაბიჯზე იქნებოდა. საპატიო ადგილს მდგარმა ილიამ დიდხანს უკავირა ჭირითს, რომელშიც გაიმარჯვეს დ. აფაქიამ, ხეთელმა კობახიამ და ჩიქვანმა.

ილია დიდი კმაყოფილებით დაგვშორდა, სათითაოდ ყველას დაგვემშვიდობა, ზოგს ხელი ჩამოვგართვა, ზოგსაც ჰაეროვანი კოცნა გვიძლვნა. განსაკუთრებით ლამაზ ქალებისაკენ იყო აღერსიანად. მელექსე პეტრე მეუნარგიამ ექსპრომტად უთხრა ლექსი მეგრულად, რომელშიც გამოთქმული იყო დიდი მადლობა, რომ მისი სტუმრობის

ლირსი გაგვხადა, სამეცნიერო გააბეღნიერა, გაახარა და აგრძნობინა მთელ ჩვენს კუთხეს, რომ მარტო არა ვართო, არამედ სამშობლო საქართველოს საუკეთესო შვილები ჩვენზე ზრუნავენ. ამავე ლექსში იხიც იყო ნათელი რომ ილიამ რუსთაველი მზეს მიამსგავსა, რისოვისაც ულრმესი მადლობა მოახსენა, გულზე ეამბორა ძვირფას სტუმარს, შემდეგ უზანგი დაუჭირა და ცხენზე შესვა.

უკვე ცხენზე მჯდომარე ილიამ ერთი მაგრად მოიქნია მათრახი და ცხენი ჭიმქრამდე გააგირითა, ხოლო მანჩაბერმა ეზოდან ჯუმაშ-დე მიაჭინა ცხენი. ჯუმს გაღმა ყველანი შეიყარნენ, ნაწილი ცხენონებისა ზუგდიდისაკენ წავიდნენ, ნაწილიც სენაკისაკენ; ილია, ერისთე, შანჩაბერი, იონა და ზოგი ხეთიდან ჩამოსული სტუმრებიც სენაკის გზას გაუდგნენ.

სტუმრების წასკლის შემდეგ ლჩინი ჩვენ განვაგრძეთ, მიხეილი თავს გვადგა, სიმარჯვეს, ზრდილობას და გულკეთილობას გვიქებდა, თანაც გვიხსნიდა თუ ვინ იყვნენ იონას სტუმრები, განსაკუთრებით აქებდა ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც მეორე დილას, ეზოში გაშლილ სუფრაზე უთქვამს: „სამეცნიეროში მოვედი და საქართველო ვნახეო“...

მიხეილი ოლტაცებული იყო ამ სიტყვებით და ამბობდა: „დიდი ბრძენი და ჭკუანი კაცია ილია, იცის თუ სად რის თქმაა საჭირო. ეს სიტყვები ეხლა ჩვენი კუთხისათვის მალამა“.

დიმიტრი მატახერიაშვილი (78 წლის, ამ სოფლის აზნაურთა-განი, შინაური განათლებისა მქონე და ქართული და რუსულის ენების საკმაოდ მცოდნე), ზურაბის ნამთბობს დასძინა:

„მე სწორედ იქ ვიფექი იმ სუფრაზე და „გახსოვს ტურფას“ ვმოეროდი, როცა ერთ-ერთი სადღეგრძელოსთან დაკავშირებით ეს სიტყვები — სამეცნიეროში მოვედი და საქართველო ვნახეო — რომ თქვა ჭავჭავაძემ და ერისთავმა „ვაშა, ვაშა“ შესძახა. ილიამ ისიც კი თქვა, დაამატა დიმიტრიმ — „ძალიან მომეწონა ამ მხარის მოსახლეობა, ეზოების განლაგება, სისუფთავე, სახლები, მცხოვრებთა ზრდილობა, სიფაქიზე და მეტადრე სიმღერებით“.

გუჯა, ლევა და მარკოზია ჭირიებმა (იონას ძიძისშვილებმა) მითხრეს:

„ჩვენ ერთი კვირით აღრე ვიყავით გაფრთხილებული მიხეილისაგან, რომ იონას ქართიდან (თბილისიდან) დიდი კაცები მოყავდა და პატივი ვცეთ, რაც შეგვეძლებაო. ოჯალების ღვინო ჩვენ მოვიტანეთ ურმით სოფელ ჭკადუაშიდან, სალომე დადიხეს (დადიანის ასული — სალომე მიურატისას ასე ეძახდნენ — ს. ც.) სასახლიდან. იმან გამოუგზავნა

იონას ერთი კასრი ღვინო და თანაც დაგვაბარა, შეიძლება მე და ჩილიც (აშილ მიურატი, სალომეს მეუღლე) ვესტუმროთო. დეკანოზი ძლიერ გახარებული იყო იმათს მოლოდინში, მაგრამ რატომდაც ვერ მოვიდნენ იმ დღეს, შემდეგ გავიგეთ რომ ბებე (ქალი, ანტუანეტა—ს. ც.) ავად გახდომოდათ და ვერ წამოსულიყვნენ. მიხეილისათვის მოულოდნელი შეიქნა სტუმრების წასვლა. იმას ეგონა, რომ ისინი ერთ კვირას მაინც დარჩებოდნენ და თაღარიგიც ამგვარი ჰქონდა. რომ წავიდნენ, ერთ ხანს მოიწყინა მიხეილმა. მაგრამ შემდეგ კვლავ გამხი-არულდა, რომ დარწმუნდა მისი შვილი სახელოვან კაცებთან არის საქ-მით დაკავშირებული. დაუძახა თავის მღვდელს, დიაკვნებს, მასწავ-ლებლებს, მეზობლებს და მთელი ღამე გვაქერდა, რაც კი რამ სანოვაც დარჩა, ყველა ჩვენ შეგვაჭამა და საკუთრივ, მის მიერ დაყენებული ადესის ღვინოც ჩვენ შეგვასვა, ოლონდ მისი შვილისა და მისი სასახე-ლო სტუმრების სადღეგრძელო გვეთქვა. ამ სტუმრების შემდეგ დუ-კანოზის ოთახში სულ მუდამ ეკიდა სურათები ილია ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავისა“.

ილია (იგივე ილიკო, კოხ ტას ძე მეუნარგია) ადგილობრივი პროვინციი 62 წ. ჩემთვის ხშირად უამბნია მამამი-სის ნაამბობი. იგი მონაწილე ყოფილა ამ უჩვეულო ლხინისა, ილიასთ-ვის და ყველა მის მეგობრისათვის ხელი ჩამოურთმევია. მის შეკრდზე რომ სტანისლავის II ხარისხი დაუნახავს, ილიას უკითხავს თუ სად მიიღო და როცა მოუხსენებია 1878 წ. თურქებთან ბრძოლაშიო, ილიას მხარზე ხელი დაუთათუნებია და უთქვამს: — ყოჩაღ, ასე უნდაო. ამ კოხტას გადმოცემით, ილია ძლიერ დაინტერესებული პეპუს (იონას პაპა — ს. ც.) გაკეთებული ხატებით და მიხეილისათვის უოხოვია მათ დათვალიერება. ამიტომ ის ტაძარში შეიყვანეს და კარგა ხანს დარჩა, სანამ ყველა ხატი და განსაკუთრებით კი, პეპუს მიერ ნაჭედი ხატები არ დათვალიერაო.

ილიას არ მოსწონებია, ცაიშის ტაძარი რომ ყავრით ყოფილა მაშინ გადახურული და ისიც დიდი ხეისა — დაობებულ-დახავსებული. უთ-ქვამს: არა სჯობდა რომ კრამიტით ყოფილიყო გადახურულიო? მიხეილ-მა მართლა მალე ჩამოაყრევინა ეს დაძველებული ყავარი და ეკლე-სია ცისფერი ცინკით გადახურა, მას შემდეგ ამ ტაძარს სახურავი არ გამოსცვლია, მხოლოდ რამდენიმეჯერ შეიღება (ამჟამად ნაკრძალ ძეგლად გამოცხადებული ამ ტაძრის სახურავი წითელი საღებავით არის შეღებილი, უწინ კი ცისფერი იყო და ძლიერ შვენოდა მიღა-მოს — ს. ც.).

ილიას ძლიერ მოეწონა თურმე, ცაიშის სერებზე მოფენილი ტყეე-

ბი დაფნისა, რომელიც დეკანოზის ეზიშიც ბლომად იყო მოშენებული ითხოვა მისი სანერგები, რომლის ჩამოტანას იონა დაპირდა სხვა დროსთვის. მაშინ კი, მახსოვს, თესლიც გაატანესო და ისიც ასწავლეს ფუ როგორ უნდა დაეთესა და გადაერგო შემდეგ. ნერგები, არ ვიცი, მერე იონამ ჩაუტანა თუ არა, თესლი კი მაშინაც ბლომად გაატანეს — მთელ ეზოს ეყოფოდა თუ კი იხეირებდა ქართის ჰავაზე და ნიადაგზეო. ამაზე დავით ერისთავს უხუმრია, — ილია სადაც არ უნდა მივიდეს, ყველგან მეურნეობა უნდა დაიწყოსო. იონა, ჩქარა წავიდეთ თბილისში, თორემ შეიძლება ცაიშში დარჩეს და დაფნის მოშენებას მიჰყოს ხელიო. — ამაზე ბევრი უცინიათ. ილიას უთქვამს, თქვენ არ იცით თუ რა ძვირფასი და ფრიად სასარგებლო მცენარეა კეთილშობილი დაფნაო. რაკილა ასე ველურ პირობებში და თავისუფლად ხარობს აქაურ ტყეებში, ეცადეთ კეთილმოწყობილად და ეზოებში მოაშენოთ და ნახავთ თუ რა სარგებლობის მომტანი იქნებაო. მართლაც, მას შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ დაფნას საღლაც დიდი ბაზარი გაუჩნდა, მყიდველები შემოგვესივნენ და ერთი ფუთი ფუთოლი 5 მანეთიდან 10 მანეთამდე ღირდა ოქროთი, რამაც დაფნის პლანტაციების სწრაფი ზრდა გამოიწვია და სულ რაღაც ათიოდე წელიწადში მთელი ცაიში, ხეთა და მის ახლო-მახლო სოფლები დაფნის ტყეებით შეიმოსაო, დასძინა ილიკო მეუნარგიამ, რომელიც თვითონაც ერთი პატარა პლანტატორი იყო დაფნის კულტურისა...

ცაიშიდან წამოსულ იონას სტუმრებს ღამე დაბა ახალსენაცში გაუთევიათ, თეიმურაზ კაკაბაძის სასტუმროში, როგორც ეს იონას აქვს ჩაწერილი თავის უბის წიგნაკში. სასტუმროს მეპატრონე კაკაბაძე აღფრთოვანებით შეხვედრია ამგვარ სტუმრებს. არც ღამის გასათვეო და არც ვახშამ-საუზმისა არაფერი აულია (რესტორანიც იქვე ჰქონია). „ილია ჭავჭავაძე მესტუმროს და ქირა გადავახდევინო, მაშინ ან რა მეგრელი (კაკაბაძეები ძეველადვე ხონიდან სამეგრელოში გადმოსახლებულან, ნაწილიც სამურზაყანში სახლობენ და იქ კაკაბანძის ეძახიან, სამეგრელოში კი კაკაბანძეს — ს. ც.) ვყოფილვარ, ან სად გავახილო თვალიო, — უთქვამს. ილია ჭავჭავაძე უბრალო ვინმე არ გეგონოთ, მეფის ტოლი კაცია, ნამდვილად სამეფო კაცია, მისი სტუმრობა დიდად სასახელოა“. მთელ თავის სიცოცხლეში მისა ტრაბანობდა თურმე, იონამ ილია ჭავჭავაძე მე მომიყვანა, იცოდა, რომ მე ვიყავი იმისი სტუმრობის ღირსიო. ამის გამო დიდად მადლიერი იყო თურმე იონასი და მუდამ პატივსაც სცემდა.

შეორე დილიდ აღრე, ამგვარი მასპინძლისაგან შეტად ნასიამოვნები სტუმრები ფოთიდან გამოსული მატარებლით თბილისში გამგზავრებულან.

1937

ეს ჩემი ძველი ჩანწერები წავუკითხე ამეამად თბილისში მცხოვრებ (ბარნოვის ქ. № 100) ვლადიმერ დუტუს ძე შეუნარვიას (78 წლის), რომელიც იონა მეუნარვიას ნათესავდა (პაპის ბიძაშვილის შვილის-შვილი) და ამავე დროს რამდენიმე წლის განმავლობაში მისი პირადი მდივნად ნამყოფი, როცა იონა მომრიგებელ-შუამივლად იყო ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში (1898—1907 წწ.). ლადიმ (შინაურობაში ასე ვეძახით) განაცხადა:

ილია ჭავჭავაძე რომ ცაიშში მოიყვანა იონამ, მე მაშინ პატარა, 10—11 წლისა თუ ვიქებოდი. წერა-კითხვას იონას მამის მიხეილის დიაკვანი ჭანტურია მასწავლიდა. ამიტომ მათ ოჯახში ხშირად, აკირა-ში ორჯერ მაინც მიხდებოდა მისვლა. ჭავჭავაძე და მისი მშხანაგების მოსვლის გამო ამ ოჯახში ჩატარებულ ზეიმძი მე აბა რა შონაწილეობა უნდა მიმეღო, გარდა იმისა, რომ სხვა, სოფლის ბიჭებთან ერთად, შორის, მიხეილის ხის ოდის უკან მაღალი ბორცვი რომ არის, იქიდან, ვულქეროდით ამ ფრიალ საპატიო სტუმრთა მისვლა-მოსვლას, ათასში ერთხელ თუ ვინმე უფროსთაგანი დაგვიძახებდა და ქვევით რომ წყაროა, იქიდან კოკებით წყალს თუ მოგვაზიდვინებდა. ეს იყო ჩვენი მონაწილეობა ამ სტუმრობაზე.

შემდეგ კი, როცა წამოვიზარდე და ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში რომ ვსწავლობდი, სადაც გამგედ სამსონ ყიფიანი გვყავდა, აი მაშინ გავიგე მხოლოდ, თუ რა დიდად საპატიო სტუმრები ჰყოლია იონას, რაც შეეხება იმას, რომ ილიას უთქვამს: სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო (სამარგალოშა ქომოვრთი დო საქორთუო ქობძირი), ეს მე მრავალჯერ გამიგონია ბიძაჩემ კოსტასაგან. ეს სიტყვები უთქვამს ილიას მიხეილის ეზოში მდგარ დიდი კაკლის ხის ძირას. მის ჩრდილქვეშ მსხდარან და რაღაც საუბარში გართულ ილიას თავისი სიტყვა ასე დაუსრულებია, რომელიც იონას მაშინათვე ჩაუწერია და მამისათვის მიურთმევია. ილიას ამ სიტყვებს დამსწრე საზოგადოებაში დიდი აღტაცება და აღფრთოვანება გამოუწევია.

სხვა, რაც კი თქვენ ამ რვეულში ჩაგიწერიათ, ყველაფერი სწორია,

მეც ასე გამიგია ეს ამბები. შიხეილი 1904 წელს გარდაიცვალა ლა 80 წლისა და სულ ამ მისთვის სასიქადულო შემთხვევას იგონებდა.

შიხეილი არ იყო დიდი ნასწავლი. კაცი. მას მხოლოდ მარტვილის სკოლა ჰქონდა დამთავრებული და იქვე იყო გაწვრთნილი მონასტერში ბერების მიერ. მაგრამ ბლალოჩინობა და შემდეგ დეკანოზობა მაინც მაღალ მიიღო, პრინცესა წყალობრივა და იმიტომ. ჟვერლაფერი იმან გაუკეთა ეპისკოპოს გრიგოლთან; ისიც დადიანი იყო (დავით დადიანის ქალი სალომე იონას მამიდამ გაზარდა და არა ბებიამ, როგორც ეს თქვენთვის მოუხსენებიათ). ამიტომ სალომეს, შემდეგ პრინცესა მიურატს განსაკუთრებით უყვარდა მიხეილის ოჯახი და იქ ხშირად დადიოდა. შემდეგ იონამაც თავისი უფროსი ქალი საშა სალომეს მოანათვლინა, ამიტომ საშას ნამდვილად სალომე ჰქვიან, მისმა ნათლიამ ასე დაარქვა. მეორე შვილი გრიგოლს მოანათვლინა და ამგვარად ესენი დიდად დაახლოებული იყვნენ. გრიგოლი (დადიანი, მწერლობაში რატი კოლხიდელი) ისე იყო იონაზე შეყვარებული, რომ უიმისოდ ვერ ძლებდა. იონას მისი ნახევა რომ დაავიანდებოდა ქუთაისში, ის უდეპეშებდა და თან გზის ფულად ხუთ თუმანსაც მოაყოლებდა, რომ დაუყოვნებლივ მისულიყო და ენახა ეს მარტოდ-მარტო დარჩენილი მოხუცი.

ჩვენს გვარში ყველაზე მდიდარი და შეძლებული ოჯახი პეპუს (იონას პაპის) ოჯახი ყოფილა. პეპუს დედა ქოიავას ქალი სოფელ დარჩელიდან, შეძლებული აზნაურისშვილის ასული ყოფილა, მამა — ხუტუ პირველი გაღმოსახლებულა სოფელ ხეთიდან ცაიშში და გააზნაურებულა კიდევ სამეგრელოს რომელიდაც მთავრისაგან. ამისი საბუთიც არსებობდა, მაგრამ არ ვიცი შემდეგ რა იქნა. ისიც მიხეილს ჰქონდა.

მიხეილი საერთოდ მაგარი კაცი იყო, მომხვეჭი, შრომისმოყვარე, ზედმიწევნით მტკიცე ხასიათისა და წესიერების მოყვარე. თანამეგვარები და ღვიძლი ძმებიც კი არ უყვარდა თავიანთი დაუდევრობის გამო. ამ მხრივ იონა სრულიად არ გავდა მამას, რაც ამ ორთა შორის ხშირ უთანხმოებას იწვევდა. მაგრამ იონა მაინც უყვარდა მიხეილს, რაკი კარგ წრეში იყო მოქცეული და ისეთი მეგობრები ჰყავდა, როგორიც იყვნენ, ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე და სხვები.

მიხეილს არ მოსწონდა ის გარემოება, რომ იონა მეფის მოხელედ არ დგებოდა, ჩინოვნიკობას გაურბოდა, სახელმწიფო სამსახურს არ ეტანებოდა. რამდენიმე წელიწადს მომრიგებელ შუამავლად იყო. მე

ვახლდი მდიგნად. ორ წელიში და ზუგდიდში იმუშავა, შემდეგ ხენაჭში, ბოლოს ლეჩხუმში, მაგრამ გუბერნატორთან სულ მუდამ უთანხმოება პქონდა. გლეხებს იცავსო, სოციალისტია, ბრალს სდებდა გუბერნატორი და ბოლოს კიდევაც მოახსნევინა. ეს იყო მგონი 1906 წელს.

ამის შემდეგ იონა ოჯახში დაბრუნდა. ოჯახს განუცხადა: ამიერიძან მე არავითარ სამსახურში არ ვდგები, მომეცით ნება წესიერად მოვუაროთ ამ ჩევნს მეურნეობას, დავკდე ამ ჩემი დიდი კაცლის ხის ძირას და ჩემი საწერები ვწეროვო. მაგრამ მეუღლე ამის თანახმა არ იყო. უთხრა: ჩვენ ცუდი მეურნები ვართ, ხოლო შენი ნაწერი ჩვენ არ შეგვინახავსო, სჯობს ისევ რაიმე სხვა სამსახურს მიჰყო ხელიო. მართლაც სულ მალე იონა ფოთის ქალაქის თავმა ნიკოლაძემ მიიწვია თავის მოადგილედ, რა თანამდებობაზედაც 1914 წლიდე მუშაობდა კიდეც. ამის შემდეგ მე იონას იშვიათად ვხვდებოდი, ისე კი გამიგონია, რომ იონასთან აკავი ხშირი სტუმარი იყო ფოთში, რომ ილია ჭავჭავაძე და იონა ბოლომდე დიდ მეგობრად დარჩენენ.

ილია ჭავჭავაძე რომ მოპკლეს, იონა მის გასვენებაზე წავიდა თბილის და იქ მშვენიერი სიტყვა უთქვამს სამეგრელოს სახელით. იონა სულ იმას იძახდა, საქართველოში ილიაზე უფრო ჭიკვიანი და ბრძენი კაცი ამ საუკუნეში არ დაბადებულა, ჭველამ მისი მოძღვრება შევითვისოთ და ისე ვიმოქმედოთ. ყოველი ქართველი რომ ილიას მიერ ნაჩვენებ გზას დაადგებოდეს, ჩვენი საქმე კარგად წავაო.

ილია ჭავჭავაძის პორტრეტი ზუგდიდის მაზრაში პირველად იონას სახლში დაიკიდა, როგორც საყვარელი კაცისა და დიდი მოძღვრის სურათი, ძვირფს ჩარჩოში ჩასმული. იონას ძლიერ უყვარდა ილიასი და გრ. ორბელიანის ლექსებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ხმამაღალი კორებივარ ამგვარ კითხვას ზაფხულის თვეებში, მის ეზოში, დიდი კაჭლის ხის ჩრდილებებში, იმ კაჭლის ხის კვეშ, სადაც ოდესმე დიდ ილიას დაესვენა და ბევრი საინტერესო და საგულისხმო სიტყვები უთქვამს დამსტრებებისათვის.

ონამ რომ ილიას საღამოზე თავისი მოგონებები წაიკითხა ფოთში, მეც იქ გახლდით, ხალხმა ძალიან მოიწონა ეს მოხსენება. ტაში დაუკრებივარ ამგვარ კითხვას ზაფხულის თვეებში, მის ეზოში, დიდი კაჭლის ხის ჩრდილებებში, იმ კაჭლის ხის კვეშ, სადაც ოდესმე დიდ ილიას მოცემული. ამის შემდეგ ის თბილისში წავიდა, ეს მოგონებები იქ წაილო, რომ იქაურ მეგობართა წრეში წაეკითხა. როგორც გადმომცეს,

მართლაც წაუკითხავს თბილისში. ამ კითხვაზე გოგებაშვილი საგანგე-
ბოდ ყოფილა მიწვეული, მაგრამ არ დასწრებია. დამსწრეებს (გ. ყიფ-
შიძე, ი. ჭყონია, ჭუმბაძე და სხვ.) გულდასმით მოუსმენიათ და უთქ-
ვამთ: ძალიან კარგია, ცოცხალი ილია წინ დაგვიყენეო. ისიც კი უთხო-
ვიათ, რომ ეს მოგონება ილიას ნაწერების გამომცემლისათვის (შ. გე-
ლევანიშვილი—ს. ც.) გადაეცა, რომ მწერლის ბიოგრაფიის შედგენის
დროს გამოეყენებიათ.

1953

ალექსანდრე მიხაელიშვილი

მოამაგვ და ჭინამძღვლი

I. ილია პავლევაძის გაცნობა

1893 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ვარშავის უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ საქართველოში დავბრუნდი და გადავწყვიტე ტფილისში, სადმე ჩვენ კერძო დაწესებულებაში მეშოვნა რაიმე სამსახური.

ჩემმა წაცნობმა და მეგობარმა, თელო სახოკიამ, ტფილისში გამომგზავრებისას წერილი მიმიწერა „მოამბის“ რედაქციაში ივანე მაჭავარიანთან, რომელსაც სთხოვდა დახმარება აღმოვჩინა ჩემთვის და სადმე ქართულ დაწესებულებაში გავემწესებინე. ივანე მაჭავარიანი იმუამად განავებდა ალექსანდრე ჯაბადარის მიერ დაარსებულ ქართული წიგნების გამომცემლობის ამხანაგობის საქმეებს.

ივანე მაჭავარიანმა გულთბილად მიმიღო. წერილი გულდასმით წაიკითხა და, მართალია, სამსახურში ვერ მომაწყო, მაგრამ თავისი რჩევით ერთგვარი ნუგეში მომცა: თქვენ ვარშავაში უმაღლესი სასწავლებელი დაგიმთავრებიათ და უეჭველია პოლონურ ენას კარგად შეისწავლიდით. თქვენ დიდ სამსახურს გაუწევთ ქართველ ერს, თუ სენკერის ან სხვა რომელიმე წარჩინებულ პოლონელ მწერალს ქართულად გადმოთარგმნით. ამხანაგობა დიდი სიამოვნებით დაგიბეჭდავს და ამნაირად პირველ ხანებში უსამსახუროდაც გაიტან თავსო.

მე იმჟამად სასტუმრო „პურ-ლინოს“ ერთ-ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდი. ამ სასტუმროს პატრონი ალექსანდრე თოიძე, მწერლობაში „სანდრო ბიჭის“ ფსევდონიმით ცნობილი, მოელ მაშინდელ ქართველ ინტელიგენციას და ჩვენს საზოგადო საქმიანობას დაახლოვებით იცნობდა.

„სანდრო ბიჭია“, როცა ივანე მაჭავარიანის პასუხის შინაარსი გადავეც, ღიმილით მიპასუხა: „დიპლომატიურად გამოუსტუმრებიხარო“, და თავის მხრით მირჩია ილია ჭავჭავაძე მენახა პირადად, ეგების ბანკში ან ქართულ სხვა რომელიმე დაწესებულებაში რაიმე ადგილი მოენახა ჩემთვის.

„საეჭვოდ მიმაჩნია, — განაგრძო სანდრო ბიჭია, — რომ ილია ამჟამად რაიმე თავისუფალი აღგილი მოგინახოს, მაგრამ მარტოდ-მარტო ის რადა ღირს, რომ ილიას გაიცნობ! ილიამ შესაძლებელია აღგილი ვერ მოგცეს, მაგრამ სამაგიეროდ კარგ რჩევას მოგცემს, გზას

გიჩვენებს. ესეც დიდი საქმეა. ვინ იცის, ამ რჩევამ ეგრძის საშუალების მოდ გადაჭრას თქვენი მიმავალი ბედი ცხოვრების სარტყელზე, ხომ იცით, ილია ჭკუიერი კაცა და მის აზრსა და რჩევას მნიშვნელობა ექნება თქვენი მომავალი ცხოვრებისათვის!“.

„სანდრო ბიჭის“ რჩევა ჭკუაში დამიჯდა. მეორე დღესვე უკვე ფრეილინის ქუჩაზე ვიყავი, საცა იმჟამად მოთავსებული იყო ტფილი-სისი სააღვილმამულო ბანქის სამმართველო, რომლის თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა.

ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, როცა ბანქში მივედი. ილია თავის კაბინეტში იჯდა და ჩევულებრივ საქმიანობდა.

კარის კაცს ვთხოვე ილიასათვის მოხსენებინა ჩემი ვინათბა და მცირედი ხნით მივეღე საჭირო საქმის გამო.

ერთ წუთსაც კი არ გაუვლია, კარისკაცი დაბრუნდა და კარისტში შიშიპატიუა.

როგორც კი კაბინეტში ფეხი შევსდგი და ილიას თვალი მოვკარი, გულმა ძეგრა დამიწყო, მუხლები ერთიანად ამიცახცახდა და თვალებში რატომძაც ბინდი გადამეკრა. ვღელავდი და ამ ჩემს მღვლვარებას კაცი ადვილად შენიშნავდა.

ილიახ, როგორც კი დამინახა, დაუყოვნებლივ სავარძლიდას წა-მოდგა, მომესალმა და თავის სამეცადინო მაგიდის წინ დადგმული სა-ვარძელი შემომთავაზა.

ჭერ კიდევ მოწაფეობის დროს, როცა ილიას უკვდავ ნაწილებს ვკითხულობდი და არა ერთსა და ორ ბედნიერ წამებს განვიცდილი ამ კითხვის დროს, არაერთხელ მინატრია, ნუთუ ისე ბედნიერი გავხდები ოდესმე, რომ ილიას პირადად გავეცნობი, მასთან ვისაუბრებ და ამ საუბრით დავსტებები ისე, როგორც მისი ნაწერების კითხვით ვტკბები და აღტაცებას ვეძლევა-მეთქი.

დიახ, ეს მაშინ, ჩემი მოწაფეობის დროს, ოცნებად მიმაჩნდა, მაგრამ დღესდღეობით ეს ოცნება განმიხორციელდა, სინამდვილედ გადაიქცა. აი, დღესდღეობით ჩემს დიდ ილიას გავეცანი, მის პირდაპირ ვზივარ, შევცექრი მის გონიერ გაშლილ შუბლს და აი, საცაა კიდევაც გამოველაპარაკები, როცა მცირედად მაინც დავმშვიდები-მეთქი.

ილიამ უთუოდ შემატყო, რა იყო ჩემი მღელვარების შიზეზი და ჩემდა დასამშვიდებლად პაპიროსი შემომთავაზა და თან შემეცითხა, როდის, რა განხრით და სად დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი. რატომ მაინცა და მაინც გარშავის უნივერსიტეტი ავირჩიე უმაღლესი სწავლის მისაღებად და არა რომელიმე საუნივერსიტეტო ქალაქი თვით რუსეთშით?

ჩემი პასუხი ილიამ ყურადღებით მოისმინა და შოლოს, როცა მე გავუმჟღავნე, რომ სახელმწიფო სამსახურს ვერიდები და, თუ შესაძლებელი იქნება, სურვილი შაქვს ჩვენს ქართულ კერძო რომელიმე დაწესებულებაში გავიჩინო რაიმე სამსახური, ილიამ შემდეგი მიპასუხა: „მჟ კარგად მესმის დღევანდელ ჩვენს პირობებში თქვენი სურვილისა და მისწრაფების ჭეშმარიტი საფუძველი, რაიცა, ეჭვს გარეშეა, დიდად პატივსაცემი და მოსაწონია. მაგრამ თუ პოლონეთის შეგნებული ახალგაზრდობა, მისი საუკეთესო ნაწილი სახელმწიფო სამსახურს გაურბის და თავის საკუთარ დაწესებულებებს ეტანება, ეს ადვილად გასაცემია. ვარშავაში და საერთოდ პოლონეთის დიდ ცენტრებში, ამ ქვეყნის ისტორიული პირობების მიხედვით; მრავალი კერძო დაწესებულება, საცა პოლონელ ახალგაზრდობას, თუ კი იგი ამას მოისურვებს, ადვილად შეუძლია მოეწყოს ამ კერძო დაწესებულებებში და თავისი წვლილი შეიტანოს იმ სალაროში, რომელსაც სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს ეძახიან.

სულ სხვა პირობებია ისტორიულად შექმნილი ჩვენს სინამდვილეში. თქვენ, უმჭველია, გეცოდინებათ, მთელ საქართველოში ჩვენს კერძო დაწესებულებანი თითებზე შეგვიძლია ჩამოვთვალოთ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული დრამატიული საზოგადოება, ქართული წიგნების გამომცემლობის საზოგადოება, ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკები, ტფილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლები — აი ყველა ჩვენი ის კერძო დაწესებულება, რომლებშიაც სამსახურის მიღება მეტად საძნელოა ამჟამად თავისუფალი ადგილების უქონლობის გამო.

კერძოდ, ჩემთან ბანკში, წესდებით ისეთი პირობებია შექმნილი, რომ რაიმე ოვალსაჩინო ადგილის მიღება მეტად საძნელოა. ბანკის წესდების მიხედვით ბანკის მმართველი, ბანკის დირექტორები და მამულების დამფასებლები უნდა არჩეულ იქნეს საზოგადო კრების მიერ. არჩევნების უფლება კი ენიჭებათ მხოლოდ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურებს ან და მამულის ბანკში დამგირავებლებს. თქვენ, როგორც ქუთაისის გუბერნიის მკვიდრს და თანაც არა დამგირავებელს, უფლება არა გაქვსთ კენჭი იყაროთ ზემოთ დასახელებულ თანამდებობებზე. სხვა ადგილები კი, ნივთიერის მხრით, სახარბიელო არ არის და, სახარბიელოც რომ იყოს, არცერთი თავისუფალი ადგილი არ მოგვეპოვება. ესეც არ იყოს, კანცელარიაში და ბუხპალტერიაში მუშაობა თქვენი რა საქმეა! თქვენი ყოველივე შემოქმედებით ნიჭი, ყოველივე თქვენი საკეთილოდ მიმართული ინიციატივა კანცელარიისა და ბუხპალტერიის უმრავ და დაუბოლავებელ საქმეებში ჩაიხინდა და სათანადოდ ფრთებს ვერ შეისხამს.

ამიტომ ჩვენი რჩევა იქნებოდა, პირველ ხანებში ისევ სახელმწიფო
სამსახურში შესულიყავით. მართალია, უნივერსიტეტის შემდეგ საჭ-
ნელოა სახელმწიფო დაწესებულების მოწადლული ატმოსფეროს ზე-
გუება, მაგრამ რა გაეწყობა, საბოლოო მიზნების განხორციელებისათ-
ვის, ზოგჯერ საჭიროა ეს ფიალაც შევსვათ. უმჭველია, სახელმწიფო
დაწესებულებებში ერთგვარ გამოცდილებას, ერთგვარ პრაქტიკულ
ცოდნას შეიძენთ და ეს კი, როცა უკვე ჩვენს რომელიმე დაწესებუ-
ლებაში რამე შესაფერ ადგილს გაიჩინთ, ერთობ გამოგადგებათ, ერ-
თობ დიდ სამსახურს გაგიშვეთ, სახელმწიფო სამსახურში სამუდა-
მოდ დარჩენას, რასაკვირველია, ჩვენც ვერ გირჩევთ, თქვენ როგორც
კი მცირედი პრაქტიკა და ცოდნა შეიძინოთ და სადმე ჩვენს კერძო
დაწესებულებაში თავისუფალი აღგილი იპოვნოთ, დაუყოვნებლივ დას-
ტოვეთ სახელმწიფო სამსახური და ჩვენს კერძო დაწესებულებაში შე-
ეკედლეთ, თუ ეს ასე არ მოხერხდა, საჭიროა მასშავლებლობას მოკი-
დოთ ხელი და ვფიქრობთ ამ გზით თვალსაჩინო სამოლვაშეო ამპარე-
ზი გადაიშლება თქვენს წინაშე და თქვენც თქვენის შრომით მრავ-
ლად ხელს შეუწყობთ ჩვენი ერის გათვითცნობიერების საქმეს. ამ
გზით სამუშაო ჭერ კიდევ ბევრია. ვინც ამ სამუშაოს ღირსეულად შე-
ასრულებს, ყოველ მიზეზ გარეშე, უდიდეს საწახურს გაუწევს ქართ-
ველ ხალხს“.

ილიას რჩევამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. სამი
თუ ოთხი წელიწადი ვმსახურობდი სახელმწიფო დაწესებულებაში,
რის შემდეგაც მოვეწყვე ერთ-ერთ ჩვენს კერძო დაწესებულებაში,
საცა სულითა და გულით, ჩემი მცირედი ძალების დაუზიგავად, 35
წლის განმავლობაში არა შიშისა, არამედ სინდისის ქვეშ ვმუშაობდი
და ჩემი წვლილი შემქონდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერების
საქმეში.

II. მართველთა შორის წერა-კითხვის გამარტივებელი საზოგადოება და მისი თავაჯღობარე ილია მაკაგარე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარტივებელ საზოგადოე-
ბას დიდი სახელი, დიდი პატივისცემა და სიყვარული ქუნდა დაშსახუ-
რებული ქართველი ხალხის ფართო ფენებში; ეს ასეც უნდა ყოფი-
ლიყო, რადგანაც ამ საზოგადოების საქმიანობა და მთელი მისი მოლ-
ვაშეობა საგსებით მიმართული იყო იმისაკენ, რომ ქართველთა მოს-
წავლე ახალგაზრდობის სწავლა-განათლება ნორმალურ პირობებში

ჩაიცვენებინა, ამ ახალგაზრდობის პლზრდა-განათლებისათვის ჯანმრთელი საძირკველი ჩაეყარა.

საზოგადოება და მისი გამგეობა, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა, შესაძლებლობის ფარგლებში, ხსნიდა საქართველოს ყველაზე უფრო ჩამორჩენილ კუთხეებში პირველ დაწყებით სკოლებს და სახალხო ბიბლიოთეკებს, წესდების მიხედვით ანხორციელებდა საზოგადოების მიერ დასახულ მიზნებს და, ამრიგად, ქართველი ხალხის მოზარდ თაობას შექლებისდაგვარად სწორ გზას უკვლევდა ჰეშარიტი სწავლა-განათლების მისაღებად.

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ქართველი ადამიანი, სცა უნდა ყოფილიყო, საქართველოში თუ საქართველოს საზღვრებს გარეშე, დიდის პატივისცემით, დიდის სიყვარულით ეპყრობოდა ამ საზოგადოებას და თავისი წვლილი პერიოდულად თუ ერთდროულად შეჰქონდა ამ საზოგადოების სალაროში და ამრიგად ხელს უწყობდა ჩვენი ერის გათვითცნობიერების საქმეს.

ქართველი ინტელიგენცია ანგარიშს უწევდა ქართველი ხალხის ფართო ფენების ამ საზოგადოებისადმი გულწრფელ და გულთბილ განწყობილებას და კიდევაც ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ამ საზოგადოების თავმჯდომარედ და გამგეობის წევრებად ყოველთვის ირჩევდა ჩვენი ერის წარჩინებულ ადამიანებს, რომლებიც სრულიად უსასყიდლოთ, უანგარით ემსახურებოდნენ საზოგადოებას და თავის ცოდნითა და გამოცდილებით ანაყოფიერებდნენ საზოგადოების საქმიანობას.

ილია ჭავჭავაძე, თუმცა მეტად დატვირთული იყო სხვა და სხვა საქმეებით, იძულებული იყო ამ საზოგადოების თავმჯდომარეობაზე ოანქობა გამოეცხადებინა, რადგან ამას მოითხოვდა ცხოვრების მაშინიდელი გართულებული პირობები და საზოგადოების ინტერესები.

საზოგადოებას მრავალი სამიზნო საკითხი ჰქონდა გადასაჭრელი და ამ რთულ საკითხებს კი ესაჭიროებოდა ხალხში გავლენიანი პირის მფარველობა და პატრიოტიზმი. ესეთ გავლენიან პირად იმუშავდ ილია ჭავჭავაძე მიაჩნდა ქართველ ხალხს და მის ინტელიგენციას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ილია დაითანხმეს წერა-კითხვის გამავრცელებელთ საზოგადოების თავმჯდომარეობაზე.

ილიამ მხოლოდ ერთი ის მოითხოვა, რომ გამგეობას თვი ყოველ-დღიურ საქმიანობაში არ ჩაება. სამაგიეროდ, ილიამ თავის თავზე მიიღო ვალდებულება სამძიმო საქმეების გადაჭრის დროს მიშველებოდა გამგეობას და შესძილო დახმარება აღმოეჩინა.

მართალია, ილია საზოგადოების საქმიანობაში არ ერეოდა, გამგე-

ობის სხდომებს, მოუცლელობის გამო, ვერ ესწრებოდა, სამაგიეროდა იგი, როცა საზოგადოებას რაიმე სამძიმო საკითხი ჰქონდა გადასაჭრელი, საზოგადოების სახელით, როგორც თავმჯდომარე ამ საზოგადოებისა, ამოძრავდებოდა და თავისი დიდი გავლენით, თავისი დიდი ერუდიციით მთავრობის სფეროებში გავლენას ახდენდა და მის მიერ ხელმოწერილი ქაღალდი უმეტეს შემთხვევაში თავის დანიშნულებას აღწევდა.

ამრიგად, საზოგადოების გამგეობა საქმიანობდა, შრომას ეწეოდა, საზოგადოების საქმეებს ცენტრსა თუ პროვინციაში აწესრიგებდა, ხოლო ილია კი თავმჯდომარის სახით „გარეშე მტრებისაგან“ იცავდა საზოგადოებასა და ძველი დროის უხეშ, უსულ-გულო მეფის ავენტ-მოხელეებს მუდამ კრიჭაში უდგა და თავისი დიდი გავლენით და ავტორიტეტით საზოგადოების საიმედო მცველად და შფარველად გამოდიოდა.

III. ილია ჭავალულება ქველ სანაკზი ცკოლის გამგისა და მასშავდებელთა შორის მომსახური ინციდენტის შესახებ

1897 წლის შემოდგომაზე მე მიმიწვიეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად და, რასაკვირველია, ილიას ნაწვა, სხვა და სხვა საქმეების გამო, ხშირად მიხდებოდა, ხან თვით ილიას ბინაზე, ყოფილ ავჭალის ქუჩაზე, ხან კი ბანკის სამმართველოს შენობაში, ფრეილინის ქუჩაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგებლობა-ში იყო იმუამად, სხვა სკოლებს შორის, ძველი სენაკის (სამეგრელო-ში) და ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასების პარალელური განკოფილებები.

ამ სასწავლებლის გამგესა და მასწავლებლებს შორის, მრავალი პედაგოგიური და ადმინისტრატიული საკითხის გარშემო, ჩამოვარდა დიდი უთანხმოება. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იძულებული შეიქნა საქმეში ჩარეულიყო. გამგეობის მიერ დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ ძველი სენაკის სკოლაში დატრიალებული უთანხმოების მთელი ბრალდების სიმძიმე მასწავლებლებს მოახვია თავზე და გამგე უდანაშაულოდ სცნო.

საზოგადოების გამგეობა სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილ დასკვნის მიხედვით იძულებული შეიქმნა მასწავლებლები დასასჩელად გადაეყვანა-გადმოეყვანა სხვა სასწავლებლებში, თუმცა, ბოლოს

სა ბოლოს, უდანაშაულოდ ცნობილი გამგის ძეველი სენაკის სკოლაში დატოვება, უხერხეული შეიქნა და ისიც ქუთაისში გადაიყვანეს.

მართალია, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ჩემ შესვლამდე ეს ინციდენტი ამოწურული იყო, მაინც სასწავლო ოლქის მესვეურთაგან სხვა და სხვა სასწავლებლებში გადაყვანილ ძველი სენაკის სკოლის მასწავლებლების შესახებ მოგვდიოდა შეკითხები, რომლებზედაც პასუხის მიცემა გვიხდებოდა.

ა. ერთი ასეთი შეკითხვის პასუხი წავუღე ილიას ხელის მოსაწერად. ილიას საზოგადოდ ჩვეულება ჰქონდა, რაც უნდა მარტივი შინაარსის ქაღალდი მიგეტანათ ხელის მოსაწერად, იგი სანამ ამ ქაღალდს დაკვირვებით არ გადაიკითხავდა, ოვითეულ სიტყვას არ ასწონ-დასწონდა, ხელს ასე აღვილად არ მოაწერდა.

მოკლედ მოვახსენე ილიას სასწავლო ოლქის მზრუნველის მიერ მოწერილი ქაღალდის შინაარსი, მერე ამ ქაღალდის შესახებ ჩვენი პასუხი და ვთხოვე ჩვენს საპასუხო ქაღალდზე ხელი მოეწერა.

ილიამ ჯერ მზრუნველის მიერ მოწერილი ქაღალდი გადაიკითხა დაკვირვებით, შემდეგ ჩვენი პასუხი წაიკითხა, კალამი სამელნეზე ჩამოდვა და ისევ მზრუნველის მოწერილ შეკითხვას მიუბრუნდა და ხელმიღმარებდ კითხვა დაუწყო.

მე შიში მეპარებოდა, ვაი თუ საპასუხო ქაღალდი ვერაა სათანა-დოდ შედგენილი-მეოქვი.

— იცით, რა უნდა გითხრათ — მცირედი სიჩუმის შემდეგ მომიბრუნა სიტყვა ილიამ: — ამ მასწავლებლების საკითხი დიდად მაღლონებს. უფიქრობ, გამგეობამ ეს საკითხი სამართლიანად ვერ გადაჭრა. აბა რა წარმოსადგენია, სასწავლებელში მთელი მასწავლებლობა სტუცოდეს და ერთადერთი გამგე ცათაშე მართალი იყოს. სად გაგონილა, რომ მასწავლებელთა მთელი შემადგენლობა სრულიად უსაფუძვლოდ გამგეს წინ აღუდგეს და უმართებულოდ ცილი დასწამოს! შესაძლებელია ერთი ან ორი მასწავლებელი ცრუობდეს, უსაფუძვლოდ სდებდეს ბრალს გამგეს, მაგრამ ყველანი რომ ასე ამხედრდნენ. ეს ყოვლად წარმოადგენილია! მასწავლებელი სული და გულია სასწავლებლისა, სასწავლებელს თუ წარმატება აქვს, ეს მთლიანად მასწავლებლის დაუღამდებარებას უნდა მიეწეროს.

სკოლის გამგე და ზემდგომი ორგანოები ფრთხილად უნდა მიუდგენ მასწავლებელს, გაამხნეონ და გაუადვილონ ის მძიმე ტვირთი, რომელსაც მასწავლებელი ყოველდღიურად სკოლაში ეწევა. მასწავლებელს საჭიროა სათუთად, გულბილად და გულისხმიერებით მი-

უდგეთ, მისი ინიციატივა, მისი შემოქმედებითი მუშაობა არ გავძლია
ლოთ, დასაწყისშივე არ ჩავახრჩოთ, ვფიქრობ, დელი სენაკის სკოლის
გამგე სათანადო ყურადღებით, სათანადო სიფრთხილით ვერ უდგე-
ბოდა გამგეობის მიერ დასჭილ, სამარცხვინო ბოძზე გაკრულ მასწავ-
ლებლებს. გამგეობის მიერ გამოტანილი განახენი ჩემის აზრით შემ-
ცდარ საფუძველზეა დამყარებული. ნიკო ცხვედაძე და იაკობ გოგე-
ბაშვილი ხომ გამოცდილი პედაგოგები არიან და გაკვირვებას მოვ-
დივარ, მათ როგორ მოუვიდათ, რომ სიმართლის მაჩვენებელი ძაფები
ხელიდან გასხლტომიათ. სიმართლის კვალი ისევ ცველ სენაკში დაი-
კარგა და ჩვენმა ოცნებებმა თავისი მოხსენება შემცდარ შესალაზე
დაამყარეს. დიახ, სამწუხაროა, სამწუხარო, მაგრამ ახლა უკვე გვიან-
და. ამჟამად სხვანაირი პასუხის გაცემაც შეუძლებელია.

ამ სიტყვებთან ერთად ილიამ მზრუნველისათვის გასაგზან ქალალდს
აუმტა ხელი მოაწერა, მაგრამ ვამჩნევდი ძალიან ემძიმებოდა.

IV. ილიას მოსწრევაშეს ირეპა ივანე რატიშვილის „გრაფ შედგომის“ შესახებ

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის
ურთ-ერთი სხდომა დანიშნული იყო ფრეილინის ქუჩაზე, საადგილ-
მაცულო ბანკის შენობაში, სალამოს რვა საათისათვის. გამგეობის წევ-
რებს წინასწარ ეცნობათ, რომ იმ სხდომას ილია დაესწრება და თავშ-
ვდომარის ამხანაგს სასურველად მიაჩნია, გამგეობის წევრები კრება-
ზე დანიშნულ დროზე გამოცხადდნენ.

სალამოს 7 1/2 საათია. ილიას კაბინეტში გაშლილია გრძელი მა-
გიდა, რომელიც სხდომისათვის გამზადებულია.

მე, როგორც მდივანი, ყველაზე უფრო ადრე ვფიქრობდი სხდო-
მაზე გამოცხადებას, მაგრამ ეს ჩემი ფიქრი არ გამართლდა. ჩემსე უფ-
რო ადრე ილია მოსულიყო ბანკში და ჩემი იქ მისვლისას ილია თავის
კაბინეტში დამხვდა.

მე ჩემი აღგილი დავიჭირე და საქმეების მომზადების თაღარიგს
შევუდექი.

მცირე ხნის შემდეგ ილიას კაბინეტის კარები შემოაღო ნიკო
ცხვედაძემ, მას მოჰყვა იაკობ გოგებაშვილი, შემდეგ ალექსანდრე
ჭყონია, გიგა ყიფშიძე და სხვანი. სრული რვა საათია. მხოლოდ იგანე
რატიშვილი გვაკლდა.

ილიამ ჩემსკენ გადმოიხდა და მკითხა, ვინ გვაკლიაო. მე მოვაწ-
სენე, ივანე რატიშვილი-მეთქი.

ამ ჩემს განცხადებაზე გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა ღიმილით შეკვეთი მიუნა, ივანე რატიშვილი ახლად ჯვარდაწერილია და უკველია დაი-გვიანების.

ილიამ ამ რეპლიკაზე გაკვირვებით შენიშნა: „ჯვარი დაიწერა!.. კარგი საქმეა!... აკი ბერად შედგომას აპირებდა!“—ო.

სწორედ ამ ლაპარაკის დროს გააღო კარები და ივანე რატიშვილიც შემოვიდა.

ილიას კაბინეტის კედლის საათი ამ დროს ცხრის ათ წუთს უჩვენებდა.

ივანე რატიშვილმა დაუყოვნებლივ ჯიბიდან ვერცხლის პატარა საათი ამოიღო და იგი სრულის რწმენით და თავგამოდებით გვიმტკიცებდა, რომ მას არ დაუგვიანია, რომ სრულ რვა საათზე მოვიდა.

ილიამ ივანე რატიშვილს სიცილით შენიშნა: „თუ თქვენი საათი ისე სწორი და მართალია, როგორც თქვენი ბერად შედგომის აბავი, რასაკვირველია, თქვენ თავის დროზე მოსულხართ და საბოლოო რა გაქვსთ! პირიქით, ბოდიში ჩვენ უნდა მოვინადოთ თქვენს წინაშე!“

ივანე რატიშვილმა კარგად იგრძნო ილიას მოსწრებული შენიშვნის დედააზრი და მნიშვნელობა, ხმამიულებლივ მაგიდას შიუჭდა და დარცხევილი ხან ერთ გმიურობის წევრს გადახედავდა, ხან შეორეს.

v. ილია შავაზაშვილი ჩართულ გიმაზიაზი

1905 წლის გაზაფხულია. რევოლუციური მოძრაობა უფრო და უფრო იყიდებს ფეხს მშრომელთა ფართო მასებში და სკოლებაშდეც იღწევს. იმპერიის მთელ ტერიტორიაზე და, კერძოდ, საქართველო-შიც ამოძრავდა მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თანამედროვე სკოლა უნდა შესცვალოს უფრო გონივრულ საფუძველზე დაყარებულმა სასწავლებლებმა. თანამედროვე სკოლა პოლიტიკის იარაღია თვითმპყრობელობის ხელში, თანამედროვე სასწავლებელი ფაბრიკაა, საცა მეფის დაგეშილ მოხელეებს წერინიან და ამზადებენ. ესეთი მიმართულების სკოლა უნდა დაინგრეს და მის ნანგრევებზე განახლებული ცხოვრების შეფარდებით უნდა აღმოცენდეს ჰეშმარიტი სკოლა.

მოსწავლე ახალგაზრდობა ასეთ აზრებს ისისხლხორცებს და მომავლის გაუმჯობესების მიზნით რაზმაც მოსწავლეთა წრეებს, მოსწავლეთა კომიტეტებს, რომელთა წევრებს საბრძოლველად მოუწოდებს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. თანამედროვე სკოლისა და მისი უშუალო ხელმძღვანელების საპროტესტოდ.

ტფილისის მოსწავლე ახალგაზრდობა, წრეებისა და კომიტეტების შეგნებული ნაწილი ცდილობს ტფილისის სასწავლებლების მთელი მოწაფეობა მოიქციოს თავის გავლენის ქვეშ და ამა თუ იმ ხანით აამხედროს საერთო წესწყობილების და, კერძოდ, სასწავლო უწყების და მისი დაგეშილი უსულებულო, ბიუროკრატ მოხელეების წინააღმდეგ. მოსწავლე ახალგაზრდობის იმ დროინდელი ლოზუნგი იყო: „გაუმარჯოს განახლებულ სკოლას განახლებულ რუსეთში“.

ტფილისის ქართული გიმნაზიის მოწაფეებშიაც იჩინა თავი ამ ახალი მოძრაობის ნიშნებმა.

მასწავლებლები კარგად ამჩნევდნენ •მ მოძრაობის განვითარებას ჩვენს მოწაფეთა შორის. მაგრამ ქართული გიმნაზიის მოწაფეები მეტად ფრთხილობდნენ და იშვიათის თავდაჭერით ერიდებოდნენ ისეთ ექსცესებს სკოლის ცხოვრებაში, რომლებსაც თითქმის ყოველდღე სახელმწიფო სასწავლებლებში ადგილი ჰქონდა.

ქართული გიმნაზიის მოწაფეებს ღრმად სწამდათ, რომ ალვირახ-სნილი სასწავლო მთავრობა არ დაინდობდა ჩვენს გიმნაზიას, როგორც კერძო სასწავლებელს, და სიცოცხლეს მოუსპობდა, ოლონდ კი რაიმე ხელჩასკიდებელი ეპოვნა.

მასწავლებლებსაც სწორედ ამის ეშინოდათ. ამიტომ პედაგოგიურმა საბჭომ გადასწყვიტა სასწავლებლის პატრონებისათვის შეეტყობინებინა მოწაფეებში გავრცელებული მოძრაობის ამბავი და, ამრიგად, თავიდან აეხსნა ყოველგვარი პასუხისმგებლობა, თუ ვინცობაა გიმნაზიას, როგორც კერძო სასწავლებელს, მთავრობისაგან რაიმე ჭაიძიამოვნება შეხვდებოდა აღნიშნულ მოძრაობასთან დაკავშირებით.

1905 წლის გაზაფხულს, ქართული გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარედ იყო მარიამ ვახტანგ ჯამბაჯურიანორბელიანის ასული და მის ამხანაგად ცნობილი ქართველი მოღვაწე და პედაგოგი ნიკოლოზ ცხველაძე, პედაგოგიური საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, მოიწვია ქართული გიმნაზიის შენობაში სასწავლებლის ბატონ-პატრონები, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენლები (1901 წლიდან ტფილისის თავად-აზნაურობა ინახავდა ქართულ გიმნაზიას, თანახმად უმაღლესი მანიფესტისა, რომელიც გამოიცა საქართველოს რუსეთთან ას წლის შეერთების თავზე, ტფილისის საადგილმამულო ბანკის მოგებიდან) და ქართველი საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც უნდა მოხსენებოდა სასწავლებელში შექმნილი მდგომარეობა ახალ მოძრაობასთან დაკავშირებით.

აპრილის გასული იყო. კრებას დაესწრო ორმოცამდე გარეშე მოწვეული წევრი და, მათ შორის, ილია ჭავჭავაძეც.

გიმნაზიის მაშინდელმა გამგემ შიო წიტაქემ მოახსენა კრებას, რომ მე უკანასკნელ ხანებში ტფილისის სასწავლებლების ყოველდღიური ცხოვრება ძირიან-ფესვიანათ შეირყა, ახალმა მოძრაობამ იჩინ თავი მოწაფეთა შორის და ვფიქრობთ, ეს მოძრაობა პოლიტიკურ ნია-დაგზეა აღმოცენებული.

სახელმწიფო სასწავლებლებში ამ ახალ მოძრაობასთან დაკავშირებით ამჟამად ხდება ექსცესები, არის შემთხვევები, როცა მოწაფეები მასწავლებლებს, ინსპექტორებს და დირექტორებს ყოვლად უმართებულოდ ეპყრობიან. ლაყე კვერცხებს სკოლის კედლებს მოურიდებლად უშენენ, გაკვეთილის ნორმალურ მსვლელობას აფერხებენ, კლასში რევოლვერები მოაქვთ და მასწავლებლებს და სკოლის აღმინისტრაციას ტერორის ქვეშ აყენებენ და სხვა.


მოწაფეების უფრო შეგნებული ნაწილი, რასაკვირველია, წინააღმდეგია პროტესტის ამ სახით გამოცხადებისა, მაგრამ ყოველივე ცდა ამ საქციელის აღსაკვეთად, ჯერჯერობით ყველგან და ყოველთვის მიზანს ვერ აღწევს.

ქართული გიმნაზიის მოწაფეები ამ მხრით უფრო მეტ სიფრთხილეს და გონიერებას იჩენენ. მართალია, ამ ახალმა მოძრაობამ ჩვენს მოწაფეებშიაც მოიპოვა ერთგვარი გამოძახილი, მაგრამ ეს მოძრაობა ჯერჯერობით ფრთხილი და მეტად თავდაჭერილია, ჩვენს სასწავლებელში ჯერჯერობით ისეთი რამ არ მომხდარა, რომ სასწავლო მთავრობამ ამას ხელი ჩაჰვიდოს და სასწავლებელს რაიმე ზიანი მოუტანოს.

ჩვენს გიმნაზიაში წრეს გადასულ მოთხოვნებს აღილი არა აქვს. შოწაფეები მასწავლებლებს, მაგალითად, ზოგჯერ მოსთხოვენ ხოლმე ესა და ეს საგანი ქართულად გვასწავლეთ, ზოგჯერ მასწავლებელს შეეკითხებიან, რატომ ყველა საგნებს ქართულად არ გვასწავლით, უცხო ენაზე სწავლება ხომ სწავლა-აღზრდის დამახინჯებაა და სხვა.

ჩვენი გიმნაზიის მოწაფეებს, უცკველია, ხშირად ესმისთ, რომ ტფილისის სასწავლებლები საერთო გაფიცვებისათვის ემზადებიან.

ცხადია, ჩვენი მოწაფეებიც თათბირობენ ამ საერთო გაფიცვების მოლოდინში. ამ საერთო გაფიცვების შესახებ მოწაფეები მოურიდებლად მსჯელობენ, ამ გაფიცვებს საიდუმლოების სამოსელში არ ახვევენ. გიმნაზიაში ყველა მოწაფემ იცის, რომ საერთო გაფიცვები სულ მოყლე ხანში უნდა გამოცხადდეს. ასე წარმოიდგინეთ, ჩვენი გიმნაზიის პირველ განყოფილებაში, საცა 7—8 წლის ბალლები სწავლობენ, სანამ მასწავლებელი გაკვეთილზე კლასში შევიდოდა, მოწაფეები



ଚାନ୍ଦିଲ ତାଙ୍କାରିଶରୀରପ୍ରକାଶନ, ପ୍ରମାଣେ,

მერხებ ქვეშ ჩამალულიყვნენ და სულგანაბული მასწავლებლის შემთხვევაში მოსვლას მოუთმენლად მოელოდნენ. მასწავლებელი სახტად დარჩა, როცა კლასში მოწაფეები ვერ დაინახა. უცებ ერთმა მოწაფემ მერხიდან თავი ამოყო და მასწავლებელს მედიდურად მიმართა: „მასწავლებელო, ჩვენ გავითქიცენით! მთავრობა არ მოგვწონს, არ გვიზღა, შველანი წინააღმდეგი ვართ!“

— „ყოჩალ, ყოჩალ, რომ გაფიცულხართ! აბა, უვარებისი მთავრობა ვის მოეწონება! უეჭველია თქვენც არ მოგწონლათ და კიდევაც ამიტომ გაიფიცენით! მაგრამ ახლა გავათავოთ ეს გაფიცვა და სწავლას შევუდგეთ!“ სიყვარულის კილოთი შეეხმაურა მასწავლებელი „გაფიცულ მოწაფეებს“.

მოწაფეები წიწილებივით წამოიშალნენ და ხალისიანად შეუდგნენ სწავლას.

შესაძლებელია მომავალში მოწაფეთა ამ საერთო მოძრაობაშ ჩვენი სასწავლებელიც ჩაითრიოს და ი სწორედ ასეთი შემთხვევის გვეშინია, გვეშინია, რომ სასწავლებელს რაიმე საგრძნობი ზიანი არ მიაყენონ.

სახელმწიფო სასწავლებლები ამ გზით იქნება, თუ იმ გზით, ყოველ ეჭვს გარეშეა, თავს უშველიან, ჩვენს გიმნაზიას კი, როგორც კერძო სასწავლებელს, ვფრქრობთ, არავინ დაინდობს და ყოველ ხელჩასაკი დებელ შემთხვევას სასწავლო მთავრობა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებს.

ი. სწორედ ამ გოსაზრებით ხელმძღვანელობდა საპელაგოვო საბჭო, როცა მან დაადგინა მოემართა თქვენთვის, როგორც ამ სასწავლებლის პატრონებისათვის და გაგვეთვალისწინებინა ჩვენი მოწაფეების სულისკვეთება ახალ მოძრაობასთან დაკავშირებით.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ერთი-მეორეს გაკვირვებით შესცემეროდნენ.

პირველად სიტყვა მოითხოვა ყოფილმა პედაგოგმა, იმუამად ტფილისის სამეურნეო ბანკის დირექტორმა, ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილმა, ვლადიმერ მიქელაძემ, რომელმაც შემდეგნაირად მიმართა თავისი საბრალდებო სიტყვა: „ბატონებო! ჩვენს ცხოვრებაში რაღაც საკვირველი და გაუგებარი რამ ხდება. ჩვენი გიმნაზიის დირექტორის მიერ სკოლის ცხოვრებიდან აღებული სურათები მეტად სამწუხარო და ჩამაფიქრებელი მოვლენაა. თავისთავად იბადება საკითხი, ვინაა დამნაშავე ამ სამწუხარო მოვლენებისა, რა ნიაღავშე წარმოიშვა სკოლების ცხოვრებაში ის თავაშვებულება, ის უმგზავსოება, რომელიც თავისი საშინელი შედეგებით ჩვენს სასწავლებელშიაც 6.



ფეხს იყიდებს და ჩვენს მოსწავლე, ჯერ კიდევ ნორჩ, ახალგაზრდონ, ბას ჭურისაკენ ერეკება და მასწავლებლის, სასკოლო აღმინისტრაციის და საერთოდ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებს. აბა, ერთი მიბრძანეთ, სად გაონილა, რომ მოწაფემ ასე ურცხვად, მოურიდებლად, უხეშად თავის მასწავლებელს წინააღმდეგობა გაუშიოს! ასეთ ურჩ, აღვირახსნილ მოწაფეს სასწავლებელში ადგილი არ უნდა ჰქონდეს! ასეთი თავაშვებული მოწაფე სასწავლებლის უღირსი შეილია! კლასის ბატონ-პატრონი მასწავლებელია. კლასში ყველანი და ყველაფერი მასწავლებელს უნდა ემორჩილებოდეს. მასწავლებელი კლასში ის მთავარსარდალია, რომლის ბრძანება გარდუვალია, ყველასათვის მიუცილებლად სავალდებულოა. თუ მოწაფე საკლასო დისკიპლინის არღვევს, მასწავლებლის ბრძანებას აბუჩად იგდებს, მის ბრძანებას არ ასრულებს, ზოგჯერ დაუშვებელ შეურაცხყოფასაც კი აყვნებს, სჩანს, მასწავლებელი ვერა სდგას თავის სიმაღლეზე. ასეთი მასწავლებელი ცუდი ხელმძღვანელია, ასეთი მასწავლებელი ჯანსაღ და გონებაგანვითარებულ ახალგაზრდობას ვერ აღვიზრდის, ასეთი მასწავლებელი ზედმეტი ბარგია სკოლისათვის და ამიტომ იგი უნდა ჩამოშორდეს სასწავლებელს და ადგილი დაუთმოს უფრო ღირსეულ, გამოცდილ, უფრო დიდი იგტორიტეტის მქონე მასწავლებელს. როგორ?! მე, როგორც მასწავლებელი, მოზარდი თაობის უშუალო წელმძღვანელი, კლასში შევდივარ და მოწაფეები ურჩიობის გაწევას გამიბედავენ, ჩემს ბრძანებასა და განკარგულებას არ დაემორჩილებიან?! ეს ყოვლად შეუძლებელი და დაუშვებელია! ვისაც ყური სმენად აქვს, ამ ჩემი სიტყვებისაგან საჭირო დასკვნას გამოიტანს. დე, ყველამ კარგად იცოდეს, რომ ჩვენ ნებას არავის მივცემთ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, ეს ჩვენი მომავალი იმედი და სიამაყე უღირს მასწავლებლების საექსპერიმენტო გავხადოთ!”

ვლადიმერ მიქელაძის ამ პირველმა სიტყვამ, ეტყობოდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, რის შემდეგაც სიტყვით გამოვიდა კავკასიაში მეფის მოადგილის სამმართველოს საგანგებო საქმეების განსაკუთრებული მოხელე პეტრე გრუზინსკი, რომელმაც საესებით გაიზიარა ვლადიმერ მიქელაძის მოსაზრებანი და სიტყვის დასასრულს დასძინა: „ჭეშმარიტად, რაღაც დიდი უბედურების წინაშე ვდგავართ! თუ კი მართლა ასეთ უმგზავს და სპაზიზლარ მოვლენებს ჩვენს სასწავლებელშიაც ადგილი აქვს, საჭიროა დაუყოვნებლივ ზომები მივიღოთ და ძირიან ფესვიანათ ამოვკვეთოთ ჩვენი მოწაფეების ნორჩი ფსიხიკიდან ყოველგვარი სიმახინჯის ნიშნები. ჩვენ ჯერ კიდევ ნორჩ მოსწავლე ახალგაზრდობას შარაგზაზე ვერ გამოვიყ-

ვანთ რაღაც უაზრო პროტესტის გამოსაცხადებლათ, ჩვენ ვერ მიჰყ-
ცემთ ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობას იმის უფლებას, რომ მან სწავ-
ლა შესწყვიტოს და გაფიცვების საშუალებით მთავრობის წინააღმდეგ
გამოვიდეს. ეს ყოვლად დაუშვებლად და მიუღებლად მიმაჩნია”.

პეტრე გრუზინსკის შემდეგ ილაპარაკეს კრების სხვა წევრებმაც
რომლებიც ვლადიმერ მიქელაძის და პეტრე გრუზინსკის აზრს იჩია-
რებდნენ იმის შესახებ, რომ ყოველივე ამ არეულობაში ბრალი თვით
შასწავლებლებს უძვეთო.

გიმნაზიის დირექტორი შიო ჩიტაძე და პედაგოგიური საბჭოს წარ-
მომადგენლები მოთმინებით ისმენდნენ საბრალმდებლო სიტყვებს.

კრების არცერთი წევრი კრინტს არა სძრავდა მასწავლებლების სა-
სარგებლოდ.

თუმცა სკოლის სამზრუნველო კომიტეტსა და საპედაგოგო საბჭოს
წევრთა შორის მაინცა და მაინც არასოდეს არ ყოფილი შევაბრუნდა,
გულთბილი დამკიდებულება, მაგრამ როცა ორატორებმა ასე უცნ-
შად, ასე უსაფუძვლოდ გათელეს მასწავლებელთა კორპორაციის უშუ-
ალო ხელმძღვანელობა, სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარეუ შა-
რიამ ვახტაძე ორბელიანის ასული და თავმჯდომარის ამხანაგი ნიკო-
ცხვედაძე შეეცადნენ დაერწმუნებინათ კრების წევრები, რომ მოწაფე-
ებს შორის ესეთი მოძრაობა საყოველთაო მოვლენაა. უეჭველია, ამ
მოვლენას სხვა რამ საფუძველი ამოძრავებს, ვიდრე მასწავლებელთა
და აღმზრდელთა შეუფერებლობა. სამზრუნველო კომიტეტის აზრით
გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციის ამ მოძრაობის გაღვივება-
ში ბრალი არ მიუძღვის. ამიტომ, სანამ კრება ამა თუ იმ განაჩენს გამო-
იტანდეს, საჭიროა საქმის ყოველმხრივ შესწავლა. სკოლის საქმეში
მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა გვმართებს, ნაუცბადევად
ასეთი რთული საკითხის გადაწყვეტით და განაჩენის გამოტანით, ვ'მი-
შობთ, სასწავლებელი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში არ ჩავაყე-
ნოთო.

მიუხედავად სამზრუნველო კომიტეტის ესეთი განმარტებისა, კრე-
ბის წევრები მაინც თავისისას გაიძახოდნენ და მთელ ბრალს შექმნილ
მდგომარეობის ირგვლივ მასწავლებელთა კორპორაციის აკისრებ-
ლნენ.

ილია სდუმდა და ყურადღებით ისმენდა ორატორების სიტყვებს.
კრების წევრები კი მოუთმენლად მოელოდნენ იმ წუთს, როცა
ილია ამეტყველდებოდა და თავის აზრს გამოსთქვამდა წართული გიმ-
ნაზიის საპედაგოგო საბჭოს მიერ წარმოლგენილ წინდადადების შესახებ.
თავისთვალი ცხადია, ყველანი დაინტერესებული ცვნენ მოესმი-

ნიათ, რას იტყოდა ილია მოწაფეების ფართო ფენებში დასახულ მოქანაობის შესახებ, როგორ აზრს გამოსთვავიდა იგი მოწაფეების მოსალოდნელ გაფიცვების შესახებ და სხვა.

დაბოლოს, როცა კრებაზე ლაპარაკის მსურველი არვინ აღმოჩნდა, ილიამ დაარღვია თავისი მდუმარება და სიტყვა მოსთხოვა კრების თავმჯდომარეს.

ყველანი სმენად გადაიქცნენ. თუ დარბაზში სადმე კიდევ გაისმოდა ცერძო ჩურჩული, ისიც კი ერთბაშად შესწყლა.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ილიას შესაჭეროდნენ და მის ამეტყველებას მოელოდნენ.

— „ბატონებო! — დაიწყო ილიამ თავისი სიტყვა: — ამ სასწავლე-ჰელში ამჟამად სწავლობს ჩემი ახლო ნათესავი, მაყაშვილი, შვიდი თუ რვა წლის ბალი. ვგონებ, პირველსა თუ მეორე განყოფილებაშია.

— მეორე განყოფილებაში, — დაუდასტურა გიმნაზიის დირექტორი მა შიო ჩიტაძემ.

— აი ბატონებო! — განაგრძო ილიამ: — გუშინ დილით ეს თითის ჭიგრძე ბავშვი შემოვიდა ჩემს სამეცადინო კაბინეტში, წიგნები იღ-ლიაში ამოედო და ლიმილით მეუბრნება: „ძია, ჩვენ დღეს ან ხვალ-შეგ მაინც უნდა გავიფიცოთ და შენ რას მირჩევ?“

— ვინ ჩვენ? — სერიოზულად ჟევეკითხე ჩემს ნათესავ ბალლს.

— ვინ და ჩვენი და სხვა სასწავლებლების მოწაფეები. — ისევ ღია შილილით მიძასუხა ბავშვმა.

— მერე თქვენ ყველანი ერთად უნდა გაიფიცოთ?

— დიახ, ძიავ, უნდა გავიფიცოთ და შენ რას მირჩევ?

— მერე რატომ უნდა გაიფიცოთ?

— მიტომ, რომ მთავრობის წინააღმდეგ მივდივართ. მთავრობა არ შოგვწონს.

— ბიჭოს, მერე თქვენ ვინ გეკითხებათ, მოგწონსთ თუ არა!

— რად ვაინდა, რომ გვეკითხებოდეს! რომ გავიფიცებით, მაშინ შომ შეგვეკითხებიან. ჩვენ ყველანი ერთხმად მოვითხოვთ, კარგი სკოლა მოგვცენ, კარგი მასწავლებლები დაგვინიშნონ, ჩვენ გასაგებ ენაზე გვასწავლონ, რიგიანად მოგვექცენ, ბევრს კიდევ სხვა რამეებს შოვითხოვთ...

— ბაშ, შენ ასე ფიქრობ, რომ გაფიცვა აუცილებლად საჭიროა!...

— დიახ, ძიავ, მეც ასე ვფიქრობ და ჩემი ამხანაგებიც ასე ფიქროვთ. გავიფიცებით და მერე ნახეთ, ძიავ, როგორ კარგად გვასწავლიან და ჩვენც როგორ კარგად ვისწავლით!

— კარგი და კეთილი! თუ შენ და შენი ამხახაგები დარწმუნებული ხართ, რომ ლელოს ბოლომდე გაიტანთ, გაიფიცენით! ყოველ კარგ საქ-
მეში ამხანაგებს მხარდამხარ უნდა მიჰყევ. უკან არ უნდა ჩამორჩეა
ამხანაგს ყოველთვის ზურგი უნდა გაუმაგრო, თუ დარწმუნებული
ხარ, რომ კარგ საქმეს ემსახურები. კარგი ბიჭის სახელს მაშინ დაიმ-
ხარ, რომ კარგ საქმეს გემსახურები. კარგი ბიჭის სახელს მაშინ დაიმ-
ხარ სახურებ, როცა საერთო ამხანაგურ საქმეს გვერდს არ აუხვევ, განზვ-
არ დაუდგები. მაშ კეთილი იყოს შენი და შენი ამხანაგების გზა! იმედო
შაქეს ცუდს არაფერს ჩაიდენთ! ან რა საკადრისია კაცმა ცუდი ჩა-
ლინოს და ისიც მოწაფემ, რომელიც სწავლობს, გონიერებს ინიციატი-
ფა და ცხოვრებაში ყოველივე კარგს დაეძებს და ცუდას კი პერის და
სავრდან იშორებს!

ჩემ ნათესავ ბალდს ამ სიტყვებზე პირისახეზე ღიმილშა გადაკრა
და იგი ფეხაკრეფით სკოლისაკენ გაეშურა.

— როგორა გვონიათ, ბატონებო! — განაგრძო ისევ ილიამ: — განა-
ვე შემეძლო ჩემი ნათესავი ბალდისათვის მეთქეა, არამც და არამც შო-
რა წაფეთა საერთო გაფიცვაში მონაწილეობას ნუ მიიღებ, ამხა-
ნაგობას ნუ გაუწევ; მოწაფეთა საერთო გაფიცვებს მხარს ნუ დაუჭირ-
ნა გობას ნუ გაუწევ; მოწაფეთა საერთო გაფიცვებს მხარს ნუ დაუჭირ-
ნა გობას ნუ გაუწევ; მე ამის ვერ ვეტყოდი და არც ვეტყოდი! აბა
მეთქე! არა, ბატონებო, მე ამის ვერ ვეტყოდი და არც ვეტყოდი! აბა
ერთი შიბრძანეთ, როგორი მოქალაქე უნდა დადგეს ის ყმაწვილი, ის
შოსწავლე, რომელსაც ცხოვრების გარიერაუზე უხშობ ყოველგვარ
კეთილშობილურ მისწრაფებას! ყოვლად შეუწყნარებლად მიმაჩნია ის
აზრი, ბავშვს მასწავლებელმა მოახვიოს თავისი შეხედულება, მე ასე
ვთიქობ, ასე ვმსჯელობ და შენც ასე იციქრე და შენც ასე იმსჯელუო
შეუწყნარებელი პედაგოგიური ზონა, შეუწყნარებელი საშუალებაა-
მართალია, ბავშვი ნორჩი არსებაა. მაგრამ ამ ნორჩ არსებაში თვალსა-
ჩინო ადგილს იქნერს დამოუკიდებლობის ინსტინქტი. ბავშვს არ უნდა
დაუჩხო ამ დამოუკიდებლობის რწმენა, პირიქით, უნდა დაარწმუნო,
რომ მას შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, მას შეუძლია კარგისა და
ცუდის გარჩევა. ასეთი მიღვომა, ვფიქრობ, უფრო მიზანშეწონილია
ბავშვის სწავლა-აღზრდა, მისი გონიერის ნორმალურად განვითარება
ამ თვალსაზრისით უფრო სწორე გზას გაიკვლევს და თავის საბოლოო
მიზანს მიაღწევს.

ჩვენ გვეუბნებიან და გვიმტკიცებენ, რომ მასწავლებელი კლასში
ის მთავარსარდალია, რომლის ბრძანება ყოველ მიზეზგარეშე უნდა
სრულდებოდეს. მოწაფეს უფლება არა აქვს მასწავლებლის ბრძა-
ნება. მასწავლებლის განკარგულება არ შეასრულოსო. ბატონებო, მე:
ნება, მასწავლებლის გავკადნერდები და ვიტყვა:

რომ მასწავლებლის როლის და მნიშვნელობის იმ რიგად და იმ თვალ-
საზრისით გაშუქება, როგორც ეს ბატონმა ვლადიმერ მიქელაძემ იხე-
ბა და კიდევ სხვებმა, ყოვლად მიუღებელია, ყოვლად დაუშვებელია. ვლადიმერ მიქელაძის შეხედულება მასწავლებლის მნიშვნელობის შე-
სახებ მოკლებულია საღი პედაგოგიკის ყოველგვარ საფუძვლიანობას.
ბ-ნი ვლადიმერ მიქელაძე და მისი თანამოაზრენი ერთსა და იმავე
წერტილზე რომ არ იყვნენ გაყინული და გონების თვალით უფრო წინ
იხედებოდნენ, დაგვეთანხმებოდნენ, რომ ბრძანებლობის ხანამ უკვე
თავის დრო მოჭამა. ბრძანებლობით არასოდეს არაფერი გაკეთებულა
და უფიქრობ, არც შემდეგში გაკეთდება. რაც დრო თანდაონ მიღის,
ბრძანებლობის რეუიმი ჯარშიაც კი ჰკარგავს თავის ქველებურ ელ-
ფერს და უფროდაუფრო რბილება, სახესა და კილოს იცვლის. ბ-ნი
ვლადიმერ მიქელაძე კი, „URBI ET ORBI*“ გაპივის, თუ არ ყაზარ-
მული მბრძანებლობა, სკოლა განადგურდება და მოსწავლე ახალგაზრ-
დობა დაგველუბჲებათ.

პირადად კი ჩვენ ვიტყოდით, ქვეყანა სწორედ მაშინ დაინგრევა,
სკოლა მაშინ განადგურდება და მოსწავლე ახალგაზრდობა სწორედ
მაშინ დაიღუპება, როცა ყაზარმულ რეუიმს ის ასპარეზი დაეთმობა,
რომელსაც მას ასე გულუხვად აკუთვნებს ვლადიმერ მიქელაძე.

ჩვენი აზრით, მოწაფეს მასწავლებელი ამხანაგურად, მეგობრულად
უნდა მიუდგეს, არ დაახშოს მასში შემოქმედებითი ნაპერწყალი, გა-
ნუვითაროს თვითმოქმედების ინიციატივა, ყოველივე სხვა ზომა გარეშე
ამ მიდგომისა, მიზანს ვერ მიაღწევს და მოწაფეს შემცდარ გზაზე და-
აყენებს.

ვლადიმერ მიქელაძე მოგახსენებთ, თუ დღესდღეობით მოწაფე-
ების ნორმალური ცხოვრება შეიცვალა, თუ მოწაფეები ახალ „რა-
ღაც“ მოძრაობის ფერხულში ებმიან, თუ მოწაფეები ამჟამად ისე გა-
კადნიერდნენ, რომ მთავრობის საწინააღმდეგო გაფიცვებისათვისაც კი
ემზადებიან, ყოველიგე ამაში მასწავლებელია დამნაშავეო, ყოველივე
უს მასწავლებლის ბრალიაო. სრულიად გულაბდილად შემიძლია გან-
ვაცხადო, რომ ვლადიმერ მიქელაძე დიდად სცდება! ამ მოძრაობის
მიზეზები უფრო ღრმადაა დამარხული, ვიდრე ეს ვლადიმერ მიქელა-
ძეს ჰგონია. მოვა დრო, როცა ბ-ნი ვლადიმერ მიქელაძე ამ მოძრაო-
ბის წარმომშობ მიზეზებს გაიგებს, მაგრამ მაშინ დაგვიანებული იქ-
ნება „თითებზე კბენანი“.

ჩვენს სასწავლებელში, რამდენადაც ამ სხდომაზე გამოირკვა,
არაფერი ისეთი არა მომხდარა, რამაც ჩვენ სასოწარკვეთილებაში უნ-

* ქალაქსა და მთელ ქვეყანას (ლათ.).

და ჩავაგდოს. მასწავლებლები და მოწაფეები ამხანაგურად, მეტსაც ვიტყვით, მეგობრულად ცხოვრობენ, რაიცა ჩვენ უნდა გვახარებდეს. ამ პირობებში ჩემი წინადაღება იქნებოდა, ჩვენი სკოლის მასწავლებლებს და მოწაფეებს კიდევ უფრო მეგობრულად შეემჭიდროვებიათ თავიანთი რიგები, ერთმანეთისაოვის მეგობრულად ხელი გაეწვდინათ, რათა მათ შეერთებულ შრომას და მეცადინეობას სასურველი ნაყოფი გამოეღოს ქართველი ხალხის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

ილიას სიტყვა ყუმბარასავით გასკდა მთელ დარბაზში, ანდა „ურწყმნო თომანიც“ კი დარწმუნდნენ, რომ ილიას ბაგენით სიმართლე ლალადებდა. ილიას მიერ შემოტანილი წინადაღება კრებამ ერთხმად მიიღო.

VI. ილიას უახლოლება სახელმიწოდებულის სათათაბროს მოწვევის ზესახებ

XX საუკუნის დასაწყისი წლები რუსეთის ყოფილ იმპერიის მკიდრთა ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ ხანად ჩაითვლება, რევოლუციური მოძრაობის ტალღები მეფის ტახტს განადგურებით ემუქრებოდა.

მუშებისა და გლეხების მძღვრმა მოძრაობამ და 1905 წლის 9 იანვარს მოხდარმა ამბებმა დიდ საგონებელში ჩააგდო რომანვების ღინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ნიკოლოზ II და მისი მინისტრები.

გამწვავებული მდგომარეობა მოითხოვდა, რომ მთავრობას სახელმწიფოს მმართველობის დღის წესრიგში წარმოყენებინა საკითხი ჰალხის წარმომადგენლობის მოწვევის შესახებ.

მთავრობამ გადაწყვიტა დათმობის გზას დადგომოდა და აშიტომ ხალხის ოვალების ასახვევად გაიმეტა ეგრედ წოდებული „ბულიგინის სათათბირო“, რომელიც რუსეთის იმპერიის მოსახლეობის წარმომარგენლებს სახელმწიფო მმართვა-გამგებლობაში მხოლოდ სათათბირო ხმას ანიჭებდა.

მაგრამ რევოლუციის შიშით დაბნეულმა მთავრობამ ვერ შეაფასა სწორად მუშების და გლეხების სულისკვეთუბა და 1905 წლის საერთო გაფიცვებისა და მოსკოვში ღეკვებრის აჯანყების შემდეგ ნიკოლოზის მთავრობა იძულებული შეიქნა 1905 წლის 11 ღეკვებრს გამოეცა კანონი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ. ეს ახლად გამოცული კანონი რამდენადმე აფართვებდა „ბულიგინის სათათბიროს“



ჩარჩოებს და ხალხის წარმომადგენლობას ვითომ ანიჭებდა საკანონმდებლო ფუნქციებს.

1905 წლის 11 დეკემბერს გამოცემულმა კანონმა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ რუსეთის იმპერიის მოსახლეობის სხვა და სხვა ფენებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

ცენტრსა და განაპირა ქვეყნებში ახლად გამოცემული კანონი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ გაცხოველებული სჯა-ბაასის საგნად გადაიქცა.

საზოგადოების ერთი ნაწილი დად იმედებს ამყარებდა ამ კანონზე. საზოგადოების ამ ნაწილის აზრით, რუსეთი სხვა განათლებულ ქვეყნებივით უფლებრივ მდგომარეობის ორბიტაში მოქმედება, პარლამენტურ წესშეყობილებას დაიმკვიდრებს და სახელმწიფოს მკვიდრი, რომელიც მრავალი ასეული წლების მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ მონაბის ულელს ატარებდა, რომელიც ნივთიერ შევიწროებას, ზნეობრივ და მორალურ წამებას განიცდიდა, ამიერიდან უფლებრივ ცხოვრების ფერხულში ჩაებმება და გახდება წევრი განათლებულ კაცობრიობის ოჯახისა, რაიცა რუსეთის მოსახლეობის დიდი ხეის ოცნებას შეადგენდა.

ამ კანონის გამოცემამ საქართველოშიაც აამოძრავა მოსახლეობის ფართო ფენები.

რევოლუციური პარტიების ლიდერებმა კარგად შეაფასეს ამ კანონის უარყოფითი მხარეები და მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონს ასე უარყოფითად უქმეროდნენ, მაინც ამ კანონის გარშემო აამოძრავეს მშრომელი მასების ფართო ფენები და შეუდგნენ სათათბიროში გასაგზავნ დეპუტატების არჩევნების კომპანიას.

მაგრამ საქართველოში იმუამად მრავლად მოიპოვებოდნენ მოსახლეობის ისეთი ფენებიც, რომლებიც არცერთ სარევოლუციო პარტიის არ ემხრობოდნენ და ამ ახალ კანონისაღმი მაინც დიდ ინტერესს იჩინდნენ. ასეთ ფენებს მიეკუთვნებოდნენ თავადაზნაურთა უდიდესი ნაწილი, საეკლესიო კულტის მსახურნი და ინტელიგენციის საკმაოდ საგრძნობი ნაწილი.

ეს ფენებიც ძალიან დააინტერესა ამ ახალი კანონის შემოწყბად და, სხვა ფენების მსგავსად ისინიც აწყობდნენ კურძო კრებებს და ამათუ იმ სახით ცდილობდნენ ორგანიზებული მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევნებში.

ერთ-ერთი ასეთი კრება გაიმართა ფრეილინის ქუჩაზე, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველოს შენობაში. ამ კრებას, თავად-

აზნაურთა და მშრომელ ინტელიგენციის წევრებთან ერთად, დასწავლის ილია ჭავჭავაძეც.

კრების მომწვევის ინიციატორთა წინადადებით განსახილველ საგნად წამოყენებულ იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა მიეღო მონაწილეობა არჩევნებში ქართველების იმ ნაწილს, რომლებიც პარტიების გარეშე იმყოფებოდნენ.

კრებაზე გამოსული ორატორები სიხარულს გამოსთვევამდნენ, რომ ახლად გამოცემული კანონი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ ისეთი სახელმწიფო ბრივი აქტია, რომელიც დღევანდელ პირობებში დიდ გარდატეხას, დიდ ცვლილებას შეიტანს ხალხის ყოფაცხოვრებაში, მისი კულტურული და ეკონომიკური აღორძინების საქმეში.

თუ ეს კანონი დიდ სარგებლობას უქადის რუსეთის მირითად მოსახლეობას, მისი სიკეთე და მნიშვნელობა ერთიორად უფრო საგულისხმიეროდ და სასარგებლოდ უნდა იქნას აღიარებული განაპირა ქვეყნების მკვიდრთათვის, რომლებიც ყოველთვის იჩაგრებოდნენ რუსეთის თვითმკურობელობისაგან, რუსეთის მკვიდრ მოსახლეობასთან შედარებით.

ამ, ამიერიდან, ორატორების აზრით, ამ უსამართლობას ბოლო მოეღება. ქართველი ხალხის მთელი ასი წლის განმავლობაში შელახული უფლებები, ქართველი ერის გაჩანაგებული ეკონომიკა და კულტურა, ცხოვრებაში ამ კანონის გატარების დღიდან თავის აწინდელ სახეს იცვლის და ქართველი ერის საკეთილდღეოდ სულ სხვა ფერსა და სახეს მიიღებს. უკველია, ჩვენ შევყანასაც სამართლიანობის მზე გამოიტანდება და ის სულიერი ტანგვა, რომელსაც ქართველი ხალხი განიცდიდა ამ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, სამუდამოდ ისტორიას ჩაბარდება. ქართველი ერი აღორძინების გზას დადგება და ამ უფლებრივი წყობილების მეოხებით თავის წვლილს შეიტანს გშენებლობის იმ სალაროში. რომელსაც კაცობრიობის საერთოდ განვითარების, საერთო აღორძინების საქმეს ეძახია.

როცა კი საღმე კრებაზე იწვევდნენ ილიას ან ასეთ კრებას თვითონ იწვევდა, იშვიათად მოხდებოდა ხოლმე, რომ მას სხდომაზე თავისი აზრი და შეხედულება საკამათო საგნის შესახებ არ გამოეთვას და თავისი ესა თუ ის მსჯავრი არ გამოეტანოს.

ფრეილინის ქუჩაზე მოწვეულ კრებაზედაც ასე მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალმა ორატორმა ილაპარაკა, მრავალი „საგულისხმიერო“ აზრი წარმოითქვა და საკითხი თითქმის ამოწურვის პროცესის იყო, მაგრამ ყველანი მაინც მოუთმენლად მოელოდნენ ილიას სიში იყო,

ტყვას, ყველას აინტერესებდა, ილია როგორ აზრს გამოთქვამდა ახლად გამოცემული კანონის შესახებ, გაიზიარებდა იგი კრებაზე წარმოთქმულ აზრს თუ არა.

დადგა მომენტი, როცა ილია თავისებურად ამეტყველდა.

კრებაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი სმენად გადაიცნენ და ორატორის თვითეულ სიტყვას ხარბად ისმენდნენ.

— „ბატონებო! — ნელის კილოთი დაიწყო თავის სიტყვა ილიამ,— უფიქრობ, რომ კრების წევრთა ასეთი გატაცება და სიხარული სათათბიროს მოწვევის ახალი კანონის შესახებ ცოტათი ნაადრევია. დიახ, მოგახსენებთ, რომ ნაადრევია! ჩემი შეხედულება და აზრი რომ სიმართლეს მოკლებული არ არის, ამაში თქვენ თვითონვე სულ მოკლე ხანში დარწმუნდებით, როგორც კი ამ სათათბიროს სხდომები გაიხსნება. აბა, რა საფიქრებელია, ბატონებო, წარმოვიდგინოთ, მთავრობა ისე გამოსულელებულიყოს რომ სათათბიროს დეპუტატებს სახელმწიფო მართვაგამგებლობის სადაც ხელში მისცეს და თვითონ კი ზერელე შაყურებელის როლში ჩადგეს.

აბა, ერთი მიბრძანეთ, სად გაგონილა, სად გინახავს, რომელ ქვეყანაში მომხდარა, რომ თვითმპყრობელური სახელმწიფოს ბატონპატრონს, სახელმწიფოს განუსაზღვრელ მბრძანებელს თავისი უფლებები შეეკვეცოს, უარი ეთქვას ამ უფლებებზე და ხონჩაზე დალაგებული თავისუფლებები მიერთმიოს თავის ქვეშევრდომთათვის და გულწრფელად ეთქვას: „თქვენი მოვლა-პატრონობა მე ვერ შევძლი და აბა ახლა თქვენ იცით, თვითონვე თქვენ მოუარეთ თქვენ თავს, თვითონ თქვენვე გამოჭედეთ თქვენი ბედი!“

როგორ ჰიტერობთ, ამ ქვეყნის სიტყბოებით და ფულუნებით გალადული მბრძანებლები სააღდგომო ბატქნები ხომ არ გგონიათ, რომ თავის ყელების გამოსაჭრელი დანები ხელში მოვაჩერიო! ისტორიამ არ იცის ამის მაგალითი და ასეთი სასწაული, აბა რა საფიქრებელია, რუსეთში მომხდარიყოს!

ჩემი ღრმა რწმენით, მთავრობას ჰსურს ამჟამად შექმნილი მძიმე შდგომარეობას როგორმე თავი დააღწიოს და ხალხის თვალების ასაბმელად ეს კანონი მოვაჩერა ხელში და წარბშეუხრელად გვეუბნება: „მე როგორც მიწირავს, ისე ვწირაო!“

მთავრობა რომ აბუჩად გვიგდებს, ეს სრულიად აშკარად სჩანს 1905 წლის 11 დეკემბრის კანონის ტექსტიდან. კანონი სცდილობს სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ იქნას მთავრობის მომხრეების უმსავლესობა. ამ მიზანს ემსახურება მსხვილ მემამულეთა და კაპიტალისტების უპირატესობანი, სამაგივროდ გლეხობისა და მუშათ



ფერების უფლებანი შეზღუდულია, წარმოიდგინეთ, მთელი ციმბირი-სა და პოლონეთის მხარეების გლეხებს და მუშებს, გარდა მსვილ მემატულებისა და კაბიტალისტებისა, წარმომეული აქვთ უფლება სა-თაბიროს არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

აი, ბატონებო, როგორც ხედავთ, მოსახლეობის ის ფერები, რომლებიც სახელმწიფოში სასიცოცხლო ძალის წარმოადგენენ, რომლებიც ჰქონიან სახელმწიფოს ათასგვარ ღირებულებას, სახელმწიფოს კეთილ-დღეობას, სახელმწიფოს დოკუმენტს, ეს ფერები ან სრულიად არჩევნების გარეშე არიან მოქცეული, ანდა მათი უფლებები იმდენად შეზღუდულია, რომ ამ უფლებების მინიჭება, უმეტეს შემთხვევაში, თავის პირდაპირ დანიშნულებას სრულიად ვერ აღწევს.

ამჟამად, ბატონებო, მომწიფებულია ის პრინციპი. რომლის მი-ხედვით სახელმწიფოების სოციალური წესწყობილება უნდა შეიცვალოს იმ მხრით, რომ დაკანონებულ იქნას ადამიანთა შორის შემოსავლის მეტნაკლებობით განაწილება, კლასისბრივი ბატონობის გაუქმება, გამრჯელი და მშრომელი მოსახლეობის ფეხზე წამოყენება და ცოდნების ახლანდელი მძიმე პირობების გაუმჯობესება.

წამოჭრილია და უეჭველია მომავალშიაც კიდევ წამოიჭრება მრავალი საჭირობორო საკითხი, რომელიც დიდ უთანხმოებას იწვევს მოსახლეობის სხვა და სხვა ფერებში, ყველა ესეთი საკითხის ჯეროვანად გადაჭრა არც ასე ადვილი და ხელწამოსაკრავი საჭმა. ასეთია, მაგალითად, მიწის განაწილების საკითხი, მუშახელის ხელფასი და მრავალი კიდევ სხვა სოციალური ხასიათის საკითხი.

სულ მოკლე მომავალი დაგვანახებს, რომ სათათბიროს დეპუტატებმა კიდევაც რომ ერთსულოვანად მოისურვონ მოხსენებული სა-კითხების გადაჭრა, მთავრობა განა იმდენად სულელი ნახეთ, რომ ამ საკითხების გადაჭრის უფლებას ვისმე დაუთმო!

შეიძლება ვინმემ მიპასუხოს, რომ ჩვენი ქართველი დეპუტატები თავისი დამაჭრებელი, საფუძვლიანი მოთხოვნებით გადამწყვეტი როლს ითამაშებენ და ჩვენს შესხებ წარდგენილ კანონპროექტებს უმტკივნეულოდ გაატარებენ სათათბიროშით. ნეტარ არიან შორწმუნენი, მაგრამ პირადად ჩვენ არ გვწამს ესეთი სასწაულმოქმედება.

აქამდე ერთი ბატონი, ერთი მბრძანებელი გვყვანდა და მისი რა-მეში დარწმუნება, დაჭრება, რათა ჩვენი მდგომარეობა მცირედად მაინც შეემსუბუქებინა არა თუ არ ხერხდებოდა, კიდევაც ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა.

ამიერიდან კი ერთი მბრძანებელის, ერთი ბატონის მაგივრად 300-400 მბრძანებელი გვვილინება სახელმწიფო მმართველობის სათავეში.

წარმოდგენილი მაქვს, რანაირ მდგომარეობაში ჩევარდებით! ეს დენა ხალხი, ყველანი ერთად და ცალკალკე უნდა ვარწმუნოთ. უნდა ვატეროთ, ყველას წინაშე წამოვიჩინეოთ, რომ გუშინ ჰელმა ყოფილმა ბატონებმა ჩვენს სასარგებლოდ სიტყვა დასძრან.

პირადად ჩვენ ეს არა გვწამს და, თუ ვინმე ამაზი დაძარწმუნებს, მაღლობას შევწირავ. სხვა რაღა მეოქმის! მაგრამ, ვიმეორებთ, ჩვენ მომავალი სათათბირო ფიქციად მიგვაჩნია. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ სათათბიროს დეპუტატებმა ჭიდევაც მოისურვონ კანონით მინიჭებული უფლებების სამართლიანად გამოყენება, ყოველს ეჭვს გარეშე, მათ დიდხანს არ აბოგინებენ და წარბშეუხრელად, სრულიად მოურიდებლად კარებს გამოუხურავენ და „უმართებულო“ კადნიშრებისათვის პასუხისმგებაშიაც მისცემენ. ჩვენ მოაგრობას სხვანა-ირად მოქცევა არ შეუძლია და ვფიქრობ სხვანაირად არც მოიქცევა!“

ილიას ეს სიტყვა ყუმბარასავით გასკდა დარბაზში. კრების დარბაზის ატმოსფერო ერთბაშად შეიცვალა. თუ რამდენიმე წუთის წინეთ კრების წევრები სიხარულის ფიალს ეწაფებოდნენ, ილიას სიტყვის შემდეგ კი მწარე საგონებელს მიეცნენ.

VII. ილიას „ეუთვაგათვაბი“

ილია ჭავჭავაძეს, როგორც დიდად ნიჭიერ მწერალს და მგოსანს, დიდ მოაზროვნეს და საზოგადო მოღვაწეს, მეტად დიდი სახელი ჰქონდა მოხევჭილი არა მარტო ტფილისში, არამედ მთელ საქართველოში.

ქართველი ხალხი ამაყობდა ილიას სახელით, ქართველი ერის გულისყრი, ყოველი სამძიმო საკითხის გადაჭრის დროს, ილიასავენ იყო შიმართული. ილია საქართველოს უგვირგვინო მეფე იყო, მეფე, რომელიც თავის სამწყსოს არაჩვეულებრივის სიერთგულით უვლიდა, ჰპატრონობდა, მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას, თავის დიდ ერულიციას და გავლენას ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, მის გონებრივად და ქონებრივად გაუმჯობესებისათვის იყენებდა.

ვინ მოსთვლის იმ ამაგს, რაც ილიამ ქართველობას დასდო. ვინ მოსთვლის იმ კეთილ საქმეებს, რომელნიც ილიამ ქართველი ერის საკეთილდღეოდ და საბეღნიეროდ დასთესა! სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენი მხცოვანი მგრანის და საზოგადო მოღვაწის სახელი ასე დიდებით, ასე პატივისცემით და სიყვარულით იყო ღრმად ჩამარხული თვითეული შეგნებულის ქართველის გულში!

მთელი ქართველი ერი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი დღიური და აფასებდნენ მის ნიჭის, მს ენერგიის, მის დიდ ცოდნას და მოცდილებას.

ვინ იყო ისეთი საქართველოში, რომ ილიას არ სცნობდა, ვინ იყო ისეთი უცხოელი, რომ საქართველოს იცნობდა და ილიას კი არ!

თვითეული უცხოელი, რომელიც კულტურული მიზნით საქართველოში მოდიოდა, თავის მოვალეობად სთვლიდა ილია ენახნა და მისგან საჭირო და სწორი ცნობები მიეღო საქართველოს შესახებ.

ილიას გავლენა, ილიას მნიშვნელობა დღითი დღე იზრდებოდა. ამიერკავკასიის მაშინდელი მთავრობა ამას კარგად გრძნობდა და ხედავდა, და ამიტომ ასეთი დიდი ადამიანის აზრისა და შეხედულების, ადგილობრივი პირობების ღრმად გაცნობილი ადამიანის აზრის მოსმენა და შეტყობა, მთავრობისათვის აუცილებლად საჭირო ხდებოდა. აშიტომ, ამიერკავკასიის მასშტაბით თუ რაიმე სამძიმო საკითხი წამოიწყებოდა, ილიას აზრისა და შეხედულების გავებას მაშინდელი მთავრობა აუცილებლად საჭიროდ სთვლიდა.

ამიერკავკასიის მთავარმართებლის სამმართველოსთან არსებობდა ეგრედ წოდებული „მთავარმართებლის საბჭო“, რომლის კომპეტენციის შეადგენდა ამიერკავკასიის მასშტაბით კანონ-პროექტების დამუშავება და ცენტრში დასამტკიცებლად გაგზავნა.

მართალია, ამ საბჭოში წევრებად შედიოდნენ გამოცდილი სახელმწიფო მოხელეები, მაგრამ მთავრობა არ კმაყოფილდებოდა ამ მოხელეების მიერ დამუშავებული კანონ-პროექტებით და ყოველ კერძო შემთხვევაში დასკვნის მოსაცემად ილიას მიმართავდნენ ხოლმე.

ამიერკავკასიაში საერთოდ და, კერძოდ, საქართველოში, მიწის განაწილების საკითხი, გლეხებისა და მემამულეების ურთიერთობის მოწესრიგება, ეგრედ წოდებული ხიზნების უფლებების გამორკვევა და მოწესრიგება მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა. ამ საკითხის გარშემო მთავარმართებლის საბჭოში არა ერთი გამოცდილი იურისტი მუშაობდა, მაგრამ მთავრობა, სანამ ილიას აზრსა და შეხედულებას არ გაიგებდა, სანამ ილიას დასკვნას წერილობითი სახით არ მიღებდა, საბჭოს მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტებს და მოხსენებებს მსვლელობას არ აძლევდა.

ტფილისში იმ უამად კარგად ცნობილი ვექილი, მიწადმოქმედების სამინისტროს ამიერკავკასიაში ჩრდილებულის სამმართველოს იურისტონსულტი გაბრიელ ბეჟანის-ძე საყვარელიძე მიწინა და კერძოდ ხიზანთა საკითხების დიდმოდნე იურისტად ითვლებოდა. მაგრამ არცერთი პროექტი, გაბრიელ საყვარელიძის მიერ შედგენილი, ილიას დას-

კვინის გარეშე უმაღლეს ინსტანციაში ამიერკავკასიის მაშინდელ მთავრობას დასამტკიცებლად არ წარუდგენია.

ილია ყოველთვის წინდახებული, ფრთხილი ადამიანი იყო და ამიტომ პირადათ, მარტო არ სწყვეტდა სამხარეო საქმეებს.

ილია, სანამ რაიმე დასკვნას მისცემდა მთავრობას ამა თუ იმ საკითხის შესახებ, ასეთ საკითხს თავის წრეში, საჭმის მცოდნე პირთა შორის, განიხილავდა და ყოველმხრივ განსჯის შემდეგ, ამა თუ იმ შეთანხმებულ დასკვნას გამოიტანდა მთავრობამი წარსაღვენად.

საბჭოს წევრებს არ მოსწონდათ მათ მიერ დამუშავებულ კანონ-პროექტებში შესწორებების შეტანა და უეჭველია ამ ნიადაგზედაც აითვალისწუნეს ილია ჭავჭავაძე, ვინ იცის, რა ცოდვები არ მოახვიეს კისერზე! საბჭოს გავლენიანი წევრები ილიას სეპარატისტია სახავდნენ და მთავარმართებელს ყურში აწვეთებდნენ, რომ ილია ჭავჭავაძე არა-კეთილსამედო ადამიანია და მის აზრსა და შეხედულებას აბა რა ფასი უნდა ჰქონდეს! მთავარმართებლის საბჭოს წევრების ამ გალაშქრებამ მართლაც გასჭრა. ილიამ მთავრობის თვალში უკვე დაკარგა ძეველუნი მნიშვნელობა და კიდევაც ეს იყო შეიხეზი, რომ მთავრობამ შესწყვიტა ილიასათვის კანონ-პროექტებისა და მოხსენებების გზავნა დასკვნისათვის.

თუმცა მთავრობამ გარეგნულად ასეთი დამოკიდებულება დაიჭირა ილია ჭავჭავაძესთან, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ილიას აზრის, ილიას შეხედულობის უქონლობა დიდად აფერხებდა ამა თუ იმ კანონ-პროექტის საბოლოოდ დამუშავებას.

ასეთ შემთხვევებში მთავრობასა და ილიას შორის შუაცობას კისრულობდა ილიას დიდი მეგობარი და პატივისმცემელი, ტფილისის იმდროინდელი გუბერნატორი თავადი გიორგი შარვაშიძე, რომელიც ქრისტიანული საუბრებში ეცნობოდა ილიას აზრსა და შეხედულებას და ამის მიხედვით მთავრობა ტყობილობდა ადგილობრივი მკვიდრის საჭიროებათა აუცილებლობას.

იმ კრებებს, რომლებზედაც ილია იხილავდა მთავრობის მიერ დასკვნისათვის გადმოგზავნილ კანონ-პროექტებს და მოხსენებებს, რასაჭვირველია, სისტემატური ხასიათი არა ჰქონდა. ესეთ კრებებს ილია ნიშავდა საჭიროების მიხედვით.

სამაგიეროდ, ილია იწვევდა ისეთ კრებებსაც, რომელთაც განსაზღვრული მიზანი და სისტემატური ხასიათი ჰქონდა მიკუთვნებული. ასეთი კრებები უმთავრესად იმართებოდა ილიას ბინაზე, ნიკოლოზის ქუჩაზე, კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს, და ამ კრებებს კიდევაც ამიტომ დაერქვა ილიას „ხუთშაბათები“.

უოველდღიური გაზეთის „ივერია“-ს რედაქცია მოთავსებული იყო
იმ სახლის ქვემო სართულში, რომლის ზემოდაც თვითონ ილია
სცხოვრობდა, ილია ხშირად ჩამოდიოდა ქვემო სართულში და რე-
დაქციის უოველდღიურ საქმიანობას თვალყურს ადევნებდა და საჭი-
რო განმარტებებს აძლევდა რედაქციის მუდმივ თანამშრომლებს.

პრინციპული ხასიათის წერილებს, რომლებიც რედაქციაში შემო-
დიოდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან, ილია რედაქციის
პასუხისმგებელ თანამშრომლებთან ერთად იხილავდა და მათთან შე-
თანხმებით სწყვეტდა ამ წერილების ბედს.

თუ ამ წერილების შინაარსი მოითხოვდა უფრო დეტალურ განხილ-
ვას, უფრო სხვანაირ მიღვომას, ვიდრე ეს შესაძლებელი და მოსახერ-
ხებელი იყო სარედაქციო ვიწრო წრეში, ილიას ესეთი წერილების
შინაარსის განხილვა გადაპქნდა თავის „ხუთშაბათების“ კრებაზე და
ამ წერილების ბედი ამ გაფართოვებულ სხდომებზე სწყლებოდა.

„ხუთშაბათების“ სხდომებზე, რომელნიც უმთავრესად იმართებოდა
ილიას ბინაზე, ხშირად თვითონ ილია ან რომელიმე სხვა ჩვენი ქარ-
თველი მწერალი ჰკითხულობდა თავის ახლად დაწერილ ნაწარმოებს
და ამ ნაწარმოების გარშემო გაშართული დებატები ზოგჯერ ღამიშ
12 საათამდე გრძელდებოდა.

ამ „ხუთშაბათების“ ხასიათის კრებები ხანგამოშვებით სხვის საი-
მედო ბინებზედაც იმართებოდა და ხშირად ჩვენი მწერლებისა და
მოღვაწეების თანადასწრებით ირჩეოდა ზოგჯერ ჩვენი ქვეყნის საჭირ-
ბოროტო საკითხები, ზოგჯერ კი ქართველ მწერალთა კრებაზე წაკი-
თხული მხატვრული ნაწარმოებნი.

ილია ჭავჭავაძემ, მაგალითად, თავისი „ოთარაანთ ქვრივი“ განსვე-
ნებულ დავით სარაჭიშვილის ბინაზე წაიკითხა და ამ ნაწარმოების
დედააზრი თუ მხატვრული მხარე ამ კრებაზე იქნა განხილული.

ანტონ ფურცელაძემ „მაცი ხვიტია“ თავის ბინაზე წაიკითხა და იმ
სხდომაზე დამსწრებმა, რომელთა შორის ილიაც იყო, დიდად მოიწო-
ნეს ეს ნაწარმოები.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის „ხუთშაბათებს“ მიზნად ჰქონდა დასა-
ხული უმთავრესად სალიტერატურო საკითხების განხილვა.

მაგრამ ილია შეტაც წინდახედული, შორსმჭვრეტელი ადამიანი
იყო და ამიტომ იგი ამ კრებებზე შიგადაშიგ, წევრების შეუტჩნევლად,
წამოაყენებდა ხოლმე ისეთ ზოგად საკითხებსაც, რომელთა გადაწყვე-
ტის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მასშტაბით. ამნაირად,
ხშირად ლიტერატურული საკითხები იდგილს უთმობდა ისეთ საკი-

თხებს, რომლებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს კონსტიტუციური და კულტურულ განვითარებასთან.

„ხუთშაბათების“ სხდომებს ყოველთვის მოჰყვებოდა საუცხოა, ვახშამი, რომელზედაც ილიას ოხუნჯობას, ილიას მოსწრებულ სიტყვას, ილიას მხიარულებას საზღვარი არ უჩანდა.

ილია ასეთ ვახშებზე ჩევეულებრივად თამადობას თვითონ კისრულობდა და მართლაც რომ შესანიშნავი ენამახვილობით, შესანიშნავი მოსწრებული სიტყვებით ადღეგრძელებდა თითეულ იქ დამსწრეთ, რაიცა საერთო მხიარულებას ერთი-ორად აძლიერებდა.

სწორედ იმ ხანებში, როცა „ივერიას“ გამართული პეონი პოლემიკა „ცნობის ფურცელთან“ და „კვალთან“ გლეხებში ახლად დაწყებული მოძრაობის შესახებ, „ივერიაში“ ფელეტონებად იბეჭდებოდა „ახალმოსულის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი წერილები, რომლებშიაც წერილების ავტორი დაუნდობლად, დიდის ერუდიციით აკრიტიკებდა „ცნობის ფურცლისა“ და „კვალის“ პოზიციებს საღავო საკითხების ირგვლივ.

ილია ჭავჭავაძე როცა ამავე საკითხების გარშემო საპოლემიკო წერილებს წერდა თავის სახელისა და გვარის ხელმოწერით, მკითხველი, ერთგვარად ანგარიშს უწევდა ილიას დიდ ერუდიციას, ილიას ენამახვილობას, ილიას რკინისებურ ლოგიკურ დასკვნებს და იხიბლებოდა ამ დიდბუნებოვანი ადამიანის მტკიცე ნებისყოფით.

მაგრამ „ივერიის“ ფურცლებზე „ახალმოსულის“ ფსევდონიმით გამოდის ილიას კონკურენტი, რომელიც ილიასებური ერუდიციით, ილიასებური რეინის ლოგიკით აკრიტიკებს მოწინააღმდეგეთა პოზიციებს და ამ დაუნდობელი კრიტიკის გაჩაღებით ილიას კიდევაც სჭიბნის, უფრო მეტის დამაჯერებლობით აშუქებს საკითხებს.

ტფილისში ყველანი დაინტერესდნენ „ახალმოსულის“ ვინაობით, რომელიც ეგზომ დიდ მეტოქეობას უწევს დიდ ილიას და უმეტეს შემთხვევაში კიდევაც ჩრდილავს ილიას დაუნდობელ და გამანაღგურებელ კრიტიკის ხერხებს.

„ივერიის“ მკითხველებმა და არც მოწინააღმდეგე მხარეშ დიდხანს არ იცოდნენ, თუ ვინ ეფარებოდა „ახალმოსულის“ ფსევდონიმის ზურგს.

„ივერიის“ რედაქტია და მისი თანამშრომლები დიდხანს საიდუმლოდ ინახავდნენ „ახალმოსულის“ ვინაობას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს საიდუმლოებაც გამომქანდა.

„ივერიის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაარწმუნა თავის ნაცნობ-მეობრები, რომ „ახალმოსულის“ ფსევდონიმით საპოლემიკო ფილა-

ტონებს წერდა „კვალისა“ და „ცნობის ფურცლის“ წინააღმდეგ ახალ-გაზრდა მწერალი, „ივერიის“ რედაქციის მუდმივი თანამშრომელი ივანე ახალშენიშვილი.

ასეთი მხილება ყველასათვის შოულოდნელი იყო. მართალია, ივანე ახალშენიშვილი ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, მას საზოგადოდ წერა-კარგად უხერხებოდა, მაგრამ ის დიდი ეროვნულიცა, ის დიდი საქმის ცოდნა და წერის მანერა, რომელიც „ახალმოსულმა“ თავის საპოლე-მიკო წერილებში გამოიჩინა, ივანე ახალშენიშვილისათვის მკითხველ საზოგადოებას რაღაც არ ემტებოდა.

როცა ივანე ახალშენიშვილს შეეკითხებოდნენ, „კაცო, ამბობენ, რომ „ახალმოსულის“ ფსევდონიმით შენ სწერო და მართალია?“ ივანე ახალშენიშვილი თუმცა უარიბდა, მაგრამ ამ უარის თქმაში ისიც იგუ-ლისხმებოდა, რომ „ახალმოსულის“ ფსევდონიმი მას ეკუთვნოდა, რომ ამ ფსევდონიმით ხელმოწერილ საპოლემიკო წერილებს იგი ათავსებდა „ივერიის“ ფურცლებზე.

ერთ-ერთ ხუთშაბათს, როცა სხდომის შემდეგ ილიას სასადილო ოთახში ვისხედით კრების წევრები და ყველანი მადიანად ვახშამს შე-ვეძეოდით, ილიამ, ჩვეულების მიხედვით, ყველანი შესაფერისი სიტყ-ვებით ადლეგრძელა, ზოგს ტკბილი სიტყვა უთხრა, ზოგს მწარე და საერთოდ კი ყველანი მხიარულ გუნებაზე დაგვაყენა.

დაბოლოს, დახელოვნებულმა თამაღამ იოლო ჭიქა ხელში და სე-რიოზული სახის გამომეტყველებით მოგვმართა: „ბატონებო, ნება მი-ბოძეთ ახლა შევსვა ეს ჭიქა „ახალმოსულის“ სადლეგრძელოდ! გაუ-მარჯოს ჩვენს „ახალმოსულს!“ ვუსურვოთ კალმის უფრო სიბასრე და სიმახვილე!“

ილიამ, ამ სიტყვებთან ერთად, ჭიქა ოთახში ახლად შემოსული იყა-ნე ახალშენიშვილისაკენ გაიშვირა.

ივანე ახალშენიშვილმა თავისი სამადლობელი სიტყვა ამრიგად მო-მართა: „ბატონებო, ჩვენს შეუდარებელ თამაღას დიდ მადლობას ვწირავ, როცა იგი პირადად ჩემს სადლეგრძელოს მიირთმევს! ჩვენი დიდი ილიას გრძნობით წარმოთქმულ სადლეგრძელოს: „გაუმარჯოს ჩვენს „ახალმოსულს“, მთელის ჩემის არსებით ვიზიარებ და გთხოვთ, ბატონებო, ჩემთან ერთად თქვენაც ასე გულწრფელად შესვათ ჩვენი „ახალმოსულის“, ჩვენი დიდი ილიას სადლეგრძელო!“ ამ სიტყვებით დაამთავრა ივანე ახალშენიშვილმა თავისი სამადლობელი სიტყვა.

ყველამ სიამოვნებით გიახელით ჩვენი დიდი ილიას და მის „ახალ-მოსულის“ სადლეგრძელო.

ამიერიდან „ახალმოსულის“ ფსევდონიმს საიდუმლოების ფარდა ჩამოეხადა. უკვე ყველამ იცოდა ტფილისში და მთელ საქართველოში, თუ ვინ სწერდა საპოლემიკო წერილებს „ცნობის ფურცლისა“ და „კვალის“ წინააღმდეგ, „ახალმოსულის“ ფსევდონიმით ხელმოწერილს.

ეს იყო — ჩვენი დიდი ილია ჭავჭავაძე.

1937

ხელი იაზვილი

თაგილისის ქართული გიმნაზია და ილია პავლიშვილი

დღევანდელი მკითხველისათვის რომ გასაგები გახდეს თბილისის ქართული გიმნაზიის ვითარება, ჩვენ აქ მოკლედ მოვიყვანთ ამ გიმნაზიის დაარსებისა და საქმიანობის ისტორიას: თუმცა მაშინდელ თბილისის გუბერნიაში მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ ქართველ მოსწავლეთა რიცხვი სახელმწიფო სასწავლებლებში გაცილებით ნაკლები იყო; — ამის მიზეზი კი ის გარემოება იყო, რომ ქართველობა, გლეხებიცა და გაღარიბებული და დაკინებული თავადაზნაურობაც მეტწილად სოფლად ცხოვრობდა, სადაც არავითარი შესაძლებლობა (სკოლები და მასწავლებლები) არ მოიპოვებდა, რომ ქართველობას თავის შვილები მოემზადებინებიათ და სახელმწიფო სასწავლებლებში მიეღებინებინათ. აქ საჭირო იყო საზოგადოებრივი დახმარება და სწორედ ასეთი დამხმარე საზოგადოების დაარსება უკისრია გიორგი რომანის ძე ერისთავს. ამ გიორგი ერისთავს დაუარსებია „ლარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება“, რომელსაც თავის კრებაზე აურჩევია გამგე აღმასრულებელი ორგანო-კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, გ. რ. ერისთავი, თავმჯდომარის ამხანაგი კ. ქ. მამაცაშვილი. წევრები: ნ. ბ. ცხველაშვე, ი. ს. გოგებაშვილი, ვ. თულაშვილი, ლ. მაღალაშვილი, დ. ერისთავი და ნ. ქანანაშვილი.

გამგე კომიტეტს შეუდეგნია სათანადო წესდება, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალს დაუმტკიცებია და ამ წესდების საფუძველზე გაუხსნია 1879 წლის 6 თებერვალს თბილისის სათავად-აზნაურო კერძო სკოლა პანსიონით. ამ სკოლას პქონია ოთხი მოსამზადებელი განყოფილება, ხოლო 1884 სასწავლო წლიდან სკოლასთან გახსნილა პირველი პროგიმნაზიული კლასი და ამ პროგიმნაზიული კლასების გახსნა დამთავრებულა 1890 წელს, ასე რომ 1890 წლიდან თბილისის კერძო სათავად-აზნაურო სკოლა უკვე პროგიმნაზიის სახით არსებობს.

1879—1880 სასწ. წელს სკოლის გამგედ ყოფილა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, შექსპირის პიესების მთარგმნელი ივ. მაჩაბელი, ხოლო 1880 წ. ვიდრე 1882 წლამდე გამგედ ყოფილა ცნობილი მწერალი ნ. ლომოური.

რაც დრო გადიოდა, ამ პროგიმნაზიას ყოველ წელს ემატებოდა

გიმნაზიური კლასები და ბოლოს იგი გახდა სრულ კერძო გიმნაზიად.
სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით ქართული გიმნაზია
ნაზიის მერვე კლასის მოწაფეები თბილისის სახელმწიფო გიმნაზიებში
იჭერდნენ გამოცდებს სიმწიფის მოწმობის მისაღებად. ამ გიმნაზიებში
უმდინდნენ, ასე რომ ჩვენი გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფეებიდან მხოლოდ 30—35 პრო-
ცენტი იღებდა სიმწიფის მოწმობას.

წოდებრივად პირველ ხანებში გიმნაზიის მოწაფეთა შემადგენლო-
ბა ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებით განისაზღვრებოდა, ხოლო შემ-
დეგ წლებში გლეხებისა და ხელოსნების შვილები უფრო და უფრო
მეტს პროცენტს შეადგენენ, რის შედეგადაც გიმნაზია თანდათან
ჰკარგავს წოდებრივ ხასიათს და ამიტომ იგი ქართული გიმნაზიის სა-
ხელს ატარებს.

თბილისის ქართულმა გიმნაზიამ თავის არსებობის 44 წლის მან-
ძილზე თავისი წვლილი შეიტანა ქართველი ერის გონებრივი წარმატე-
ბის საქმეში. ეროვნული ჩავრის პირობებში ეს გიმნაზია საგანმანათ-
ლებლო-კულტურული ცენტრი იყო საქართველოში.

თბილისის ქართული გიმნაზია, ისე როგორც ქართული კულტუ-
რის სხვა დარგებისაც, ქართული მუსიკალური კულტურის კერაც იყო.
ხ. ჩხივაძის, ზ. ფალიაშვილის და ან. ყარაშვილის შრომითა და მეცა-
ლინეობით გიმნაზიაში მოწყობილი იყო მომღერალთა საუცხოვო
გუნდი და დიდი სიმებიანი ორკესტრი. უმთავრესი ყურადღება ექცე-
ოდა ქართული ხალხური სიმღერებისა და ქართველი კომპოზიტორების
შემოქმედების შესწავლასა და გამოვლინებას. 1903—4 სასწავლო
წელს გიმნაზიაში მოწაფეთაგან კვარტეტიც კი ჩამოყალიბდა. პირვე-
ლი ვიოლინო — ვლ. ორჯონიშვილე, მეორე — ირ. მიქელაძე, ალტი —
ყ. სულხანიშვილი და გ. ციციშვილი (ერთმანეთს ეცპლებოდნენ) და
ვიოლონჩიელო — ი. აბაშიძე). ეს იყო პირველი ქართული კვარტეტი
როგორც შემსრულებლების მხრივ, ისე ნაწარმოებთა შესრულების
მხრივაც. ყოველ სასწავლო წლის ბოლოს გიმნაზიაში იძართებოდა
მუსიკალურ-ლიტერატურული დილები, რომლებზედაც დიდძალი ხალ-
ხი ესწრებოდა. თვით ჩვენი დიდებული ოპერა „აბესალომ და ეთე-
რი“ ამ გიმნაზიაში იქმნებოდა. 1909—10 სასწავლო წლიდან ამ ოპერის
ლიბრეტოს ავტორი, ამავე გიმნაზიის ქართული ენის შასწავლებელი
პ. მირიანაშვილი, ყოველ დღე — ზ. ფალიაშვილს მოსვენებას არ აძ-
ლევდა, ჩასჩიჩინებდა, — „დაიწყე, დაიწყე ოპერის წერაო“ — და კი-
დევაც შემდეგ წლებში გიმნაზიის გუნდი და ორკესტრი მუსიკალურ-

ლიტერატურულ დილებზე უკვე ასრულებდნენ ნაწყვეტებს „აბესაძეს“ ლომ და ეთერიდან“.

ჩვენს უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში ამ გიმნაზიის 100-ზე მეტი ნამოწაფარი მეცნიერულ მუშაობას ეწევა, რომელთაგან 40-მდე პროფესორია, მათში — ალ. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, ნ. კეცხოველი და ღ. ყანჩაველი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები არიან, ხოლო გ. მუხაძე და ე. ხარაძე — აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, გ. ნათაძე — საქავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დანარჩენი დოცენტები — არიან, რომლებიც აქტიურ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევიან.

• • •

იმ დროის საქართველოს ერთადერთს ეროვნულ სასწავლებელს — თბილისის ქართულ გიმნაზიას ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას აინჭებდა და ამიტომაც იგი ამ გიმნაზიის ცხოვრებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა სიტყვითა თუ კალმით. ილია ესწრებოდა ხოლმე „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ საზოგადო კრებებს, მოღიოდა გიმნაზიაში, ესწრებოდა გაკვეთილებს, აკვირდებოდა პანსიონის მოწაფეთა ყოფა-ცხოვრებას და სახლშიაც კი პატიუობდა მათ.

1878 წელს „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ დამარსებელს გიორგი რომანის ძე ერის-თავს ილიამ „ივერიაში“ უძღვნა შემდეგი სიტყვები: „ჩვენს გაჭირვებას წამალი მოუპოვა... უჩუმრად, ხმამოულებლივ, უშფოთვარად შესდგა ამ ბოლო ხანს ერთი ფრიად სასარგებლო საზოგადოება — იგია „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება“ შედგენილი გიორგი რომანის ძე ერისთავის მეცადინეობით: „რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთო, სხვისაგან ბევრს ნურას ველოდებითო; რასაც თვითეული ცალკე ვერ შევძლებთო, ამას საზოგადოებრივად ერთად ადვილად შევძლებთო — აი ორი ნაყოფიერი აზრი ამ მეცადინეობის დედა-ბოძად მიღებული“.

1879 წელს 6 თებერვალს „საზოგადოებამ“ გახსნა სკოლა პანსიონით. ამ გაემოებას გაზეთ „ივერიაში“ (1879, № 1) ილია ასეთს სიტყვებს უძღვნის:

„ახლად დაარსებულმა „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებამ“ განიზრახა გამართვა თბილისში ისეთი სასწავლებლისა, საღაც მოზარდ ქართველებს მიეცემათ საშუა-

ლება პირველდაწყებითი განათლება თავის დედაენის შემწეობით მიმდინარე დღის. ეს განზრახვა ახლა სისრულეში მოჰყავს „საზოგადოების“ გამგებელ კომიტეტს, რომელმაც უკვე დაიქირავა კუკიაში მშვენიერი სასკოლო სახლი, მოიპოვა სკოლისათვის ყველა საჭირო ნივთეულობა და ხსნის სკოლას თებერვლის პირველ რიცხვებში.

ჩვენ საფუძველი გვაქვს ვსტკვათ, რომ ეს სკოლა ხეალ, თუ ზეგ, ამ მოქლე ხანში შეიქმნება სათავედ, საიდანაც აღმოცენდება ერთი კარგი კერძო გიმნაზია ქართველობისა“.

1886 წელს გაზაფხულზე ქართული გიმნაზიის შენობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებები იმართებოდა, რომლებზედაც როგორც თავმჯდომარე წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისა, ილია ჭავჭავაძე ესწრებოდა. ერთხელ გიმნაზიის მოსწავლეებს უთხოვნიათ გიმნაზიის მაშინდელ გამგის ალ. ჭიჭინაძისათვის ეჩვენებიათ მათთვის ილია. პატარა ხნის შემდეგ პანსიონში შესულა ილია ალ. ჭიჭინაძის თანხლებით. ილია მიესალმა მოსწავლეებს, უთხრა შოკლე სიტყვა და ბოლოს საღილად დაუპატიურა... დანიშნულ დღეს გამგის წინამძღოლობით მოსწავლეები ეწვიენ ილიას (ახლ. კალინინის ქ.) და როცა გაშლილ სუფრას შემოსხდომიან, იქ ილიას ღიმილით მიუმართავს მათთვის: „აბა, ყმაწვილებო, მორცხვობას თავი ანებეთ— რასაცა შესჭამთ თქვენია, რაც არა დაკარგულია“.

1887 წელს ილია ჭავჭავაძესთან მიუყვანიათ პატარა სვანი ივანე ნიუარაძე. ხოლო ილიას ნიუარაძე ქართულ გიმნაზიაში გაუგზავნია ალსაზრდელად. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ივანე ნიუარაძეს გიმნაზიაში სტიპენდია დაუნიშნა პეტერბურგში და დაამთავრებინა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. ამჟამად იგი დოცენტია და ლათინურ და ბერძნულ ენებს კითხულობს ჩვენს უნივერსიტეტში.

1896 წელს ქართული გიმნაზიის მეორე კლასში მოულოდნელად შემოსულან დირექტორი ე. ს. თაყაიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. ამ კლასში მასწავლებელ არისტო ქუთათელაძის გაკვეთილი ყოფილა ქართულ ენაში. არისტოს უცბად გამოიძახნია კლასში ყველაზე პატარა და დაბალი დ. პარკაძე და ყველაზე მაღალი — კ. თოფურია და ეს ორი მოსწავლე ერთად რომ დადგნენ. პარკაძე თოფურიას ჭიპამდე ვერ წვდებოდა. ილიასა და ივანეს თურმე ღიმილი მოუვიდათ და ილიამ არისტოს გადაულაპარაკა — „ასე უცბად როგორ გამონახვ სანქო-პანსა და დონკიხოტიო...“

1897 წელს შემოდგომაზე ქართული გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოსა და გამგე კომიტეტს გიმნაზიის შენობაში მ. ეწყვია არალეგალუ-

რად ილია ჭავჭავაძის 40 წლის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის იუბილე. ხოლო როცა ილია შენობაში შემოსულა, მას ზ. ჩხივაძის მიერ გაწროვნილი გიმნაზიის მომლერალთა გუნდი კახური მრავალუამიერით შეხვედრია (მაშინ ამ გუნდში მღეროდა ამ გიმნაზიის მოწაფე, შემდეგ „საქართველოს ბულბულად“ წოდებული შესანიშნავი მომლერალი ვანო სარაჯიშვილი), რასაც ილია ისე აუდელვებია, რომ კარგახანს მდგარა გარინდებული და ბოლოს უთქვაშს: „ამ შეხვედრამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ სიტყვა შემექრა და მადლობის თქმაც ვეღარ მოვახერხეო“. შემდეგ ილიასათვის მასპინნლებსა და საგანგებოდ მოწვეულ პირებს ვახშამი გაუმართავთ, რომელიც დიდის ზეიმით ჩატარებულა.

„საზოგადოების“ მორიგ კრებაზე 1898 წელს წამოჭრილა საკითხი ქართულ გიმნაზიაში სწავლის ფული 12 მანეთიდან 40 მანეთამდე გაედიდებიათ, მაგრამ კრებაზე ამ წინადადების წინააღმდეგ გამოსულა ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ვრცელი სიტყვა უთქვაშს და რომელიც ასე დაუბოლოვებია: „სწავლის ფული კი არ უნდა გავადიდოთ, არამც სულაც უნდა გავაუქმოთ, რადგანაც ჩვენ გიმნაზიაში უფრო ღარიბი მოწაფეები სწავლობენო“. ამ აზრს კრება დათანხმებია და სწავლის ფული აღარ გაუდიდებიათ. ამავე კრებაზე ილია ჭავჭავაძის წინადადებით ნ. ცხვედაძესათვის კრებას მაღლობა გამოუცხადებია ფულის შეკრებაში დიდი შრომისათვის.

1902 წელს 5 სექტემბერს დავიწყე ამ სტრიქონების დამწერმა სამსახური თბილისის ქართულ გიმნაზიაში... ამავე წლის ნოემბრის ერთ დღეს გიმნაზიის მაშინდელმა გამგებ ექ. თაყაიშვილმა სამასწავლებლო ოთახში გამოაცხადა: „ილია ჭავჭავაძემ განაახლა თავისი უურ-ფიქს“—ები ხუთშაბათობით (დანიშნული დღე კვირაში, როცა მსურველებს შეეძლოთ მისვლა და საზოგადო საქმეების შესახებ გამართულ ბააშში მონაწილეობის მიღება) და ვისაც გსურთ, შეგიძლიათ წახვიდეთო“, მე, რაკი ილია ჭერ ნახული არ მყავდა, მაშინვე მივმართე გიმნაზიის მასწავლებელს ივ. რატიშვილსა და აღმზრდელს კ. მაყაშვილს — დიდად მინდა ილიას ნახვა და თუ წახვალთ, მეც წამოგვებითქმ და კიდევაც უახლოვეს ხუთშაბათს მე და დასახელებული პირები წავედით ილია ჭავჭავაძესთან. მასპინძელმა მეტად გულთბილად, საუცხოვო ღიმილითა და გაბრწყინებული თვალებით მიგვიღო და მოგვესალმა. ივ. რატიშვილმა ილიას ჩემი თავი გაცნო, ჩვენი ახალი მასწავლებელი არისო; შემდეგ, ილიამ მოგვმართა: — აბა, რას მეტყვით, ჩვენი გიმნაზიის შესახებ? წელს რამდენმა მოწაფემ გაათავა გიმნაზია, იყითხა ივრეთვე ვაკეზე ახალი სახლის შენების

შსვლელობა და ბოლოს დასძინა — „ყმაწვილებო, იცოდეთ, რომ მაგ გიმნაზიას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ამ გიმნაზიაში ახალგაზრდები უნდა აღიზარდონ იმ მიმართულებით, რომელიც შე- უფერება ჩვენი ერის მოთხოვნილებას. ამ სასწავლებელმა უნდა აღ- ვიზარდოს მხნე, შრომის მოყვარე და მამულის მოყვარული ყმაწვილე- ბი“.

შემდეგ მე მომმართა და თქვა: „აი რუსეთის მეფის პავლეს მკვლელი, იაშვილი — თავადი იყო... თქვენც ხომ თავადი არა ხარ- თო?“ — „არა, ბატონო, მე აზნაურიც ტლივასა ვარ.“ — როგორ ილივ- საო? — იყითხა. ილია ისე სადად, გულწრფელად გვებაასებოდა, რომ მე საზოგადოდ საშინელი მორცხვი და მოკრძალებული, გავთამამდო და შემდეგ ეუამბე: ჩვენი ძველებისაგან ასეთი ამბავი გამიგონია: როცა დასავლეთ საქართველოში ქართული ენის უცოდინარი რუსის მოხელეები მოსახლეობის წილებრივ მდგომარეობას არკვევდნენ, ხალხს ეკლესიის გალავანში შექრებდნენ და თვითეულს შეეკითხებოდ- ნენ: „დვორიანინ ილი კრესტიანინ“. ასეთს შეკითხვაზე ჩვენს ძველს უპასუხნია — დვორიანინ, ლმერთმა დაწყევლოს, ქრისტიანი ვარო, — და ჩვენი ძველიც „კრესტიანინაც“ ჩაუწერიათ. ასეთი უნებლიერ შეც- დომის გამოსწორებას შემდეგში, თურმე, საქმაოდ დიდი ხარჯი და- ჭირდა... ამ ამბავზე ილიას გაეცინა და რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს მასპინძელს ახალი სტუმრები ეწვიენ და ბაასიც შეწყდა.

ილიას უურ-ფიქსებზე მეორედაც ვიყავი და მაშინ იგი ბევრს ჩვენს საზოგადოებრივ საკითხებს შეეხო, მოიხსენია ჩვენი მტერ-მოყვარენი და მისთვის დამახასიათებელი სიღარბაისლითა და იუმორით აშუქებდა საკითხის სრულ ვითარებას..

სამწუხაროდ ილიას უურ-ფიქსები რატომლაც მალე შეწყდა და შემდეგ სულაც აღარ განახლებულა.

ლადო გავაკორი

ზღისთავზე

ახლად წამოჩიტული ვიყავი. მაშინ ტფილისის სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი. მწერლობა ახლად დაწყებული მქონდა. მოკრძალებით გადავცემდი ჩემს ლექსებს „ნიშადურის“ რედაქტორს ვალ. გუნის თავის უურნალში დასაბეჭდად.

ილია რომ მოჰკლეს, თბილისში ვიყავი; დავესწარ მის ლაკრძალვას, ცოცხლად არ მენახა, ვნახე მხოლოდ კუბოში, მაშინ როდესაც გამოსათხოვარ სიტყვას ამბობდა მთაწმინდის ასავლელთან მაშინდელი ქალაქის თავი ჩერქეზიშვილი.

დღესაც თვალიდან არ მშორდება გამბა, რომელიც ჩვენი ლიტერატურის ბუმბერაზის ნატყვიარში, საფეხქელში, იყო გაჩრილი; მთაწმინდა პირქუშად გამოიყურებოდა, მზეს ლრუბლები ჰფარავდა, საქართველო შავ ძაძებში იყო გახვეული.

იმ შთაბეჭდილებით, რომელიც მაშინ განვიცადე, დავწერე ლექსი სათაურით „ბულბული“: ეს ლექსი დაიბეჭდა „ნიშადურში“ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის წლისთვზე (30 აგვისტოს, 1908 წ. № 59).

• •

დილის შვიდი საათია. მზემ მახათას მთიდან სხივები მოჰტინა თბილისის მიდამოს. რკინიგზის სადგურში, „ნიშადურის“ რედაქციის ინიციატივით მოგროვდენ მწერლები და საზოგადო მოღვაწენი წიწამურში წასავლელად. აქ არიან: „ნიშადურის“ რედაქტორი ვალ. გუნია, პოეტი ირ. ევდოშვილი, მსახიობი კოტე მესხი, მწერალი ილია ნაკაშიძე, ბელეტრისტი სიმონ ყიფიანი, საფრანგეთიდან ახლადჩამოსული, ახალგაზრდა მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, პუბლიცისტი „სიტყვა“ (ს. ფირცხალავა) და სხვები, 20-მდე მწერალ-მოღვაწე.

მატარებლის გასვლის დრო ახლოვდება, ბილეთები შევიძინეთ. ვნერვიულობთ, ყველაზე უფრო ვალიყო გუნია ნერვიულობს, შეპირებული იყო, ბილეთიც შეიძინა ჩვენი დიდი პოეტის ვაჟასთვის; ის კი არსად ჩანს. ჯერ ისევ სადგურის დარბაზში ვართ, ვუცდით.

აგერ კარებში შემოიჭრა და ჩქარი ნაბიჯით ჩვენსკენ გამოქანდა მთის არწივი — ვაჟა.

— ბოდიში, — დაგვასწრო მან, — ბოდიში... თბილისს რომ ტრამ-
ვი არ უვარებოდეს, რა ვაჟას ბრალია!

მყისვე მატარებლისკენ გავჭანდით. ვაჟა მაშინ პირველად ვნახე:
ახოვანი, მხარეშიანი, ჭალარა შერთული... მართლაც ნამდვილი არ-
წივი იყო. მაკვირვებდა მხოლოდ მისი მარჯვენა თვალი. ვერ წარმო-
მედგინა, თუ ასეთი ბუმბერაზი პოეტი თვალდაზიანებული იქნებოდა.
ვაკვირდებოდი და არ მჯეროდა, ვაკვირდებოდი და თან ვნალვლობ-
დი!..

* *

მცხეთიდან ფეხით უნდა წავსულიყავით. ილიას მკვლელობის ადგი-
ლამდე ხუთი კილომეტრი იქნება. ბებრის ციხის პირდაპირ, არაგვში
უნდა გავსულიყავით; ვიშვეთ ერთი ურემი და ერთიც ცხენი.

ცხენზე შეჯდომა სამსონ ფირცხალიავს შესთავაზეს, მაგრამ მან
უარი განაცხადა, დაფრთხა:

— მე ურემზე მირჩევნია, ცხენმა რომ არაგვში ჩამაგდოს, მაშინ
ნაპირიდან ხომ ვერ მიშველით? — უპასუხა მან ვალიკოს.

ყველას გაეცინა.

— მაშ, რაი ასეა, მოდი, ისევ მე, ჩემებურად, მთიულურად მოვაჭ-
დები ამ ცხენსა და გავალ არაგვსა არაგვიანსა,—თქვა ვაჟამ და თვალის
დახამხამებაში ცხენი შურდულივით შუა არაგვში შეაგდო.

— მე ვატყობ, ვერც როდენის მოწაფე (სიტყვა შეეხებოდა მოქან-
დაკე ნიკოლაძეს) მოახერხებს ცხენზე შეჯდომას, — თავისებურად იო-
ნუნჯა კოტე მესხმა.

— გამიჭირდება, — სთქვა ნიკოლაძემ, — გადავეჩვიე, — და პარი-
ზული ჩიბუხი კოხტად გააბოლა.

— ოლონდაც, პარიზის ქუჩებში დაგჭირდებოდა ცხენოსნობა! —
დაატანა სიტყვა ვალიკო გუნიამ.

ზოგი ურმით გავიდა, ზოგიც ცხენით.

* *

წიწამურში დაგვხვდნენ მასწავლებლები, მოწაფეები და ადგილობ-
რივი გლეხები: ადგილი, სადაც ილია მოპყლეს, უდაბური ტყის განა-
პირას იყო, გურამიანთკარისკენ მიმავალ გზაზე; იქ ადვილად შეეძ-
ლოთ ავაზაკებს მკვლელობის ჩადენა.

ვაჟამ ერთ გლეხთაგანს აამბობინა, თუ რა პირობებში ნახა მან

ილია, მისი მეუღლე ოლღა და ეტლი მკვლელობის მოხდენის შემდეგ; გულის შემზარავი სურათი დაგვიხატეს გლეხებმა.

ვაჟა აიტკიცა, აინთო; როცა ნიში, დიდი ხნის ნამორი, მოიტანეს და ზედ ჯვარიც მოარგეს. ვაჟა ვეფხვივით აიჭრა მალლობზე და შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა. მან განუმარტა გლეხებს და იქ დამსწრე საზოგადოებას, თუ რა დიდი ეროვნული მოამაგის გული განგმირეს მხეცებმა...

ვაჟამ თავისი შესანიშნავი, შევეთრი სიტყვა ფშავრი წყევლით დამთავრა. მან საშინლად დაპგმო და დასწყევლა ამ ვერაგობის ჩამდენი პირები და ის გარემო და პირობები, რომელმაც წარმოშვა ასეთი ავაზავები, ქვეწარმავალი, და საშინელი აღამიანები.

ვაჟას გარდა, იქ სიტყვა არავის წარმოუთქვამს, საჭიროც არ იყო, ვინაიდან ვაჟამ თავის მოკლე სიტყვაში მთელი ერის გულის წადილი და მისწრაფება გამოხატა.

სიჩუმე იყო, სამარისებური სიჩუმე; თითქოს ყოველი ხე, მცენარე, ჩირგვი განიცდიდა და გრძნობდა ერის ტრაგედიას. დიდ ხანს უძრავად ვიდექით. ბოლოს ისევ ვაჟამ მოგვმართა:

— სიტყვა მივცეთ მუხანათურად შუბლგანგმირულ დიდ პოეტს, რომ ყოველივე ჩვენგანი მტკიცედ დაიცავს მის ანდერძს ერისა და კაცობრიობის მიმართ.

სალამოს ჩვენ ყველანი ტფილისში დაგბრუნდით. ვაჟამ კი წიწამურიდან ისევ მთას მიაშურა, იგი ჩარგალს წავიდა.

ი ლ ი ა ო გ ა

ერთ ზაფხულს ამხანაგებმა გადავწყვიტეთ საგურამოს ვწვევოდით. ჩვენი მიზანი იყო გვენახა ილია ჭავჭავაძის სახლი. ჩვენ შევარჩიეთ ოცი ივლისი. ამ დღეს ილია დღეობას იხდიდა ხოლმე. საქართველოს საუკეთესო წარმომადგენელნიც იქ იყრიდნენ თავს. ჩვენ, მოსწავლე ახალგაზრდობა ვიმედოვნებდით, რომ ვნახავდით ილიასაც და იქნება კავისაც, ვაჟას, ან სხვა დიდ სტუმრებს.

შცხეთიდან რომ გავედით, გულმა ფანცქალი დამიწყო. მალე, სულ მალე მივადექით საგურამოს. აგრე, გამოჩნდა სახლიც, რა პოეტური კუთხეა! ილიას სახლი დაშორებული იყო როგორც გზიდან, ისე სოფ-ლიდან. აი აქ, ამ კუთხეში, თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე, დაუღალავად მუშაობდა ილია. აქ ჰკრეფდა საუკეთესო ფერებს უკვდავი „განდეგილის“, „ოთარაანთ ქვრივის“ და სხვათა დასაწერად... აქვე იხდდა თავის დღეობას, უკეთ, მთელი ერთ უხდიდა ილიაობას, როგორც სამშობლოს დაუღალავ მოჭირნახულეს... აქ უმასპინძლდებოდა სტუმრებს, აქ გაისმოდა ჩვენი პოეტების ხმა, მოლვაწეთა სიტყვები, მომღერალთა ნაირნაირი ჰანგები... ყველა ეს ვიცოდით ყმაწვილებმა, ოლონდ მწიგნობრულად, ან გადმოცემით; ექსკურსიის ხელმძღვანელმა ისიც გვითხრა, რომ ილიას ეზოში უზარმაზარი კაკალიაო. როდესაც თვალი მოვკარით იმავე კაკლის ხეს და კარმიდამოს, დავიბენით, სადღაც სანეტარო კუნძულზე გვეგონა თავი.

ეზოს სულ ბოლო კუთხეში უზარმაზარი კოცონი ენთო, რაც ბინდებოდა, იმდენად უფრო წარმტაცად კიაფობდა ალი, ათას ნა-პერწკალს აფრქვევდა.

მოურავმა მიგვიღო.

ილია კაკლის ქვეშ ჭადრაკს ეთამაშებოდა კოტე ყიფიანს, ცნობილ მსახიობს, რომელმაც სახელი გაითქვა სვიმონ ლეონიძის როლში.

ილიამ თავი გაანება ჭადრაკს, მამაშვილურად მიგვიღო, ყველას ხელი ჩამოგვართვა და მოურავს უთხრა — დალლილები იქნებიან და ავახშეო.

მიგვიპატიუეს გაშლილ სუფრაზე, მაგრამ რა გვევახშებოდა, ჩვენ გვინდოდა ილიას მზერით დავმტკბარიყავით.

სტუმრებში ჩვენი ყურადღება მიიძყრო ნატო გაბუნიას ჭალმა, რომელსაც ილიამ ჩვენი სცენის ვარსკვლავი უწოდა ერთხელ. ნა-

ტოს დაირა ეჭირა და მშვენიერი ხმით დამღეროდა ბაიათს. ილია მოვიდა და დაირა ჩამოართვა.

— ყველაფერი ჩემო ნატო, მცგრამ ბაიათს წუ გამაგონებ... ბაიათი ყიზილბაშებმა მოგვახვიეს თავზე, როგორც ბევრი სხვა საძაგელი ჩვევა. არა, ბაიათი ჩვენი სულის გამხრწელია. ქართველი ერის ხსნა, — დასძინა ბოლოს, — აღმოსავლეთის გავლენისაგან განთავი- სუფლებაშია, ჩვენ გვინდა გოეთე, შილლერი, ბაირონი, შექსპირი, პუშკინი, გოგოლი.

დიდ სტუმრებში მალე გამოჩნდა აკაკიც. არავის სილამაზეს ისე არ მოუხიბლივარ, როგორც აკაკის გარეგნობას. მისი სპეტაკი, მაღა- ლი შუბლი, ფაფარა თმა, გაბადრული სახე და თვალები, მისი გასა- ოცარი თვალები, მისი ახოვნება ცველას იზიდავდა. მას გვერდით მოჰყვებოდა მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ჩვენი სცენის ვარსკვლავი. მას ილიას მაგიდის დიდი ალბომი ეჭირა ხელში. ჩემი ყურადღება მიიძყრო ერთმა სურათმა: ურემზე ილია მეურმედ იჯდა, ხოლო უცხოელბ სტუმრები შიგ ჩაესხა და ზედაზნის გზას შესდგომოდა. ისე მომეჩვენა, თითქოს აი, ეს ურემი აქვს აწერილი ილიას თავის „კაკო ყაჩალში“-მეთქი, რომელიც „მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა, და ნაღვლიანად მისი მეურმე მწუხარ სიმღერას დაღუღუნებდა“...

ამასობაში შემოაბიჭა ვაჟა-ფშაველამ, დევური მზარბეჭით, უკვე შექეიფებული იყო და მოითხოვა ჭიხვი, ილიას სადღეგრძელო უნდა დავლიოთ.

იქვე იყვნენ გრიგოლ ვოლსკი, ჩინებული „რომანსების“ ავტორი, ანტონ ფურცელაძე, შიო-მღვიმელი, ყმაწვილებს რომ ასე გვიყვა- და...

— გამობრძანდა ილიას მეუღლე ოლღა, რომელსაც მოჰყვებოდნენ ჩვენი რჩეული მანდილოსნები: ნინო ყიფიანი, განდეგილი, ეფემია მესხი და მრავალი სხვა.

დიასახლისმა მოგვიალერსა, გვთხოვა გვემღერა რამე.

ჩვენც ვიმღერეთ:

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
კიქმიერითა გადმომძახა:
გაზაფხული, გაზაფხული!..
გულს იმედი ჩამესახა...

მოგვიწონეს, გავთამამდით, კიდევ ბევრი რამ ვიმღერეთ. ბოლოს ლექსებზე მიღდგა საქმე. ყმაწვილები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, რომ საუკეთესო ლექსები გვეთქვა. პირადად მე ილიას „ელეგია“ წავიკითხე- როდესაც მოთამამებულმა წარმოვთქვი: „ელეგია“, ლექსი ილია ჭავ-

ჭავაძისა-მეთქი, ილიასაკენ გადავიხედე და შემუტროლა. ჩემში რაღაც ფერისცვლილება მოხდა, თვითონ ილიაშიც. ის უკვე ის ილია აღარ იყო. წუთის წინ რომ ყველას მამაშვილურად გვეალერსებოდა. მაშინ უფრო ცხადი შეიქნა ჩემთვის, რომ ილია მთლიანი საქართველოს სული და გული იყო. ასე მეგონა, აი ეს ადამიანი თვითონ ბუნებაა. ამდენ ძვრებს რომ ახდენს და ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახ-ალ-ახალი წრეებისა და კვლების გავლებით ცდილობს აზიური საქართველო გარდაქმნას ახლებურად, ევროპულ ლიანდაგზე შეაცენოს, აღამალლოს მძინარი ქართველი, გარდაპქმნას, მოქმედ კაცად აქციოს. ის ხომ მუდამ აზროვნების პროცესში ტრიალებდა და სულ ახალ-ახალ პერსპექტივების ძიებაში იყო, რომ საქართველოს სულიერი და ეკონომიკური ცხოვრება აღორძინების გზაზე დაეყენებინა. იგი წარ-სულზე იყლავდა ფიქრებსა და დარღს, რომ ეზრუნა მხოლოდ მომავ-ლისათვის. მისი ამაღლებისა და განვითარებისათვის... დიახ, „ელე-გიის“ წარმოთქმის დროს ილიას მეტყველებამ ისეთი მძიმე და და-მაჯერებელი კილო ამაღებინა, ისეთი ტემპერამენტით წამაკითხა ეს ლექსი, თითქოს განგებ ხაზი გამასმევინა, თუ რა შეადგენდა ილიას დაჭრილი გულის ნამდვილ ტყივილს, მის მღელვარებას და მსმენელ-თათვის „ელეგია“ ბევრად მეტი გამოდგა, ვიდრე ილიას, ასე ვთქვათ, ბიოგრაფიის ნაწილი.

მთვარიანი ღამე იყო... თეთრი ზოლი შორეული მთების... „არსარ-დან ხმა... არსით ძახილი...“ და იმავე დროს ძილი... რომელშიც ათას-ში ერთხელ გაისმის სევდის ამძახილი, განწყობილი მშრომელი აღა-მიანის გულის ოხვრა!.. ამ ოხვრას მხოლოდ ეს ერთი აღამიანი ის-მენდა, მხოლოდ ილია... და როდესაც ვთქვი...

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,
როს გველისხება ჩვენ გალვიძება, —

ილია ისევ ფიქრმორეული იდგა, უცებ იგი შეირხა ნელნელა წა-მოვიდა და შუბლი ამბორით დამიდაფნა.

— გმაღლობთ, შვილო, — მხოლოდ ეს მითხრა.

ცრემლი მომერია — მუხლები თავისით მედრიკებოდა სათაყვა-ნოდ... რა უნდა ყოფილიყო ჩემთვის ამაზე უმაღლესი ბეღნიერება? აგერ ხუთმა დიღმა თეულმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ეს ამ-ბავი მოხდა, მავრამ იმ დღის გახსენება მათრობს, მაღლელვებს... მახ-სოვს, საპასუხოდ ისლა მოვახერხე, რომ ხელზე ვაკოცე. საფლავის კარზეც ისე ვიგრძნობ, თითქო დიდი მგოსნის ხელი გულზე მაქვს მიხუტებული, ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე უფრო ბეღნიერი წუთი.

სიცოცხლეში ერთხელ კიდევ მეღირსა იღიას ნახვა... რეაქციის წლები იყო. შავრაზმელებმა 1907 წელს ზედ ახალწლის დღეს, მოპკლეს გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი ნიკო ხიზანიშვილი. ახალწლის მესამე თუ მეოთხე დღეს ქაშვეთის ეკლესიაში მოასვენეს ნიკოს ცხედარი. თოვდა. პირველ სამგლოვიარო პანაშვიდზე დასასწრებლად მობრძანდა ილია. იგი მეტისმეტად უღონოდ გამოიყურებოდა. ხუთიოდე წუთით დაჰყურებდა ფიქრმორეული საყვარელი მეგობრის ნეშტს. შემდეგ ჭირისუფლებს მიუსამბიმრა და სწრაფად ეკლესის ეზოში გავიდა, სადაც შემოეხვივნენ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები გიორგი ყაზბეგის მეთაურობით. ნიკოს მოკვლის მიზეზს შეეკითხნენ.

— აბა როგორ ვთქვა, მკვლელი არაა შეპყრობილი, მაგრამ ვინც არ უნდა იყო, ეს სულერთია, ვინაიდან ჩვენ ყველაზე საშინელ ხანში შევდგით ფეხი. რეაქციამ აღვირი აიხსნა... ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადაც აღარ ღირს. უარესი ამბების მოლოდინში უნდა ვიყოთ, იქნებ შევესწროთ ბევრად საშინელ ტრაგედიას, ვიდრე სტავრობოლისა იყო — ღიმიტრი ყიფიანის თავზე გადამტყდარი.

იღიას ეტლი მოპგვარეს. გიორგი ყაზბეგმა ხელი შეაშველა და თვითონაც გვერდით მიუჭდა.

— „ნუთუ? ოჯ, ნუთუ? — გავივლე გულში, — იღია გულთამხილველია, ნეტავ რა საშინელება განსჭვრიტა ისეთი, რაც სტავროპოლის ტრაგედიაზე უარესი უნდა ყოფილიყო?“ ვინ იცის, აქ თავისთავსაც გულისხმობდა.

მაგრამ გული დავიარხეინე. იღია 1906 წლიდან სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო, ვინ რას გაუბედავს-მეთქი. ხან რა ვთქვი, ხან რა, გამახსენდა ისიც, რომ სახელმწიფო საბჭოში მან სასტიკად გაილაშქრა სიკვდილით დასხის წინააღმდეგ. მისი სიტყვით გათამამებულმა საბჭოს მეორე წევრმა, დეპუტატმა ტაგანცევმა, როგორც იურისტმა, მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა სიკვდილით დასხის წინააღმდეგ. მთელი რუსეთის პრესა ახმაურდა. რამდენადაც მემარჯვენეთა შავი პრესა ცოდნებს ყრიდა, იმდენად მემარცხენეთა და მოლიბერალო პრესას ცაში აჲყავდა „თავადი გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“ და „შეუდარებელი ვექილი ტაგანცევი“. კერძოდ, იღიას ლიბერალურმა გაზეობა „რუსკოე სლოვომ“ ასეთი ქება-დიდება შეასხა: „დღემდის ჩვენ გვას-

წავლიდნენ, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, ახლა ისიც უნდა დაგიჯეროთ, რომ მორიალური მზეც იქიდან ამოდის!..“

ნიკო ბიზანიშვილის მკვლელობიდან შვიდი თვის შემდეგ ილიაც გამოასალმეს წუთისოფელს.

* * *

ილიას მკვლელობის დღეს მე თბილისში ვიყავი. 1907 წელს 30 აგვისტოს უეცრად თბილისის მოწმენდილ ცაზე გრგვინვასავით გაისმა ხმა, ილია საგურამოს მახლობლად მოჰკლეს წიწამურშიონ. ეს ამბავი გაზეთ „ისრის“ რედაქციამ მიიღო ნაგვიანევად და იმავე წუთს მთელს თბილისს ელვის სისწრაფით მოედო. სწრაფად რედაქციაში გავჩნდი, აუარება ხალხი მისწყდომოდა. პირველ რიგში წავაწყდი მიხეილ ჭავახიშვილს, — მაშინ ჭერ კიდევ ადამაშვილის ფსევდონიმს ატარებდა. იქვე, მის გვერდით, ბრაზისა და აღშფოთებისგან ლამის გადარეულიყო ია ეკალაძე. ზოგს ლაპარაკის უნარი დაპარგოდა, როგორც, მაგალითად, სამსონ ფირცხალავას, რომელსაც საზოგადოება იცნობდა „სიტყვას“ ფსევდონიმით. სდუმდნენ ლასხიშვილი, გიორგი რცხილაძე... „ახლა რაღა ვქნათ?!“ იი ეს იყო ყველას საკითხი.

იმავე დღეს დაიბეჭდა ახალგაზრდა პოეტის სანდრო შანშიაშვილის ლექსი:

შეო დაბნელდი, ნულარ გვინათებ,
ვარსკვლავო, მოსწყდი ცისა კამარას,
უგუნურება უწყალო ხელით
მოუკლეს შვილი ობოლ ქვეყანას.
სამშობლო კუთხევ, შენც აქვითინდი,
უბედურება ამცნე მთა-ბარსა,
დაუ, გლოვის ხმამ სიმი შესწყვიტოს
სასიხარულოდ მომართულ ქნარსა.
მამულიშვილნო, განა არ გესმით?
მოხუც გულისა ძერა ყუჩდება!
იგლოვეთ ყველამ... ჰლვარეთ ცრემლება.
შოპკლეს მგოსანი, ჩვენი დიდება!

სანდროს ეს ლექსი „ისარშივე“ მოათავსეს პირველ სექტემბერს.

დიდი იყო ლექსით გამოწვეული შთაბეჭდილება. გაზეთს იტაცებდნენ. ერთმანეთს უკითხავდნენ. იცრემლებოდნენ. ყველანი აღიარებდნენ, თუ რა ძნელია დიდი ადამიანის დატირება ასე ანაზდეულად,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ გამოცემის ფორმა

როდესაც დიდი და გამოცდილი მგოსნები სდუმდნენ, მაგრამ ახლად გამოსულ ჭაბუკ პოეტს არც ხელი უთორთოდა და არც სალამურის-თვის მოუშორებია ხელი; მწყობრად, ჩინებულად გამოთქვამდა მთელი ერის თავზე დატეხილ უბედურებას.

* * *

დამკრძალავი კომისიის გადაწყვეტილებით ილიას გამოსვენება საგურამოდან 6 სექტემბერს უნდა მომხდარიყო. ცხადია, ამ დღისათვის საქართველოს საუკეთესო შვილები საგურამოში გაჩნდებოდნენ და სამგლოვარო პროცესიას შესაბამის ელფერს მისცემდნენ. ასედაც მოხდა: მთელი ფშავ-ხევსურეთი დაძრულიყო, თითქოს საომრად გამოწყობილანი; დეპუტაცია დეპუტაციას მოსდევდა სხვადასხვა კუთხიდან, თბილისი ხომ დაცარიყელდა. საგურამოელი ქალები შავებში იყვნენ გამოწყობილნი, როგორც ნამდვილი ჭირისუფლები.

თბილისის შესავალ კარში ასეთივე ამბები დაგვხდა. ჭგუფ-ჭგუფად მოდიოდნენ და გვირვვინებს ეზიდებოდნენ განსვენებულის შესახვედრად. ოლღას ქუჩაზე აღმართული ჯვრიდან დაწყებული, სადაც ახლა აბრეშუმის ფაბრიკა, ზევით გავაკებამდე ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. თბილისის კართან ჩერდება პროცესია და აქვე სამღვდელოება იხდის პანაშვიდს. ვინ მოსთვლის რამდენი სიტყვა წარღვდელოება იხდის პანაშვიდს. ვინ მოსთვლის რამდენი სიტყვა წარმოითქვა, მაგრამ ჩემს ხსოვნაში არ წაიშლება ორი თრატორის მიერ მოხდენილი ეფექტი. პირველი იყო ფართო მხარბეჭიანი ვაჟკაცი — მწერლობაში ელეფთერიძისი სახელწოდებით ცნობილი ილია ზურაბაშვილი. მისი სიტყვა მეტისმეტად მგრძნობიარე იყო და პოეტური. შევილი. იძლება წარმოვიდგინოთ, ის ზღვა ხალხი როგორ აქვითინდა, როდესაც ორატორმა ილიას შესჩივლა: „ახლა რა ვუთხრათ შენს მოდუდუნე ბეორამორედ, შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზე ააგორე, აბობოქრდი, მდუმარედ, შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზე ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს, თქვენ ყვარლის მოებო, ნისლით შეიბურეთ მწვერვალები, ეგ იქნება ძაბა! შენ, ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი, ხოლო შენ, ლაბავ, მორთე გულსაკლავი ბლავილი...“

ორატორის სიტყვებმა მეც დამხანჯლეს, ლაბაზე ნაკლებ როდი ბლაოდა მწარედ დაჭრილი ჩემი გული. მე მინდოდა უფრო მრისხანე სიტყვები მომესმინა, სიტყვები, როგორც ვაჟკაცის ხელით მოქნეული

ხანგალი, მოწინააღმდეგეს რომ გულში ჩაესობა. და აი, თითქოს ასეთი ორატორიც გამოჩნდა. ეს იყო გამხდარ-გამხდარი ვაჟკაცი, თმებს ნიაზ ვი ურბევდა, თითქოს შურისძიების აფრები აუშვია აბობოქრებული ზღვის ზვირთებზე. სამწუხაროდ, ვერ აღმიღებინა მისი ვინაობა. იმავე ღროს მეტად ძნელია ამ სიტყვების გადმოცემა, ძალიან ძნელი.

* * *

...პროცესია დაიძრა. ამ დიდ ვაებაში თანაგვიგრძნეს მეზობლებმაც. დეპუტაცია დეპუტაციას მისდევდა ნაირ-ნაირი გვირგვინებით, რომელთა შორის ცხრა გვირგვინი სულ ვერცხლისა იყო. ძვირფას ცხელარს ბალდაანინით მიასვენებდნენ. რამდენი გუნდი გალობდა პროცესის სხვადასხვა ადგილას. მთელ გზაზე ჯვრიდან დაწყებული სიონის ტაძრამდე მაღაზიები დაეკეტათ, ფანჯრებიდან შავი დროშები გადმოეკიდათ. პირველ გიმნაზიასთან მოსწავლეები სამგლოვიარო მარშით შეხვდნენ. წერა-კითხვის საზოგადოების სადგომი, ქუჩის მხრიდან, ძაძით იყო შემოსილი. ერევნის მოედნიდან სიონამდე სომხებმაც მხარი დაგვაჭირეს გლოვაში, ყველგან შავი დროშები გამოკიდეს, განსაკუთრებით ამაღლვებელი იყო ღია ფანჯრებიდან ილიას საპატივსაცემოდ სომებს მანდილოსანთა ხელით გადმოფენილი შავი დროშები. სიონის ქუჩაზე ყვავილებით შემკული თაღი ერთი ტროტუარიდან მეორეზე გადაეკიდათ.

9 სექტემბერი უკანასკნელი გამოთხოვების დღე იყო. ამ დღისათვის გამოცხადდნენ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელნი: კახეთიდან, ქართლიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, საინგილოდან, გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, აფხაზეთიდან, სვანეთ-ლეჩებუმიდან, აჭარიდან, ჯავახეთიდან... პანაშვიდის შემდეგ მგოსნის გვამი გამოასვენეს ნიკო ცხვედაძემ, ანტონ ფურცელაძემ, არტურ ლაისტმა, ქალაქის თავმა ჩერქეზიშვილმა და კილვ სხვებმა. პროცესიას წინ მიუძღვიდნენ შავი დროშებით. ამათ მისდევდნენ ამქრები თავთავიანთი ღროშებით, შემდეგ მოასვენებდნენ კუბოს, რომელსაც უკან მოსდევდა ასოთხმოცდახუთი დეპუტაცია საზოგადო დაწესებულებათა, დაბა-ქალაქებისა, რედაქციებისა, სასწავლებლებისა... ყველა სად ჩამოითვლება? ერევნის მოედანზე პროცესიას შეუერთდნენ სომხებისა და მაჭმადიანების უმაღლესი სამღვდელოება, ამ დღისათვის საგანგებოდ ჩამოსული სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები, ბაქოელი სტრუმები, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი... აქ უნდოდათ, რომ

ლიცია მიშველებოდა პროცესიას წესრიგის დასაცავად, მაგრამ ვა-
ლერიან გუნიამ, როგორც წესრიგის დაცვის მთავარმა ხელმძღვანელობის
მა, ცივად გააბრუნა, თქვენს დამარტინებას არ ვსაჭიროებთ, ყველაფერი
რიგზე იქნებათ და მართლაც, მიუხედავად აურაცხელი ხალხისა, წეს-
რიგი სანაქებოდ დაცული იყო და ორსად დარღვეულა.

აი, მივადექით ძამით შემოსილ წერა-კითხვის საზოგადოებას. უც-
ბად გაისმა ხმა:

— აკაკი!.. აკაკი!..

აკაკის სიტყვები „ისარში“ წაკითხული გვქონდა, ხოლო არ ვი-
ცოდით, იმავე სიტყვას გაიმეორებდა, თუ გამოსათხოვარი სხვა რამ
ექნებოდა.

აგერ, მხრებში შესდგომიან ვ. გუნია და ნიკო ცხვედაძე როგორც
ავადმყოფს და ასე აჲყავთ სამგლოვიარო ტრიბუნაზე.

გმოჩნდა აკაკი ავადმყოფი სახით, მაგრამ დიდებული გამომეტყვე-
ლებით.

აკაკი ბევრჯერ მენახა საჭაროდ გამოსული, კულისებშიც, სცენაზე
როგორც დრამატურგი, მიმგზავრია კიდეც ქუთაისიდან თბილისამდე,
მაგრამ სულ სხვა იყო იმ დიდი განცდის წუთებში, როგორც ერის
მთავარი რწმუნებული, მისი ბაირახტარი!

აკაკის ზევსურმა სიდიადემ ხელად ჰიპნოზით შეიპყრო მთელი სა-
ზოგადოება. მოკლე იყო მისი სიტყვა, როგორც გულთამხილავისა:

„ბედნიერი ხარ, ძმაო ილია, რომ შენმა სახელმა შენდა სათაყვა-
ნებლად ამოდენა ხალხი შეჰქრიბა. და თუ ერს გადაშენება მოელის,
მაშინაც ბედნიერი იქნები, რადგანაც ჩვენს უბედურებას შენის თვა-
ლით აღარ იხილავ. მაგრამ არ მჯერა...“

აკაკი აქვითონდა. ყველანი აცრემლდნენ...

ნიკო ცხველაძემ და ვალერიან გუნიამ ნელ-ნელა ჩამოიყვანეს
აკაკი სამგლოვიარო ტრიბუნიდან.

განცალკევებით და, როგორც მუდამ ორიგინალურად, მთელი მთის
მშვენებით წარმოდგა ვაჟაც, მაშინ წარმოსთქვა მან ყველასათვის ცნო-
ბილი რაინდული დატირება.

სომხებმა, როგორც ისტორიულად ძმად შეფიცულმა მეზობლებმა,
მთელი გულით დაიტირეს ილია, როგორც მშობლიური მამა და
წინამძღვარი სიკეთის ბაღნარში შესასვლელად. მათ სრულიად შეგნ-
ბულად წარმოსთქვეს ეს შესანიშნავი სიტყვა:

...საშინელია, რომ მამულში ითრგუნებოდეს
 მამულისავე გვირგვინი და მისი ღიღება!
 ოკ, მიწავ, მიწავ, როგორ ითმენ ამ ბოროტებას,
 რად ანნავებ მაგ მყერდზედა ძალმომრეობას?
 რად არ იშხუვლებს შენი გული — ცეცხლად გზნებული,
 და არ დაბუგავს, არ შემუსრავს ხალხთ ვერაგობას?
 და, იგლოვე მწარე მოთქმით, კავკასიის მთავ,
 კრულვა უძლვენი, ვინც წაგართვა ერთგული შვილი!
 ცაო, იჭეშე, დაიგრგინე, დაიგრიალე,
 ქართველთა გლოვას შეუერთდეს შენი ტირილი

ბოლოს არ შემიძლია არ აღვაღინო. ილიას დასაფლავების უკანასკნელი სურათი. სამარის თავთან წამოდგა თმებშევერცხლილი მანდილოსანი — სახიერება ქართველი დედისა. ეს იყო ნინო ნაკაშიძე. ის არ სტიროდა. არც გაშლილი უესტიყულაციით სარგებლობდა, იდგა როგორც მწუხარების ქანდაკება, საქართველოს გულისძგერას კარგა ხანს დუმილით გადმოსცემდა. შემდეგ ამეტყველდა. მეც და ვგონებ ჭირისუფალნიც მგლოვიარე საქართველოსთან ერთად აღარ ვწონიდით მის ნაზ სიტყვას, მის დედობრივ მოწოდებებს.

1947

არჩადი ცუნდაში

ზოგი რამ იღიას შესახებ

ერთხელ მამაჩემი, რომელსაც ძალიან უყვარდა წიგნებისა და უურნალ-გაზეთების კითხვა, საღამოხანს ჩოხატაურიდან ამოვიდა და ერთი გაზეთი ამოიტანა.

თხუთმეტოდე კილომეტრით არის ჩვენი სოფლიდან დაშორებული დაბა ჩოხატაური და ხანში შესული კაცისათვის ოცდათი კილომეტრის ფეხით გავლა უეჭველად დამქანცავი იქნებოდა და შინაურებმა გზის სიშორე ჩათვალეს მიზეზად, რომ მამა დალვრემილი და ძლიერ შეწუხებული ჩამოვიდა ეზოში.

მამაჩემის მოსვლიდან არც კი იქნებოდა ნახევარი საათი გასული, რომ ჩვენი ეზო გაიგსო მეზობლებით და ყველა ილიას ახსენებდა, თანაც გაიძახოდნენ ძალზე შეწუხებულები: ოი, ოი, რა დიდი კაცი მოუკლავთ, ვინ გაიმეტა ნეტავი ასე სასახელო, მეფის ტოლი ადამიანიო.

გაათავა თუ არა მამამ გაზეთის კითხვა, დაიწყო, თუ ჩოხატაურში რას ამბობდნენ ილიას მოკვლის შესახებ და რა მწუხარებას განიცდიდნენ განსაკუთრებით მასწავლებლები და მოსწავლე იხალგაზრდობა.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ ითქვა იმ საღამოს ილია ჭავჭავაძის შესახებ ჩვენსას და ბევრი ცრემლიც დაიღვარა იმ ყოვლად უსამართლო მკვლელობის გამო.

თურმე გლეხები ძლიერ ჰყვარებიაო, გაიძახოდნენ სახედალვრემილები. ერთ მასწავლებელს ეთქვა ჩოხატაურში, რომ ალიხანოვის განკარგულებით გურიის გადაწვისა და ოხრების გამო, ილიამ მეფის ნაცვალს მოთხოვა გურიიდან სასწრაფოდ გამოყვანა ჯარის, თორემ გურულების დასაცავად მთელ საქართველოს დავრაზმავო.

— სილოვანისაგან გამიგონია, სასამართლოში ილია სულ გლეხების დამცველად გამოლიოდა, — თქვა ჩვენმა მეზობელმა გაჭალა-რავებულმა ნოე ხუნდაძემ, სილოვან ხუნდაძის უფროსმა ძმამ.

ის გაზეთი, რომელიც მამამ ამოიტანა ჩოხატაურიდან, დიდხანს ინახებოდა ჩვენს ოჯახში და, როგორც მახსოვს, ის იყო „ისარი“.

როცა წამოვიზარდე და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში

ჩავირიცხე, ხშირად ვკითხულობდი აღნიშნულ გაზეთს და ისე თუთად ვინახავდი, როგორც ეს მამამ იცოდა.

ახლაც კარგად მახსოვს თუ რა წერილები იყო იმ გაზეთში მოთავსებული. განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში: მოწინავე „საზიზლარი მკვლელობა“ და სანდრო შანშიაშვილის ლექსი „იგლოვეთ“.

შემოდგომის სუსტიანი საღამო იყო. თავისებური ახმაურებითა და საამური ლაპარაკით მოვიდა ჩვენსას ზემოთ ნახსენები ნოე თომას ძე ხუნდაძე, სილოვან ხუნდაძის ძმა. საღამის მოცემისა და ცეცხლის პირას დაჯდომის შემდეგ, ნოემ ამოიღო ერთი პატარა წიგნაკი ჭიბიდან და მამას გადასცა, ეს სილოვანმა გამოგიგზავნაო. მამაჩემმა სასწრაფოდ მოიმარჯვა სათვალე და დაიწყო მაღალი ხმით თავფურცელის კითხება: „სილოვანი. ილია ჭავჭავაძის სახსოვრად.“

ნოემ შეაწყვეტინა მამას კითხვა და უთხრა ამ წიგნში მოთავსებულია სილოვანის სიტყვა და ლექსიც, რომელიც მან თბილისში წარმოთქვა 7 სექტემბერს ილიას ცხედრის საგურამოდან გამოსვენების დროს და მეორე უფრო ვრცელი სიტყვა კი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში თქვა, როცა ილია ხსოვნის აღსანიშნავი პანაშვიდი იქნა გადახდილი.

კარგად მახსოვს, მამაჩემი ამ წიგნს ხელიდან არ უშვებდა და ყველას უკითხავდა. ისე ხშირად უწევდა მას აღნიშნული წიგნის კითხვა შეზობლებთან, ნაცნობებთან და სტუმრებთან, რომ თითქმის ზეპირადაც იცოდა. თანაც ისე სათუთად უფროთხილდებოდა, რომ ნახევარი საუკუნეა ამ წიგნის გამოცემიდან გასული და დღესაც მშვენივრად შენახული არის ჩვენსას.

ზემოდ ნახსენები სიტყვა 7 სექტემბერს წარმოთქმული თბილისში სილოვანმა ასე დაიწყო: „საქართველოს მტერნო, ნუ გიხარია! ილია ჭავჭავაძე არ მომკვდარა, ის ცოცხალია და მარადის ცოცხალი იქნება ქართველი ერის გულსა და გონებაში.“

საქართველოს მტერნო, ნუ გიხარია! ილია ჭავჭავაძემ თავისი მოწამებრივი სიკვდილით თავისი დიდებული სახელი კიდევ უფრო გაიღიდა, კიდევ უფრო მკვიდრი, უფრო მშვენიერი ძეგლი დაიდგა!..

საქართველოს მტერნო, შეძრწუნდით! თქვენი საზარელი მკვლელობით თვით თქვენი თავი მოიკალით, თქვენი ყელი გამოიღადრეთ: ამიერიდან ქართველი ერი თქვენს საქმეებს დაგმობს, თქვენს სახელს ზიზლით მოიხსენიებს!“

რაც შეეხება ლექსს, იმავე დღეს იქვე წარმოთქმულს, ის ავტორ-ვა ასე დაიწყო:

მოკლეს, განგმირეს მგოსანი;
 ქვეყნისა მაშენებელი,
 ქართველი ერის სახელის
 დამცველი, ღამშვენებელი!
 ვინ, ვინ არიან ეს ბილწინი,
 ეს საზიზღარი მკელილები?
 ხალხისა მტერნი, უგნურნი,
 ეს უხამიან გველები?!.
 რა ამბავია, რას ეხედავთ?!

სად არის საღ გონება?!

თვით ჩვენვე დავგმოო, შევძუსროთ
 ჩვენი განძი და ქონება?!

განგმირეს გული მებრძოლი,
 ქვეყნისთვის აძგერებული!
 განგრიტეს შებლი, ცაური
 მადლითა მარონცხებული!

რაც შეეხება მეორე სიტყვას, ექვს სექტემბერს ქუთაისის ქართულ
 გიმნაზიაში წარმოთქმულს, შემდეგია (მოგვყავს მცირეოდენი შემოქ-
 ლებით):

„ილია ჭავჭავაძე მოკლეს!.. მოკლეს ის ადამიანი, რომელიც ნახე-
 ვარი საუკუნის განმავლობაში მშობელ ქვეყანას თავდადებით ემსა-
 ხურებოდა.

ახლა რა ვქნათ? მისი მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ვისაუბ-
 როთ? — მაგრამ ვინ არ იცის, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული ზგო-
 ნანი იყო? ვინ არ იცის, რომ ილია ჭავჭავაძე განთქმული პუბლიციის-
 სანი იყო? ტი იყო? ვინ არ იცის, რომ ის სახელოვანი საზოგადო მოღვაწე იყო?!
 ტი იყო? ილია ჭავჭავაძე ჩვენს ქვეყანას იმისთანა დროს მოევლინა, როცა
 ილია ჭავჭავაძე ჩვენს ქვეყანას იმისთანა დროს მოევლინა, როცა

ჩვენი ცხოვრების ყოველი კუნჭული წყვდიადით იყო მოცული — და
 განგებამაც ილია ჭავჭავაძე თითქო ამიტომ ყოველმხრივი ნიჭით და-
 ჯილდოვა: არ არის ჩვენს მწერლობაში იმისთანა დარგი, რომ მისი
 მაღლიანი კალაბი არ ამშვენებდეს, არ არის ჩვენს ცხოვრებაში იმის-
 თანა საქმე, რომ მისი გონების სხივით არ იყოს გაშუქებული...

ყველამ კარგად იცის, რომ ილია დიდებული მწერალი იყო და
 სახელოვანი საზოგადო მოღვაწე: ეს ყველასათვის ტრადიციად, ყვე-
 ლასათვის ცნობილ საგნად გადაქცეულა. მაგრამ, საჭიროც რომ იყოს
 ზოგიერთებისთვის ილიას ნაწერებისა და ნამოქმედარის დაწვრილე-
 ბით განხილვა, განა ეს ამ წამში შესაძლებელია?

კრიტიკული განხილვისათვის, ადამიანის ყოველმხრივი დაფსები-
 სათვის — დინჭი გონება, ღამშვიდებული გულია საჭირო და ჩვენ

კი ყველანი შეძრწუნებული, ყველანი აღშფოთებული ვართ, ყველანი ვსტირით და ვგოდებთ. და განა სატირალი არა გვაქვს?! ჩვენი ქვეყნის უკეთესი შვილი, უნიჭიერესი და უგონიერესი ადამიანი მოგვიყლეს!

მერე რად მოკლეს ილია? საქართველოში ყმების განთავისუფლების პირველი მომენტის ის იყო და მაგალითის მაჩვენებელიც: საკუთარი ყმები კახეთში, მამულიანად გაანთავისუფლა და ამ სახით, ქალმითაც და საქმითაც. ყმების განთავისუფლებას შეუშებო ხელი.

მეორე უძვირფასესი განძი და ქონება განა ქვეყანას არ უძღვნა? რომელი ქონება სჯობია ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს“-ს, „გლასის ნაამბობს“, „რამდენიმე სურათს ყაჩალის ცხოვრებიდან“, „განდეგილს“ და შრაგალს მის პოეტურ ნაწარმოებს, რომელთა აღნუსხვაც კი გვიშირს მათი სიმრავლის გამო? განა ეს მთელი დიდებული განძი ქვეყანას არა უძღვნა, ხალხს არ უანდერძა?! ღმერთო, რა უმაღური ხალხი ვართ, რომ ადამიანს სიკეთეს არ ვუხსოვნებთ და უზომო შრომისა და ქვეყნის სიყვარულისათვის სიცოცხლესაც კი ძალადობით გუსპობათ!..

განათლებული, გათვითცნობიერებული ერები თავის სახელოვან შვილებს სიცოცხლეშიც ძეგლს უდგამენ, თავს ევლებიან; უშორესი კუთხიდანაც კი მიდიან დიდებული მამულიშვილის სანახავად, რომ ცოცხალ თვალებში ჩაატკიცნენ, ცოცხალის ხმა მოიძმინონ, მასთან საუბრით დასტკბენ, მისი სახე გულში, ხსოვნაში ჩაიბეჭდონ... რას ნიშნავს დიდებული ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი ძეგლი? ყოველთვის იმას ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სიცოცხლე გამოხატონ მოღვაწის სახის გამომეტყველებაში, რომ მნახველმა სათაყვანო ადამიანის ცოცხალი სახე ცხოვლად წარმოიდგინოს... მოყვარული, მაღლიერი შთამომავლობა ცდილობს — დიდებული მამულიშვილი — მკვდარიც კი გააცოცხლოს... ჩვენში კი, სამარცვინოდ ჩვენდა, იმისთანა უღირსი შვილი გაჩნდნენ. რომელთაც არა თუ მკვდარი მოღვაწის გაცოცხლება სწადიათ, არამედ ცოცხალსაც სიცოცხლეს უსჰობენ და თავისი მანკიერი ხელით ღვთაებრივ სახეს უმახინებენ!.. ამაზე უფრო შორს საღლა წავა ადამიანის ზნეობრივი სიმახინჯე?!..

სად არი საღი გონება? სად არის წმინდა სინდისი?! ილია ჭავჭავაძის დანაშაულად უთვლიდნენ, რომ მას მამულიშვილობა სწამდა და თავის თხზულებებში ეს გრძნობა სამაგალითოდ გამოხატა. არ იციან უგუნურებმა, რომ სამშობლოს გონიერი სიყვარული კაცობრიობის სიყვარულია, სამშობლოს გონიერი სამსახური კაცობრიობის სამსახურია! არ იციან უგუნურებმა, რომ ვინაც მშობელ ერს ზნეობრივათ

ასპეტაკებს და გონიერივათ ავითარებს, ის ხელს უწყობს კაცობრი—
ობის გასპეტაკებასა და განვითარებას, რადგან ყოველი ერი კაცობრი—
ობის ნაწილია!

ყმაწვილებო, ახალგაზრდებო! თქვენა ხართ ჩვენი ცხოვრების შო-
მავალი იმედი, თქვენ იქნებით ჩვენი მომავლის ხელმძღვანელნი: ხუ
დაუკარგავთ თქვენს შრომას ბედერულს, უსამართლოთ დაჩაგრულს,
ქართველ ერს! თქვენც შეიგნეთ და შემდეგ სხვებსაც შეაგნებიეთ
მოყვარის სიყვარული, ადამიანთა ერთობის, ადამიანთა ყოველმხრივი
თანასწორობის აზრი. ეცადეთ თქვენი ერის ყოველმხრივ გამშვენიერე-
ბას — ენით, მწერლობით, მუსიკა-სიმღერით, ზნეობით და გონიერით —
და მით კაცობრიობის ერთ ნაწილს გამშვენიერებთ და გააბეღნიე-
რებთ. ყოველი ერის თავისუფლათ განვითარება, ერებს შორის ძმუ-
რი კაცშირი — აი საკაცობრიო მოძღვრება, აი სახალხოაშორისო, მოე-
ლი კაცობრიობის საბეღნიეროთ მიმართული მოღვაწეობა!..

ილია ჭავჭავაძე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქართველი ერის დიდება
იყო, რადგან განსაკუთრებით მხოლოდ ქართველი იცნობდა მას, მაგ-
რამ უცხო ერთა შვილნიც, რომელთაც ილიას ნაწერი და ნაღვაწი
ოდნავ გაიცრეს, ყველანი უზომოთ შეაძრწუნა ილიას მოკვლამ. ილიას-
თანა ადამიანები იმათ თვალში, ვისაც კაცობრიობის ბეღნიერება
უკულმართად არ ესმით, კაცობრიობის დამამშვენებელი არიან. „გან-
დეგილისა“ და მრავალი სხვა წარჩინებული ქმნილების დამწერი ისე
ძვირფასი უნდა იქნეს ერებისათვის, როცა მას გაიცნობენ, რო-
გორც ჩვენთვის ბაირონი, ვიქტორ ჰიუგო და საზოგადოდ კაცობრი-
ობის მამშვენებელი სხვა მოახრე და მოღვაწე. ილიასთანა კაცებს
მხოლოდ იმისთვის ადამიანი თუ შეახებს ხელს, რომელსაც თითო-
ეული ერის სიკეთე, დიდება კაცობრიობის სიკეთედ და ღიდებად არ
მიაჩნია!..

მოკლეს ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერის მამა, ქართველი ახალ-
გაზრდობის მოძღვარი, მათი ზნეობისა და გონიერის მასაზრდოებელი!..
ილია ჭავჭავაძე შეთელ თავის სიცოცხლეში ქართველ ერს აღვაძებდა,
აფხიზლებდა. და მისი სიკედილიც კი იმავ ღიდებულ მიზანს ემსახუ-
რება! ყური დაუგდეთ როგორ აკვნესდა საქართველო! ქართლი და
კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, გუ-
რია და ოზიში... მთელი საქართველო კიდით-კიდემდი სამელოვარო
ძაძით შეიმოსა, ცხარე ცრემლებით ატირდა, ქართველი ერის სიცო-
ცხლის მთავარი სიმი გასწყვიტეს — ილია ჭავჭავაძე მოკლეს!..

როგორც იესოს მოძღვრება მისი ჭვარცმით გაძლიერდა და გან-
მტკიცდა, ისე ილია ჭავჭავაძის ჭვარცმამ მის ღვაწლსა და მნიშვნელო-

ბას შარავანდელი მოფინა, ყველასათვის გაანათა და გააშუქა!.. ილიაშ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე თავისი ერის ბედნიერებას შესწირა და სიკვდილითაც თვისსავე საყვარელ ჰვეყანას ეშიახურება!.. ილია ჰვეჭავაძე მკვდარიც კი ცოცხალია, თავისი მოწამებრივი სიკვდილით ქართველი ერის სიკვდილის დამთრგუნველია!..

მაგრამ ჩვენ ვიკითხოთ, ჩვენ, ცოცხლათ დარჩენილებმა, რომელ თაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში მტრებმა უშანკო სისხლი კისერზე დაგვანთხიერა...

როთ მოვირცეცხოთ ეს სირცხვილი?!

როთ გავიწმინდოთ სინიდისი?

ვინა ხართ ოქვენ, უგუნურნო მკვლელნო?

ნუთუ წერა-კითხვა იცით? ნუთუ მწიგნობარნი ხართ და ილიას თზულებანიც წაგიკითხავთ?!

„ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო!“

ჩვენ ზემოთ ვთქვით, მხოლოდ გაკვრით, რომ ილია ჰვეჭავაძემ გაბედულად და უშიშრად აიმაღლა ხმა გურიაში ასაწიოკებლად და გადასაწვავ-გადასაბუგავად წასულ ჯალათ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის საწინააღმდეგოდ.

ახლა რაც შეიძლება უფრო ერცლად შევეხებით ამ ფრიად საჭირო და საინტერესო საკითხს.

ყველასთვის ცნობილია, ის აწიოკება-აოხრება, რაც წილად ხვდა რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის გამარჯვების შემდეგ გურიას. მხოლოდ მწერალი ქალი ნინო ნავაშიძის მოგონებით, როგორც კი გაიგო, რომ რეაქციონერები განადგურებას უპირებდნენ „ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხეს“ გურიას, ილია ჰვეჭავაძემ იმ წამსვე შეკრიბა მთელი თბილისის მოწინავე ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, ამ კრებას დასწრებია ვაჟა-ფშაველაც; ილია ჰვეჭავაძე ძალზე აღელვებული და აღშფოთებული ავდგარა და მიუმართავს კრებისათვის შემდეგი სიტყვით:

— თქვენ იქნება არც კი იცით, რომ სასწრაფოდ გაგზავნეს დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით ერთი ჩვენი საუკეთესო კუთხის, გურიის მოსახლეობად. ალიხანოვი უსასტიკესი ადამიანია, ის არავის დაზოგავს და უნდა მოველოდეთ, თუ ის ჩავიდა გურიაში, ქალიან-ბავშვიანად ამოწყვეტს ყველას. ჩვენი, ყველას მოვალეობაა გადავარჩინოთ ეს ჩვენი ქვეყნის თვალი საშინელ განსაკუდელს. სასწრაფოდ ახლავე ვერჩიოთ წარმომადგენლები და გავგზავნოთ მეფის ნაცვალთან. ვთხოვოთ დააბრუნოს ალიხანოვ-ავარსკი მისი რაზმით და თუ არ დააბრუნებს, მაშინ ჩვენ ყველანი უნდა

ავდგეთ, ავისხათ იარაღი და გურულებთან ერთად გავწყდეთ, ჩვენა
ძვლები იმათთან ჩავყაროთ.

მართალია, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნინო ნაკაშიძე ამ
საჭირო და საინტერესო ამბავს გადმოვცემს ცნობილი საზოგადო
მოღვაწის, პედაგოგ თედო კიკვაძის ნამპობით, მაგრამ ზემონათქვამი
რომ სწორია, ამას სავსებით ადასტურებს მწერალი ილია ზურაბიშ-
ვილი (ელეფთერიძე), რომელიც პირადად დასწრებია იმ კრებას და
ილია ჭავჭავაძის სიტყვაც მოუსმენია.

ნინო ნაკაშიძე დამატებით გადმოვცემს აგრეთვე, თუ როგორ
დაეხმარა ილია ჭავჭავაძე 1905 წელს გურულებს ფულით და როგორ
დაინტერესებას იჩენდა ეს დიდი ადამიანი გურიის ამბებით.

გადამწვარი და განადგურებული გურიის დასახმარებლად შემოწი-
რულებას იღებდნენ როგორც ცალკე პირები, ისე დაწესებულებები.
მართალია, ასეთ ღონისძიებათა წინააღმდეგ მთავრობა უსასტიკესი
ზომებითა და საშუალებით იბრძოდა, მაგრამ ხალხი მაინც აკეთებდა
იმას, რაც უნდოდა და გურიას დასახმარებას არ აკლებდა. ამ შერივ
საყურადღებოა ჭავჭარ-ჭავაშას მოგონება „როგორ დაეხმარა „სევი-
ლიელი“ გურიას“, რომელიც უურნალ „დროშაში“ დაიბეჭდა. მასში
ნათქვამია:

„ქართველი ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა განიზრახა დაზარალე-
ბულთა დასახმარებლად წარმოდგენის გამართვა. გადაწყვიტეს დად-
გაო ოპერა „სევილიელი დალაქი“.“

სხვათა შორის ამ ოპერის ერთ-ერთი პარტია ია კარგარეთელთან
ერთად უნდა ემლერა რჩეულიშვილს (ოფიცერს). დადგა წარმოდგენის
დროც. ოპერის თეატრს აუარებელი ხალხი მოაწყდა. იყვნენ ჩამოსუ-
ლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მრავალი მსურველი დარ-
ჩია იმ საღამოს თეატრის გარეთ. მომღერლები გრიმსა და ტანსაცმელ-
ში გამოეწყვნენ. მეორე ზარი მისცეს. ჩვენს სულიერ განწყვილებას
ში გამოეწყვნენ. მეორე ზარი მისცეს. ჩვენს სულიერ განწყვილებას
დასახეიმო ხასიათი ჰქონდა. დირიჟორი ემზადებოდა სადირიჟორო აღ-
გილის დასაკავებლად. დგება წამი ფარდის ასახდელად და, ამ ღროს,
კულისებში შემოდის მთავრობის წარმომადგენელი განკარგულებით,
რომელშიც ეწერა: „ვინაიდან დღევანდელ წარმოდგენაში მონაწილე-
ობს რუსეთის არმიის ოფიცერი რჩეულიშვილი, მას ნება არ აქვს
გამოვიდეს სცენაზე მეამბოხეთა სასარგებლოდ გამართულ წარმოდ-
გენაში“.

საშინელი მღელვარება და აურჩაური მოჰყოლია დამცინვასა და
ხალხის აბუჩად ამგდებ ამ განკარგულებას. გაბედული ოფიცერი



რჩეულიშვილი არ იხევდა უკან და ბრაზმორეული ამბობდა — მარწოგავალ, სჭობია ჯარისკაცებით დამშეირონო... მაგრამ ამ დროს შემოსულა რუსული ოპერის მსახიობი, ახალგაზრდა სლავინი და უთქვამს, რჩეულიშვილის მაგივრად მე გამოვალო, თან ბოდიშს იხდიდა, რომ რუსულად მოუწევდა ემღერა, რადგან ქართულ არ იცოდა.

ყველასათვის ნათელი შეიქნა, თუ რა იყო ნამდვილი მიზეზი „უეცრად ავად გამხდარ რჩეულიშვილის“ მაგიერ მსახიობ სლავინის გამოსვლისა. ამ აბძის გამო უკეთილშობილესი აღამიანი სლავინი გააძევეს ოპერის ოეატრიდან. ასე ძვირად დაუჭდა მას მეამბოხე გურულების ხასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება. მაგრამ ამით მსახიობ სლავინის ისედაც დიდი სიყვარული ქართველ ხალხში ერთოორად გაიზარდა და განმტკიცდა.

ვფიქრობთ, ილიას გაბეჭული სიტყვის შედეგი იყო ასეთი თავდადებული ბრძოლა გურულების დასახმარებლად და დასაცავად. უთუოდ ილია ჭავჭავაძის სიტყვის პირდაპირი გამოხმაურება იყო აგრეთვე ისიც, რომ ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშეილი გარე კახეთიდან დელეგაციით წარსდგა მეფის ნაცვლის წინაშე და მოითხოვა გურიიდან დამსჯელი რაზმის დაუყოვნებლოვ გამოყვანა. ასევე შეიძლება ითქვას სანდრო შანშიაშვილის ლექსის — „„მებო ხმალს ხელი, გვიხმობს გურია!“ შესახებაც, რომლებსოდესაც ახალგაზრდა პოეტი ექვსი თვე ამყოფეს მეტების ციხეში. ცხადია, ილიას სიტყვები — იარაღი ივისხათ, წავიდეთ და გვერდში ამოუფლეთ ამბოხებულ, თავისუფლებისათვის მებრძოლ გურულებსო, — არ დარჩენილა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოს შინა“.

გურიის გაღამწვარი ოჯახების დასახმარებლად შემოწირულებათა შეგროების მიზნით შემდგარა „გადამწვართა კომიტეტი“. ამ კომიტეტის წევრები იგზავნებოდნენ სხვადასხვა ქალაქებში შემოწირულების შესაგროვებლად.

„სამი კაცი, — წერს ნინო ნაკაშიძე, — უჯმაჯურიძე, გოგელია და მე, გაგვვზავნეს თბილისში, გაზეთების რედაქციებში შეგროვილი, იგრეთვე ქალაქის თვითმართველობასა და საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გადაღებული ფულისათვის.

თბილის რომ ჩამოვედით, საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეს მივმართეთ. თავმჯდომარედ თამარ გრუზინსკაია იყო. მან დანიშნა სხდომა და ჩვენც მივიწვია. სხდომა მოწვეულ იყო ბანკის შენობაში, ფრეილინის ქუჩაზე. დაესწრო მთელი გამგეობა. ჩვენი მოხსენების შემდეგ ილაპარაკა ილია ჭავჭავაძე. როგორც ყო-

ველთვის, ილია დინგად ლაპარაკობდა, მხოლოდ მე როგორლაც უკ-

ის მაყოფილო და შეწუხებული მეჩვენა.

ილია ამბობდა:

— მე ძალიან მწყინს და მაკვირვებს, რომ ამდენ ხანს არ გავგზავ-
ნეთ დაპირებული ფული. ნუთუ საჭირო იყო მოგონება?! ის თანხა,
რომელიც ჩვენ გადავდეთ, ისე მცირეა, რომ საქველმოქმედო საზო-
გადოებამ უნდა იზრუნოს და გამონახოს საშუალება და კიდევ მია-
წოდოს ღროდადრო, თორებ თოხას წვრილშვილიან გადამწვარ ოჯახს
რა დახმარება უნდა გაუწიოს თოხასმა თუმანშა, თითო თუმანი ოჯახს
არ აშენებს, ეს უნდა ვიცოდეთ.

დიდი ღრო არ დაჭირვებია ჩვენი საკითხის გადაწყვეტას. სხდო-
მამ ერთხმად დაადგინა: მოეცათ დაპირებული თანხა და შემდეგშიც
მიეღოთ ზომები და გაეწიათ დახმარება, როგორც ფულით, ისე წამ-
ლებით, ექიმით და ტანისამოსით.

კრების შემდეგ ილიას უსაუბრია ნინო ნაკაშიძესა და გურიიდან
მასთან ერთად ჩამოსულ გოგელიასთან.

ილიას უკითხავს გოგელიასათვის.

— თქვენ გურულებს ხომ არ გიყვართ მეფეები და თავადები?

გოგელიას უპასუხნია:

— თქვენისთანები გვიყვარს, ბატონო, თქვენი „კაკო ყაჩალი“ ყვე-
ლამ ზეპირად ვიცითო.

ილიას სიამოვნებია გოგელიას სიტყვები, მხარზე დაუდვია ხელი
ამ გურული გლეხისათვის და უკითხავს, სად გისწავლიათო.

სოფლის სკოლა გავათავე და შემდეგ მუშად ვიყავი ბათომში,
როტმილდის ქარხანაშიო, — მიუცია პასუხი გოგელიას ილიასათვის.

— დიდი მოთმინებაა საჭირო ხალხისათვის, რომ ფიზიკურად გა-
დარჩენ ამ საშინელ დროს, — უთქვამს ილიას, გოგელია კი ეუბნე-
ბოდა:

— მთავარი, ბატონო, ჩვენთვის იარაღია.

— ალიხანოვი რომ ჩამოვიდა და კრება მოახდინა, იმ კრებაზე
იყავით?

— აჲ, არა, ბატონო, როგორ შეიძლებოდა! იქ ჩვენ გავგზავნეთ
მოხუცებულები, თხხმოც-ოთხმოცი წლის კაცები. იგინიც ტალახში
ჩააჩიქეს და ჩვენ რომ ვყოფილიყავით...

— ძალიან ულმობელი კაცია ალიხანოვი... მე მინდა კიდევ გნა-
ხოთ. — უთქვამს ილიას ნინო ნაკაშიძისათვის და დაუმატებია: — თქვენ
ვერ წარმოიდგენთ, რა დანაკლისია ჩემს ცხოვრებაში ის, რომ
არასოდეს დრო არ მქონდა მთლიანად გამეცნო ჩვენი ქვეყანა. ავი-

ღოთ თუნდაც გურია, აჭარა, სამეგრელო. არ მქონია საშუალება
მეცხოვრა ამ კუთხეში ცოტა ხნით მაინც და ერთი ჩემი საუკეთესო
მეგობართაგანი კი გურული იყო — პეტრე ნაკაშიძე, ილიკოს მამა.
ახლა არ ვიცი, სად არიან მისი შვილები, ვიცი რომ თქვენ და ილიკო
რუსეთში იყავთ, რომ ახლა გურიაში ხართ, მაგრამ სხვები? მინდა
ყველას ამბავი გავიგო. იქნებ გამოიაროთ ჩემთან. ჩვენ ბევრ რამეზე
ვერ მოვასწარით ბაასი. ოლღასაც ძალიან ესიამოვნება თქვენი ნახ-
ვაო.

გამოგვემშვიდობა და გასწია ერევნის მოედნისაკენ. გოგელია და
მე კარგახანს ვუცქეროდით, თუ როგორ მიღიოდა ილია ნელი ნაბი-
ჭით. დიდად სამწუხაროა, რომ ილიამ ვერ მოასწრო ენახა საუკეთესო
კუთხე, თვალი ჩვენი ქვეყნისა გურია და ვერ იცხოვრა იქ ცოტა
ზნით მაინც.

იი, ამგვარი დიდი ადამიანის ვერაგულად მოკვლის ამბავმა საქარ-
თველოს სხვა კუთხის მცხოვრებლებთან ერთად გურულებსაც მოუკ-
ლა და მოუწამელა სული და გული“.

ლადო პეტერელი

ჩემი მოგონებები ილიაზე

1. გაცემა

რაჭაში სახალხო მასწავლებლობის დროს (1893 წელი) დავიწყე
თანამშრომლობა იღია ჭავჭავაძის „ივერიაში“. ჩემს სიხარულს სა-
ზღვარი არ ჰქონდა, როდესაც „ივერიაში“ დაიბეჭდა ჩემი ვრცელი
პირველი კორესპონდენცია სათაურით „ქვემო-რაჭის ავ-კარგი“. იმ
დღიდან დაწყებული 1905 წლის განმავლობაში, ვთანამ-
შრომლობდი ამ გაზეთში. 1894 წელს თბილისში ჩასვლა მომიხდა
ზაფხულის არდალეგებზე. მსურდა პირადათ მენახა დიდი გაზეთის და-
მაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი იღია, მაშინ რედაქცია
ყოფილ ნიკოლოზის (ამჟამად კალინინის ქუჩა) იმყოფებოდა. 11 სა-
ათზე მივედი, ვიკითხე რედაქტორი და მიმითიოეს მის კაბინეტზე.
მივადექი კარებს. გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო. ვბედავ და ვერც ვბე-
დავ შესვლას. 22 წლის ვიყავი. მორიცებით შევაღე კარი და შევე-
დი. იღია სავარძელში იჯდა მაგიდასთან, რომელიც წიგნებითა და
კურნალ-გაზეთებით იყო დაფარული. იგი დინჯად ესაუბრებოდა რე-
დაქციის თანამშრომელს, — გრ. ყიფშიძეს. გავჩერდი მაგიდის შორი
ახლოს. მალე გაისტუმრა იგი და მე გადმომხედა. შემეკითხა: —
„თქვენ ყმაწვილო, ჩემთან გაქვთ საქმე?“

— დიახ, ბატონო, — გუპასუხე, კრძალვით და მაგიდისკენ მივი-
წიე.

— მე გახლავართ სახალხო მასწავლებელი — ბზვანელი, ოქვენი
გაზეთის კორესპონდენტი რაჭის მაზრიდან.

იღიამ ღიმილით მიბასუხა: — „კარგი, კარგი, გამარჯობა“, და ხე-
ლი გამომიწოდა; დამსვა სკამზე და გამომქითხა ქვემო-რაჭის სოფ-
ლების ამბები, თან მქონდა მასალები სხვა და სხვა საკითხებზე, ამო-
ვილე კონვერტი და მივაწოდე; მან გამომართვა და მითხრა: — „მე
შენს წერილებს ვბეჭდავ, საყურადღებო ცნობებს მაწვდი სოფლის
ცხოვრებიდან. ეცალეთ ყოველთვის სწორი და უტყუარი იქნეს, ფაქ-
ტებზე დამყარებული, რომ რედაქცია შეცდომაში არ შევიდეს, სოფ-
ლებისა და გლეხობის ჭირ-ვარამთან ერთად მოგვაწოდე რაჭის მაზ-

რის ისტორიული ძეგლების აღწერა, ხალხური შემოქმედება, როგორიც არის — ზღაპრები, არაქები, ლექსები, ანდაზები, ამოცანები და სხვა... აგრეთვე წერილები საზოგადოებრივ საკითხებზე, სწავლა-განათლებაზე, მოხელეთა თავ-გასულობაზე. შეგიძლიათ, სცადოთ და მოკლე მხატვრული მასალებიც მოგვაწოდო... სხვა საოქმედი ხომ არაფერი გაქვს ჩემთან?“ — შემეკითხა კიდევ.

„არაფერი, ბატონი ილია, მე მსურდა პირადად მენახეთ, შემეხედნა თქვენთვის“. „ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ჩამოხვალთ თბილისში, ყოველთვის შემოიარეთ რედაქციაში. გაზეთი ხომ მოგდის უფასოდ?“ „კი ბატონო“, მივუგე... აქ ილიამ დამარიგა: „ — საჭიროა ჩაგონოთ წერა-კითხვის მცოდნებს გამოიწერონ გაზეთი; ამას გარდა, კვირა-უშმე დღეებში გლეხებს წაუკითხო გაზეთიდან ისეთი ადგილები და აშშები, რაც მათ დააინტერესებს და ასიამოვნებს... ასე დაგვეხმარეთ... ჩვენ ჩაგრიცხავთ ჩვენი გაზეთის სპეციალურ თანამშრომლად... ეცა-დეთ, დაკვირვებით წეროთ და დაიცვათ ჩვენი გაზეთის სწორმეტყვე-ლება, სალიტერატურო ენა“.

გამოვემშვიდობე და აღტაცებული გამოგედი, დიდი მწერლის თა-
ვისიანმა და მარილიანმა სიტყვებმა გამამხნევა და წამახალისა. ამის
შემდეგ, 1895 წლის პირველ სექტემბრამდის დავრჩი რაჭაში და 50-
მდე წერილი მივაწოდე რედაქციას. ამით ბევრი შეგობარი და მტერიც
გავიჩინე; განსაკუთრებით მდევნიდნენ პოლიციის ბოქაულები, მამა-
სახლისები და სოფლის მოხელენი, რომელთა უკუღმართობას ხშირად
ვამჟღავნებდი „ივერიის“ ფურცლებზე. ამიტომ ხანდახან სხვადასხვა
ფსევდონიმებს ვეფარებოდი და „ლადო ბზვანელის“ ნაცვლად ვაწერდი
„ლას-ნარიძე“, „ქიტესაძე“, „ლას-პანელი“ და „მარინეშვილი“. მიუხე-
დავად ამისა, ერთხელ კინაღამ გავხდი ნიკორწმინდელი მამასახლისის
თოფის მსხვერპლი, რომელსაც მასწავლებლების ჯამგირი შეეკრიბა,
ხაზინაში არ შეეტანა და თავისი დუქნის პატენტზე გაეხარჯა. როდე-
საც ეს გამოვამუღავნე გაზეთში, მაზრის უფროსმა მიაქცია ყურადღება
და წყრომა-საყვედური შეახვედრა მამასახლისს. ერთ სალამოს, როდე-
საც სოფლის ბაზრობიდან მოვდიოდი სკოლის ბინაზე, მამასახლისი
ცხენით მომავალი, შემხვდა გზაში, გადმოიღო თოფი, მომაღირა და
შემომძახა: „რას გადამეკიდე შენ, რომ გაზეთში გაგიწერიგარ“. მო-
ვიფერე, მოვუქონე თავი და გადაერჩი მით, რომ შემაგინა დედა და
გავრძელა გზა...

1895 წლის 22 ოქტომბერს მგოსანს რ. ერისთავს სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის თავზე გაუმართეს იუბილე. „ივერიასა“ და „კვალიში“ დაიბეჭდა მეთაური წერილები იუბილეს შესახებ. მე მაშინ ვმსახურობდი სოფ. ეწერის სახალხო სამინისტროს სკოლაში, სამტრედიის მახლობლად. აღნიშნულ დროს გავემგზავრე თბილის, რათა დავსწრებოდი ამ ზეიმს. დღის 11 საათზე რაფიელი მოიყვანეს თეთრცხენებიანი ეტლით ქაშვეთის ეკლესიაში. ეტლში ისხდნენ ილია და აკაკი. ქაშვეთში გადახდილ იქნა პარაკლისი ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ და წარმოთქმული სიტყვა მწერლის მოღვაწეობის შესახებ. შემდეგ გაემართენ აღწრუნისეულ ქარვასლის ოეატრში, საღაც გაიმართა იუბილე, დაესწრო აუარებელი საზოგადოება. სცენაზე რაფიელს მოუსხდნენ ილია, აკაკი, ეკ. გაბაშვილისა და სხვანი... ფშავხევსურები ჩამოსულიყვნენ აბგრებში. დაესწრნენ ი. მაჩაბელი, აბაშიძე, გ. ლასხიშვილი, რუსი პოეტი ველიჩკო და სხვა თანაგრ. აბაშიძე, გ. ლასხიშვილი, რუსი პოეტი ველიჩკო და სხვა თანამედროვე მწერლები. მღეროდა რატილის გუნდი. საიუბილეო ზეიმი დიღებულად ჩატარდა, წარმოითქვა მრავალი სიტყვა და ლექსი, შემდეგ იუბილარს გაუმართეს ბანკეტი. მეორეჯერ ილია ჭავჭავაძე აქვნახე.

3. ილია და გავრცელები

საქართველოს გამოჩენილი პედაგოგი ი. გოგებაშვილი დიდი მეგობარი იყო ილიასი და პატივისმცემელი. იყობი მასში ხელავდა ღიდღუნებოვან პიროვნებას, სამშობლოსათვის შეუდრეველ მებრძოლს. ილიას ტრაგიულად დაღუპვისა გამო იაყიბმა გაზ. „ისარში“ მოათავსა მგრძნობიარე წერილი, რომელშიაც იძლეოდა წინადაღებას ილიას ხსოვნის უკვდავსაყოფად მოწყობილიყო და დაარსებულიყო ფონდი ილიას ნაწარმოებთა გადმოსაცემად, გახსნილიყო ილიას სახელობის სამაგალითო ქართული სკოლები, უფასო სამკითხველოები, დაარსებულიყო სტიპენდიები, გასწეოდა დახმარება უნიჭიერეს მწერლებს, დადგმულიყო ილიას ძეგლი და სხვა... მაგრამ დიდი ილიას დაფასება მოხდა მხოლოდ დღეს, საბჭოთა ეპოქაში.

„ივერიის“ რედაქციას ყოველდღე მრავალი მასალა მისდომდა პროვინციებიდან: ლექსები, ნაკვესები, პატარა მოთხოვბები, ფოლკლორი და სხვ... ილიას განკარგულებით რედაქციის თანამშრომლები ორ კვირაში ერთხელ გაზირის მე-4 გვერდზე ათავსებდნენ „ივერიის ფლატას“ და ვისი მასალაც არ დაიბეჭდებოდა, აცნობებდნენ პირდაპირ ასე: „არ დაიბეჭდება“, „არ გამოგვადგება“, „ლექსების წერას თავი დაანებეთ, გირჩევთ, გაკვეთილებს მოჰყილოთ ხელი გულმოდგინეთ“. გვარისა და სახელის ნაცვლად ინიციალებს მოუწერდნენ და ქალაქის ან სოფლის სახელს. ქუთაისში მყავდა მეზობლად ერთი კაცი, გვარდ ბოდოკია; კერძო გაკვეთილებს ახლევდა პატარა მოსწავლეებს; დიდი მისწაფება ჰქონდა ლექსების წერისა, მაგრამ მისი ლექსები არ გამოდგა და არ იბეჭდებოდა... მაინც ბოლოს ერთი ლექსი გაეგზავნა ილიასათვის „ივერიაში“, გავიდა ხანი, არც იბეჭდება, არც პასუხი არის. ბოდოკია არ სცხრებოდა და ყოველ კვირაში უგზავნიდა რედაქციას წერილს საყვედურით, რატომ არ მიბეჭდავთო? 1898-წელს ზაფხულში თბილისისაკენ გამოვემგზავრე; ბოდოკიამ ისარგებლა და წერილი გამატანა ილიასთან. შევიარე რედაქციაში, ვინახულე ილია და წერილი კონვერტით გადავეცი. ილიამ წაიკითხა, წარბები შეჭმუხნა და ზარი დააწყარუნა. შემოვიდა თანამშრომელი „ჩიორა“; ეს იყო არტ. ახნაზაროვი, „წკიბურტების“ ავტორი. ილიამ გადასცა წერილი და უთხრა: „ამ ბოდოკიამ შეგვაწუხა საყვედურებით, დაუწერეთ პასუხი „ივერიის“ ფლატაში“. მაღლე შემოუტანეს საქმაოდ მკაცრი პასუხი. ილიამ წაიკითხა და თქვა: — „ეს მეტის მეტია, ამით მთლად დავაფრთხობთ იმ კაცსაო“. უპასუხეს: „უკეთესია, არ ვარგა მისი ლექსები, ჩამოვიშორებთ და ის იქნებაო“. მესამე დღეს გამოქვეყნდა გაზირის ფლატაში რედაქციის პასუხი. მართლაც ამას შემდეგ ბოდოკიამ თავი გაანება ლექსების წერას... შემდეგ ილია ჟღარსად მინახავს.

ილია გაგტაძე

ილია გირვალაძე გელათში ვნახვ

1896 წლიდან მე ვსწავლობდი ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში, რომელსაც მაშინ ფერმის სკოლას ეძახდნენ. ამ სასწავლებელში დაარსების პირველ წლიდან (1892 წ.) მუშაობდა ცნობილი რევოლუციონერი მიხა ცხაკაია, სანამ მას არალეგალურ მუშაობისათვის ქუთაისიდან ციმბირში გადაასახლებდნენ. ამ სასწავლებელში მაშინ, როდესაც მე იქ ვიზუალურობდი, სწავლობდნენ ჭოლა ლომითათიძე (ცნობილი მწერალი), იონა ბელიაშვილი, მწერალ აკაკი ბელიაშვილის მამა, რომელიც გაზეთ „კვალში“ ათავსებდა თავის ესკიზებს და ეტიუდებს, შამშე გელოვანი, რომელიც 1905 წელს რევოლუციაში მონაწილეობისათვის სვანეთში მოკლეს თავადმა გარდაფხახებმა, გრიგოლ დუმბაძე, რომელიც 1905 წელს, გურიაში სათავეში ედგა შეიარაღებულ წითელ რაზმს. სამეურნეო სასწავლებელში ჩვენთან ერთად სწავლობდა აგრეთვე საქართველოში სახელმოხვევილი რევოლუციონერი რაფიელ ჩიხლაძე, მამა ცნობილი ლიტერატორის ნინო ჩიხლაძისა. ნინო აღრე მასწავლებლობას ეწეოდა, ეხლა მუშაობს საქართველოს სსრ ლიტერატურულ მუზეუმში საასუხეისმგებლო თანამდებობაზე. სამეურნეო სასწავლებელში მოწაფეებს მოწყობილი გვქონდა არალეგალური წრე, ფარულად ვცემდით ყოველ გვირაბში ხელნაწერ უურნალ „მუშაქს“, რომლის რედაქტორი იყო იონა ბელიაშვილი (ილულელი). იმ დროს, როდესაც ჩვენთან, ხელნაწერი უურნალი „მუშაქი“ გამოდიოდა, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფეები უშვებდენ ხელნაწერ უურნალს „ფონოგრაფს“ და სასულიერო სემინარის მოსწავლეები — „სხივს“.

სამეურნეო სასწავლებელში მოწაფეები დაწაფებული ვიყავით თუთეანვითარებას, ბევრს კითხულობდით, როგორც ქართულ, ისე რუსულ წიგნებს. განსაკუთრებით დიდი ხალისით ვეცნობოდით ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და გიორგი წერეთლის ნაწერებს. მას სოეს ერთ ღამეს, ჩვენი სასწავლებლის საწოლ ოთახებში (სასწავლებელს პანსიონი ჰქონდა) სასწავლებლის გამგის — ალექსანდრე ბიბიკოვის განკარგულებით მოახდინეს ჩხრეკა, რომლის ღროსაც აღმოგვიჩინეს რუსეთის გამოჩენილი მწერლის ბესარიონ ბელინსკის წიგნი და დარვინის მეცნიერული შრომა რუსულ ენაზე და ორი წიგნი — ქართულ ენაზე — ერთი ილია ჭავჭავაძის და მეორე — აკაკი წერეთელის.

მოწაფეებმა მეორე დღეს კატეგორიულად მოვითხოვეთ ჩამორი-
თმეული წიგნების დაბრუნება, ძახსოვს, შაშინ ჩვენ საქმეში ჩაერია
სასწავლებლის მზრუნველი დავით ბაქრაძე, რომ ჩვენთვის წიგნები
დაეპროცესია; დავითი პეტერბურგის უნივერსიტეტში ილია ჭავჭა-
ვაძესა და აკაკი წერეთელათ ერთად სწავლობდა; მხარი დაგვიჭირა
აგრეთვე რუსული ენის მასწავლებელმა ირაკლი მიქაელმ, რომელიც
ჩვენი საუკეთესო მესაიდუმლე და ხელისშემწყობი იყო. დიდი ვაი-
ვაგლახის შემდეგ მარტო ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთელის
წიგნები დაგვიბრუნეს და ბელინსკის და დარვინის წიგნების დაბრუ-
ნებაზე უარი გვითხრეს.

სამეურნეო სასწავლებლის მოწაფეები მუდამ დიდად ვაფასუბდით
ილია ჭავჭავაძეს, ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სიყ-
ვარულს ჩვენში მუდამ აძლიერებდა მასწავლებელი ირაკლი მიქაელ,
რომელსაც ჩვენთან ფარულად ხშირად მოჰქონდა ქართული წიგნები
და გვირჩვდა, რაც შეიძლება მეტი გვეკითხა.

ძახსოვს, როდესაც ქუთაისში ქართველი ერის და კულტურის დი-
დი მოაზიგე ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) გარდაიცვალა, რამდენი-
შე მოწაფე ჩუმად გავიპარეთ გელათში და დავესწარით მის დასაფ-
ლავებას. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იმ დღეს,
რა დღესაც გაბრიელს ასაფლავებდნენ გელათში, ილია ჭავჭავაძე და-
ვინახეთ. გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე, ილია ჭავჭავაძის წარ-
მოთქმულმა სიტყვამ ჩვენზე დიდი შთაბეჭილება დატოვა და ჩვენ
მოწაფეებს ამ სიტყვის შესახებ ხშირად გვქონდა ერთმანეთში სჯა-
ბასი. მოწაფეები განსაკუთრებით დაგვაინტერესა გაბრიელ ეპისკო-
პოსის დაკრძალვაზე ილია ჭავჭავაძის წარმოთქმული სიტყვის დაბო-
ლოებამ.

ისე, როგორც ჩემ ამხანაგებს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენ
მოწაფეები გიყავით, ძალიან გიყვარდა ილია ჭავჭავაძე, მის ნაწე-
რებს მუდამ დიდი ხალისით ვკითხულობდით, მისი ზოგიერთი ლექსი
ზეპირად ვიცოდით და ყველა, ვინც ილია ჭავჭავაძეზე რაიმე ძვირს
გვეტყოდა, გვძულდა და გვიგავრებოდა. ილია ჭავჭავაძის დიდი სიყ-
ვარული ლრმა მოხუცებულობამდე შევინახე, მე ეხლა 77 წლისა ვარ
და მუდამ ვამბობდი და ეხლაც ვამბობ: ილია ჭავჭავაძე ქართველი
სალის ჭკუა და გონება იყო და ტყუილად ნურავინ ნუ დაიტრაბახებს,
იმდენი, რამდენიც თავის მწერლობით და პრაქტიკული საქმიანობით
ილია ჭავჭავაძემ საქართველოსათვის გააკეთა, არავის არ გაუქეთებია.

ილია ჭავჭავაძის ბევრ სხვა დამსახურებასთან ერთად, ერთ მის
დიდ დამსახურებად ჩაითვლება ისიც, რომ ყველა ჩვენმა მწერალმა,

რა მიმართულებისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, პირველად ილია ჭავა-
ჭავაძის „ივერიაში“ დაიწყო თანამშრომლობა. ილია ჭავჭავაძის „ივე-
რიაში“ დაიბეჭდა ჩაგრული ხალხის დიდი მოამაგის — ეგნატე ნი-
ნოშვილის საუკეთესო მოთხრობები, პირველად ილია ჭავჭავაძის
„ივერიაში“ დაიწყო თანამშრომლობა ცნობილმა რევოლუციონერმა,
პუბლიცისტმა, კრიტიკოსმა ალექსანდრე (საშა) წულუკიძემ, რომე-
ლიც მუდამ ილია ჭავჭავაძის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღ-
ვაწეობას დიდ შეფასებას აძლევდა. „სოსელოს“ ფსევდონიმით ილია
ჭავჭავაძემ დაუბეჭდა ლექსი „დილა“ გაზეთ „ივერიაში“ ისეს ჯუ-
ლაშვილს — სტალინს. „ივერიაში“ აიდგეს პირველად ფეხი და დაიწყ-
ეს მწერლობა დავით კლდიაშვილმა, ის ეკალაძემ, იროდიონ ევდოშ-
ვილმა, პოლიო კალანდაძემ, ნიკო კურდლელაშვილმა, შიო არაგვის-
პირელმა, ვარლამ რუხაძემ და სხვებმა.

მე ძალიან ახლო ვიცნობდი პოეტ ვარლამ რუხაძეს და ერთი შეხ-
ვედრის დროს 1900 წელს ქუთაისში, ფერმის ქუჩაზე მან აი, რა
მითხრა:

— ილიას გავუგზავნე აი ეს ლექსი (მაჩევნა) და ვთხოვე „ივე-
რიაში“ დაებეჭდა. მან ეს ლექსი დამიბეჭდა და თან წერილი გამო-
მიგზავნა და მთხოვა: „ხშირად გამომიგზავნე ლექსები, დიდი სიამოვ-
ნებით დაგიბეჭდავო.“

აი, ის ლექსი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ვარლამ რუხაძეს დაუ-
ბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1900 წლის 27 ივლისის ნომერში:

საღამოა. ლაუგარდ ცაზედ,
ვარსკვლავთ შორის, ბადრი მთვარე,
მეფურად ჰზის და მის შუქზედ
ოქრის ფრად ჩანს არე-მარე.
აგრ ტურთა დარბაზის წინ
დიდი კაცი დასეირნობს,
„ძირს მე გბრწყინავ, მაღლა მთვარე“,
განცხრომის ძე ასე ფიქრობს.
მის გვერდით კი დამშეული,
ხალხი კვნესის, იტანჯება
მაგრამ იგი ამისათვის
სულაც არ სწუხს, არ ღონდება...

ეს ლექსი, აი, როგორ თავდება:

ან კი, რისთვის დაღონდება,
თვითონ მუდამ მაძლარია,
მაძლარისთვის სხვის შიმშილი
გასართობა ზღაპარია...

მეც პირველად თანამშრომლობა დავიწყე გაზეთ „ივერიაში“, როდესაც მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო და განვიღება თანამშრომლობა „ივერიაში“ მას შემდეგაც, როცა ის ჯერ ალექსანდრე სარავიშვილის და შემდეგ გრიგოლ ყიფშიძის ხელში გადავიდა და მათი რედაქტორობით გამოდიოდა.

1901 წელს თბილისში მე დავესწარი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრების წლიურ კრებას. ამ კრებაზე სალაპარაკოდ გამოვიდა ილია ჭავჭავაძე.

მახსოვეს მაშინ კრებაზე ბევრი კარგი მოლაპარაკები გამოვიდნენ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, კრებაზე დამსწრე მრავალი წევრი თავდაპირველად მიიმხრეს, მაგრამ, როდესაც ილია ჭავჭავაძე გამოვიდა საპასუხო სიტყვით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობის და პირიადად მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები ერთიანად გააბათილა.

1907 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძე ვერაგულად მოკლეს, მექუთაისის საგუბერნიო ციხეში ვიყავი; როგორც 1905 წლის რევოლუციის მონაწილეს, მისჯილი მქონდა გადასახლება აღმინისტრაციული წესით ვიატკის გუბერნიაში, რომელიც მეფის ნაცვალმა ამიერკავკასიაში ვორონცოვ-დაშვილმა — საზღვარგარეთ გადასახლებით შემიცვალა. იმ დროს, როდესაც მე ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ვიყავი და მამზადებდენ ვლადიმერ (ლადო) ემუხვართან ერთად საზღვარგარეთ გასაგზავნად, — ციხეში ჩემთან ერთად იყვნენ, დღეს საკმაოდ სახელმოხვეჭილი მწერალი, ბელეტრისტი ლეო ქიახელი (ლეო შენგელაია), დავით სულიაშვილი და სხვები. ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის აბავი — 1907 წლის 30 აგვისტოს, ასე დაახლოებით სეღამოს 10 საათი იქნებოდა, ციხეში მოგვიტანა ციხის ექიმმა დათიკო ჭაფარიძემ, რომელიც ეხლა მუშაობს საქართველოს სსრ ჭანმიტოლობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს საავადმყოფო პოლიკლინიკაში ყელ-ყურის ექიმად.

როდესაც პატიმრებმა ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის აბავი გაიგეს, ისინი ციხის ერთი საკანიდან მეორე საკანში ერთმანეთს ხმამაღლა უყვიროდნენ: „დაღუპულა საქართველო, ილია ჭავჭავაძე მოუკლავთო“... მთელი ღმევ პატიმრებს არ დაგვიძინია, გავთენეთ, მხოლოდ, როდესაც გათენდა და დილას პატიმრები ციხის ეზოში გამოგვიყვანეს, ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი და კრება გავმართეთ. ერთმა პოლიტიკურმა პატიმარმა, მასწავლებელმა პოლიკარპე გოგიაშვილმა, რომელიც 1905 წელს ხელმძღვანელობდა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა გაფიცვას, კრებას გააკნო ილია

ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის ამბავი. გარდა პ. გოგიაშვილისა, მაშინ სხვა პატიმრებიც გამოვიდნენ სალაპარაკოდ, დაახასიათეს — ილია ჭავჭავაძე როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პოეტი და ყველამ, ვინც სალაპარაკოდ გამოვიდა ამ კრებაზე, დიდი აღმფოთება გამოსთქვა იმის გამო, რომ ასეთ დიდ მწერალს და მოღვაწეს, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო, ვიღაც ნაძირალების მიერ გასროლილმა ტყვიებმა შუბლი და გული გაუგმირა.

როდესაც ციხის აღმინისტრაციამ დაინახა, რომ ჩვენ პატიმრებმა კრება გავმართეთ, დაფრთხა და გვიბრძანა, რომ კრება შეგვეწყვიტა, მაგრამ ჩვენ ციხის აღმინისტრაციის ეს განკარგულება არ შევასრულეთ. როდესაც ციხის აღმინისტრაციის განკარგულება არ შევასრულეთ, კრება შეგვეწყვიტა, დაგვემუქრნენ, თუ არ შევწყვეტდით კრებას, ჯარისკაცებს გამოიყვანდნენ და ტყვიებს დაგვიშენდნენ, მაგრამ ჩვენ ამასაც არ შევუშინდით, კრება განვაგრძეთ, დავამთავრეთ და დადგენილება გამოვიტანეთ თბილისში ქართული გაზეთ „ისარისათვის“ ჭუთასის ციხის პატიმრების სახელით დეპეშა გაგვეგზავნა ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის გამო, გაგვეზიარებია ქართველი ხალხის დიდი მწერალება და ილია ჭავჭავაძის მკვლელები ზიზლით და ქრულვით მოგვეხსენებია. პატიმრებმა ამ დეპეშის შედგენა და გაგზავნა, ორ სხვა პოლიტიკურ პატიმართან ერთად, მაშინ მე მომანდო-დეპეშა ლეო შენგელაიას (ლეო ქიაჩელის) და სხვების მონაწილეობით ერთად შევადგინეთ, გავატანეთ ციხის ექიმს — დათიკო ჯაფარიძეს, მან (ჯაფარიძემ) ეს დეპეშა — თბილისში გაგზავნა და ის დავით (დათიკო) ღალაძის, პლატონ კორძაიას და ჩემი ხელის მოწერით დაიბარის გვდომის შემდეგ შეგვიძლია 1907 წლის გაზეთ „ისარის“ 194 №-ში, რომელიც შემდეგ შეგვიძლია იქნა იმ წიგნში, რომელიც იმავე 1907 წლს დაიბეჭდა თბილისში ასეთი სათაურით: „ილია ჭავჭავაძის სიკედილი და დაკრძალვა“.

იროდიონ ევდოშვილმა ილია ჭავჭავაძის გლოვის ნიშნად, მისი მოქვლის შემდეგ სპეციალურად შეიძინა და გაიკეთა დიდი შავი ჰალსტუხი, რომელსაც ის სიკედილამდე ატარებდა. ის ჰალსტუხი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო იროდიონ ევდოშვილი ატარებდა, ეხლა შენახული აქვს მის ქალიშვილს, რომელიც თბილისში ცხოვრობს თაყაიშვილის ქუჩაზე, თბილისის უნივერსიტეტის ახლოს.

კარგად არ მახსოვეს 1903 თუ 1904 წელი იყო. ხონიდან (წულუკიძიდან) თბილისში ჩამოვედი. აქ დაევაწარი სახალხო და სამრევლო სკოლების მასწავლებლების იმ კრებას, რომელსაც დაესწრო ქარ-

თველი დაღი პედაგოგი — იაკობ გოგებაშვილი. ამ კრებაზე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე სიტყვა წარმოსოქვეს იპკონგოგებაშვილმა, თელო უორდანიამ და სხვებმა. როდესაც მასწავლებლების კრება დამთავრდა, რამოდენიმე მოწინავე მასწავლებლებმა იაკობ გოგებაშვილს სადილი გაუმართეს, ამ სადილზე მე წამიყვანა ჩემი ახლო ნაცნობმა მასწავლებელმა ალექსანდრე მიქაელიძემ, რომელიც იაკობ გოგებაშვილთან ერთად მუშაობდა „ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოებაში“. სადილზე პირველად შესვეს იაკობ გოგებაშვილის სადლეგრძელო, ყველამ, ვინც მისი სადლეგრძელო შესვა, დაახასიათა როგორც დიდი პედაგოგი და ქართველი ხალხის ინტერესების დასაცველად თავდადებული მოღვაწე. მოიყვანეს მისი ცხოვრებიდან ბევრი საინტერესო მაგალითები, რომლებიც ეხებოდა იმ ბრძოლას, რომელსაც ის აწარმოებდა იანოვსკის და სხვების წინააღმდეგ.

იაკობ გოგებაშვილმა, ყველა იმათ, რომლებმაც მისი სადლეგრძელო დალია, მადლობა გადაუხადა და უთხრა: „დღეგრძელობისათვის მადლობას მოგიძლვნით და გულახდილათ გეტყვით, თუ მართლა რამე გავუკეთე ქართველ ხალხს, ეს ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელისშეწყობით, როდესაც მე შევეცადე დამეცვა საქართველოს შელახული უფლებები, დამეცვა მისი კულტურა, ენა — ყვავ-ყორრნებივით შემომესინ პედაგოგების ქურქში გამოხვეული რეაქციის მსახურნი: სწორედ ამ დროს ჩემი ერთადერთი იმედი და მფარველი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ლომივით ესხმოდა თავზე კატკოვს, იანოვსკის და ყველა იმათ, რომლებიც სხვადასხვა მოშორილი ამბებით ცდილობდნენ შეელახთ საქართველოს დიდი წარსული, მოესპონ ქართველი ხალხის ყოველგვარი კულტურული მონაპოვარი, რომლითაც ის ერთ დროს ამაყობდა“...

მახსოვს იაკობ გოგებაშვილმა, ეს თავისი სამადლობელი სიტყვა აი როგორ დაამთავრა:

„თუ დღეს ჩემ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს: „დედა-ენას“, „ბუნების კარს“ და „რუსკოე სლოვოს“ ფართო გასავალი მიეცა საქართველოს სკოლებში, ეს ასე მოხდა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელისშეწყობით. ფიზიკურად მე ძალიან სუსტი ვარ და ეს ფიზიკური სისუსტე, გამოოტეხით გეტყვით, მუდამ დიდათ მიშლიდა ხელს გავმკლავებოდი ჩემს მოწინააღმდეგებს, მაგრამ ჩემი ყველა მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე გვერდში მეღვა და მე — სუსტ ადამიანს მამხნევებდა — საქართველოს საკე-

თილდლეოდ მუშაობაზე არასოდეს ხელი არ ამეღო და უოველგვარო
დაბრკოლებები, რაც არ უნდა შემხვედროდა გადამელახა”...

1911 წელს პეტრე გელეიშვილმა ქუთაისის თეატრში წაიკითხა
ლექცია, თემაზე: „ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცის-
ტი“. ამ ლექციას მაშინ, ქუთაისის თეატრში, სხვებთან ერთად შეც-
დავესწარი.

პეტრე გელეიშვილი ქუთაისის თეატრის სცენაზე შავ სურთუკში
კოხტად გამოწყობილი გამოვიდა, ძალიან რიხიანად დაიწყო ლაპარაკი;
თავის ლექციაში პ. გელეიშვილი შექმნა ილია ჭავჭავაძის მსოფლ-
მხედველობას და, როდესაც შეუდგა მისი ნაწერების გარჩევას და
ილია ჭავჭავაძე დახახსიათა, როგორც ფეოდალების იდეოლოგი, —
თეატრში დამსწრეებმა დაიწყეს პეტრე გელეიშვილის მისამართით
გინება, სტენა, ყვირილი და შეძახილები: „ძირს, გაეთრიე ქქედან ს-
ზიზდარო, ახია შენზე, ქუთაისის ბულვარში ერთხელ სამსონ ყიფ-
ანმა რომ გაგლახა“. სცენაზე დაიწყეს ბოლოკების და ლაყე კვერ-
ცხების სროლა, რომლებმაც პეტრე გელეიშვილის შავი სერთუკი სულ
ერთიანად ყვითლად შეღება. ყოველივე ამის შემდეგ პეტრე გელეიშ-
ვილი თეატრის სცენიდან გაიძცა და კულისებს შეაფარა თავი. თეატ-
რის სცენიდან გამოსასვლელ კარებს მიცვინდენ სათავადაზნაურო
გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეები და განზრახვა პეტრიდათ, რო-
დესაც გამოვიდოდა, გაელახათ პეტრე გელეიშვილი, მაგრამ თეატრის
სცენიდან გამოსასვლელ კარებთან გაჩნდნენ პ. გელეიშვილის მომ-
ხრები, მოვიდენ პოლიციელები და, როგორც იქნა, პეტრე გელეიშ-
ვილი გადაარჩინეს გალახვას და სიკვდილს.

საქართველოს ჰყავდა ცნობილი უურნალისტი ილია ბახტაძე, რო-
მელიც ძალზე ნაყოფიერ სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა ილია ხო-
ნელის ფსევდონიმით. ილია ბახტაძე დაიბადა ხონში, 1856 წელს და
გარდაიცვალა ჯერ ისევ ახალგაზრდა, 44 წლის, 1900 წელს. ილია
ბახტაძე ძალიან კარგად იყო დაუფლებული რუსულ ენას. მახსოვე ილია
ბახტაძე — ხონელი რომ გარდაიცვალა, მისმა მშობლებმა მოსკოვიდან,
ცნობილი უურნალისტი ამფიტეატროვიდან აი, როგორი შინაარსის
დეპეშა მიიღო: „ვიზიარებ თქვენს მწუხარებას ილია ბახტაძის — ხო-
ნელის გარდაცვალების გამო, მე ვუსურვებდი ყველა რუს უურნა-
ლისტს რუსულად ისე ლამაზად წეროს, როგორც ქართველი ილია
ბახტაძე — რუსულად წერდაო...“

ილია ბახტაძე, ჩემი ახლობელი იყო და მასთან ხშირად მიხდებო-
და შეხვედრა და საუბარი.

ხონში, ერთი შეხვედრის დროს, აი, რა მითხა ილია ბახტაძემ:

„ილია ჭავჭავაძის ხელის შეწყობით და დახმარებით დავიწყე მე გა-ზეთებში პირველად ქართულ ენაზე წერა. როდესაც პირველად გა-ზეთ „ივერიაში“ რედაქტორიაში ილიას მივტანე ქართულ ენაზე და-წერილი ჩემი ფელეტონები, წაიკითხა და მითხრა: „რუსულ ენაზე შესანიშნავად წერ და ქართველ კაცს, ქართული რამ დაგვაწყოა“. ილია ჭავჭავაძემ მე ქართული დამიწუნა, მაგრამ ჩემი ფელეტონები უკან არ დამიბრუნა, დაიტოვა, თვითონ გაამაღაშინა, გამისწორა და-მიბეჭდა და ასე ქართულ წერას შემაჩვია. ხშირად ილია ჭავჭავაძე ისე გაასწორებდა ქართულად დაწერილ ჩემ ფელეტონებს, რომ მათი გამოცნობა, როდესაც დაიბეჭდებოდა, მე თვითონ მიჭირდა. ილია ჭავჭავაძე, ილია ბახტაძის გაღმოცემით, ხშირად ბევრს რედაქტორიაში თვითონ უსწორებდა წერილებს და ქართულად წერას ასწავლიდათ“...

ილია ბახტაძეს ილია ჭავჭავაძესთან პირველად ძალიან კარგი და-მოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ ბოლოს მათ შორის დიდი უკმაყო-ფილება ჩამოვარდა და ამ უკმაყოფილების მიზეზი, აი, რა იყო: ილია ბახტაძის მამა ლუკა მღვდელი იყო, მას მექრთამეობა დასწამებს და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძემ) ლუკა ბახტაძე თანამ-დებობიდან გადააყენა და პასუხისებებაში მისცა.

ილია ბახტაძე გამოესარჩილა მამას და დაწერა რუსულ ენაზე შე-სანიშნავი იუმორისტული წიგნი, რომლის სათაური იყო: „იმერეტინსკი პატერ“. ამ ნაწარმოებში ავტორმა აბუჩად აიგდო გაბრიელ ეპისკო-პოსი. ეს იწყინა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც დიდათ აფასებდა ქარ-თველი ხალხის წინაშე გაბრიელ ეპისკოპოზის დამსახურებას, გამო-ესარჩილა გაბრიელს და ეს გახდა უმთავრესად იმის მიზეზი, რომ ილია ჭავჭავაძეს და ილია ბახტაძეს შორის დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა.

ილია ჭავჭავაძის მკვლელი გიგა ბერბიჭაშვილის საქმეზე, რომლის გარჩევა დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1941 წლის დეკემბერში და დაამთავრა 1942 წლის იანვარში, მოწმედ ვა-ყავი გამოძახებული, დაკავშირებით იმასთან, რომ როდესაც ილია ჭავჭავაძის მკვლელმა პერსონალური პენსიის დანიშვნა ითხოვა, მე სოც-უზრუნველყოფის კომისარიატში საპასუხისმგებლო თანამდებო-ბაზე ვმუშაობდი და სხვებთან ერთად მაშინ მეც მივიღე მონაწილე-ობა გიგა ბერბიჭაშვილის ვინაობის გამორჩევაში, რომელმაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო, ეს აღნიშნულია წიგ-ნში „წიწამურის ტრაგედია“, რომელიც 1953 წელს თბილისში გამო-იცა გიორგი აბზიანიძის რედაქტორობით.

სოსიეთ ფაცვებავა

ილიას გლოვის დღეები

I

წიწამურის ტრაგედიამ მოელი შეგნებული ქართველობა ააღელვა. ქუთაისის ქართული გიმნაზია, ქართული ეროვნული გრძნობის განსახიერების ჰეშმარიტი ბუდე, მოსწავლე-მასწავლებლებით ერთიანად განუზომელმა მწუხარებამ შეიძყრო.

ილიას დაკრძალვაზე ქუთაისის ქართული გიმნაზიის სახელით გაიგზავნა მასწავლებლებიდან სილოვან ხუნდაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, ხოლო მოსწავლეებიდან მეექვსე კლასის მოსწავლეები, ვინაიდან ჯერ მაშინ კიდევ მეშვიდე და მერვე კლასები არ იყო გახსნილი — სერგეი მაქსიმეს ძე უორუოლიანი და კარპეზ მიხეილის ძე დუნდუა (პირველი ამჟამად ვექილია და მეორე აღმოსავლეთ ენების პროფესორი).

რა თქმა უნდა, ამ ტრაგედიის უკანასკნელი სურათს უნდა დასურებოდა ქართველი ახალგაზრდობის ერთ-ერთი გამოჩენილი აღმზრდელი ისესებ ივანეს ძე ოცხელი — ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი.

მაგრამ ქართველი ინტელიგენციის სახელით ილიას დაკრძალვაზე დასწრება ისესებ ოცხელს აუკრძალეს და გამონახეს სადღაც ძველი პასკვილი, რომელიც მას ახასიათებდა თითქოს, როგორც ქართველი ახალგაზრდობის არა-შესაფერ აღმზრდელს და ხელმძღვანელს. ეს პასკვილი იყო საიდუმლოდ გაგზავნილი კავკასიის ოლქის მზრუნველის სახელზე.

1900 წელს ქუთაისის სათავაღ-აზნაურო სასწავლებელში, რომელიც ჯერ კიდევ გიმნაზიად არ იყო გადაკეთებული, თავისუფალი იყო სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობა. სასწავლებლის კომიტეტი-მა, რომელიც მეთვალყურეობდა სასწავლებლის საქმეებს, თხოვა მა, რომელიც მეთვალყურეობდა სასწავლებლის მზრუნველს ამ თანამდებობაზე დაენიშნა ქუთაისში ცნობილქის მზრუნველს ამ თანამდებობაზე დაენიშნა ქუთაისში ცნობილი პროგრესული მიმართულების პედაგოგი, დინჭი აღმინისტრატორი, კარგი ქართველი და თავდაბალი ადამიანი ისესებ ოცხელი, სარწმუნოებით კათოლიკე.

ეს რომ თავადაზნაურებში გახმაურდა, მათ ერთ ჯგუფს საიდუმლო განცხადებით მიუმართავს სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის, რომ მათ სურთ თავიანთი შვილები აღზარდონ „მართლმადიდებელი

მიმართულებით”, ამიტომ ი. ოცხელი, სარწმუნოებით კათოლიკე, ნუ იქნება ამ თანამდებობაზე დანიშნული.

აი, როგორ არის შეთითხნილი ეს განცხადება:

„მის მაღალ აღმატებულებას ბატონ კავკასიის ოლქის მზრუნველს“
ქუთაისის გუბერნიის აზნაურთაგან:
განცხადება

ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი გთხოვთ მიაქციოთ თქვენი უშადოება ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლას. ადგილობრივმა კომიტეტმა წარმოადგინა სკოლის ინსპექტორის თანამდებობაზე კაცი, თუმცა უმაღლესი განათლებით, მაგრამ არა მართლმადიდებელი სარწმუნოების: სათავად-აზნაურო სკოლაში, რომელიც ინახება თავად-აზნაურთა საშუალებით, სწავლობს 500 ბავშვი, ყველა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურების შვილებია, სარწმუნოებით მართმადიდებელი. მართმადიდებლობას ჩვენ ვიცავდით საუკუნოების განმავლობაში და სრულიადაც არ გვსურს, რომ ჩვენი შვილების აღმზრდებელი იყოს კათოლიკე. ბატონი იოსებ ოცხელი ჭეშმარიტი კათოლიკეა; მას კარგად იცნობენ გიმნაზიის და რეალური სასწავლებლის ყველა მოსწავლეები. მას აქვს თავისი პანსიონი, საიდანაც გამოდიან რეზუიტურად აღმზრდილი ყმაწვილები. ჩვენ აზნაურები ვართ და გვსურს აღვზარდოთ ჩვენი შვილები რუსული მართმადიდებელი მიმართულებით. არ გვიყვარს იეზუიტები, კათოლიკები. ჩვენ ვამედოვნებთ, რომ ჩვენი ოხოვნა იქნება დაკმაყოფილებული. ოცხელი იყოს თავის სასწავლებელში, სადაც ერთ დროს მართმადიდებელ ბაჟშვებს ასწავლიდა საღვთო სჯულს. იყოს ის უბრალო მასწავლებლად და არა სკოლის ხელმძღვანელად; მოგვაჭურიეთ თქვენი ყურადღება ჩვენ საწყალ აზნაურებს და ნუ მოკლებთ ჩვენ სკოლას შიას, რასაც თქვენ არ აკლებთ სხვა მართმადიდებელ სკოლებს.

ქუთაისი, 1900 წელი, 12 დეკემბერი.
ხელს აწერს 15 აზნაური. ეს 15 აზნაური
არიან რწმუნებულები!

ამ პასკვილმა თავი წამოყო ილიას დაკრძალვაზე დელეგატია ანუ წარმომადგენლად გაგზავნის დროს. ამიტომ მისი გაგზავნა არ მოხერხდა და მის მაგივრად გაიგზავნა მასწავლებელი ალ. გარსევანიშვილი, რომელიც სკოლის და სასწავლებლის გიმნაზიად გადაქეთებამდე რამდენიმე ხანს ინსპექტორის შოვალებას ასრულებდა.

¹ იხ. სახ. არქივი — სასწავლო უწყების საქმე, № 402.

მიუხედავად ამისა, ი. ოცხელი თავისი სურვილით ამ დიდი აღმა-
მიანის დაკრძალვას მარც დაესწრო. ამავე დროს, ძალიან კარგად
მახსოვს ქუთაისის მოწინავე მანდილოსანთა დელეგაციის გამგზავ-
რება ილია დაკრძალვაზე.

ქუთაისის მდწილავე ქალების საერთო კრებაში ილიას დაკრძალვაზე
თბილისში გაგზავნა თავისი წარმომადგენლები შემდეგი შემადგენ-
ლობით:

1. გელაშა გველესიანი, 2. ნინო ხელთუფლიშვილი, 3. ოლღა ვოლ-
სკაია, 4. ნინო ფანცხუა, 5. ელენე პეტრიაშვილი, 6. ეკატერინე კორ-
ძაია და 7. კატო აბაშიძე.

შესაფერისი გვირგვინი წაიღის წარმომადგენლებმა ცხედრის გასა-
პატიონსებლად: გელათის მონასტრის ეზოში დარგული ვაზის ტო-
ტები გადახლართეს და გამოვიდა იმგვარი ჯვარი, როგორითაც კაბა-
დოკიელი წმინდა ნინო შემოვიდა საქართველოში ქრისტინობის
გასამტკიცებლად. ვაზისაგან ლამაზად დახლართულ ჯვარს შემოახვი-
ეს მანდილოსნის თმა, რომელიც ნიშნავდა ქართველის სიმბოლოს —
ტანგულ ქართველ ქალს — ჯვარცმულს ამგვარი ვერაგი და ავაზაკი
ადამიანებისაგან, რომელთა მსხვერპლი გახდა დიდი ილია.

ქუთაისის ქალთა წარმომადგენლებმა თბილისის ჩასვლისას ჯვარი
შეამკეს ია-ვარდებით და მიიტანეს იქ, სადაც ესვენა დიდი და საპა-
ტიო ცხედარი. ილია ესვენა მისთვის მიჩნეულ სავანეში — სიონის ტა-
ძარში — შუა ადგილას. სამგლოვიარო გვირგვინი ამგვარი ჯვარის
სახით გულზე დადო დიდ ცხედარს გელაშა გველესიანმა, როგორც
ქალების წარმომადგენელმა.

რამდენიმე წლის შემდეგ სახალხო მოქანდაკემ, იაკობ ნიკოლაძემ, თავისი საკუთარი ატელიეს დათვალიერების დროს, როცა ჩემი ყუ-
რადლება ილიას მამადავითის პანთეონში დადგმული ძეგლის მაკეტმა
მიიღუა, მითხრა, რომ ქუთაისის მანდილოსანთა ჯვარის, როგორც
მწუხრის გამოსახულება, როგორც ჭეშმარიტი იდეა სევდით შეპყ-
რობილი ქართველი დელისა, დაედვა საფუძვლად და შინაარსად ილიას
შესანიშნავ ძეგლს მთაწმინდაზე. დიდ პანთეონში ილიას ეს იშვიათი
ძეგლი იაკობ ნიკოლაძის შემოქმედების შედევრია.

საბოლოოდ ამ იდეის ექსპოზიცია უნდა მივაწეროთ ქუთაისის მო-
წინავე ქალთა შემოქმედებას, ამგვარი ნაზი საგვირგვინო ნიშნის შექ-
მისათვის.

ამ დროს ყველა გაზეობის და უურნალების პირველი გვერდები
და ფურცლები დაეთმო ამ დიდი ადამიანის ტრაგიკულად დაღუპვას.

კარგი და შინაარსიანი წერილი მოათავსა „მოამბეში“ ფხამ (იაკ. ფანცხავამ), სადაც ის ახასიათებდა ილიას, როგორც დიდ მოაზროვნეს, მწერალს და პოეტს და თანაც ხაზს უსვამდა, რომ მტრებმა გამოასალმეს წუთისოფელს დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ილიას მკვლელობის ერთი წლის შემდეგ ილიასადმი მიძღვნილი სალამო მოეწყო ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მიერ 1908 წლის 27 ოქტომბერს. ეს იყო ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამო. რა თქმა უნდა, თეატრი გაჭერილი იყო, თეატრის კარებთან ტევა არ იყო. ყველას, ბილეთიანს და უბილეთოს შესვლა სურდა. აფიშის გამკვრელი შურა პაპიაშვილი სალაპოსთან იდგა და ამბობდა — „ისე ვატყობ დღეს თეატრში უბილეთონი უფრო მეტი იქნებიან, ვიდრე ბილეთებიანი“. მართლაც, როგორც აკაკისა და ლადო მესხიშვილის საიუბილეო სალამოებზე მოხდა, უბილეთონი უფრო უკეთ მოეწყვენ და თეატრის უფასო მაყურებლებით დატვირთვის გამო ბევრი ბილეთიანი შინ გაბრუნდა. რა თქმა უნდა, ქანდარა სავსე იყო მოსწავლე ახალგაზრდობით, რომლებიც მაშინ ყოველ კულტურულ საქმიანობას ახალგაზრდული გატაცებით ეგებებოდენ. ახალგაზრდობაში წამყვანი ადგილი ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლებს ეჭირათ.

სცენაზე ისხდნენ გ. ზდანოვიჩი, კ. აბაშიძე, ი. ფანცხავა, გ. ფალავა, სილ. ხუნდაძე, გრ. გველესიანი და სხვები. მოხსენება ილ. ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ალ. გარსევანიშვილმა, სილოვანმა წაიკითხა ახალი ლექსი „ილია ჭავჭავაძე“, რომელიც ამგვარად მთავრდებოდა:

ჟე, დიდებულო ქართველნო!
თქვენა ხართ ბურჯნი უფლების!..
ვისაც თქვენებრი შვილი ყავს,
ლირსა თავისუფლების.

ხომლელი ამ დიდი აღამიანის ტრაგიკულად დაღუპვას მეტად მწვავედ განიცდიდა. იმ წელიწადს, ე. ი. 1907 წელს, იგი ავადმყოფობის გამო ვერაფერს წერდა ილიაზე, მაგრამ ძალიან სტანჯავდა ასეთი ბუმბერაზი აღამიანის ამგვარი ვერაფული მკვლელობა.

ამ დროს საშინელი რეაქცია ჩამოაწვა მთელს ქვეყანას და მართლაც „მწუხარის ზეწარი“ გადაეფარა მას. ყველაფერი და ყოველივე ცოცხალი აზრი ჩახშობილი იყო სასტიკი ცენზურის მიერ. ოდნავ თამაში იდეის მატარებელი აღამიანი პოლიციისა და უანდარმერის ქვეშ ქვეშ იმყოფებოდა. განსაკუთრებით იდევნებოდნენ მუშები თა

მოწინავე ინტელიგენცია, მოსწავლეები, სტუდენტები, რომლებიც ათა-
სობით სასტიკი რეჟიმის ქვეშ იგზავნებოდენ კატორლაში და ცივ ციმ-
ბირში.

მაგრამ სახალხო მოძრაობის შეჩერება აღარავითარ ძალას არ შე-
ეძლო. პირველმა რევოლუციამ მოგვცა თავისი შედეგი, ნელა, თანდა-
თან ღვივდებოდა ბრძოლა ნათელი მომავლისათვის.

დაიბადა და გამოჩნდა თაობა ახალი პოეტებისა, მწერლებისა, კრი-
ტიკოსებისა, პოლიტიკური მოღვაწეებისა, რომლებიც გმირულად
ებრძოდენ მაშინდელ რეჟიმს და უკალავდებოდნენ დასპოტიზიზის
კლანებს.

ამ დროს ცალკეული დაქსაქსული ფენები და ცალკე წრეები
მხოლოდ ოჯახებში აწყობდენ თათბირებს და საუბრებს, რის მიზე-
ზად მუდამ სადღესასწაულო ან კვირა უქმეების წვეულებებს მარ-
თვდენ.

ხომლელის ძმის, იაკობის ფოთიდან ქუთაისში გადასვლის შემდეგ
1907 წელს უკვე ამგვარ შეკრებულობას ხშირად ჰქონდა ადგილი.

ყოველ ასეთ წვეულებაზე ხომლელი დიდი საპატიო სტუმარი
იყო.

ხშირად ამგვარ წვეულებებზე გაიგონებდით მაშინ ახალ სიტყვას:
ან საპროგრამო მიმართვებს, მით უმეტეს ეს ხომლელისთვის პირდა-
პირ ზედ გამოჭრილი იყო, რაღაც უკვე დაავალმყოფებული ვერ პედ-
ავდა ვერსად თავისუფლად ყოფნას.

მაგონდება ხომლელი ერთ-ერთ ასეთ წვეულებაზე;

გუშინდელი დღესავით მახსოვს ერთ კვირა დღეს, მგონი, ნინოო-
ბას ბიძახემთან, იაკობთან დიდი წვეულება იყო. სხვათა შორის, ნი-
ნობა წმინდა დღესასწაულად მიაჩნდა ბიძახემს, არა იმიტომ, რომ
მის მეულეს ნინო ერქვა, არამედ, როგორც ჰეშმარიტ ქართველ
ინტელიგენტს. აქედან დაიბადა, მე მგონია, აზრი ილიას ცხელარზე
ვაზის ჭრის, როგორც თავისებური გვირგვინის მირთმევისა.

მე და ჩემი უმცროსი ძმა ალიკო, გაფაციცებით და თვალმარდად
ვაკირდებოდით და ვათვალიერებდით ყოველ მომსვლელს. დარბაზი
სტუმრებით გაიგსო. ზოგნი კუთხეში ისხდენ და მუსაიფობდნენ, ზოგ-
ნიც სურათების ალბომს ათვალიერებდენ, ზოგნი გაზეთი „სახალხო
ფურცლის“ სურათებიან დამატებას აკვირდებოდენ, ზოგნი ტახტზე
ისხდენ და ღომინოს თამაშობდნენ და ორი მობირდაპირე კი ნარდში
ერთმანეთს ეჭიბრებოდენ.

ერთი ჯგუფი დიდ სავარძელში მოთავსდა და დარბაზის წევრებს.
ღიმილით ესაუბრებოდა. ესენი იყვნენ ცნობილი ქართველი კრიტი-

კოსი კიტა აბუშიძე, დიდი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი გრი-
გოლ გველესიანი, ცნობილი ვექილი გრიგოლ ბარათაშვილი. ის იყო
დიასახლისმაც მიიპატია სტუმრები სასაღილო ოთახში, სტუმრებმა
დიასახლისის მოწიწებითი თხოვნის შემდეგ დაიჭირეს თავიანთი ად-
გილები.

მაღა ჭამის დროს მოდისო, სწორედ ასე მოუვიდა ჩვენს მაგიდას.
შესანიშნავ ღვინოს გეახლებოდით სტუმრები. თამადად აირჩიეს
კონსტანტინე მაჭავარიანი, ზემოთის დიდი აზნაურიშვილი და ხუმარა,
ენამოსწრებული და დარბაისელი ადამიანი.

თამადამ ბრძანა, რომ რომანოზი სუფრის მარჯვენა მხარის სათა-
ვეში ჩამჯდარიყო.

მე ამან გამახარა, ბიძაჩემს პირდაპირ ვუცქერდი, მის სათვალე-
ბიან სახეს პირდაპირ შევჩერებოდი.

მან სათნოიანი ლიმილით გადახედა სუფრის წევრებს. და ერთი
დიდი საკითხის გამო ისევ კიტა აბაშიძეს დაუწყო დავა. მე ამ საკი-
თხის შინაარსი ვერ გავარკვიე, სანამ საკითხის შესახებ თვითონ არ
მოგვცა განმარტება.

საღილი დიდი ხალისით გრძელდებოდა. სტუმრებს ჭამას ხანდისხან
აწევეტინებდა თამადის მორიგე სადღეგრძელო და ანტონ ხაბურჩანიას
სიტყვამოსწრებული ხუმრობა სამეგრელოს ცხოვრებიდან. მე ბიძა
ძირმანოზს თვალს არ ვაცილებდი. ჩემი უმცროსი ძმის ალიკოს ლექ-
სის წარმოთქმის შემდეგ მე ბიძას სიტყვას ველოდი.

ხომლელმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც აღნიშნა:

— ჩვენი სამშობლოს პირმშო შვილები, ჩვენ მიწაწყალზე აღ-
ზრდილნი, ჩვენი ზნე-ჩვეულების საუკეთესო მცოდნენი, აი ამგარი
ინტელიგენცია სჭირდება დღეს, ქუხილის დროს, ჩვენს ერს და ყოვე-
ლივე პატარა ერს.

პოლონეთი ამით მდიდარია. ჩვენ კი ღარიბები ვართ.

ჩვენ დღეს გვჭირდება ჩვენი კულტურის განმტკიცება, ჩვენი სკო-
ლის აღდგენა, ჩვენი ენა სკოლაში, სასამართლოში, სოფელში და
ყველგან, საღაც ქართველი მოსახლეობაა.

ამიტომ საჭიროა საუკეთესო მომზადებული პირები, რომ ჩვენი
ინტელიგენცია კიდევ უფრო გავაძლიეროთ.

აქ ილია დიდი მოთავე იყო, ყოველ ახალ მოვლენას, ყოველ ჩვენ
საჭირობოროტო საკითხს ქართველი ხალხის მქვნესარე გულით გამო-
ეწომავებოდა, დაიცავდა, საჭაროდ გაიტანდა და ყველას დარწუ-
ნებდა მათ აუცილებლობასა და საჭიროებაში.

ვერ კიდევ ოდესაში ყოფნის დროს ხომლელი ადიდებდა ილიას

145

და ზ. ჭიჭინაძეს წერდა: „იღია ჭავჭავაძე ისეთი პიროვნებაა ჩვენს
მწერლობაში, რომელთან კრთებიან ყოველი ჩვენი პოტი, ლიტერატურის
ტორი და სხვები. ეს ახალი ლიტერატურის მამამთავარია და მისადმი
დიდი სიფრთხილე გვმართებს მსჯელობაში, ღმერთმანი, ეს რომ არ
იყვეს, ჩვენში გაზეთიც არ იქნებოდა, საბუთი მაქვს ამას რომ ვამ-
ბობ. შეუდარებელი, იგი ყოველივეს მეცადინი, მახვილი და დიდი
მოაზროვნეა. ნეტავი მაგისტანა ხუთიოდე გვყავდეს..”.

ამიტომ იყო, რომ ხომლელი მთელი თავისი ერუდიციით შეუდგა
ილ. ჭავჭავაძის ნაწერების კრიტიკულად განხილვას და კიდეც მოგ-
ვცა ის სერიებად დანაწილებული. ხომლელი, როცა გ. ჩარკვიანთან
ერთად ჭართული გამომცემლობის სათავეში იყო, მაშინ ილიამ მას
გადასცა გამოსაცემად თავისი ნაწერები და ერთი კაპეიკი ჰონორარი
არ მოუთხოვია გამომცემლობიდა.

ამგვარი იყო ხომლელის ილიასადმი დამოკიდებულება. ხომლელი
ასე იხსენებდა ილიას:

მშობელ მხარეს დაუტოვა
თვისი ცოდნა, თვისი სწავლა,
მშობელ ერსა შეალია
თვისი ნიჭი, თვისი ძალა!

1957 წ.

ზარარია პირითამა

03. პერისალიდის მაშულის თაობაზე

მიმდინარე წლის 12 სექტემბერს შესრულდა 15 წელიწადი მას შემდეგ, რაც საქართველოში, წიწამურის ველზე, სამარცხვინოთ მოკლულ იქმნა ქართველი ერის ყოვლად პატიოსანი კაცი, დიდი ილია ჭავჭავაძე. ამდენმა ხანმა გავლო ამ აღამიანის მოკვლის შემდეგ და ჩვენ დღესაც არ ვიცით მიზეზი მისი, თუ ეს ყოვლად პატიოსანი მოლვაში კაცი რისთვის და რა მიზეზების გამო იქმნა მოკლული.

ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში, ერთ დროს, აღრინდელის უურნალ „ცისკრის“ რედაქტორის, ივანე კერესელიძეს, ბანკის ვალში სოფ. ბოვეის მამული ეყიდვებოდა. ივანე კერესელიძემ ერთ დღეს მე მნახა და დამავალი შემდეგი:

მე უჩდა წავსულიყავი ბანკში და ივანე მაჩაბლიათვის, რომელიც მაშინ ბანკის პირველი დირექტორი იყო, უნდა მეთხოვნა, რომ ივანე კერესელიძისათვის მამულის ვალის შეტანა ცოტა ხანს ედროებინათ, რადგანაც ის დროს კერესელიძე დადს გაჰირვებაში იყო ჩაგრდნელი.

დანიშნულს დროს, მე ბანკში მივედი და ვნახე ივანე მაჩაბლი. მას უცამხე ივანე კერესელიძის გაჰირვება. ივანე მაჩაბლმა მოისმინა ყოველივე და მე მომცა ასეთი პასუხი:

— მე დირექტორი ვარ და თავმჯდომარე ილია არის, წადი, შედი ილიასთან და იმას სთხოვე, მე მის ნებადაურთველათ არ შემიძლიან, რადგანაც უფროსი ის არის.

მეც მაშინათვე გავედი მაჩაბლის ოთახიდან და წავედი ილია ჭავჭავაძის კაბინეტოან, ცოტა ახლოს რომ მივედი, კარიდან ისეთი ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა, რომ მაშინათვე იქვე გავჩერდი და დაუგდე ყური — ნეტა რა ამბავია-მეთქი.

მე მაშინათვე შევატყე, რომ ის ხმა იყო ილია ჭავჭავაძის ხმა და მასთან კარგად და მკაფიოდ გამოისმოდა შემდეგი სიტყვები:

— დაცდა არ შეიძლება, ქართველ თავადის შვილმა ჭიუა უნდა ისწავლოს, წალება ხომ იცით, მოტანაც უნდა იცოდეთ, ვინც ამას არ მისდევს, ყველაფერი თავის თავს დააბრალოს. დედამ ფული გამოგატანათ ბანკში შემოსატანათ, თქვენ ჩამოხვედით თბილისში და ბანკში შემოსატანი ფული ვეტალის ქუჩაზე ღუქანში გაფლანგეთ, ეხლა მამული ტორგში ჩავარდა, გაზეთში გამოცხადდა და ეხლა მოგაგონ-

დათ თქვენი მამული, ეხლა მოდიხართ აქა და თხოულობთ, რომ და-
გაცადოთ. არა, არა, ეს არ შეიძლება, თქვენ ჰყუა უნდა ისწავლოთ,
ეს კარგი გაკვეთილი უნდა იყოს თქვენთვის, რომ მე თქვენ არ სფერს
დაგაცდით, ბანკის ფული ჯიბეში გქონდათ, აქ ვალი არ შემოიტანეთ,
სხვაგან გაფლანგეთ, ეხლა მოხვედით აქ და დაცდას ითხოვთ, ეს არ
შეძლება. შეიტყეთ, რომ ბანკისათვის სულ ერთია მისი მოვალე ვინც
უნდა იყოს, გინდა თავადი, აზნაური და გლეხი. გლეხს კიდევ ეპა-
ტიება, მიტომ რომ იგი ჩამორჩენილია ცხოვრებაში და თქვენ კი არა.

ამ სიტყვებს ილია ჭავჭავაძე ისეთს მღელეარებით წარმოსონებდა,
ისე ხმამაღლა, რომ მე შეკვრთი და მასთან შესვლაც კი აღარ მინ-
დოდა, მაგრამ რაკი ივანე კერესელიძის გაჭირვება მაღონებდა, ამი-
ტომ გავპედე კარის გაღება და ნელის ნაბიჯით მისვლა ილიასთან.

ილიამ მაღე, უცბათ მომქრა თვალი და ჩემს მორიდებით მის-
ვლასაც რაღაც ალღო აუღო და მე აღარ დამაცალა სალმის მიცემა,
თვითონ დამიბახა საგარელიდან.

— ზაქარია ვამარჯობა, რა ნელა მოდიხარ.

მე გვიმხირულდი და მივუახლოვდი, სალმი მივეცი. ილიამ
მკითხა:

— რაზედ გარჯილხარ, რაზედ მოსულხარ?

მე პასუხი მივეცი მორიდებით:

— მინდა რამე გოხოვოთ, მაგრამ თქვენ ისეთი აღშეფიცებული
ბრძანდებით და თქვენგან ისეთი სიტყვები მესმოდა წელან, რომ აღარ
ვიცი რა ვქნა და რა გზით, როგორ შეგაწუხოთ.

მან მკითხა:

— თქვი რაშია საქმე, შენ სხვა ხარ და ისინი სხვანი იყვნენ. შენ
სთქვი რა გინდა!

მე ვუამბე ივანე კერესელიძის გაჭირვებული მდგომარეობა და
დავალება, ილია ჭავჭავაძემ მოისმინა და მე ასეთი პასუხი მომცა.

— კარგი, დავაცდი, მამული ტორგში მოშლილი იქნება. შენ გასა-
კიცხი ხარ ჩემგან მხოლოდ იმაში, რომ შენ შენი თავი იმ სალახანა
ყმაწვილებს როგორ შეადარე. იმათ დედამ ფული კახეთიდან გა-
მოატანა ბანკში შემოსატანად, ისინი ჩამოვიდნენ თბილისში, ბანკის
ვალი დაავიწყდათ, წავიდნენ და ავჭალის ქუჩაზე გაფლანგეს ის ფული
და ბანკი ეხლა გაახსენდათ, როცა მათი მამული ტორგში ჩავარდა.
იმათი საქმე სხვა არის და კერესელიძის საქმე სხვა.

ამ ლაპარაკში რომ იყო, ამ დროს, იქ შემოვიდა ერთი გლეხი კა-
ცი, საგარეჭოელი, მისი სახელი და გვარი აღარ მახსოვს და ამ გლეხმა
მოკლედ და ცოცხლად სალმი მისცა ილია ჭავჭავაძეს.

ილიაშ მითხრა — ზაქარია ცოტა ხანს მოითმინეო. მე სკამზედ
დავჭექი. გლეხეაცს გამოკითხა მასთან მისვლის მიზეზი. იმ გლეხმაც
ეს ამბავი უამბო. ბატონო ილია, ჩვენი ქალი დავნიშნეთ, მე და ჩემი
დედაკაცი თბილისში ჩამოვედით, თან ბანქში შემოსატანი ფულის
წამოვიდე. მაგრამ იმ წყეულმა დედაკაცმა გამაბრიყვა, ჯერ ჩემი ქა-
ლის მზითვის ხალიჩის საყიდლად წამიყვანა, ხალიჩა იმ ფასათ ვე-
ვიშოვნეთ, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, ამიტომ ბანქში შემოსატანი
ფულიც ხალიჩის ყიდვას დასჭირდა და ეხლა უნდა შადროვოთ ბა-
ტონო, რომ მე ისევ სოფელში წავიდე, ქალს დავაქორწინებ და მი-
შემდეგ ჩამოვალ და ვალსაც მოგარომევთო.

ილიაშ მოისმინა ყველა ეს და მერე გლეხს ასეთი პასუხი მისცა
— კარგი, წადი, ღმერთმა გაგიბედნიეროს ქალი!

ამის შემდეგ გლეხს ცნობა მისცა და გაგზავნა მამულების კანც
ლარიაში. ამის მერე მე მომმართა და შითხრა:

— ი ამათ უნდა დაცდა, სოფლიდან ჩამოსულა, ფული შემოხახ
ჭვია საქმისთვის, ზაქარია, ერთი მითხარი, თუ ივანე კერესელიძე რო-
გორ სცხოვრობს, კარგა ხანია მე მისი აღარაფერი ვიცი.

მეც ვუამბე ივანე კერესელიძის შინაური ცხოვრების ამბები.
მან დამარწმუნა, რომ ივანე კერესელიძის მამული ტორგიდამ მი-
იშლება. ამის შემდეგ მეც დამშვიდებული გამოვემშვიდობე და ჩ
მოვედი ილიას კაბინეტიდან.

შოგონება ილია ჭავჭავაძის უმსახვებ

ილია ჭავჭავაძეს პირადად კარგათ ვიცნობდი და ხშირადაც ვტვდებოდი როგორც მცხეთაში, ისე მასთან — საგურამოში.

ილიამ რამდენჯერმე ჩემი ბალი დაათვალიერა, ძალიან მოეწონა, შემაქო და წამახალისა. ერთხელ მცხეთაში შევცდით და მიოხრა: „მიშა, ერთი ჩემს მამულშიც ამოიარე და ყვავილნარი მომიწესრიგეო“. ილიას დიდი პატივმცემელი ვიყავი და საგურამოში სიამოვნებით წავედი, თან საუკეთესო ყვავილის ძირი წავიღე მის ბალში დასარგავად. ეს არ იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა. საგურამოში ხშირათ ავდიოდი და, რასაც ილია ბალში გასაკეთებელს მავალებდა, პირნათლად და დიდი სიყვარულით ვასრულებდი, უნდა აღვნიშნო, რომ ილიას ხელოვნური ბალი და ყვავილნარი მაინცა და მაინც არ უყვარდა. ეს აშკარად ჩანდა მისი ბალის დათვალიერებითაც, ის უფრო მეტად გატაცებული იყო იმით, რომ მის ბალს ბუნებრივი ტყის სახე ჰქონებოდა. ეს თავისი აზრი მან არა ერთხელ გამოსთქვა ჩემთან საუბრის დროს და თან დაატანდა: „თუ მაინც ჩემს ბალში ყვავილები მოვაშენე, ეს მხოლოდ სტუმრების თვალის სამებლად, არ სოქვან რაიმე ურიგო“.

როდესაც ილიას შევხედრივარ და საუბარი საქართველოს მეურნეობას შეხებია, ყოველთვის გულის ტკივილით მეტყოდა: „საქართველოს მეურნეობა არ გვივარგა, მეტად ჩამორჩენილები ვართ, რადგან მცოდნე კაცები არა გვყავს“. ილია დიდ იმედებს ამყარებლი წინამდლვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაზე და მეტყოდა ხოლმე: „ამ სკოლაში აღზრდილების იმედი მაქვს, როდესაც აქ სწავლა დამთავრებულები, მცოდნე ახალგაზრდები ჩვენ მხარეს მოეფინებიან, ვაოხებულ-გავერანებული მინდორ-ველებიც იყვავდებიან“.

საერთოდ, ილია ჭავჭავაძე ჩვენი ქვეყნის ყოველ მხრივ აღორძინებაზე ზრუნავდა და აშასვე უნერგავდა ის ყველას, ახლობელსა თუ შორეულს.

ილია რამდენად დიდი ბუმბერაზი იყო, იმდენად თავმდაბალი და უბრალო ადამიანების მოყვარული, არასოდეს არ მინახავს ის, უბრალო ადამიანებთან თავი მაღლა დაეჭირა. უყვარდა გლეხებთან შეხვედრა, მათი ჭიდაობა, ცეკვა, სიმღერები. ხშირად გლეხების ლხინს დასწრებია და მათთან ღვინოც დაულევია.

ილია ჭავჭავაძის მოქვლის დროს თბილისში ვცხოვრობდი, როგორც კი ჭალაქში ხმა გავრცელდა წიწამურში მისი მოკვლის შესახებ, მა-

შინვე ილია წინამძღვრიშვილთან სამსახურში გავეშურე დაწვრილება. ბითი ამბის გასაგებად. ილია მეტად აღშფოთებული და შეწუხებული დამხვდა. მისვლისთანავე ვიკითხე: „რა მოხდა?“ ილიამ მიპასუხა: „დიდი სისაძაგლე, ჩვენი ილია მოუკლავთო“. ვკითხე: „ვინ მოკლა?“ მეთქი. რაზედაც ილიამ მომიგო: „არ ვიცი, შენ მცხეთელი ხარ და შენ იქნება უკეთ იცოდეო“. რასაკვირველია, ამის შესახებ მე არა ფერი ვიცოდი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ხალხში გავიგე, რომ ილიას ერთერთი მკვლელი ბერბიჭაშვილი ყოფილი; როდესაც ილია წინამძღვრიშვილს ეს ამბავი გადავეცი, გამოირკვა, რომ ეს მან უკვე იცოდა.

საერთოდ, ილია წინამძღვრიშვილს ძალიან კარგათ ვიცნობდი. ჩვენ შორის ახლო მეგობრული ურთიერთობა არსებობდა. შეხვედრისას ხშირად ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ გვისაუბრია, მაგრამ არასოდეს გადაჭრით არ უთქვამს ამ საზიზღროების ჩამდენის შესახებ: რომ სცოდნოდა, უეჭველად მეტყოდა.

ანასტასია გაფაზილი

მოგზაურობა საზღვანგარეთ

მამიდა ჩემი მარიამ (მაიკო), ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ასული, 1870 წელს გათხოვდა ალექსანდრე ესტატეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანზე, ყოფილ სამხედრო პირზე, რომლის შეს ნიკოლოზს ჰყავდა ცოლად ილია ჭავჭავაძის და ელისაბედი. ისინი ცხოვრობდნენ ე. შ. ორბელიანთა აულში, საკუთარ ერთ-სართულით სახლში, რომელიც 4 ოთახიდან შესდგებოდა. ნიკოლოზ ორბელიანი, როგორც მე გამიგია მამიდაჩემისგან, ყმაშვილი კაცი ყოფილა, მოქეიფე, მგონი, სადღაც უმსახურნია. მეუღლებს უცხოვრიათ ერთად 7—8 წელიწადი. ნიკოლოზ ორბელიანი გარდაიცვალა 1868 წელს, უბედური შემთხვევის გამო. როდესაც მისი ეტლი მოღიოდა ბარიატინსკის ქუჩაზე (ეხლა ჭორჭიაშვილის ქ.), ცხენები დაფრთხენენ, ეტლი გადაბრუნდა, ნიკოლოზი დაშავდა და ამისგან გარდაიცვალა. დასაფლავებულია სოფ. კუმისში, სამების ეკლესიაში, სადაც საერთოთ იმარხებოდნენ ჯამბაკურ-ორბელიანები. სხვათა შორის, იქვე დასაფლავებული არიან მანანა ორბელიანი, თავის ქმრით, დავითით, ყაფლანი — ცოლშვილით, გუბერნატორი ნიკოლოზ ფალავანდიშვილი ცოლშვილით და კიდევ სხვები, ზოგი შიგ ეკლესიაში, ზოგიც გალავანში; დაქვრივებული ელისაბედი ცხოვრობდა ორი წელიწადი დედამთილთან და მერე შეორედ გათხოვდა ალექსანდრე დამიტრის ძე საგინაშვილზე, რომელსაც პირველ ცოლად ჰყავდა ორბელიანის ქალი ბარბარე, განათლებული და მდიდარი ოჯახის ქალი. ილიას და, ელისაბედი თურმე ვერ რიგდებოდა თავის დედამთილთან მაკრინესთან, რომელიც ყოფილა სულხანიშვილის ქალი, მგონი სასულიერო წოდების ჩამომავალი. ელისაბედიც თურმე არ უთმობდა დედამთილს და იყო მათ შორის უთანხმოება და უსიამოვნება. მეორე ქორწინება ელისაბედის ყოფილა სულ ჩუმად, რადგანაც ორივენი ქვრივები იყვნენ. მოწმეებად, კაცების მაგივრად, ყოფილან მამიდა ჩემი მაიკო ორბელიანი და ტასმ ხერხეულიძე-ჩერქეზიშვილის ქალი, დისტული ქეოვან ორბელიანისა (ზაქარია ორბელიანის ქვრივის). ჯვარი დაუწერიათ ყაფლანიანთ ეკლესიაში, რომელიც ორბელიანის ქუჩაზე იყო მოთავსებული, გრიგოლ ორბელიანის სახლთან ახლო, ქუჩის ბოლოს; ეხლა ის ეკლესია აღარ არსებობს. ელისაბედი გადავიდა ქმრის სახლში,

იმავე ორბელიანის ქუჩაზე, სახლი ორსართულიანი არის — მშვენივ-რად მოწყობილი, უკანა მხრიდან გადაჰყურებს მტკვარს.

ელისაბედის კარგი განწყობილება ჰქონდა შამილაჩემთან და ბოლომდის ეგრევე დარჩენენ. მეც და ჩემი დებიც დავდიოდით მასთან მუდამ დღეობებში, უქმე დღეებში, წვეულებებზე.

იქ გავიცანით ახლო ელისაბედის ძმა — ილია ჭავჭავაძე და მისი მეულლე ოლგა თადეოზის ასული. შემდეგში, როდესაც ელისაბედი მეორედ დაქვრივდა და ბევრი დავის და უსიამოვნების შემდეგ მიიღო ქმრის ძმის წულისგან, ივანე ბესარიონის ძე საგინაშვილისაგან, რაც მაშინდელი კანონების ძალით ერგებოდა როგორც ქვრივს, 40,000 მან. ფულით და შეიძინა ყოფ. გრუზინსკების სამსართულიანი სახლი, და-სახლდა იქ ილიასთან ერთად, ჩვენ კვლავ დავიარებოდით მათთან. — ილია უფრო ხშირად კაბინეტში რჩებოდა. — სწერდა, კითხულობდა, ვანშმობის დროს გამოვიდოდა, მაგრამ არ დაჯდებოდა, სტუმრებს დაუვლიდა ჭიქით ხელში, სადღეგრძელოს დალევდა ყველასი და ისევ დაბრუნდებოდა კაბინეტში.

ამგვარად, მამიდა ჩემი დაახლოვებული იყო ელისაბედთან, ილიასთან და მის მეულლესთან. ასეთ ვითარებაში, 1900 წელს გაზაგებული საზღვარგარეთ წასვლა — ქ. ბერლინში, სამკურნალოდ და შემდეგ პარიზში, მსოფლიო გამოფენის სანახავად. მამიდაჩემის ავალმყოფობის გამო ჩვენ ორი კვირით დავვიგვიანდა თბილისიდან გამოსვლა; ასე, რომ ილია მეულლით და დით ჩვენზე ადრე ჩასულიყვნენ ბერლინში და დაბინავებულიყვნენ პროფესორ ლეილენთან. მისვლისას ჩვენ ჩამოვხდით სასტუმროში, სადგურთან ახლო, მაგრამ იქ ისეთი ხმაურობა იყო, რომ ერთი ღამის მეტი ვერ გავჩერდით და ჩვენც დავგინავდით იქ, სადაც ილია მეულლით და დით იყო, პროფესორ ლეილენის ბინაზე. როგორც ბინისას, აგრეთვე ჭამა-სმისასაც პროფესორი დიდ თანხას გვართმევდა. საჭმელ-საჭმელს ბლომად გვაძლევდნენ, ამასთან კარგს, მავრამ პური ცოტა იყო, სამაგიეროდ მოჰქონდათ ბლომად კართოფილი და უმარილო ბრინჯი.

დაიწყო მცურნალობა, ილიას აღმოაჩნდა გულის სიმსუქნე. დაუნიშნეს წამლები. მუდამ დღე უნდა დაულია ნახევარი ღვინის ჭიქა ლიმონის წვენი, რის შემდეგ ავადმყოფები წყვილ-წყვილად დალავდებოდნენ და უნდა ასულიყვნენ მეხუთე სართულზე და მერე უკან ჩაბრუნებულიყვნენ. თითონ პროფესორი ლეილინი შიუძლვოდათ წინ, ერთ დღეს ეჭირა ხელი ელისაბედ საგინაშვილისა, მეორე დღეს — მამიდაჩემის. ილია ძალიან უქმაყოფილო იყო ამ მცურნალობით და იძახდა, რომ თბილისშიც შეეძლო ამგვარი მცურნალობის ჩატარება.

სამ კვირას დავრჩით ბერლინში და ილიას უკეთობა არ შეეტყოფა. ლეიდინის მკურნალობისგან. რაც ხანი იქ ვიყავით, ილია მომეტებულად სახლში რჩებოდა, სწერდა, კითხულობდა. ჩვენ დავდიოდით, ქალაქს ვათვალიერებდით. მამიდაჩემის და ელისაბედ საგინაშვილის ტანსაცმელს და თავის დატურვს ყურადღებას იქცევდნენ ბერლინის მცხოვრებლები, ეგონათ, რომ ისინი მოლოზნები იყვნენ, გააჩერებდნენ, ჰკითხავდნენ საიდან მოხვედით, ვინა ხართ, უსინჯავლნენ ტანსაცმელს.

ბერლინიდან წავედით დრეზდენში. ჩამოვხდით პანსიონში, დავრჩით იქ 5 დღე. დავათვალიერეთ ქალაქი. ვიყავით ცნობილ სამხატვრო გალერეაში. პანსიონში სხვა და სხვა ქვეყნებიდან იყვნენ ჩამოსულნი, საზილის მაგიდაზე, ჭურჭელთან ერთად, მოთავსებული იყო ფერადი ბაირალები სხვა და სხვა ქვეყნების სახელების წარწერით. სხვათა შორის რუსეთისაც — „რუსლანდი“, და ჩვენც იქ დავიკავებდით ხოლმე ადგილებს. მახსოვს, ერთ დღეს მოგვიტანეს ვერცხლით დაფერილ ჭურჭლით ბალი, მსხვილი, როგორც კაკალი; ყველამ ყურადღება მიაქცია ამ არა ჩვეულებრივი ზომის ბალს. ილიამაც ოქვა — „განა ჩვენ საქართველოში კი ვერ მოიყვანენ ამისთანა მსხვილ ბალს, რომ მოინდომონ“.

დრეზდენში ერთ დღეს შეგვხვდა ერთი კაცი — სახელი და გვარი არ ვიცი იმის. უფრო ებრაელი უნდა ყოფილიყო — პროფესიით ფინანსისტი. მას გაებული ჰქონდა ილიას ვინაობა. გაიცნეს ერთმანეთი. ბევრი ილაპარაკეს სხვა და სხვა საგნებზე. დიდი პატიკათ ეპურობოდა ფინანსისტი ილიას, როგორც პოეტს. ერთ დღეს გვითხრა — „წავიდეთ ვნახოთ საქსონიის მთებით“. ჩვენ ყველანი დავთანხმდით. მე შევედი ილიასთან და ვუთხარი, რომ ვაპირებთ წასვლას საქსონიის მთების სანახავალ-მეთქი. ილიამ გაიღიმა და მიპასუხა — მეც წამოვალო. გავემგზავრეთ პატარა გემით — არ მახსოვს მდინარის სახელი მოკლე ხნის შემდეგ ჩვენ თვალშინ წარმოსდგა მშვენიერი ტყე, პატარა გორაკები, ხიდები, ჯიხურები. ამ გვარმა ბუნებაშ და პატარა მთებმა. რა თქმა უნდა, არ გაგვაკვირა, არც ჩვენ და არც ილია, რომელმაც ყურადღება მიაქცია იშვიათ სისუფთავეს, რომელიც იპყრობდა თვალს. მოკლე ხნის შემდეგ დავბრუნდით უკან.

იქვე, დრეზდენში, ავედით ფუნიკულიორზე, რომელიც ჩვენ არ გვენახა ჯერ, რადგანაც თბილისის ფუნიკულიორი გააკეთეს მბოლოდ 1903—1904 წ. ზევით მოწყობილი იყო სანატორიუმი კნეიპის სისტემის, საღაც მკურნალობდნენ, ილიაც წამოვიდა. იქ შევხვდით გო-

რის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალს გოგი ბაგრატიონ-დავითაშვილს, ბაბო ბაგრატიონს და ბაბო ერისთავ-ტატიშჩევას — არქიტექტორის მეუღლეს, სანატორიუმში ორი განყოფილება იყო — კაცებისა და ქალებისა. ყველანი პერანგებში გამოწყობილები — ვარჯიშობდნენ, ხერხავდნენ ფიცრებს, ცივ წყალს ისხადნენ. მასშავლებლები ბევრნი იყვნენ. საჭმელად ძალევდნენ პურის პატარა ნაჭრებს და სასმელად — დოს. ფუნიკულიორი ძალიან მოგვეწონა ყველას.

დრეზდენიდან წავედით ყველანი კარლსბადში, გავჩერდით ავეგით მოწყობილ ოთახებში. სადილის საჭმელად დავდიოდით ცნობილ სასტუმროში „ბუპ“. იქ ვხვდებოდით დიდიალ მდიდარ ებრაელებს, გრძელ სერთუკებში, რომლებსაც „ლაპსერდაკებს“ ეძახდნენ, მაღალ ცილინდრებით და ბაკებით — (პეისი); საჭმელს ძალიან კარგს მოგვიტანდნენ ხოლმე, მაგრამ აქაც ცოტა პურს — პატარა მრგვალ ფუნთუშას, თეფშებზე. ილიამ ერთხელ მალე გაათავა თავის პორცია და მოითხოვა კიდევ. მოუტანეს კალათით პურები და დაუდგეს წინ. რამდენიმე ხნის შემდეგ ლაქიამ ჩამოიარა და შეეკითხა ილიას, თუ რამდენი მიირთვითო, რაზედაც ილიამ უპასუხა, რომ არ ახსოვს, არ დაუთვლია. ერთ დღეს სასტუმროში შევხედით ცნობილ თბილისის სომეხ მილიონერს ალექსანდრე მანთაშვეს, რომელიც დაჭდა ჩვენ მაგიდასთან სალაპარაკოდ. სადილებზე ჩამოვარდა ლაპარაკი — მანთაშვემა ურჩია — სადილები ნომერში მოითხოვე და იქ გაანაწილე, როგორც გინდაო. როცა მანთაშვეი გამოგვეთხოვა და წავიდა, ილიამ თქვა: „ნახეთ, როგორი ანგარიში მასშავლაო“.

სამი დღის შემდეგ წავედით პარიზში. ილია, ოლგა თადეოზის ასული და ელისაბედ საგინაშვილი არ წამოვიდნენ იქ იმ მიზეზით, რომ, როგორც მე მახსოვს — მგონი ფული არ ეყოთ. პარიზში ვიცხოვრეთ სასტუმროში — „დიუვალ“. ვნახეთ ყველაფერი გამოფენაზე, ქალაქში ხალხი ბევრი იყო მისული და სხვა და სხვა მხრიდან.

ნატალია ჭიჯავაძე

სტუმრად ილიასთან

მამაჩემი, ილია სოლომონის ძე ჭიჯავაძე, 1894-6 წლებში, იყო ღუშეთის მაზრის უფროსად. ცცხოვრობდით საქართველოს ძველ დედა-ქალაქ მცხეთაში. მამას, რასაკვირველია, კარგად იცნობდა დიდი ილია ჭივჭივაძე. რა თქმა უნდა, მამაც დიდად ზრუნავდა და პეტრონიბდა დიდად მწერალს, თავს ევლებოდა ილიას მამულს — საგურა-მოს.

ერთხელ, 1895 წელს, ილიაობას, მამამ შემომთავაზა: „გინდა ილიაობას წაგიყვანოო, საგურამოსო?“ ყველაზ იცოდა ილიაობა რა დიდი ხალხური ზეიმი იყო და მეც, რა თქმა უნდა ვიცოდი და აღტაცებაში მოვედი. ვინაიდან კარგი, სანაქებო ცხენზე ჭდომა ვიცოდი, ოანაც მშვენიერი, ნაცრისფერი, შავი ხალებით, ადგილობრივ ჭიშის ცხენიც მყენანდა, ცხენებით წასვლა განვიზრახეთ. პირდაპირ, ცხენით არაგვში გასვლა მინდოდა. ჩვეული ვიყავი. მტკვარი, ალაზანი, ხრამი ბევრჯერ გადამელახა. მაგრამ საწყალმა დედამ ნება არ მოგვცა, შეედავა მამაჩემის — არაგვი გიუია, რას შეტები კაცოო! ურმით გადითო.

არაგვი ურმით გავიარეთ, შემდეგ შევსხედით მე და მამა ცხენებზე და საგურამოს ისე ავედით. ილიამ თავიანთ აივნიდან ღურბინდით დაიწყო ცქერა და თურმე კითხულობდა „ვინ არის ნეტა ეს ქალი, რა შესანიშნავად ზის ცხენზეო? მგონი დავით ჭივჭივაძის ქალიშვილიაო“ (ზაქარია ჭივჭივაძის მეუღლე, ისიც ძალიან კარგი ცხენოსანი იყო). რომ მიუჟახლოვდით, ილია ჩამოგვევება, თან ახლდნენ ლევან ჯანდიერი და კიკო ჩოლოყაშვილი, ილიამ, ცხენის აღვირი თითონ დაიჭირა, გაღმომახტუნა ცხენიდან. ნასიამოვნები, გაბრწყინვებული მომენსალშია, მიუბრუნდა მამას: „ეს შენი ქალია ილიკო, რა კარგი ქალი გყოლიაო, რა ყოჩალი!“ ცხენი ჩამომართვეს, ხელი მკლავში გამიყარა და ისე მივახლოვდით სახლს, ოლობს შესძახა — აი, ჩამიბარებიაო! — ვინაიდან ოლღა კარგად მიცნობდა, დიდი სიხარულით, სიცილით მომევება, შემიყვანა თავის ოთახში, მაჩუქა მთელი კოლოფი შოკოლადი. შემდეგ აბაზანის ოთახში შემიყვანა, იქ გადავივლე წყალი, გამოვიცვალე კაბა და ამის შემდეგ მთელი ოთახები დამატარა. კარგა მახსოვს ოთახების განლაგება და მორთულობა. ეზოდან პატარა კიბით შევდიოდით დერეფანში: პირველ სართულში მარჯვით იყო

კაბინეტი, ამას მოჰყვებოდა სასტუმრო, საძილო, სასადილო. ქავე სააბაზანო, ოლღას ოთახი. სასტუმრო გადიოდა ბაღში, კაბინეტიც. შემიყვანა ოლღამ ილიას საძილო ოთახში და მაჩვენა: საკიდელზე აუარება თეთრი საშინაო ტანისამოსი და ჩალის ჭუდები. ჩადიოდა ილია ბაღში და უვავილნარს თითონ უვლიდა, სარწყავით რწყავდა. დიდალი და ნაირ-ნაირი უვავილები ჰქონდათ. მეორე სართულში ილიას ოთახი და დიდი აივანი, რომელიც მთელ საგურამოს გადასცე-როდა. მაჩვენა კნეინა ოლღამ ის იშვიათი სილამაზის წითელი ღროშა, რომელიც შიართვეს ილიაობას, წინა წელს ქართულ თეატრის მსა-სიობებმა და რომელიც მცხეთაში ჩვენი სახლის წინ გამოატარეს დადი ზეიმით, ცხენოსნებით.

ამ დღეს ილიაობას, როგორც ყოველთვის, დიდალი ხალხი ესწრე-ბოდა, როგორც გლეხებაცობა, ასევე მთელი თითქმის, ჩვენი მოწინავე ქართული საზოგადოება: მწერლები თუ მსახიობები და საერთოდ ინტელიგენცია, საიდან სად ჩამოსულნი. მახსოვს კარგად, მაკინე ამირეჭიბმა მიულოცა ილიას უმშვენიერესი თარი, სულ სადაფით და სპილოს ძვლით მოჭედილი. არქი ვიცი ილიამ იცოდა თუ არა დაკ-ვრა, ვფიქრობ რომ არა, მხოლოდ რეზო ყარალაშვილმა დაუკრა და იმღერა. იყო დიდი სიმხიარულე, ცეკვა, სიმღერა. ძალიან უყვარდა ილიას ქართული სიმღერები და ეს დღეობაც სულ ქართულ, უაღრე-სად კარგად შესრულებულ სიმღერებით მიღიოდა. აღფრთოვანებულ ილიასადმი მიძღვნილ სადღეგრძელოებს, ულამაზეს სიტყვებს, ხომ ბოლო არ ჰქონდა. იმ ღამეს, იქ, ბევრი დაგვტოვეს. ამ დღეობაზე მახსოვან შემდეგი დამსწრენი: ირაკლი მუხრან-ბატონი, თავის ცოლით და შვილებით და ბევრი სხვა თავადიშვილები, გედევანიშვილები მცხე-თიდან, ნატო გაბუნია-ცაგარელი, ლიზა ჩერქეზიშვილი, ილია წინამ-ძღვრიშვილი და სხვა.

— ხვალ დილით ყმაწვილებო, ხაში მექნებაო, — მოგვმართა ილიამ. მეორე დღეს, საღილს შემდეგ დიდი გულითადი გამომშვიდობების შემდეგ, დავტოვეთ ილიას და ოლღას ოჯახი და რადგან ჩვენ კახეთ-ში გადავსახლდით, აღარც მელირსა კვლავ მენახა ილია, რომლის 1907 წელს ასე ვერაგულად მოკვლამ, ცხარე ცრემლი გვაღვრევინა შველას.

ორი ღლა ერის მამასთან

მამახემის, დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ოჯახი ცხოვრობდა დუშეთის მაზრაში, სოფელ ახალგორში (ეხლანდელი ლენინგორი). მამახემს ჰყავდა ხუთი შვილი. მათში უფროს ვაჟს ერქვა ნიკოლოზი ანუ კოლა, როგორც მას იცნობდა ქართველი საზოგადოება. კოლას ბავშვობიდანვე უყვარდა სცენა და გატაცებული იყო ხელოვნებით. იგი 8 წლისა იყო მხოლოდ როდესაც პირველად მიიღო მონაწილეობა მოლიერის პიესაში, რომელშიც ასრულებდა ბავშვის როლს. როდესაც კოლა წამოიზარდა, მან მოინდომა მსახიობად გახდომა, მაგრამ მამამ ამის ნება არ მისცა და კოლაც ძალაუნებურად დაემორჩილა მამის სურვილს. მან თავი დაანება სცენას და ხელი მიჰყო მხატვრულ კითხვას. ამ ნიადაგზე იგი დაუახლოვდა ცნობილ ქართველ მწერალს ილია ჭავჭავაძეს და მიუხედავად იმისა, რომ ილია ბევრად უფროსი იყო მასზე, მისი გულითადი მეგობარი გახდა.

როდესაც ჩემ ძმას კოლას შეეძინა უფროსი ვაჟიშვილი, მან გადასწყვიტა რომ იგი ილიას მოენათლა. მართლაც ზაფხულში მოაწყონათლობა და ნათლიად ილია ჭავჭავაძე მიიწვია. ილია სიამოვნებით დათანხმდა და ნათლობის დღე დანიშნეს. ეს მოხდა დაახლოებით 1890 წელს.

ჩვენს ოჯახში გაიმართა დიდი მზადება ნათლობისათვის და ილიას შესახვედრად, რომელიც მანამდე ჩენონთან, ახალგორში არ ყოფილი იყო. ი. ჭავჭავაძესთან ერთად დაპატიუებული იყვნენ ილიას მეგობრები და სოფლის ინტელიგენცია. ეხლა ყველას გვარებს ვერ ვიხსენებ, მასცოვს მხოლოდ ცნობილი ქართველი მსახიობები: ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, მომლერალი ქალი მაკინე ამირაგიბი და ბევრი სხვა.

სტუმრების შესახვედრად გაემგზავრნენ ჩემი უმცროსი ძმა გიორგი (უორუიკი) თავის ტოლ-ამხანაგებით, რომლებიც გამოწყობილი იყვნენ ერთნაირ თეთრ ჩიხებში და ისხდნენ ერთფერ ცხენებზე. 12 საათზე მოგვესმა თოფის ხმა. ყველანი გამოვედით და შევევებეთ ეზოში შემოსულ ეტლს, რომელშიც იჯდა ილია თავის მეგობრებით. ეტლს გარს ეხვია დამხვედრი ახალგაზრდა ცხენოსნები. ეტლიდან ჩამოსულ სტუმრებს კარის ეკლესიასთან შეეგება შემოსილი მღვდელი ჯვრით ხელში. ყველა ემთხვია ჯვარს და მღვდელმაც დალოცა ახლად მოსული სტუმრები. ამის შემდეგ ყველანი — სტუმრებიც და მასპინძლებიც ავიდნენ სასახლეში.



ჩვენი სასახლე წარმოადგენდა სამსართულიან შენობას, რომელის ფართო აიგანი ეყრდნობოდა 8 მაღალ სკოლის. აიგნიდან თვალწინ იშლებოდა დიდი ბალი და ქსნის მთელი ხეობა. თვალწარმტაცმა ბუნებამ მოხიბლა ილია, რომელმაც გამოსთქვა თავისი იღტაცება. ბალში ილიამ დაინახა უშველებელი, მაღალი ჭადრის ხეები და მათ ქვეშ დიდი ქვის მაგიდა. ილია მიუბრუნდა კოლასა და პკითხა: „ეს ქვებია, რომელზედაც სწერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი“-ო?

გზიდან დაღლილი ილია შეიყვანეს მისთვის გამზადებულ ოთახში, რომელშიც ბუხრის წინ იდგა დიდი ჩუქურთმიანი ჩარჩო, ტილოთი გადაკრული. ტილოზე ეწერა:

„იცოცხლე დილხანს ჩვენო ილია,
შენით აქეს ქართველს დიდი გულაა.“

სანამ ნამგზავრი ილია და სხვა სტუმრები ისვენებდნენ, ეკლესიაში ყველაფერი მოამზადეს ნათლობისათვის. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ყველანი შეგროვდნენ ეკლესიაში და დაიწყო ნათლობა. ბავშვს სახელად გიგო დაარქვეს. ნათლობის წესების შესრულების შემდეგ დიასახლისმა მიიპატია სტუმრები დიდ დარბაზში, საღაც მათ ელოდათ შვერინივრად გაშუკობილი სუფრა. ილიას გვერდით იჯდა მაკინე ამირავიბი, რომელმაც თავისი მოხდენილი სიმღერით მოხიბლა ჩვენი მგოსანი და იმდენად გამხიარულა, რომ ლეკურიც კი აცეკვა. ილიამ იცეკვა და გამოიწვია მაკინე ამირავიბი, რომელიც თავის შესანიშვნა სიმღერის გარდა, განთქმული იყო როგორც მოცეკვავე.

გამხიარულებულმა ილიამ წაუკითხა დამსწრეთ თავისი ლექსი. მას საპასუხოთ მისივე ლექსი წაუკითხა ჩემმა ძმამ კოლამ. ილიას ძალიან მოეწონა კოლას კითხვა, გადაეხვია, აკოცა და უთხრა:

„სხვისი სიტყვა შენგან თქმული
კოდება და უფრო შვენის.“

შემდეგში ილიამ გამოუგზავნა კოლას საჩუქრად თავისი წიგნები ასე-თივე წარწერით.

სადილს ვამშამი მოჰყვა და დროს ტარებამ და ლინგმა შუალამებდე გასტანა. საღამო უამს მთელი სასახლე, აივანი და ეზო ჭრაქებით განათდა.

როდესაც სოფლის მცხოვრებლებმა გაიგეს ილიას ჩვენთან ყოფნა, მოვიდნენ სასახლეში და ნიშნად პატივისცემისა და სიყვარულისა მოართვეს ნობათი: ქსნის ხეობის თევზი და ნაირნაირი ხილი.

ილიამ ახალგორში დაპყო ორი დღე. იგი მთელმა საზოგადოებამ გააცილა სადგურ ქასპამდე.

შემდეგში ილია ეშირად იგონებდა ახალგორში სიამოვნებით გატარებულ დღეებს.

პიორდი თამიშვილი

ენოტავიპილან თბილისი

ქალაქ გორში დამაპატიმრეს პირველი მაისის დემონსტრაციაზე. მეფის პოლიციამ ასტრახანის გუბერნიის სამაზრო ქალაქში, ენოტავიპაში გადამასახლა, ეს ქალაქი ასტრახნიდან 40 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს; იქვე, მეორე მაზრაში, კრასნი იარში, ასტრახანიდან 35 კილომეტრზე, იმყოფებოდნენ ბევრი გადმოსახლებულნი, როგორც ქართლ-კახეთის, ისე დასავლეთ საქართველოს მაზრებიდან. რაკილა პოლიტიკურ ტუსალებს სასტიკად აკრძალული გვქონდა ყოველგვარი მიმოსვლა, ამიტომ ჩვენამდე ყრუდ აღწევდა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების ამბები.

ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი იქ გაზეთებიდან გავიგეთ, რამაც ყველა ძალიან შეგვაწუხა და დაგვალონა. სასწრაფოდ მოიწვიეს პოლიტიკური გადასახლებულების საერთო კრება. ჩვენ, ქართველები, კაცებიც და ქალებიც, 120 სული ვიყავით, თუმცა ეს რიცხვი ყოველდღე იცვლებოდა, ზოგს სხვაგან გზავნიდნენ, ბევრიც იპარებოდა — ხან კიდევ ახალი მოყვანილი, ეტაპით გადმოსახლებულნი ერთბაშად მიემატებოდა ხოლმე ჩვენს ჯგუფს.

საერთო კრებაზე ერთხმად გადაწყდა ქართველი პოლიტიკური გადასახლებულების სახელით, ქ. ენოტავეკიდან სამგლოვარო დეპუტატების თბილისში, ილია ჭავჭავაძის ცხელის დამკრძალავი კონსიტერტის სახელზე. ყველამ ხელი მოაწერა დეპეშას, ფულიც საერთოთ შევკრიფეთ და გამოვგზავნეთ დეპეშა. სწორედ იმ ხანებში მივიღე თბილისიდან ვასო ტაბიძის წერილი, 30 მანეთი ფული და პასპორტი, გიორგი როსტომაშვილის გვარზე; ვასო მწერდა — აქ მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები იწყება, დიდი მუშაობაა საჭირო, უნდა მოახერხო როგორმე გამოპარვაო. თუ ვინმე ჩვენი ამხანაგები გეგულება, გულადი და გამბედავი მებრძოლები, ისინიც წამოიყვანე, შეგვატყობინე და ფულს კიდევ გამოგიგზავნით დეპეშითო. ადვილი საქმე არ იყო ჩემი წამოსვლა — დაპატიმრებამდე ორი წელიწადი სულ გარეთ მშიერი-მწყურვალი, უბინაოდ დავეხეტებოდი, მერე დაჭრის ღროს გორის მაზრის უფროსმა გუგუშვილმა საშინალად მტანჯა და მაწამა, ამას დაუმატეთ ციხეებში თრევა და ეტაპებში წანწალი, და ყველაფერმა ამან მთელი ჯანი და ლონე გამომაცალა, მაგრამ რაკილა ვასოს წერილს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავიც

დაემატა, მაშინ კი გული ამიჩქროლდა, გადავწყვიტე რაც უნდა დამ-
მართებოდა, თუნდაც ნახევარ გზამდე ცოცხალს ვერ მიმეღწია, მა-
ნც უნდა წამოვსულიყავ.

ჩამოვუარე იქ ცყელა გადასახლებულ ამხანაგებს, ვთხოვე ჩემთან
საქართველოში წამოსვლა; გზაში დაგვიჭრებო, უარი თქვეს წამოს-
ვლაზე, დამთანხმდა მხოლოდ ერთი გლეხი, სოფელ თემის მცხოვ-
რები მიხა წიკლაური. 1907 წლის სექტემბერში, რიცხვი არ მახსოვს,
ღამის თორმეტი საათი იყო, მთელი გადასახლებული ამხანაგები ქა-
ლები და კაცები, ჩვენს გასაცილებლად მოვიღნენ, შევგროვდით ქა-
ლაქიდგან ორ კილომეტრზე, ვოლგის ნავთსადგურში, გზაში ამხანა-
გები მარსელიოზას ქართულად მღეროდნენ; სანამ გემი ნავთსადგურ-
ში მოვიდოდა, კრება გავმართეთ. დიდი გასამნევებელი სიტყვები
გვითხრეს გამოსალმებისა. გემი რომ ჩამოდგა, კაპიტანს გავლენიანი
კაცი შევუგზავნეთ და ვთხოვთ, ბაქოდის ფრთხილად წამოვეყვანეთ,
გემის კაპიტანმაც თხოვნა მართლაც შეასრულა და ბაქოში კარგად
ჩამოვიყვანა, გემიდგან გაღმოვგვსხა და გზა დაგვილოცა. ქ. თბილის-
ში სწორედ იმ დღეს ჩამოვედით, ილიას რომ ასაფლავებლნენ, დიდ-
ძალი ხალხი მისდევდა ცხედარს, ჩვენც ორივენი ხალხს გაცემით
მთაწმინდაზე, ბევრმა ორატორმა ილაპარაკა. დაღამდა, ვასო ცაბაძეს-
თან მივედი. ვიცოდი ავლაბარში ცხოვრობდა, ძალიან გაეხარდა —
არ მეგონა, თუ წამოხვიდოდი.

ვასომ მიამბო ილიას მკვლელობის ამბავი, რაც ხალხში გაეგონა
ან გაზეთებში წაეკითხა. ჰყებოდა შემზარავ ამბავს, როგორ გაუჩე-
ხეს თავი დიდებულ ადამიანს და მერე მთლათ გაძარცეს, ფეხსაცმე-
ლებიც კი გახადეს და წაიღეს.

ილიასთან ერთად მოჰკლეს მისი მეეტლე იაკობ ბითარაშვილიც,
რაღაც მან რევოლუციო იძრო და ფაეტონიდან სროლა დაპირა, რათა
მშრომელი ხალხის საყვარელი მამა და მასწავლებელი მოხუცი პო-
ეტი ილია ჭავჭავაძე თავდამსხმელი ავაზაკების ხელიდგან სიკვდილს
გადაერჩინა. მაგრამ ის ერთი იყო, ყაჩალები კი ოთხი, სროლა იმათ
დაასწრეს და მოკლეს.

სწორედ ამ დროს, ილიას ახლად მოყვანილი მოურავი დიმიტრი
ჯაში თურმე ოფლიანი ცხენით მოვარდა, დიდი ხანია ილიას მოკვლას
გზაში ელოდა — ილიას ცხედარი გადააბრუნა და შარვლის ჯიბიდგან
გასაღებები ამოაცალა, შემდეგ საგურამოს სახლებისკენ საჩქაროდ
გაძწია — ილიას ოთახები გააღო და იქიდან გამოიტანა ძვირფასი
ნივთები, რაღაც ქალალდები, შეკრა ეს და ცხენს აპკიდა, წავიდა და
შემდეგ აღარც დაბრუნებულა საგურამოსკენ.

ილიას მოკვლის დროს მისი მოხუცი ცოლისთვისაც თავში რამ-
 დენჯერმე ჩაერტყათ, რომ გრძნობა-გონება დაკარგვიყო და რაკილა
 ყველას იცნობდა, მათი გვარსახელი არ ეთქვა; განსაკუთრებით ვანო
 ინაზვილს, რომელიც ილიას თავის სახლში დიდხანს ჰყავდა და შვი-
 ლივით ინახავდა, ყველაზე ამაგი პქონდა, ყველას ხელს უწვდიდა
 გაჭირვების დროს. ამ ყაჩაღებმა და ავაზაკებმა კი ასე გადაუხადეს
 ილიას ეს დიდი ამაგი და სიკეთე, მოჰკლეს კაცი, რომელიც ნახვარი
 საუკუნე იტანჯა ეკლიან გზაზე, თავისი სიყმაშვილე და ბეღნიერება
 სამშობლო ქვეყანას და მშრომელ ხალხს შესწირა და ბოლოს დიდი
 ტანჯვა-წამებით, ოთხი იუდას, ფულით მოსყიდული ავაზაკის ხელით
 გამოესალმა სიცოცხლეს; ილია მოჰკლეს, მაგრამ მისი საქმე, მისი
 იდეა, მისი ბრძნული ნააზრევი უკვდავია და მუდამ იცოცხლებს, ვიდ-
 რე საქართველო იარსებებს.

1937

ალექსანდრე გიშიშვილი

მცირე მოგონება

ილია ჭავჭავაძის თბილისის საადგილ-მამულო ბანკში მოღვაწეობის დროს მე კარგა ხანი ვმსახურობდი იქ, სადაც მქონდა შესაძლებლობა გამეცნო ეს დიდებული ადამიანი.

ილია, როგორც დიდი მოაზროვნე, მწერალი, საზოგადო მოღვაწე და საქართველოს ერისთვის თავდადებული კაცი — სათაყვანებლად ჰყვანდა მთელ მოწინავე საზოგადოებას. ყოველდღე ისმოდა ილიას შება-დიდება და ერთხმად გაიძახოდნენ, რომ საქართველოს ძლივს გამოუჩინდა სანატრელი შვილიო.

იმ დიდებულ ადამიანს მთელი საქართველოს ინტელიგენცია იხსენიებდა მხოლოდ ერთი სიტყვით „ილია“, და ეს სიტყვა, ყველა ტი-ტულზე მეტი იყო, მთელი საქართველოსთვის ძვირფასი, რადგან მიგვანიშნებდა ილიას სიდიადეს და სამშობლოსათვის თავდადებულობას.

ეს დიდებული ადამიანი ცხოვრებაში იყო მეტად სადა, ადვილად მისადგომი, გამტანი, ქეთილი და მგრძნობიარე გულის მქონე. არ ამაყობდა გვარიშვილობით და თავის დიდი პიროვნებით. რაკიდა საქართველოს მოწინავე საზოგადოება დიდად დაინტერესებულია ილიას პიროვნებით — მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს გავუზიარო მკითხველს მცირე მოგონებანი ილიას ბანკში მოღვაწეობის ხანიდან ჩემს დროს.

თუმცა იმ ხანიდან დღემდე დიდი დროა გასული (31 წლიმდე), მაინც ზოგიერთი შემთხვევები კიდევ დარჩენილი მაქვს ხსოვნაში.

თბილისის საადგილ-მამულო ბანკის მთელი მოგება ჰქმარდებოდა საქართველოს უდიდეს საჭიროებას — სწავლა-განათლების საქმეს — სკოლებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ გიმნაზიის შენობას (დღევანდველი სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სხვადასხვა კულტურულ საქმეებს.

ილია არა ჰზოგავდა თავის დიდ ენერგიას ბანკის კარგად და რიგზე დაყენებისთვის. იგი იყო დაუღალავი მშრომელი და მტკიცე ამსრულებელი მოვალეობისა, ამასვე მოითხოვდა ბანკის მოსამსახურებიდან. ბანკის მოსამსახურები, როგორც საერთოდ მთელი საქართველოს ინტელიგენცია, დიდ პატივს ვცემდით ილიას. ჯერ როგორც „ილიას“ და მერე როგორც დიდ მესაჭის ბანკისას და ყველა იმის სიტყვა, დავალება და განკარგულება ჩვენთვის კანონი იყო.

ილია კარგად ხედავდა მოსამსახურების შრომასა და დიდი კრძა.

ილიას კარგი და მახლობლური განწყობილება ჰქონდა მოსამსახურებთან. ის ერთი მაგალითთაგან, რომელიც კარგად ახასიათებს ილიას დიდ გულკეთილობას და მოსამსახურებთან კარგ განწყობილებას.

მაშინ ჯამაგირს ვიღებდით თვის ოცში; მაგრამ ზოგს ოცამდე ნაწილ-ნაწილ აღებული ჰქონდათ მთელი თვისა, ესენი იღებდნენ შემდეგი თვისას, ამნაირად ზოგს გატანილი ჰქონდა წინათ ორი-სამი თვისა და ვალიანდებოდნენ. ილიას არ მოსწონდა ეს, მაგრამ მოსამსახურების შევიწროებაც არ უნდოდა, მაგრამ რაკი ჯამაგირის წინ აღებას არ იშლიდნენ, გასცა განკარგულება არავის დაერლვია ამის შემდეგ წესი და ოცამდე ჯამაგირის ანგარიში არა მიეღოთ რა სალიტოდან; ამის შემდეგ სალაროსთან ოცამდე აღარავინ მივსულვართ; ერთხელ, თვის 15—16-ში შემომაკლდა ფული, მოსამსახურებში რომ ვერ ვიშოვნე, გადავწყვიტე მესესხნა ილიასაგან; დილით, ილია რომ მოვიდა ბანქში, მე დავუსვდი დერეფანში და ვთხოვე ოცამდე 25 მანეთი; მანამ მე ველაპარაკებოდი, ილია ორმად ჩაფიქრებული ძირს იყურებოდა; რომ გავათავე, ცოტა ხანს იდგა ისევ ისე, მერე აიღო თავი, არაფერი მიიჩრა და წავიდა თავის კაბინეტში. მე შევედი ჩემს სამუშაო ოთახში.

რამდენსამე წუთის შემდეგ ჩემთან მოვიდა ნოდარ ჯორჯაძე, ილიას პირადი მდივანი, და შემეკითხა რაზე ელაპარაკებოდი ილიას დერეფანშით. „რა იყო რო“? ჩემ მხრივ შევეკითხე. „ილიასთვის რაღაცა გითქვამს, მაგრამ ისეთ ფიქრში ყოფილა გართული, რომ ვერა გაუგია რა, რაზედაც სწუხს და ვთხოვთ შეატყობინო რა გინდოდა“. მე ვუთხარი, ცოტაოდენი ფული ვთხოვე ოცამდე-მეთქი. ნოდარი წავიდა და ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა და მითხრა ილია გიბარებსო. რომ შეველ, ილიამ მითხრა: „ფული გდომებია, წელან ვერ გავიგე, რამდენი გინდა“. მე ვთხოვე 25 მან. მაშინვე ამოილო და მომცა: ოცში, ჯამაგირი რომ მივიღე, ეს ფული დიდის მაღლობით დავუბრუნე. შემდეგ გამოჩენდა რომ ჩემ გარდა სხვებსაც მიემართნათ ილიასთვის და იმასაც არავისთვის დაუჭერია ფული.

რაკი ერთხელ შევეჩიეთ, შემდეგაც საჭირო დროს ხელს გიმართავდით ილიასაგან. ყოფილა ასეთი შემთხვევები, როდესაც ილიას უკანასკნელი ფულიც კი უსესხებია მოსამსახურებისათვის.

ილია იყო დიდი სტუმართმოყვარული და გულუხვი მასპინძელი, დაუვიწყარი დარჩება იმის ნამდვილი ქართული მასპინძლობა, ნა-

შეტნავად საგურამოში, ყოველწლივ 20 ივლისს, „ილიაობას“, სადაც
პანკის მოსამსახურეები ხშირად ვესტრებოდით.

ამ დღისათვის ილიასთან მისალოცად და პატივის საცემლად მო-
დიოდა საქართველოს ყველა კუთხიდან ინტელიგენცია და ახლომახ-
ლო სოფლებიდან ბლომად გლეხვაცობა.

ილია, თავის მეუღლით ოლღა თადეოზის ასულით, თავს ევლე-
ბოდნენ სტუმრებს განურჩევლად დიდ-პატარისა.

ეზოში • გამლილი იყო რამდენიმე სასადილო გრძელი მავიდები.
თავთან ილია აძლევდა სტუმრებს მხიარულების მაგალითს — ოხუნ-
ჯობდა, მხიარულობდა და იმის სიყვარულიანი მოქცევა ჰეიბლავდა იქ
შეიფრთ, ყველა დიდი პატივისცემით შეჰქორებდნენ ამ დიდებულ
ადამიანს, ილია მიდიოდა გლეხებთან, რომლებიც იქვე მაგიდასთან
ასხდნენ ერთად, ელაპარაკებოდა, ამლერებდა ძველ ქართულ სიმ-
ღლეებს, რომელიც ძალიან უყვარდა. საღილობა გრძელდებოდა დიდ
ხანს, საღამომდე, ვინც ლამე იქ არა რჩებოდნენ და ეთხოვებოდნენ
მასპინძლებს, მათ ზოგს ილია და ზოგს ოლღა თადეოზის ასული, აცი-
ლებდნენ გასავალ კარგამდე და სთხოვდნენ არ დაევიწყათ ისინი.

ბანკი! მოსამსახურეები, თითქმის ყოველწლივ, გაზაფხულობით
უმართავდით „მაისობას“, უფრო ვერის ბალებში. ილიაც შუღამ ეს-
წრებოდა იქ. ყოველ საღილის გამართვაზე ვიღებდით სურათს. ილია
იყო შუაში და ჩვენ იმის გარშემო. დღესაც შერჩენილი გვაქვს ზო-
გიერთს ცს სურათები.

ილია არა ჰსგამდა მეტ ღვინოს, მხოლოდ ღროს გატარება და
შხიარულება უყვარდა. საღილი ხშირად ვაბშმად გადიქცეოდა ხოლმე.
ზოგი ჩვენთაგანი, რომლებიც ღვინოს ისე არ ეტანებოდნენ, დგებოდ-
ნენ სუფრიდან, ნაწილი დასეირნობდა ბაღში, რაშიაც ილიაც იღებდა
შონაწილეობას.

ერთხელ ამნაირმა საღილმა კარგა ხანი გასტანა. უკვე შეღმებუ-
ლი იყო კარგად. ილია და რამდენიმე სხვები აღგნენ სუფრიდამ, გა-
უვიდნენ მოშორებით და ერთ გაშლილ ალაგას დასხდნენ. მეც მალე
მიველი იმათთან...

მშვენიერი ბაღრი მთვარე ანათებდა იქაურობას დღესავით. პირ-
დაპირ, ზევიდან, დაგვყურებდა „ფიქრის გორა“, რომელიც მაშინ არ
იყო გაშენებული. იქ, ზემო მხარეს იყო შენობები, მხოლოდ ქვემოდ
თავისუფალი გაშლილი ალაგი, რომელიც გადაჟყურებდა დაბლა სამ-
ხედრო გზას და აქეთ-იქით თბილისის ზოგიერთ ნაწილებს და შორს-
შორს მინდვრებს და მთებს.

ეს ალაგი იმ დროს დიდ ხალხს იზიდავდა, განსაკუთრებით საბოლოო მომბით.

ილია დიდ ხანს იყო ჩაფიქრებული და გაჰყურებდა „ფიქრის გორას“. ბოლოს სთქვა: „მე ჩემ ყმაწვილობაში ძალიან მიყვარდა ეს ადგილი. ბევრი მთვარიანი საღამოები გამიტარებია იქ, ზოგი ჩემი ლექსო იქ დამიწერია“...

რავი და საადგრლ-მამულო ბანკის მოგება ხმარდებოდა საქართველოს სწავლა-განათლების საქმეს და სხვა კულტურულ საქმეებს, ამისთვის იქ სამსახური საპატიოდ მიაჩნდათ.

ბევრი თვალსაჩინო პირი აცხადებდა სურვილს იქ სამსახურისას, რომ მონაწილეობა მიეღო და ხელი შეეწყო ამ დიდებულ საეროვნო საქმისათვის, ამის გამო იქ ალაგის შოვნა, თვით მცირესიც, ძალიან ძნელი იყო.

ერთმა ქართველმა ახალგაზრდამ, გვარი არ მახსოვეს, დაამთავრა საშუალო სწავლა და უქონლობის გამო ვერ წავიდა უმაღლეს სასწავლებელში. დიდ ხანს ეძებდა ალაგს, მაგრამ ცდა უნაყოფოდ რჩებოდა. რომ გაუჭირდა, დააპირა მიემართნა ილიასთვის, მაგრამ ამას კარგა ხანი ვერა ბედავდა, რადგან ილია მას სრულებით არ იცნობდა და ეშინოდა, იქნება არც კი მიმიღოსო.

ბოლოს, ბევრი გაჭირვების შემდეგ, წასულიყო ილიასთან სახლში; ავჭალის ქუჩაზე. ილიას მიეღო კარგად, დაესვა, ეკითხა ვინაობა და მიზეზი იმასთან მისვლისა. ჭაბუკი გაოცებულიყო ამისთანა მიღებით და უფრო გაბედულად ეთქვა თავის გაჭირვებული მდგრადებელი. და ბოლოს ეთოვა დარიგება როგორ მოქცეულიყო. ამ ლაპარაკში ილიასთან შისულიყვნენ სტუმრები. ახალგაზრდა ამდგარიყო წამოსასვლელად. ილიას ეთქვა ხვალ დილით ათ საათზე მობრძანდი ბანკში და პასუხს იქ გეტყვიო.

მეორე დღეს, დანიშნულ დროზე ჭაბუკი მისულიყო ბანკში. მოეხსენებინათ ილიასთვის, გამოსულა ნოდარ ჯორგაძე და გამოუცხადებია ილიას პაუზი: „თქვენ დღეიდგან მიღებული ხართ ბანკში, იმუშავებთ ჩემთან“. მომსვლელი არ მოელოდა ამას. უზომიდ კმაყოფილს სიხარულის ცრემლებიც კი მოსვლოდა.

ის ჭაბუკი მსახურობდა ბანკში კარგა ხანი, იყო კარგი მოსამსახურე და ილიას უდიდესი პატივისმცემელი და მადლობელი; ილია რომ ბანკიდამ გავიდა, იმანაც დაანება სამსახურს თავი და წავიდა სწავლის. გასაგრძელებლად.

ილიას დიდი მეგობარი და პატივისმცემელი იყო, სხვათა შორის,

ლევან გიორგის ძე ჭანდიერი, სოხუმის ოლქის ყოფილი უფროსი. ლევან ჭანდიერი როდესაც კი ჩამოდიოდა თბილისში, მეტ დროს ილიასთან არარებდა. ილია მთელი დღე და ხშირათ ღამეებიც, ბანქში იყო, ლევანიც იქ ხშირად დადიოდა, ლევანი ყოველ ახალ მოსკოვში ჩამოგვივლიდა, კითხულობდა ჩვენს ამბავს და შემდეგ შედიოდა ილიასთან.

ერთხელ, კარგა ხნის ბანკში მოუსვლელობის შემდეგ, ლევანი საჩუაროდ შესრუიდა ბანქში. ეს იყო ვეონებ 1905 წ. როდესაც ალიხანოვანის დამსჯელი რაზმი თარეშინდა დასავლეთ საქართველოში, სადაც ბევრი დაბა და სოფელი იქმნა მათგან აოხრებული და გადამწვარი. ლევანი ეტყობოდა დიდი მღელგარება. ის არავის მოგვესალმა და შემოსვლისასვე იკითხა ილია. ჩვენ ვუთხარით, რომ ილია თავის სამუშაო თახაში არისო. საჩქაროდ გასწია იქით.

ლევანის ამ გვარმა მოქმედებამ საშინლად გაგვაკვირვა. ეტყობა ჰდებოდა რაღაც დიდი ამბავი, რამაც ასე ააღელვა ეს დიდათ პატივ-ცემული პირი. მოხამისახურენი დაცველევნეთ უკან იმბის გასაგებად. შევიდა თუ არა ილიასთან, ლევანმა ლაიძახა: „ილია, ვიღუბებით, შევლა და ხსნა მხოლოდ შენ შევიძლიან“. ლევანმა აღელვაბული ხმათ უამბო ილიას, რომ ეს იყო ახლა შეატყობინეს საიდუმლოდ მთავრობის განკარგულება ქართლში და კახეთში დამსჯელი რაზმის გაგზავნის თაობაზე, რამდენიმე სოფლის განადგურების მიზნით, რომ ჰალხი დაშინებულიყო და იქაც არა დაწყოთ რა, როგორც დასავლეთ საქართველოში. „ილია — შესძახა ლევანმა, — აქ მხოლოდ შენ შევიძლიან შველა, უნდა წახვიდე მთავარმართებელთან და გადაგვარჩინო ამ უბედურებისაგან, როგორც იქნება“. „ნამდვილი კი ეს ხმები?“ ჰყინა ილიამ. ლევანმა უპასუხა, რომ მას ისეთმა პირმა შეატყობინა ეს ამბავი რომ ეჭვის შეტანა ძნელია. ილია საჩქაროდ აღვა და გაგრძელა.

შაშინდული ხანა (1904—5 წწ.) იყო ხანა ახალ-ახალი მოულოდნელი შემთხვევებისა, რომელნიც თავბრუდამხვევ სისწრაფით ერთი ერთმანეთს მისდევდნენ და სცვლიდნენ. ერთ შემთხვევას მოსდვდა მეორე, იმსა შესამე და ესე სხვა ხალი შემთხვევა გვავიწყებდა წინანდელს. უოველი საათის ახალ-ახალმა ამბებმა იმქამად გადაგვავიწყა ეს ამბავიც, მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ ამისთანა რაზმი იქ არ გაგზავნილა.

აღნიშნულ შემთხვევიდამ დღემდე განკლო 32 წელმა, იქ დამსწრენი, თუ კი ვინმეღლა შემორჩა, შეიძლება ეს შემთხვევა იღარც კი ახსოვთ და დღემდის არც საზოგადოებამ და არც ქართლ-კახელებმა

ციიან, თუ რა საშინელი შესაძლო უბეღურება ელოდათ ამ უკანს—
კნელთ და ვინ გადაარჩინა...

ილიას აწუხებდა საქართველოს აწყო, მხოლოდ მომავალზე ის
არა ჰერგავდა იმედს და ხშირად ამბობდა „მომავალი ჩვენიაო“.

ილიას სწამდა, რომ ის ერთ, რომელიც ზრდის დიად შვილებს, არ
უნდა დამდგარიყო გადაგვარების და მოსპობის გზაზე. როდესაც
პატარა საქართველომ, გარშემორტყმულმა მძლავრი მტრებით, თავის
საუკეთესო შვილების მეთაურობით, გაღმოლახა მრავალი საუკუნე
და მოაღწია დღემდე — დღეის შემდეგაც გამოზრდის დიად შვილებს,
რომელნიც უკეთ იზრუნებენ იმისთვის მომავალშიო.

ილიას ღრმად სწამდა, რომ ძველ ივერს თავის დიდებული შვილე-
ბის ზრუნვით ეღირსებოდათ უკეთესი მომავალი და აი შესრულდა
კიდეც ამ დიდებული ადამიანის სურვილი და აღთქმა!

საქართველო დღეს სრულუფლებიანი რესპუბლიკა არის და მის
პატრიონ-მზრუნველად არიან მხოლოდ თუთ საქართველოს ერის შვი-
ლები.

შესრულდა ილიას სიტყვები:

ჩემთ კარგი ქვეყანა, ასზედ მოგიწყენა!..

აწმუო თუ არ გწყალობს, მომავალი ჩვენია.

ოუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალი ხომ შენია...

მათ ახლად აღიღიღინონ შენ დიღების დღენია...

წვრილ-შვილი წამოგესწრენენ ნაზარენი, გულმრთაცება

მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნებია...

მათი გული შენისა ტრცობის ფართო ბუდეა,

მათ გულის ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...

ჩემთ კარგი ქვეყანა, მაში ასდ მოგიწყენა?..

შესრულდა ილიას სურვილი, სამწუხაროდ თითონ კი ვეღარ შეეს-
ტრო ამ დიდებულ ხანას, მაგრამ ხსოვნა და სახელი ამ დიდებული
ადამიანისა, საუკუნოდ დარჩება სამშობლოს ერთგულ შვილების
გულში.

დიმიტრი დავითაშვილი

ილიაობა სოფ. საგურამოში

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე თავის სახელწოდების დღეს ზემობდა ხოლმე 20 ივლისს, სოფ. საგურამოში. იმ დღისათვის პატივშეცემლები მოზღვავდებოდნენ ხოლმე საქართველოს ყველა კუთხიდან. აქ ნახვდით მოსულებს იმერეთიდან, გურია-სამეგრელოდან და ქართლ-კახეთიდან ხომ რაღა თქმა უნდა; სავალდებულო-სავით იყო მოსვლა წინამდღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის მოწაფეებისაც. რომლებიც თავის ტკბილხმოვან სიმღერებით ატკბობდნენ სტუმართა ყურთა სმენას. მე 1892—94 წლებში მასწავლებლად ვიყავი სამეურნეო სასწავლებელში, სხვათა შორის, ლოტბარობაც მე მქონდა დაკისრებული. რამდენი ხანიც ვიყავი ხსენებულ სკოლაში, მოწაფეებიდან დელეგატად მე მგზავნიდნენ. ამ სახით მქონდა ბეღნიერება ილიაობას დასწრებოდი. როგორც აღნიშვნე, ამ შემთხვევისათვის უთვალავი რიცხვი სტუმრებისა ესწრებოდა, სულ ცოტა, 100—150 კაცამდე. ამათ გარდა, ამ ზემოთ აუცილებელი იყო ადგილობრივ გლეხობის დასწრება. რა გინდა რომ არ გენახათ მის სუფრაზე და მერე რა უხვად! ერთის სიტყვით, რომ იტყვიან, ჩიტის რძის გარდა ყველაფერი იყო. ლვინოზე, ხომ ლაპარაკიც მეტია — ძალზე უხვად იყო და საუკეთესო. სუფრა იშლებოდა მოსულთათვის ეზოში დიდ კაკლის ჩრდილში, საღაც ჩამოჩუხებულებდა ცივ-ცივი წყარო. ამ წყლის ფართო აუზში დაცურავდნენ კიტრები, საზამთროები, ნესვები და სხვა ბოსტნეული. საერთო მაგიდის გვერდით მიყუთვნილი იყო ადგილი წინამდღვრიანთკარის მოწაფეებისათვის და მათ მაგიდის გაყოლებით იყო გამართული დაჩრდილული ხეივანი გლეხობისათვის.

საღილზე დასხლომამდე სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად ბაასობდნენ, ოხუნჯობრნენ. თვით მასპინძელი ილია ყველგან გაივლ-გამოივლიდა, ისიც იღებდა მონაწილეობას ოხუნჯობაში. არას დროს არ დამავიწყდება მისი გახუმრება თავის სოფლის გლეხთან, რომელსაც ხელი ჩაჰკიდა ჩოხის საყელოში და დასხახა — „გამავრდი, თორებ წაგაქცევო“. გლეხმა სრულებით არ გაიკვირა ეს, მან არხეინად ხელი ჩაავლო პიგავის საყელოში და უთხრა — „შენ თვითონ გამაგრდი, კნიაზო, თორებ სარმას გამოგრავ...“ ყველა დამსწრენი სიამოვნებით უყურებლნენ ამ ვარემოებას. იქვე ახლო იდგა კნეინა მაქინე ამ-რაჭიბი, ცნობილი მთელ ქართლში უბადლო დაირის დამკვრელი და მასთან მომ-

ლერალიც. ილიამ მიმართა თხოვნით რომ დაირახე დაემდერა. მაკი-
ნებ თავისებურად დაჰყრა დაირას და ჩვეულებრივი სინაზით დამზ-
ღერა. ხალხი სმენად იქცა. ილიამ კი თავიდან მოიშვლიპა შლაპა
და ესროლა მაკინეს, თანაც მიაძიხა — „შენ გენცვალე, მაკინე!“
ამ ორმა ფაქტმა — გლეხთან გამოხუმრებამ და მაკინესადმი
ალერსით მიმართვამ სულ გამაოცა. სხვები რას ფიქრობდნენ, ან
რას განიცდიდნენ არ ვიცი, მე კი 22 — 23 წლის ახალგაზრდა ვერ
წარმოვიდგენდი, რომ ეს დარბასისელი ბუმბერაზი ჭკუით და საქ-
მიანობით ილია ასე სადათ დაიჭერდა თავს. ამასთანავე ერთად მის-
მა უბრალოებამ მთლად მოინადირა ჩემი გული და უფრო შემაყ-
ვარა მისი თავი.

დადგა სადილობის საათი. სტუმრებს შესთავაზეს დასხვდომა. და-
ლაგდა ხალხი, შეუდგნენ ჭამა-სმას. მაღა ყველას კარგი ჰქონდა და-
საჭმელიც საუცხოო. ნადიმი მხიარულად მიმდინარეობდა. პირველი-
სადღეგრძელო, რასკვირველია, ილიასი იყო. აღგა ზეზე ცნობი-
ლი მწერალი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
ქ. გორის საოსტატო სემინარიისა და ქალთა პროგიმნაზიისა, ნ. ლო-
მოური და ითხოვა სიტყვა. მე პირადად კარგად ახლოს ვიცნობდი
ნიკას, ვიცოდი, რომ იშვიათი საამო და შინაარსიანი მოლაპარაკე
იყო და ეს გამართლდა ილიას სუფრაზედაც. ხალხი ალტაცებაში მო-
იყვანა მისმა სიტყვამ. მომეტებული დამსტრეთაგანი არ იცნობდა
ლომოურს და განცვითრებული კითხულობდნენ მის ვინაობას. ორა-
ტორი, რასკვირველია, ტაშის გუგუნით დააჯილდოვეს და შემოი-
ტანეს წინადადება: მოსმენილ სიტყვის შედეგად მიღებული შთაბეჭ-
დილება რომ არ განქარდეს, ილიას მიმართ სიტყვის თქმის ნება
აღარავის მიეცეს. წინადადება დიდი უმეტესობით მიღებულ იქნა.
წამოდგა ნ. ნიკალაძე და ითხოვა სულ მოკლე სიტყვა. მიაძახეს „არ
წამოდგა ნ. ნიკალაძე“ და ითხოვა სულ მოკლე სიტყვა. მიაძახეს „არ
წამოდგა“. მაინც ნება დართეს. მხიარულებას ელფერი არ შეეცვა-
ვინდა“. მაინც ნება დართეს. მხიარულებას ელფერი არ შეეცვა-
ვინდა. ყველანი კარგ გუნებაზე იყვნენ. მზის ჩასვლისას ნაწილი მო-
ლა, ყველანი კარგ გუნებაზე იყვნენ. მზის ჩასვლისას ნაწილი მო-
ლა, ყველანი კარგ გუნებაზე იყვნენ. მზის ჩასვლისას ნაწილი მო-
ლა, ყველანი კარგ გუნებაზე იყვნენ. მზის ჩასვლისას ნაწილი მო-
ლა, ყველანი კარგ გუნებაზე იყვნენ. მზის ჩასვლისას ნაწილი მო-

შეორებული დღეს 30 — 40 კაციმდე გაუდნენ გზას წინამდლვრიანთ-
კარში სკოლის დამაარსებლის ილია წინამდლვრიშვილის პატივსაცემლად.
მათ შორის იყო ილია ჭავჭავაძეც — პატარა ილიას (ასე უძახდია
წინამდლვრიშვილს) სასწავლებლიდან ნაამხანაგევი და დღეს მეგო-
ბარი — დამხმარე სკოლის დაარსების საკითხში და ბანკის სახსრე-
ბიდან ნივთიერადაც ხელის შემწყობი.

თან მიერთებული ცეკვის უზრუნველყოფა სტუმრებს. სუფრა
პატირა იღია სიამოვნებით დაუხვდა ძვირფას სტუმრებს.

გაამზადა სკოლის ფერმაში, მუხებ ქვეშ. სტუმრები ანარჩევი ქართველი ინტელიგენციისაგან შესდგებოდა. დაათვალიერეს სკოლა, სახელოსნო, ფერმა. განსაკუთრებულ ყურადღებით ყველაფერს ათვალიერებდა ნ. ნიკოლაძე, მან ხევს სინჯვა დაუწყო და სკოლის სპეციალისტებს — აგრონომებს ისეთი საჭირები დაუსვა, რომ როგორც იტყვიან, ჭირის ოფლი ადინა.

სუფრაზე დასხდნენ. თამადად ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი) დააყენეს. ნიკო კარგი მოლაპარაკე იყო და ერთი-მეორეზე უკეთეს საღლეგრძელოებს აჩვინდა. სხვა საღლეგრძელოთა შორის მან სთქვა: იმ ბედნიერ დღეს დაგვასწროს, როდესაც საქართველოში ყოველ 3—4 ვერსის მანძილზე ისეთი ილიები გვეყოლება, როგორც დღესა ვკავეს საგურამოში და წინამდლვრიანთკარში.

18580-ბ

ილია ჭავჭავაძის და ზინამძღვრიათიარის ხარლა

XIX საუკუნის სამოცდათიან წლებში, საგურამოს მახლობლად მდებარე სოფელ წინამდლვრიანთკარში, დაარსებულ იქნა საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა ექვსი წლის კურსით. ეს გადიოდნენ ყოველივე იმას, რაც საჭირო იყო რაციონალურად დაყენებულ სოფლის მეურნეობისათვის: ხენა-თესვას, მევენახეობას, მებოსტნეობას, მეუფუტკრეობას, ცოტა ზეინკლობას და სხვ. კურსდამთავრებულები იქნებან იგზავნებოდნენ იალტაში, ე. წ. ნიკიტის სამწავლებელში მევენახეობა-მეღვინეობის ცოდნის განსავითარებლად.

ჩვენ ვიცოთ, რომ ამ დროის „განათლების მესვეურება“ პირველ დაწყებითი სკოლების დაარსებაშიაც ძალიან ძუნწები იყვნენ და თავის თავად გასაცებია, რომ სამეურნეო სკოლის საქართველოსთვის მაცემის გაგონებაც კი თავზარს დასცემდა. ამას რომ დაურთოთ ისიც, რომ ახლად წარმოშობილი სკოლა განათლების ხელმძღვანელებს მსოლლდ სამოსწავლო ხაზით ექვემდებარებოდა, ყველასათვის გასაცები გახდება თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა ამისთანა სკოლის დაარსება. სკოლის დამარსებელი იყო იმავ სოფლის შვილი ილია ივანეს ძე წინამდლვრიშვილი. ცხადია, იმ უკუღმართ დროში იგი ვერას გახდებოდა თავისი ძალობნით. ვიღაც უნდა ჩარეულიყო ამ საქმეში. ამის გამოცნობა არაფერ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ საქართველოში არც ერთი სერიის ულლო
წამოწყება არ გაკეთებულია ილია ჭავჭავაძის ჩარევის გარეშე. აი სწო-
რედ ილია ჩაერია ამ საქმეშიც. ალბათ, რამდენადაც ვიცით, ილიამ
ამ საქმეში თავისი ქვისლი გენერალი სტაროსელსკი, ყოფილი
მთავარმართებლის მთაღვილე, გამოიყენა, — განათლების მესვეუ-
რებმა სკოლის წესდება დაადასტურეს, თუმცა, როგორც გამონაკ-
ლის პირობებში დამტკიცებულს, სახელმწიფო ხაზინიდან არაფერი
დოტეაცია არ გაიღეს, 6-ს კლასიან სკოლის შენახვა კი მეტად მმიმე
ტვირთი იყო, მაგრამ ილია წინამძღვრიშვილმა თავს იდო. ყველა, ვი-
საც უნარი აქვს დაკვირვებისა, მიხვდებოდა, რომ იმ სახსრებით,
რაც სკოლის დამარსებელს ებადა, ასეთი სკოლის შენახვა შეუძლე-
ბელი გახდებოდა. ამას ყველაზე ადრე დიდი ილია შეამჩნევდა და
აქაც ერთგვარი გამოსასვლელი კიდევაც გამოინახა. მან ბანკიდან
თავადაზნაურთა შვილებისათვის სამეურნეო სკოლაში ათი სტიპენ-
დიისათვის ყოველ წლიურად ხუთასი თუმანი (5000 მან.) გაიღო და
ამ თანხიდან ნახევარი ოდენობით ფული ხმარდებოდა სკოლას სხვა-
დასხვა საჭიროებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ ამ მცირე ნათ-
ქვამიდან ნათლად ჩანს, რომ ილია წინამძღვრიშვილი უაღრესად
იდეური ადამიანი იყო, რომელიც ხალხის (უმთავრესად გლეხობის)
ბეჭნიერებისათვის არაფერს არ ზოგადა. ამისთვის არის, რომ
დიდი ილია განუსაზღვრელ პატივსაც სცემდა და ყველაფრით ეხმა-
რებოდა, ხოლო მის პირმშო შვილს — სკოლას ქებათა-ქებას ასხავ-
და.

ამგერად, ჩვენ გვინდა მოყლედ მაინც გავიხსენოთ ვინ იყო ილია
წინამძღვრიშვილი და როგორ უძლოდა სკოლას. უნდა წინასწარ
იღვნიშნო, რომ იგი გამონაკლისი ტიპის კაცი იყო, უებრო მოსიყ-
ვარულე სამშობლოსი და ხალხისა, უანგარო ქველმოქმედი. იგი საც-
ნობია ორი სახით: სკოლის დაარსებამდე, შეიძლება ითქვას, ის
ქალვით კეკლუცობდა: ყოველ დღე სამართებლით ლოყებს იფხეკ-
და, თეთრი ხელთათმანებით დასეირნობდა და ისიც ფეხით კი არა,
მომეტებულად ფაიტონით. ან კი რა უნდა ექნა: ის შეყვარებული
იყო ვიღაც არღუთინსკის ქალზე. მამამ ნება არ დართო ამ ქალის
შერთვაზე. ილია მეტად მოსიყვარულე და მორჩილი იყო დედმამისა;
წინ ვერ აღუდგა, მაგრამ სიტყვა მისცა ქალს, რომ ის სხვის შემრ-
თველი არ იქნება. ქალმაც ასეთივე აღთქმა მისცა. კარგა ხანძა
განვლო, ილია, შეიძლება ითქვას, უკვე ხნიერად ჩაითვლებოდა,
როცა მას მამა გარდაუდვალა. შეთქმულები ერთმანეთისანი გახდ-

ნენ, მაგრამ ქალი დასხეულდა. ილიამ იგი შვეიცარიაში წაიყვანა, სამკურნალოდ. ვერ გადააჩჩინა, მოკვდა. ილიამ ცოლის ნეშტი საქართველოში მოასვენა და ს. წინამდვრიანთკარში დაასაფლავა. საფლავზე ააგო ეკლესია ოლღა და ილიას სახელობაზე. ცოლის სიკვდილის შემდეგ ილია სულ სხვა სახით მოევლინა ქვეყანას: მან მიატოვა ყველა ის, რაც ახასიათებდა მის ახალგაზრდობას, ერთის სიტყვით. შეიქმნა ჩვეულებრივი საქმიანი მოქალაქეები; შეუდგა სკოლის დაარსებას და მთელი თავის არსებით მხოლოდღა მასზე ზრუნავდა. დაჩვეული ფაიტონით სიარულს, ახლა 3 და 5 კაპეირიც არ ემეტებოდა ცხენის ტრამვაიზე დასახარჯავად. იყო შემთხვევა — მიღილიდა ფეხით სადღაც და გზად შეხვდა მეგობარი, ყოფილი ინსპექტორი სამოქალაქო სასწავლებლისა ვინმე მირაჭოვი, რომელმაც, რომ გარეო სადაც მიდის ილია, უსაყვედურა — კაცო, შაური გენერება მაგ სიშორეზე ტრამვაით წასასულელად? მან უპასუხა: ორ რვეულს ვიყიდი და ჩემი ტეტია ბიჭი მთელ თვეს ჭლაბნისო.

მოვიყვან ნიმუშს მის საქმისადმი დამოკიდებულებისა. მე ვიცოდი, რომ მის სკოლაში კურსდან თავურჯულთ არაფერი პრივილეგიები არ ეძლეოდა სამსახურში შესვლისას, მაშინ როდესაც სამოქალაქო სასწავლებელ დამთავრებულთ პირველი ჩინი ეძლეოდათ. მე ეს შეცდომად მიმაჩნდა და ერთხელ შევეკითხ ამის შესახებ ილიას. მან მიპასუხა: „მე სკოლა დავაარსე იმისთვის, რომ იქიდან გამოსულები მეურნეობას ეწეოდნენ და არა ჩინოვნიკებად მიღიოდნენ; ჩინზე უფლება რომ ეძლეოდეთ, სულ „ჩინოვნიკებად“ წავლენ, კაკარდებს გაიკეთებენ“. მა გონივრულმა განმარტებამ სრულიად დამაქმაყოფილა და მათიქჩებინა, რომ აქაც ალბათ დიდი ილიას დაკვირვებას ეწედა წვლილი სკოლის წესდება-უფლებების დატრიცების დროს.

ჩემს მდე სკოლაში მასწავლებლად ყოფინის დროს (1892—94 წწ.) ილია კარგად მოხუცებული იყო, მიუხედავად ამისა არ მახსოვე შემთხვევა, რომ ის ყოველ შაბათ დღეს საღამოთი (ზამთარს თუ ზაფხულს) არ მოსულიყო თბილისიდან, არ ენახა თავისი საყვარელი სკოლა, არ ესაუბრა მასწავლებლებთან და არ გაეგო რა უჭირს მის პირმშოს. მეორე დღეს — კვირას საღამოთი უკანვე დაბრუნდებოდა. აქ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ილია თბილისში მსახურობდა და ამისათვის არც სხვა დღეს შეეძლო თბილისიდან წამოსვლა, არც მეტ ხანს დარჩენა. მოღილდა, რასაკვირველია ფაიტონით, თუმცა, როგორც მოთხეს ამხანაგებმა, რამდენიმე წლის

წინათ, როდესაც ჯერ საკმარისად პქონდა ფიზიკური ძალის მარტივება—გი, ხშირად, თბილისიდან ივჭალის რკინიგზის სადგურამდე მატარებლით მისული, ზედაზენის მთაზე ფეხით გადმოსული მოევლინებოდა ხოლმე სკოლას.

1892 წელს ვ-ერდე ბარათი, მასწავლებლად მიწვევდნენ: „შევფექრიანდი; ვერ გავდედე ერთბაშად დადებითი პასუხის მიცემა. ჩემი იღებალზე ჩვენ ოჯახი, სოფ. ხეთში (ცხინვალის ახლოს) სტუმრად მოვიდა ქართული საზოგადოებაში ცნობილი მწერალი ნ. ლომოური. შემეყითხა როგორა ხარო? გავუზიარე ჩემი ფიქრები. მან შეუფერხებლად მიპასუხა: დიდი პატივი უცია ილიას შენთვის, ნუ გეშინა, წალი, იშრომე და, ილიაც დაგაფასებს“. ამ დარიგვებამ დამამშვიდა და წამოვედით თბილისში ილიასთან. მიმიღო ძალიან სიამოვნებით. შევთანხმდით და გადავწყვიტეთ შაბათს ეტლით სკოლაში წასვლა. ახლად მისულს წინამდლვრიანთკარში ილიამ გამაცნო მომავალი ამხანაგები, რომლებიც ალერსიანად მომეგებნენ; დამათვალიერებინეს ყველაფერი. საღამოთი ილიამ ყველანი შეგვკრიბა, ვითათბირეთ სკოლის საქმეებზე. მეორე დღეს — კვირას ილია მზის ჩასვლისას გაემართა თბილისში. შევუდექი ჩემ საქმეს და თანდათანობით დაუახლოვდი ამხანაგებს, მოწაფეობას და გავეცანი ადგილობრივ პირობებს. მოყლედ ჩაეგები მუშაობაში. სემინარიის კედლებში მიჩვეულმა უუმურ რეების, სადაც ინსპექციის და მოწაფეთა შორის აღმართული იყო ჩინური კედელი, ერთბაშად სწორი აღღო ავიღე მოწაფეებთან კეთილ ურთიერთობის შექმნისათვის და ჩემდა საბედნიეროდ პირველივე ხნიდან ჩვენ შორის დამყარდა სრული სოლიდარობა. პირველმა ცდებმა და ილიას მაგალითმა სკოლა შემაყარეს, — სულ იმას ვფიქრობდი რით შევიქნე უფრო სასაჩვენებლო. გამოვიწერე პედაგოგიური უურნალები და სახელმძღვანელოები და ზუსტად ვეცნობოდი მასალებს. ამოვკრიფე რამდენიმე საკითხი, რომლების განმარტება საჭიროდ მივიჩნიე. იმ ხანებში 10 — 12 დღით არღადეგები გვქონდა. ვისარგებლე შემთხვევით და წავედი თბილისში იმ განზრახვით, რომ ი. გოგებაშვილი მენახა. გამოვცხადდი მასთან და, რომ გაიგო ჩემი ვინაობა და რად ვარ მისული, მეტად ესიამოვნა და შემიქ განზრახვა, — მითხრა ეს პირველი შემთხვევაა, რომ ახალგაზრდამ სცნოს თავისი ნაკლი და ცდილობდეს მის განკურნებას, თანაც წამახალისა, შენგან კარგი მასწავლებელი გამოვათ. მოვახსენე რის განმარტებაც მინდოდა. ყველაფერი ამიხსნა და ჩემს კითხვების გარდა, ახლებიც თვითონ ჩაუმატა. საუბარი გაგრძელდა 2—3 საათამდე. როდესაც იაკობმა მითხრა „გვეყოფა“,



მე წამოვდექი განზრახვით, რომ მაღლობა გამოვუცხადო და წავია-
დე, მაგრამ მან არ გამომიშვა, — დღეს ჩემი სტუმარი ხარო; ვი-
საღილებთ და ცოტას კიდევ ვისაუბრებთო. საღილის შემდეგაც
მართლაც ახლადდასმული კითხვები განმიმარტა და დიდის მაღლო-
ბით წამოვედი. უნდა გულახლით აღვიარო, რომ იმ დღეს იმდენი
ახალი რამ შევიძინე, რასაც ეჭვსი თვის კურსებზე არ მისცემდა
მსმენელს და კიდევაც პრაქტიკულად გამოვიყენე.

წინამძღვრიშვილის მოქმედების სრულყოფილად დახსიათებისათ-
ვის უნდა აღვნიშნო, რომ მას სკოლის გარეშეც დიდი ნაყოფიერი
ღვაწლი მიუძლვოდა სხვა გზითაც. იგი იყო ინიციატორი მცირეწლო-
ვან დამნაშავეთა გამოსწორების კოლონის დაარსებისა, რომელიც
დღესაც განაგრძობს არსებობას ავჭალაში.

ილიამვე 1892 წელს, ხოლერის მძვინვარების დროს, თბილისში
ავჭალის ქუჩის მოედანზე (იქაური ბაზრის წინ) გახსნა ხალხისათვის
უფასო საჩაიე, რომლის ხის ოთახები ხოლერის მოსპობის შემდეგ
გადასცა ქართულ თეატრის მოყვარულთა, სადაც გაიწვროთნა და ბო-
ლოს გამოვიდა ცნობილი მსახიობი ნ. გოცირიძე.

მიხეილ ზავანაშვილი

ცოტა რამ ილია ჭავჭავაძე

ამ პატარა წერილში მე მინდა მხოლოდ ერთი კონკრეტული შაგალითი მოვიყენო, რომლის ცოცხალი მოწმე მე ვარ და რომელიც ნათლად გვიდასტურებს, რომ ილია გლეხებს მუდამ გვერდში ედგა, მათ ბედნიერებას შექმაროდა, მათ ჭირ-ვარამს იზიარებდა და მუდამ მათი დამხმარე იყო. აი ამის უტყუარი საბუთიც: 1912 წელს 20 დეკემბერს მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც დროებით ვალდებული გლეხები იძულებითი წესით, ბანკის საშუალებით, გამოისყიდიდნენ თავიანთ მამულებს (ნაღელებს) თავიანთ ყოფილ მებატონებიდან. ეს უკანასკნელი ფულს ხაზინიდან მიიღებდნენ, ხოლო გლეხები კი, გრძელ ვადიანი სესხის ნახით, ამ მამულების გამოსასყიდ საფასურს ხაზინაში შეიტანდნენ და, ამრიგად, ისინი ხდებოდნენ მიწის მესაკუთრენი. ამ მუშაობის ჩატარება მინდობილი ჰქონდათ მაშინდელ მომრიგებელ შუამავლებს.

იმ დროს მე ვმუშაობდი ახმეტის მომრიგებელ შუამავალთან მდივნის (თარჯიმნის) თანამდებობაზე და მთელი ეს საქმეები ჩემს ხელში გადიოდა. თითო მეკომურ გლეხს მიცემული ჰქონდა ხუთი დესეტინა მამული და უნდა გაგვეგო რომელ გლეხს რა ზომის მამული ჰქონდა და სად, რომ ამ მამულებზე ნასყიდობის სიგელები შეგვეღგინა. მაშინდელმა ტფილისის საგუბერნიო გლეხთა საქმეების საკრებულომ გადმოვვიგზავნა 1864 წელს შემდგარი ბატონ-ყმობის გადავარდნასთან დაკავშირებული სიგელები, სადაც აღნიშნული იყო, თუ რომელ მეკომურ გლეხებს სად, რა ზომის, რა მიზნებ შუა, რა ხარისხის, სარწყავი თუ ურწყავი მამული მიეცა. ერთი ასეთი სიგელი შემდგარი იყო, ერთის მხრივ, თვით ილია ჭავჭავაძის და, მეორეს მხრივ, გლეხ გონდაურების (გვარია) სახელზე. რადგან ილია უშევილო მოქვდა და ჩვენ არ ვიცოდით ამ გონდაურების მამულის ფული ვის სახელზე ჩაგვერიცხა და რადგან ეჭვი გვქონდა, რომ ილიას თავისი პირადი ქონება ნაანდერძევი ჰქონდა მაშინ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის, ამიტომ ჩვენ ამ საზოგადოებას ოფიციალურად შევეკითხეთ, ხომ არ არის გადაცემული მათზე ახმეტური გონდაურების გლეხების ღალა, რაზე-დაც უარყოფითი პასუხი მივიღეთ. ამასობაში გამოცხადნენ ჩვენთან გონდაურებიც და ჩვენ შევითხებზე გაგვიმარტეს, რომ ისინი, დღი-

დან ბატონიშვილის გადავარდნისა, უკვე მესაკუთრე გლეხებად პრინც და დროებით ვალდებულ გლეხებთან არაფერი საერთო არა აქვთ; საქმე ის არის, რომ მაშინ ილია, ჯერ სრულიად ისევ ახალგაზრდა, მოსულა ჩვენს მამებთან და უთქვამს: ძმებო, ბატონი-ყმობის გადავარდნა, თქვენი განთავისუფლება მე თქვენზე მეტად გამიხარდა; ნიშნად ჩემი სიხარულისა, ეს მამულები თქვენთვის საკუთრებად გადმომიცია, არავითარი ღალა თუ ხარჭი მე არ მინდა. იცხოვრეთ, იბედნიერეთ და შვილებს ასწავლეთო. გახარებულმა ბევრი გველაპარაკა, ბევრი დაგვარიგა და თანაც საბუთი მოგვცა და წავიდაო. რაკიდა ილიას მიერ გაცემული საბუთი დაკარგული აღმოჩნდა, ჩვენ გლეხების განცხადება ოფიციალურად შევამოწმეთ და სრული ჭეშმარიტება აღმოჩნდა, გონდაურებს არავისთვის ღალა არ ეძლიათ, გარდა სახაზინო გადასახადისა, როგორც მიწის მესაკუთრე გლეჩებს.

მე ვფიქრობ, რომ ეს ამბავი ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება, ჰუან-ტავს იმ ბურუსს და ჭორებს, რაც ილიას ირგვლივ იყო შექმნილი. ჩვენ ვიცით, რომ ილიას თავისი პირალი მამული არ ჰქონდა, რაც ჰქონდა, ისიც სულ სხვას აჩუქა, თითონ კი მაშინ ცხოვრება უჭირდა.

მაშინ ახმეტაში მომრიგებელ შუამავლად იყო გიორგი ივანეს ძე ცისკარიშვილი, რომელიც დღესაც სოფ. ზემო ალვანში, შვიდწლედის მასწავლებლად მუშაობს. გონდაურებიც ახმეტაში 7—8 კომლია და ამ ამბის ხელმეორედ შემოწმება, თუ ვისმე ეჭვი შეეპარა, მუდამ შეიძლება.

ართე გერმანიული

მცირე მოგონება დიდ აღაშიანებზე

თბილისის სასულიერო სემინარია. დავამთავრე, მაგრამ მღვდლობა არ მიფიქრია: ნიადაგ წირვა-ლოცვის მოსმენა, წელიწადში სამჯერ ზიარება, ყოველ გაეტილზე ლოცვების კითხვა, საერო ლიტერატურის კითხვის აკრძალვა, ბინებზე ღამდამობით ჩხრეკა ექვსი წლის განმავლობაში, ყოველ შეგნებულ აღაშიანს უფრო აშორებდა ამ წოდებას.

იმ დროს (1894 წ.) დიდად გულწრფელ, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ილია წინამდღვრიშვილს უკვე დაარსებული ჰქონდა წინამდღვრიანთ კარში საქართველოში ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ამბობდნენ, რაც მამულები ჰქონდა, სასწავლებელს შეწირაო, რასაც შოულობს (ნოტარიუსად იყო თბილისში) თავის შეწირაო, რასაც ლაპარაკობდნენ, რომ ილია სასწავლებელისათვის მასწავლებლებს ეძებს, მაგრამ ვიდრე ვისმეს შეარჩევს, ქვეყანას შეძრავს ცნობების შესაკრებადო.

გაგონილი მქონდა, რომ ილია ძლიერ ადრე დგება და ვიდრე დილას ჩაის მიირთმევს, თბილისის რომელიმე კუთხეს შემოუვლის და დაათვალიერებსო. ქალაქის ხმოსანი იყო.

ერთ პარასკევს დილა აღრიანად თხოვნით ხელში ილიას ბინის კარებს ავეტუზე.

გამოვიდა შავებით მოსილი (ცოლი გარდაცვლილი ჰყავდა), მაღალი წარმოსადევი შექალარავებული ბრგე კაცი.

— რა გნებავთ ყმაწვილო? — შეჩერდა.

მე თხოვნა გავუწიოდე. წაიკითხა და შემომხედა.

— გოგებაშვილი გიცნობთ? — შემექითხა. უარით ვუპასუხე.

— ახლა რას აკეთებთ?

— საღვურზე მივდივარ, დატვირთული ვაგონებიდან უქლარის ქვა უნდა მივიღო არქიტექტორ ანდრეოლეტისათვის, — ვუპასუხე.

— თქვენ ანდრეოლეტთან მუშაობთ? მეც საღვურისაკენ მივდივარ და კიდევ დამაცერდა. გზაში მესაუბრებოდა. ჩემს პასუხებს ძლიერ უკვირდებოდა, ბოლოს მითხრა: პასუხის მისაღებად ხვალ დილით აღრე მივსულიყავ.

შაბათ დილას, თავის კაბინეტში მიმილო, მესაუბრა მასწავლებად დილით აღრე მივსულიყავ.

ბლის მოვალეობაზე. განცვიფრებაში მომიუვანა მისმა უსახლვობრივი სიყვარულმა და იმედებმა სასწავლებლისადმი. მთელი მისი არსება სასწავლებელის შესახებ ფიქრებით იყო ავსილი, იმედიანად მომაპყრო მეტყველი თვალები და მითხრა: „ხვალ ხომ კვირა არის, დოლა აღრიანად ბარგი-ბარხანით მოდი და წაგიყვან ჩემს სასწავლებელ-შიო“. გახარებული გამოვემშვიდობე.

ანდრეოლეტიმ მითხრა: „გუშინ საღამოს ილია წინამძღვრიშვილი ჩემთან იყო და დაწვრილებით გამომკითხა თქვენი მუშაობის შესახებო“.

კვირა დილის ფარტონი სასწავლებლისაკენ მიგვაქანებდა. თურმე ყოველ კვირას ეწვეოდა ხოლმე სასწავლებელს. თუ ილია ჭავჭავაძე საგურამოში ეგულვებოდა, უნახავად თბილისში არ დაბრუნდებოდა, ერთი მეორის დიდი მეგობრები იყვნენ და სასწავლებლის მოამაგნი.

სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს სახელოსნო განყოფილებაც ჰქონდა, სადაც მოსწავლიდნენ სასოფლო-იარაღების, ხელსაწყოების და საგნების კეთებას.

მოახლოვდა ოცი ივლისი — ილია ჭავჭავაძის დღეობა. მოსწავლებს მზად ჰქონდათ ნობათი ილიასათვის მისართმევად — დასაკეცი ჯობ-სკამი, ხის კალმისტარი, ხის სამელნე, ხის საპაპიროსე თვიანთი გაკეთებული.

ოც ივლისს დილის ათი საათიდან მასწავლებელი და მოსწავლეობა ხალისით და სიმღერებით მწყობრად გავუდექით გზას საგურამოსაკენ. ილია წინამძღვრიშვილი იქ გვეგულვებოდა და იმასაც წავუღეთ კოხტად გაეთებული ჯობ-სკამი. ილიას კარმიდამო საგსე იყო სტუმრებით, ხალხი კიდევ მოდიოდა. გლეხობა კარ-მიდამოში იყო მოფენილი. ჩვენ ზემო ჭიშკრიდან ჩავედით სიმღერით. ილია პირმცინარე შეგვხდა იქვე, წყაროსთან, კაკლის ქვეშ. მაღლობით მიიღო მოსწავლეებიდან საჩუქრები. ილია წინამძღვრიშვილმაც მირთმეული დასაკეცი სკამ-ჯობი ილიას მისთავაზა, მეც კი გავგედე ორიოდე სიტყვა ილიას მისალოცი, მაგრამ უშნოდ და ბურსაკულად გამომივიდა.

ილიამ მოსწავლეები თვისი წიგნებით დაასაჩუქრა.

კარგი სანახავი იყო ილია — გლეხების მეგობარი: სადილად ჩამწკრივებული აუარებელ გლეხობას გაუვლ-გამოუვლიდა, მერიქიფეს ღვინოს დაუჭაშნიერდა, შიგა და შიგ რიგებში ჩაჭდებოდა ხოლმე ცოტა ხნობით და საღლეგრძელოს თვითონაც იტყოდა და გლეხებსაც მოუსმენდა ღიმილით. სადილის დროს გავიგონეთ ბევრი კარგი სიტყვა,

სიმღერა, მუსიკა, ყარანგოზიშვილის თარის დაკვრა, ვუყურეთ ჭირი დაბას და დიდად ნასიამოვნები შებინდებისას ისევ სასწავლებელში ვიყავით.

* * *

ყირიმში, საიმპერატორო ნიკიტის ბალთან არსებულ მელვინეობის უმაღლეს კურსებზე ესწავლობდი. კურსებს გარდა, ბალთან იყო მებაღეობის და მევენახეობის სასწავლებელი. ორივე დაწესებულებას ეტანებოდა ჩვენი ახალგაზრდობა საქართველოს სხვადასხვა კუთხი-დან. ქართველობა განირჩეოდა შრომით, მეცადინეობით და კარგი სახელი ჰქონდა.

1896 წელს მელვინეობის ლექტორი (შემდეგ ცნობილი პროფესორი) პ. ა. ხოვრენკო და მე მიწათმოქმედების დეპარტამენტმა მიგვავ-ლინა საქართველოში მევენახეობის და მელვინეობის გასაცნობად.

ჩვენ მოვიარეთ კახეთი, თბილისში გავეცანით ღვინის სარდაფებს და გავემართეთ საგურამოსაკენ, ილია ჭავჭავაძის ვენახების დასათ-ვალიერებლად.

ილიამ მიგვიღო სამუშაო კაბინეტის წინ, პატარა აივანზე. იქვე ილიასთან იყო პოეტი ველიჩკო, რომელიც ილიამ გაგვაცნო; ვე-ლიჩკო გარეგნულად წარმოსადეგი კაცი იყო, ილიას მოკრძალებით ელაპარაკებოდა. მაგიდაზე წიგნი ჰქონდათ გაშლილი.

სასიამოვნო, წყნარი ამინდი იყო, და ცა სავსებით გადაწმენდი-ლი. არაგვის მთელი ხეობა, კავკასიონის ქედის შწვერგალები მყინ-ვარით, მუხრანის თვალუწეველი ველი აივნიდან ხელისგულივით ჩანდა. იმავე აივნიდან დაყუურებდით ილიას და სტაროსელსკის ვე-ნახებს, ხეხილის ბალებს და თლილი ქვით ნაშენ მოქანდაკებულ უზარმაზარ მარანს, რომლის მსგავსი საქართველოში ან სხვაგან არ მოიპოვება.

— გინახავთ სადმე ბუნების ასეთი სიდიადე? ყირიმში — ლივა-დია, ალუპკა, ორეანდა, გურზუფი, იალტა ლამაზი სანახავებია, მაგრამ ასეთ მომაჯადოებელ ბუნების უდიადეს სურათს მთელს რუ-სეთში ვერსად ნახავ, — მიმართა ველიჩკომ ხოვრენკოს.

— გასაკირვებელი სანახაობაა. ვენახებიც ძლიერ კარგი სანახა-ვია კახეთში. აი თავადის ვენახიც კარგია ეტყობა, — უბასუხა ხოვ-რენკომ.

— თავადო, თქვენის ნებართვით, დავათვალიერებთ, — მიმართა
ილიას ხოვრენკომ.

— ერთად დავათვალიეროთ, მეც თქვენთან წამოვალ, — წამოდგა
ილია.

ველიჩქო დარჩა აიგანზე. ხოვრენკომ იგრძნო, რომ დიდებულ
კაცთან იყო და მოკრძალებით ელაპარაკებოდა. ხოვრენკოს ძლიერ
უყვარდა ქართველობა.

ბალი და ვენახი ეზოს მხრიდან გადალობილი იყო, ბალის თავში
საქათმეები იყო მოწყობილი. ხეხილის ბალს ქვემოთ იწყებოდა ვე-
ნახები. ყურძენი მწიფობელი შედიოდა, ვაზს უხვად ესხა.

ჩვენ ილიას შეწუხებას მოვერიდეთ და ვენახის თავში გავჩერდით.
დავუკვირდით ვაზის გასხვლის წესს.

— თავადო, თქვენი ვაზიც კახურად არის გასხლული, — მიმართა
ხოვრენკომ.

— მეც და ჩემს მეზობელსაც, სტაროსელსკის კახური ვაზი გვაქვს
გაშენებული, ეს კუთხე ძლიერ წააგავს კახეთს, თითქოს პატარა
კახეთია. აქაურობა. გაშენებული გვაქვს საფერავის და რქაწითელის
ჯიშები. აქაური ღვინო კახურზე დაბლა არ დგას თვისებით, — ბრძა-
ნა ილიამ.

გამოვგბრუნდით სახლისაკენ.

სახლის პირველ სართულის ოთახებში ილიას ელაგა მიწის დასა-
მუშავებელი ახალი სისტემის გუთნები, ფარცხი და წიწილების გა-
მოსახეკიც (ინკუბატორი).

— მინდა გლეხობა შევაჩიონ ახალი წესით მუშაობას, — ბრძანა
ილიამ, როცა იარაღებს გვაცნობდა.

სახლის გარშემო ბლომად იყო დარგული ბზა, სიმაღლით შუა
აივნის მოაჭირს წვდებოდა, დასავლეთის მხარეზე კოხტა პატარა
შადრევანი გარდნარში იყო გახვეული, იასამანის მაღალი ბუჩქები,
რომელთა შორის ჯგუფებად, სამ-სამი, ოთხ-ოთხი იყო ჩარგული
ბზები, შემდეგ გაფანტული და ერთი-მეორეში არეული კაქლის, ჭაღ-
რის, ცატვის, აკაკის ხეები, ძლიერ მოხდენილ მოყვანილობის ლა-
მაზ კარმიდამოს ძლიერ ამშვენიერებდნენ.

დრიდ კაქლის ქვეშ, სახლის წინ, აღმოსავლეთით, სადაც მთი-
დან გამოყვანილი წყაროს ცივი წყალი ილიას კარნახით აშენებულ
არმანთან პატარა მომაღლო ლამაზ უზში გადმოჩანჩქარებდა, გრძელ
ქვის მაგიდაზე უკევ სუფრა გაეშალათ. აუზის არმანებში კარაჭი
იყო შედგმული და წყალში კიტრები ეწყო.

ილიამ გაგვაცნო კნეინა ოღლა თადეოზის ასული. ჩვენ მოწიწე-

ბით ხელზე ვეამბორენით. არასოდეს დამავიწყდება მისი სათნოების ბით სავსე, მშვიდი სახე, თითქოს განსახიერებული გულკეთილობა დავინახე.

კნეინამ შემოგვთავაზა დავმსხდარიყავით. ჩვენს გარდა სტუმარი მხოლოდ ველიჩკო იყო.

მე განვციფრდი, როცა თადეოზის ასული სამზარეულოში შევიდა და ოვითონ გამოიტანა ქერძი ჩვენს მოსართმევად. ეს მიუხედავად იმისა, რომ ილიას ოჯახს მოსამსახურე არ აკლდა. მე გავიწურე მორიდებით. შემდეგ გავიგე, რომ როცა ილიას სტუმრები ცოტა ჰყვანდა, ან როცა მარტო იყო, ოლღა თადეოზის ასულს დიდ სიამოვნებას გვრიდა თავისი ხელით მოერთმია კერძები.

გავბედე და ვკითხე ილიას: თქვენი აზრი ძვირფასი იქნება ბატონი ილია, როგორი და სადაური ლვინო უფრო მოგწონთ?

— მე კახურად დაყენებული ლვინო მომწონს. ივანე ბაგრატიონის მუხრანული ლვინო ვერ შეეღრება ნამდვილ კახურ ლვინოს, — მიბრძანა.

მე გულუბრყვილოს კი მეგონა ილია დაასახელებდა საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის ან პორტუგალიის რომელიმე განთქმულ ლვინოს.

— ქართველი მოსწავლეები კარგად სწავლობენ ყირიმში? — მკითხა ილიამ. მან იცოდა ილია წინამძღვრიშვილისაგან, რომ ნიკიტის სასწავლებელში ქართველი მოსწავლე ბლომად იყო.

მე დავუსახელე რამდენიმე გვარი და მოვახსენე, რომ ჩვენ იქ მუშაობით კარგი სახელი გვაქვს დამსახურებული-მეთქი.

— ეცადენით, საქართველოს ძლიერ ესაჭიროება მცოდნე ახალგაზრდობა, — მიბრძანა. ნაპურმარილევი გავუდექით გზას ფეხით ავალის სადგურამდე.

იოსებ ანდონიქაზვილი

მოგონება ილიაზე

მე ვარ დაბადებული გურჯაანში. ყვარელში დავიარებოდი, მაგრამ იმ დროს ილია აღარ ცხოვრობდა იქ. მე მას ვხვდებოდი თბილისში, საადგილმამულო ბანკის ქრებებზე.

ილია ჭავჭავაძის ნათესავი ქალი თიკო, ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძის და იყო, გათხოვილი ასლან ავალიშვილზე, სოფ. ჩუმლაყ-ში. მე ხშირად დავიარებოდი იქ, რადგანაც დედაქემი ავალიშვილის ქალი იყო. ასლან ავალიშვილს და მის ცოლს თიკოს კარგად ვიცნობდი და შესწავლილი მქონდა იმათ ზნე-ჩვეულობა. ილიამ თავის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?“ ლუარსაბის სახით გამოხატა სწორედ ეს ასლან ავალიშვილი. შეხედულებით, ტანით ძალიან მიუახლოვდებოდა მოთხრობაში გამოყვანილ ტიპს, აგრეთვე ცოლიც ჭამა-სმა ძალიან უყვარდათ. — „აბა, კაი ცივი დედალი ნივრით კარგი იქნება“, იტყოდა ტახტზე წამოწოლილი ასლანი. ან კიდევ თუ ლვინო იამებოდა, იტყოდა: „მადერაა, მადერა სწორედ თქვენმა მზემ“. ცოლ-ქმარი შეაბამინებდნენ ურემს, ჩამოხურავდნენ ჩარდახს და გაემგზავრებოდნენ ყვარელში. ცოლი, შვილები, ასლანისა ურემში ისხდნენ და თითონ ასლანი ცხენით მიუძღვდა, შვილები ორი ჰყავდათ. ადრე კი დაეხოცნენ.

1939

პირდღი გარემოზნილი

ილია და ვაჟა

ვაჟას ძმა თედო რაზიკაშვილი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. თედო ცხოვრობდა ჩვენი სოფლის მახლობლად მდებარე სოფელში, — ხელთუბანში. იქ იყო შესული ზესიძეთა.

თედო ხშირი სტუმარი იყო ჩემი ოჯახისა. თორტიზაში ისე არ გადმოვიდოდა, რომ მე არ ვენახე და მეც ხშირად მეპატიუებოდა ხოლმე თავისთანა, სოფელ ხელთუბანში, განსაკუთრებით მაშინა, როცა თავისი ძმა ვაჟა ეწვეოდა ხოლმე ფშავიდანა.

სოფ. ხელთუბანში თედოს კარგი ვენახი პქონდა. ვენახში ერთ მხარეს გაშენებული პქონდა წითელი ყურძენი — ანდრიული და ჭყაპა, ხოლო მეორე მხარეს საკუთრივ ქართული თეთრი — ბუდე-შური და გორულა. ამ თეთრ ყურძენს თედო ცალკე დასწურავდა და განსაკუთრებულ ქვევრში ასხავდა, ამ ქვევრს ერქვა „ვაჟა-ფშაველას ქვევრი“ და მხოლოდ მაშინ მოხდიდა ხოლმე თედო, როცა ვაჟა-ფშაველა ეწვეოდა მის ოჯახსა.

ვაჟას უყვარდა თედოსთან სტუმრობა უფრო შემოდგომისას, იშ-ვიათად კი ზამთარშიაც.

ვაჟას შესახებ ბევრი რამ გამეგონა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ თე-დო რაზიკაშვილი სოფ: ხელთუბანში გადმოვიდოდა. თედო ხელთუ-ბანში დასახლებისთანავე დამიმეგობრდა. აქვე დანიშნული იყო იგი სახალხო მასწავლებლად და მეც, როგორც ჩვენი სოფლის წარმო-მადგენელი (ერობის წევრი ვიყავი) ახლო ურთიერთობა მქონდა თე-დოსთანა, ხოლო ვაჟა-ფშაველა კი ჯერ არ მენახა.

ერთ მშვენიერ დღეს თედოსგან გადმომივიდა კაცი ბარათით. თედო მწერდა: „ჩემი ძმა ვაჟა ფშავიდან ჩამოვიდა და სასწრაფოდ გად-მოდი, რომ ჩვენებურად ჩავასხათო, ჩემო გიორგიო!“ მეც აღარ დამიყოვნებია თედოსთან გადასვლა, მით უმეტეს ვაჟას გაცნობა დიდათ მაინტერესებდა.

გადავედი ხელთუბანს. თედოს კარებზე ცხენები აბია, ვიფიქრე ეს ალბათ ვაჟასი არის მეოქი. შევედი თამამად თედოს ოჯახში და თედომ მოსალმების შემდეგ მომმართა: „აი, ჩემო გიორგი, შენ რომ გაინტერესებდა ვაჟას გაცნობა, აგერ არის და იცნობდეთო“. ვაჟამ

გამილიმა და ხელი გამომიწოდა. თან დაატანა: „ფშაველი ვაჟა გან-
ლავართო“.

ამ დროს ვაჟა იყო რაღაც ლვთაებრივი სახით, მომხიბლავი, ირწი-
ვისუბრ გამოხედვით და ვაკაცური გამომეტყველებით, ვნახე და შე-
მიყვარდა... თედომ ბოლიში მოიხადა და გისწია მარნისაკენ რომ
„ვაჟა-ფშაველას“ ქვევრი მოეხადა.

გაიმართა ნადიმი, როგორიც ვაჟას ეკადრებოდა. თედომ ვაჟას
ხელოუბნელებიც დაუპატიჟა. შეისვა მრავალი სადლეგრძელოები...

ვაჟა-ფშაველა რომ შექეიფიანდა, დაიწყო ოხუნჯობა ისეთი ენა-
წყლიანობით, რომ ყველანი გამხიარულებულნი სმენად ვიყავით გა-
დაქცეული. და ერთს რომ გაათავებდა, ხელახლა ვთხოვდით კიდევ
ეთქვა რამე... ყველა ამ საოხუნჯო ამბებს თავისი ცხოვრებიდან
გვიყვებოდა და ამიტომ უფრო მეტად გვხიბლავდა და გვაცინებდა მი-
სი ეს საოხუნჯო ამბები და მეც, თითქმის დღემდე მახსოვრობაში
დამრჩა ვაჟას ცხოვრებიდან მონაყოლი ამბები.

ფშავში წესად ყოფილა, როცა ვინმე გარდაიცვლებოდა, ღამე
ცხედართან ერთი კაცი უნდა დარჩენილიყო და ცხედრისათვის მთელი
ღამე ეყარაულნა და თან „დავითნი“ ეკითხნა (ყარაულად ისეთ კაცს
ირჩევდნენ, რომელსაც „დავითნის“ კითხვა შეეძლო). ვაჟამ ფშა-
ველების ეს წესი რომ გაგვაცნო, შემდეგ გვითხრა: „პაპაჩემი რომ
გარდაიცვალა, — ცხედართან „მედავითნედ“ ჩემი უფროსი ძმა გი-
ორგი დანიშნეს. მე ვიფიქრე, ღამე მარტოს მიცვალუბულთან არ შე-
ეშინდეს, წავალ, დავხედავ-მეთქი. შევედი ოთახში, სადაც მიცვა-
ლებული იყო, და რას ვხედავ. ჩემი ძმა პაპაჩემს თავთან უჯდა,
ხელში დავითნი ეჭირა და ზეპირად კითხულობდა (ჩემი შესვლა ვერ
შენიშნა), დავუგდე უური და გავიცდი, კაცო, თურმე „დავითნს“ კი
არა, ჩემს „ბახტრიონს“ უკითხავდა ზეპირად. მე ვეღარ მოვითმინე
და ზურგიდან წავჩურჩულე: „წაუკითხე, ჩემო გიორგი, წაუკი-
თხე! ეგ „ბახტრიონი“ უფრო მიუვა, ვიდრე „დავითნი“-მეთქი“.

ვაჟა-ფშაველა ფშავიდან იშვიათად ჩამოდიოდა ხოლმე თბილის-
ში, ამიტომ დიდი თმა-წვერი ეზრდებოდა და თბილისში რომ ჩა-
მოვიდოდა, აქ იქრიჭავდა ხოლმე.

ვაჟამ თქვა: „ერთხელ ილია ჭავჭავაძისაგან ფშავში ბარათი შომივი-
და. მწერდა: „ჩემო ვაჟა! რას ჩაცივდი მაგ ფშავსა, ჩამოდი შენი
ხურჯინით, შენი ნაწერები ჩამოგვაშველე „ივერიაში“ დასაბეჭვდა-
დაო“. მეც შემოუთვალე: „ჩემი ხურჯინით პარასკევს გეახლები-

მეთქი“. ილია, მართლაც პარასკევს, მთელი დღე მლოდებია,  გან სადილობამაც გადაიწია და არ მივედი, ესადილა და დაეძინა. ხოლო თავის შინა მოსამსახურე გაეფრთხილებინა, რომ ჩემთან უნდა მოვიდეს პოეტი ვაჟა-ფშაველა და თუნდაც რომ მეძინოს, მოვიდეს თუ არა, აუცილებლად გამაღვიძეო.

მე სწორედ პარასკევს ჩამოვედი, მაგრამ ცოტა დაგვიანებით. მივედი ილიას ბინაზე, მაშინ ანდრეევის ქუჩაზე სცხოვრობდა, და-ვურეკე, კარი მოსამსახურემ გამიღო, მაგრამ არ შემიშვა: „ბატონ ილიასა სძინავს და მანამ გაიღვიძებდეს, მანდ მოიცადე კარიდორ-შიონ“. რა გაეწყობოდა, მეც დავჭექი და მოუცადე, მანამ ილია გაიღვიძებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ილიას გამოეღვიძა თუ არა, მოსამსახურეს პეითხა: „ვაშა-ფშაველა არ მოსულაო?“ „არა ბატონო, — უპასუხა მოსამსახურემა, — ხოლოთ ერთი კაცი მოვიდა, თავზე მეცხვარის ქუდი ახურავს, ფეხებზე ქალამნები აცვია, ზურგზე ხურჭინი ეკიდა და შენა გყითხულობდათ და ეხლაც კარიდორში გიცდისო“.

ილია გაუწყრა: „შე ოჯახდაქცეულო, ვაჟა-ფშაველა ყოფილა, რატომ მაშინვე არ გამაღვიძე ამდენი რაზედ ალოდინეო“. „რა ვი-ცოდი ბატონო, — უპასუხა მოსამსახურემ, — მაგას პოეტობისა რა სცხია, პოეტი მე მგონია თქვენსავით ევროპულ ტანისამოსში იქნებოდა გამოწყობილიო“ (მათი ყველა ეს საუბარი გარკვევით მესმოდა და ჩუმალ მეცინებოდა), ილიამ უბრძანა, რომ სასწრაფოდ შევეშვე მასთან. ილიას დიდად გაეხარდა ჩემი ჩამოსვლა, ხოლოთ თავის მოსამსახურეს ქცევაზე თვითონაც იცინა და მეც მაცინაო“.

ვაჟა-ფშაველა ამ ამბებს ისე საინტერესოდ გვიყვებოდა, რომ მის მოსმენას არა სჭობდა რა.

გოლომანი

„მარად და უელგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი, უავდავი სული, შენთა შეილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა, ამ გულში მე მაქვს შენი აწმუო, შენი წარსული“, — ილია ჭავჭავაძემ ეს სიტყვები მყინვარწვერზე გაღმომდგარ აჩრდილს წარმოათქმევინა, ხოლო მაღლიერმა ქართველმა ხალხმა თვითონ ამ სიტყვების დამწერი მიიჩნია ერთის უკვდავ სულად, იმდად და ნუგეშად, შთამაგონებლად და წინძმდოლად. გასული საუკუნის სამოციან წლებში ილია ჭავჭავაძე სათავეში ჩაუდგა უველა ცოცხალ ძალას, ყოველივე ახალს, აღმოცენებადს; ის ამიერიდან თავისი ქვეყნის მესამე ხდება, რათა თავის ხალხს ისტორიული მსელელობის გზაზე წამოუძლევს, ყველა წყალ-ქვეშა ლოდს ააცილოს. ისტორიაშ მეტად მძმე ტვირთი წამოჰკიდა ილია ჭავჭავაძეს. ის არ იყო მარტო პოეტად, მარტო ბელეტრისტად დაბადებული; ცხოვრების ყოველი უბანი საჭიროებდა და მოელოდა მზრუნველ პატრონს, გულშემატკიცარს და ისიც ათასად უნდა გაჭრილიყო, რომ ყველა უბანს გასწვდენდა, თვალი ყველგან მიეცევნებინა, ქვეყნის ყველა წყლულისათვის მაღამო და ყველა ჭირისათვის წამალი ეძებნა, ტანჯვის ცრუმლი ჩამოეწმინდა დაჩაგრული მოძმისათვის, შებრძოლებოდა ქვეყნის მტერს ყველა ფრთხოები — ესთეტიკაშიც და არქეოლოგიაშიც, ისტორიაში და ეკონომიკურ მეცნიერებაშიც.

თვითონ დრო, ისტორიული ეპოქა, რომელიც განაპირობებს ადამიანის მთელ მოქმედებას, რა განდ ბუმბერაზიც არ უნდა იყოს ის, მოითხოვდა ილია-საგან ყოფილიყო პოეტია, და ფილოსოფოსიც, ისტორიკოსიც და ეკონომისტიც, ფინანსიტიც და უურნალისტიც... მას უნდა ეწერა ესთეტიკის უღრმეს პრიმერებზე, ლინგვისტიკასა და ფილოლოგის საკითხებზე, და იმავე დროს, ქართველ მეცნიერთა გასაჭირზე, საქართველოს ისტორიაზე და, იმავე დროს, ოძისის სამეურნეო სკოლაზე, ქართულ რომანიზმზე და, იმავე დროს, საგლეხო გამსესხებელ-შემანხველ საზოგადოებაზე და მოკლევადიან კრელიზზე, და ყველგან მისი სიტყვა ბრძნული იყო და რჩევა — სასიკეთო და საქმისათვის საჭირო და აუცილებელი.

ჩვენ განახას ჩამოვთვალეთ მხოლოდ ცალკე საკითხები, რომელნიც თითქოს დაშორიშორებული არიან ერთიმეორისაგან. ბაგრამ აქ იმ საკითხთა მეასედიც არ არის აღნუსხული, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე უხებოდა. ახა დაასახელეთ ერთი უბანი ცხოვრებისა, სადაც არ სწვდებოდა მისი თვალი; უაღრესად ფართო იყო წრე საკითხებისა, რომელნიც მას აღლევებდნენ, აფიქრებდნენ, რომელნიც მის საზრუნვად გადაქცეულიყვნენ, არ იყო არც ერთი ტკივილი მეცხრამეტი საუკუნის საქართველოში, რომელიც ამ შესანიშნავ ადამიანს თვისიად არ მიელო, რომელიც მას საკუთარ ტკივილად არ მიეჩნია და მის დაუყრებაზე არ ეზრუნა. მთავარი ის არის, რომ ყოველი ნაბიჯი მწერლისა, ყოველი მისი წერილი ზუსტად გამიზნულია, ყოველი სტრიქონი ერთი სუნთქვით არის გამთბარი, ერთ დიდ

მიზანს. ემსახურება, — ეს მიზანია ასწავლოს, ხალხს წინ სავალი გზა გაუნდოს გრძნობთ, რომ ამას წერს ადამიანი, რომელსაც ცხოვრების უმაღლეს მიზანდ ხალხის უფლებებისათვის ბრძოლა და მისი ტანჯვის შემსუბუქება დაუსახავს, ამას წერს მგზენებარე მოყვარული თავის ქვეყნისა, გულმხურვალე პატრიოტი, და, იმავე დროს, გულწრფელი ინტერნაციონალისტი, რომელმაც იცის, რომ შენი ერთ ბედნიერი ვერ იქნება უძმოდ და უმეგობროდ; მართლაც განსაცვიდუმელია, ას უნივერსალიზმი, ეს მრავალმხრივი განსწავლულობა, მრავალსაწყისიანობა, ეს აზრის სიძლიერე და პრაქტიკული გამჭრიანობა!

წინამდებარე მოგონებები ეკუთვნის იმ ადამიანებს, რომელთაც ჰქონდათ ბედნიერება თავიანთ ცხოვრების გზაზე, ზოგს ხანგრძლივად და ზოგს კი მცირე ხნით ეცხოვრა ილიას გვერდით, მოქმინა მისი სიტყვა, მისი ბრძნული დარიგება. ილიას იხსენებენ იმ ლროის მწერლები, „ივერიის“. თანამშრომლები, ბანკის მოსამსახურენი, იხსენებენ ყვარლელი და საგურადმოელი გლეხები, ნათესავები და ახლობლები და ყველა მათგანს ილიას ახლოს გატარებული წუთები თავისი ცხოვრების ყველაზე უფრო სანატრელ წუთებად მოუწევია. ილიას მარტო ბუბერაზულ პიროვნებას კი არა, მის წიგნსაც თავისი როლი შეუსრულებია კაცის ცხოვრებაში — ამზე შეტყვალებს თუნდაც გალავტიონ ტაბითის მცირე მოგონება, რომლითაც ეს კრებული იხსენება; „ილია და ჩვენი ოჯახი“ — ასე ეწოდება ელენე როსტომაშვილ-ჭავჭავაძის მოგონებას, სადაც გაღმოცემულია კართველი ქალის განუშომელი სიყვარულისა და თაყვანისცემის წმინდა გრძნობა დიდი გვისინისადმი; სხვათა შორის, ელენე როსტომაშვილის მოგონება იმ მხრივაც იქცევს ყურადღებას, რომ მას მთლიანად მოჰყავს ილიას გამოსახოვარი წერილი ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო. ეს წერილი თავის დროზე „ივერიაში“ ხელმოწერლად დაიძექდა და მისი ავტორობის საკითხი ამ ქალის მოგონების მიხედვით დღეს პირველად დგინდება. ეს მით უფრო აღსანიშნავა, რომ სხვენებულ წერილში ილიას მოუცია დაუკიშეარი დახასიათება ქართული ხასიათისა, ქართველი მამულიშვილის ბუნებისა, რომელშიც განუყრელად შერწყმულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო. მოგონება მოგონების მისდევს და ასე, ჩვენს თვალშიან გაივლის მთელი გალერეა წარსულის ადამიანებისა რომელთა ხსოვნას ილიას ცხოვრებიდან ესა თუ ის ქპიზოდი შეუნახავ.

კრებულის ყოველი ავტორი ხაზგამით აღნიშნავს ილიას ხასიათის უმთავრეს ზა განმაზღვრელ ნიშნებს — ესაა, პირველ რიგში, სიკეთით აღსავსე გული; უღრმესი სიყვარული ადამიანისადმი, ოთარანთ ქვრივისებური ბრინჯიშულობა და განუხელობა ყველგან და ყველაფერში, პირადი ბედნიერების არად მიჩნევა და ყველაფერში მაღლა სამშობლისა და სახალხო საქმის დაყენება — აი რა მოაჩნდა ილიას აღამიანის სიცოცხლის დედაშირად და ცხოვრების მიზანდ, აი რა აზრა და გრძნობას ნერგავდა და განამტკიცებდა იგი მკითხველის გულში.

აქ წარმოდგნილი ყველა მოგონება ინახება ჩვენს მუხეუმში და იბეჭდება პირველად.

ს ა რ ჩ ი ვ ი

გალატიონ ტაბიძე — ის დღე იყო და ის დღე	5
ლევან ასათიანის ჩანაწერები	6
ილია აგლაძე — მოგონებები ილიაზე	6
სოსო მაჭავარიანი — ილია და თბილისის შუშა-ხელოსნები	7
იაკობ ნიკოლაძე — მოგონებანი	8
ელენე როსტომაშვილი-ჭავჭავაძე — ილია და ჩვენი ოჯახი	9
ყარამან ფარავა — ილია ჭავჭავაძე და საგურამიელი გლეხები	44
სოლომონ ცაშვილი — მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე	55
ალექსანდრე მიქაელიძე — მოაბაგი და წინამდობლი	69
სეიდ იაშვილი — თბილისის ქართული გიმნაზია და ილია ჭავჭავაძე	99
ლადო გეგეჭიორი — წლისთვაზე	105
დავით კასრაძე — ილიაობა	108
არქაზი ხუნდაძე — ზოგი რამ ილიას შესახებ	117
ლადო გზანელი — ჩემი მოგონებები ილიაზე	127
ილია ბახტაძე — ილია პირველად გელათში ვხახე	131
სოსიკო ფანცხავა — ალიას გლოვის დღეები	139
ზექარია ჭიჭინაძე — ივ. კერძელიას მასულის თაობაზე	146
გიხეილ მამულაშვილი — მოგონება ილია ჭავჭავაძის შესახებ	149
ანასტასია მაყაშვილი — მოგზაურობა საზღვარგარეთ	151
ნატალია ჯიჯავაძე — სტუმრად ილიასთან	155
დარია ერისთავი-ჯავახიშვილი — ორი დღე ერის მამასთან	157
გიორგი ტატიშვილი — ენოტავეკიდან თბილისში	159
ალექსანდრე გიუმირელი — მცირე მოგონება	162
დ. დავითაშვილი — ილიაობა სოფელ საგურამში	168
დ. დავითაშვილი — ილია ჭავჭავაძე და წინამდობრიანთქარის სკოლა	170
გიხეილ შამანაური — ცოტა რამ ილია ჭავჭავაძეზე	175
კოტე ბერეკაშვილი — მცირე მოგონება ღიდ ადამიანებზე	177
იოსებ ანდრონიკაშვილი — მოგონება ილიაზე	182
გიორგი ბერძენიშვილი — ილია და ვაჟა	183
ბოლოთ ქმა (გიორგი ნატროშვილი)	186

რედაქტორი თ. დაუშვილი, მხატვარი ა. სამაშვილი, მხატვრული რედაქტორი
**დ. ლუნდუა, ტექნიკური რედაქტორი 6. ქავთარაძე, კორექტორი ე. უვანა, გამომ-
 შვები 6. თათარაშვილი**

გადაეცა წარმოებას 2.06.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.12.87. უე 01530.
 საბეჭდი ქალალდი № 1. 60X841/16. გარნიტური ვენა. ბეჭდება მაღალი. პი-
 რობითი ნაბეჭდი თაბახი 111,86. პირ. საღ.-გატ. 12,09. საალრ.-საგამომცემ-
 თაბახი 9,88. ტორაუ 10.000 შეკვ. № 6046

ფასი 80 ქაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, გარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის გაცრიბის
 საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმო.
 გაერთიანება ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение
 Государственного комитета по делам издательства, полиграфии
 и книжной торговли Грузинской ССР
 г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33-

80 կտ.